

11 4
19 50

საქართველოს
ბიბლიოთეკა

მეტეოროლოგია

11

სტრუქტურა



1950

მნათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური - მხატვრული
და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეხუთედი

11

★

ნოემბერი

19

სახელბაში
თბილისი

50





გაიხოს ღილა



ავტორისხაზან

თხზილცდათთხი წლის შაისის დამღვს, თოღესაც ჩენი ჯაბი სუჯახტობილს შიადგა, საფორთცოთ გავითმი „წინ სკამით მ-ლთსათ დიამ“ დიამიჭდა ჩენი წერბილა „შაისის დილა“, სა-დაც შოთხბრთხილი იყო თბი ძმის — ქაბთყოლა ჯარახკეღუბის — შოფლოღენი შეხვედრა მბბბლის ვულბე.

— დასლოთხით ერთი თვის შეღვგ, რთი ჩენი ნაწილი სიმ-ფურთხილში იდგა, შეილო შეღვგვი წერბილი:

შავიფეღოლოთ შეწრბლოთ, შინდა გავახსტნით ჩენი გვარბ და ის ამშავი, ბთხილიც აწერბილა № 51 „გავითში, სათაურბით „შაისის დილა“.

შე ის ზენბბბლი ვათ, თიშეღვი თიქენ თვათბნ შნასყო სე-ჯახტობილს ალოშის დბბს, — გოგია შაბლიბე. შე და ჩენი ბში ლეკად შაბლიბე სწბბრბე შაბნ რესხვეთი ერთხანთოს. შე იშ დღეს ვბრუ-შუნჯა და შბაბე სახე დასბყოლა ვაცავი. შე და ჩენი ბშას შეხვედრა გავითიდა გავითში და დიდი შადლოთ-ხილი ვარ, ბბთ თქენს კალამს არ დავაწყოლიჯარ, შავრამ ერთ ბამიეს გბბბოვთ. იშ დავადარბაშანი ჩენი გვარბ თიქენ შეღვდ-ბით ზარბბბე რავბწერბიბათ, გავითში ასეა დამიჭდაილი. ჩენი გვარბ ვი შკაბლიბეა, არამე თუ შარბბე.

გბბბთჯო ჩენი გვარბ შეაბწბბბთ. ასლა შე უკეთ ვარ, შავრამ სავანკო ნაწბბბი შაბნც არ გავბიშვს. დეფბთქბში რა-შბბიღესე იცავბი ვარბად.

გწერბს ცხანისცი გოგია შკაბლიბეა

18 იანბსი 1944 პ.

აშ. გოგია შაბლიბეა

თქმი დავაბწბბბთ, შავრამ სბბბბწბბბთ ჯასბრუღბ თიქენს თსბნას, — ჯასწბბრბე ჩქსა ბეღდბბას. პ. ლ.

როდესაც ლევან ბაბლიძეს ჭრილო-ხა გაუკერეს, შეუხვებიეს და დახუთულ კარავიდან სუფთა ჰაერზე გამოიყვანეს, იგი ერთბაშად ცუდად გახდა. თავ-ბრუ დაეხსა. გულსრევა დაეწყო. სანტარამა ხელი შეაშველა და მიწაზე ნელა-ნელა დაუშვა...

მისი ჩინდალეული თვალები ერთხანს უაზროდ მისჩერებოდნენ მზიან ტყისპირს.

უეცრად ტყიდან აყვავებული ტყემ-ლები გამოვიდნენ და სადღაც გაჰქრნენ. მერე ისევ გამოჩნდნენ, ტოტბდალე-წილ მუხას შემოეხვეიენენ...

„საიდან სადაო!“ გაიფიქრა ლევანმა და ტყეილისაგან დაკარგულ თვალებს ძალა დაატანა... მიხვდა — მუხასთან თეორხალათიანი ქალები ფუსფუსებ-დნენ. მაისის ხასხასა მოღზე ისინი სა-ოცრად თეორბები სჩანდნენ.



ლევანმა მხოლოდ ახლა დაინახა მუხლამდე აყრილ ბალახში გაფენილი დაჭრილები. ზოგი საკაცზე იწვა, ზოგი — ფარაჯაზე. ისმოდა შეკავებული კენესა და ღობემძვრალა ჩიტების გაბმული ელურტული, პრიმუსის გაჯავრებული ქაქანი, ქვაბის ჩუჩხუზო, მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცების ხმადაბალი საუბარი და კიდევ დროდადრო სადღაც იასამანის ბუჩქებში ბუღბუღი სტვენდა მთვლემარე.

სანიტარული ოცული ტყიან ფერდობზე იყო შეხიზნული. ფერდობის ძირში ჯერ კიდევ ბოლავდნენ დამტვრეული ტანკები და მანქანები. იწვოდა მერძობის ფერმა. ნაბომბარ ორმოებში სანიტრები მოკლულებს ეძებდნენ. ნახევარი საათის უკან ამ დაბლობში ქვეყანა იქცეოდა. ახლა კი ისეთი სიჩუმე იდგა, რომ გიკვირდა, ეს ამოდენა ტანკები ასე მწარედ რა ძალამ დაფშვნა, ან ეს უზარმაზარი ორმოები (ზოგიერთში ჩვენებური ოდა-სახლი ჩაეტეოდა) რომელმა მიწისძვრამ დასტროვაო.

მხოლოდ ქამიდან ქამზე, ხან აქ, ხან იქ, ორი-სამი უეცარი გასროლა სიჩუმეს გაჰკვეთდა ხოლმე. ვინ ისროდა, რატომ ისროდა? ზოგი მეუბნებოდა, სანიტრები სადმე სანგარში ჩარჩენილ გერმანელს წააწყდებოდნენ და შესაშინებლად ესროდნენო.

ზოგი კიდევ ასე ამბობდა, — გახურობული ჯარისკაცები ისერიან, ამ უეცარ სიჩუმეს ვერ შეჩვევიანო.

მოშუადღევდა. სიფიცზე მოემატა ნესტიანი ტევრის სურნელებას. ლევანმა ტყისპირი შეათვალიერა, იქნებ ჩემი ათეულიდან ვინმე იყოსო... არავინ იყო. მუხისაკენ მიბრუნდა, სადაც მძიმედ დაჭრილები იწვნენ... და სწორედ მაშინ მოხდა გაუგებარი ამბავი: იმ მუხასთან, ცხენებგამოხსნილი ლინეიცის ჩრდილში, თავბრუსხვეული დაჭრილი იჯდა. არტახიდან მხოლოდ ცალი თვალი უჩანდა. მარცხენა თვალი. ტანკისტის შავი კომბინეზონი ეცვა, დაგლეჯილი,

სისხლში მოსერილი. თეთრი სახვევი უცნაურად მოეხატა მოუსვენრებლად ფოთლების ჩრდილს. თავი უკან გადნეგდნო. მძიმედ სუნთქავდა. ტუჩებზე ხალვათად დადებული ბანდი მალიმალ ადიოდ-ჩამოდლიოდა.

ლევანმა მიბრუნება ვერ მოასწრო, — დაჭრილი ტანკისტი ერთბაშად შეირხა, წამოიწია, თითქოს ადგომა უნდოდა. მერე რალაც დაიღმეველა და ხელების ქნევა დაიწყო.

რამ შეაშფოთა იგი? ხურეება მოერიო თუ ტყვიელმა შეაწუხა!

ლევანი თავბრუსხვეულ ტანკისტს მიაჩერდა. მან ისევ დაუქნია ხელი, თითქოს დახმარებას ითხოვდა მისგან.

შეიძლება იმიტომ, რომ ლევანი დიდხანს სდუმდა, ან იქნებ დაჭრილის წუხილი და აღელვება გადაედო? — მან ხმა ვერ მოზომა და იყვირა:

— წყალი, დაო! — და იმავ წუთში ამ ორმა სიტყვამ კეფაში ორი ურო დასცა ლევანს. ისევ დაუწყო ტეხა ახლადგაკერილმა ჭრილობამ. თვლები დაებინდა... და ისევ გამოცურდნენ ტყიდან თეთრი ტყემლები.

მალე გონება ისევ მოეწმინდა. თავი ჩაქინდრა და მოგონების ბურანში წავიდა. ახლა ეს იყო მისი წამალი. — ამდილანდელი ბრძოლის მოგონება... მოგონების სიმწარე. ლევანს მხოლოდ იგი ავიწყებდა ამ უღმრთო ტყვიელს.

... იერიშის დაწყების ნიშანს ელოდნენ. ლევანმა მუზარადი მოირგო, ფარაჯის კალთები ქამარში მაგრა ჩაიტანა, მერე სანგრის კედელზე ამოკრილი საფეხურები მოსინჯა და მინდორს გახედა.

ნაღმებისაგან გადათხრილ მიწას ჩიტები დასეოდნენ. გამალებული სცემდნენ ნისკარტს პირქვე გადაბრუნებულ ბალახიან ბელტებს.

„არგახანია ამ დაბლობში მიწა არ მოხსულა!“ გაიფიქრა ლევანმა და მშინვე თვალწინ დაუდგა შორეული კასპის მინდვრები, შეიღულლიანი გუთ-

ნული და გულყვითელა ჩიტების ევილ-ხივილი ორთქლიან ხსულებში.

სწრაფად მოიშორა ეს შემაწუხებელი ფიქრი. არ უყვარდა კასპელ გლახს, როდესაც ბრძოლის წინ მისი გონების თვალი ამ ქედებს გადაღმა გადაიხედავდა. მას ასე. გადაწყდა. პირველი კამარა აგერ იმ ხევისაქენ... თუ ჩასვლა მოვასწარი, საქმე გავეთდება. რაც უნდა დაქანებული ფერდობი შემხვდეს, ნაშალ ღორღზე ფეხს ადვილად მოვიკიდებ. სირბილიც შემიძლება და ტყვიაც ვერ მომწუხდება...

ანგარიში გაუმართლდა. ასიოდე ნაბიჯი შეუფერხებლად გაირბინა და ხევიდან სწორედ იქ ამოვიდა, საიდანაც მის ათეულს იერიში უნდა დაეწყოს. ჯარისკაცები არა სჩანდნენ, მაგრამ ხევიდან მკაფიოდ ისმოდა მათი ჩექმების ბრაგუნის და ღორღის ჩხრიალი. ისინი კვალდაკვალ მოჰყვებოდნენ თავიანთ სერეანტს.

ლევანმა სული მოითქვა და ბალახებში შეეცურა. უეცრად მუზარადზე ტყვიამ გაკვრა, როგორც ასანთის ღერმა. ლევანი ადგილზე გაქვავდა, თავით მიწას გაეკრა და ყური მიუგდო. სროლა თანდათან ხშირდებოდა, მაგრამ ლევანის ახლომახლო, ბალახებში, ტყვიები ჯერ კიდევ არ წიოდნენ.

„ნაცილი ყოფილა!“ გული გაიკეთა სერეანტმა, მუზარადი შეისწორა და ისევ მხარული მოუსვა უხვად დაცვარულ მინდერის ყვავილებში. ახლა იგი იმდენად ახლო იყო მტრის სანგრებთან, რომ გრძნობდა, როგორ აზანზარებდა მიწას ჩვენივე ყუმბარების აფეთქება... მაგრამ აგერ აფეთქების შავი შადრევნები თავმოტვლებილ გორაკებს გასცილდნენ და იმავე წუთს სასტვენის მკვეთრი ხმა გაისმა.

— წინ! — გასძახა ლევანმა ბალახებში გასუსულ ჯარისკაცებს და თითქოს ეს ერთი — ყველაზე ნაცნობი და ყველაზე მალეღვებელი სიტყვა, — უხილაჯ ფრთებად გამოესხა თვითუღლ მათგანს: ერთპირად წამოდგნენ...

გორაკის ძირში ჩათხრილ ძელმიწურთან ხშირი ტყვია წამოვიდა. მოისმა კვნესა. ვიღაცამ შეიგინა. ლევანმა დაინახა, როგორ ჩაიკეცა ბალახებში ორი თუ სამი ჯარისკაცი. დანარჩენები მყისვე მიწაზე გაწვნენ და უკვე შეუდგნენ შემოსანგერას, რომ ერთბაშად ხელმარჯვნივ ყალყზე შემდგარი ტანკი გამოჩნდა...

ლევანს თვალში მოხვდა მისი ემბლემა: ტანკის კოშკზე კამარაშეკრული ღომი იყო დახატული.

დაძაგრული, შეუპოვარი, ცეცხლის-მფრქვეველი ფოლადი მტრის ძელმიწურს დაეჭვრა და ისე მოფშენა იქაურობა, როგორც, უბრალო ხუხულა. ჯარისკაცებიც მყისვე წამოვარდნენ, თითქოს იმ დალოცვილმა ტანკმა თავისი ღონე და სიფიცხე მათაც გაუზიარა. დანარჩენი ბუნდად ახსოვდა ლევანს, როგორც გამოუტანელი სიზმარი... ჯიქურ მირბოდა კვამლსა და მტვერში, ტყვიების სტვენა-ზუილში.

მისი ფიქრის ყოველი გაელევა, ყოველი გამოხედვა, ძარღვის უბრალო შეტოვება, მისი ყველაფერი — მარტოოდენ სისწრაფედ იყო ქცეული... ლევანი ახლა სწრაფი იყო, როგორც არასოდეს და მაინც ეჩვენებოდა, რომ ნელა მირბოდა, ნელა უახლოვდებოდა აგერ იმ პატარა გორაკს, საიდანაც ტყვია წვიმასავით მოდიოდა.

როგორმე იმ გორაკამდე მიეღწია, — ეს იყო ახლა სიცოცხლის ერთადერთი აზრი და მიზანი, — იმ წუთში ასე სჯეროდა ლევან ბაზლიძეს და ამოდენა დაბლობში იგი თითქმის ვერაფერს ხედავდა, გარდა იმ წითელი პატარა გორაკისა, საითყენაც მას მთელი მისი განვლილი და მომავალი ცხოვრება შეუჩერებლად მიაჩანებდა. ახლა მხოლოდ სიკვდილს შეეძლო მისი შეჩერება. ასე გაირბინა მან ეს მანძილი და მტრის სანგარში შეიჭრა...

პირველი მოკლული გერმანელი ყველაზე მკაფიოდ ახსოვდა ლევანს. ახსოვდა არა მისი სახე ან თვალების გამო-

მეტყველება, — მისი ოფლის სუნი ახსოვდა. სიკვდილის ოფლის სუნი. ვიწრო სანგარში თოფი ვერ იხმარეს და ერთმანეთს ხელდახელ დაეტაკენ. ლევანმა მოასწრო და გერმანელს მუცელში დანა გაუყარა, სწრაფად მოიშორა იგი და მხოლოდ შემდეგ ჩაისუნთქა ჰაერი. სუნი იმ ოფლისა ახლაც ვერ მოუშორებია ლევანს...

რამდენი მოჰკლა ამ შეტაკებაში? მაშინ, ბრძოლის დროს, ლევანს ეჩვენებოდა, რომ სანგარში მართო იგი იყო — ლევან ბაზლიძე — და მხოლოდ იგი ჰკლავდა, რაც იქ გერმანელები იყვნენ. ეს გასაოცარი გრძობა იერიშის ბოლომდე თან ახლდა ლევანს. ახლა კი გულში ეცილებოდა. დასცინოდა მაშინდელ შეგრძნებას, თუმცა იმ წუთებში იგი დიდად მოეხმარა ჯარისკაცს: არ ეგონა, თუ ვინმე მოერივოდა.

მაინც რამდენი? სამი? ოთხი? არ ახსოვს. მაგრამ, აი, ერთმა გერმანელმა ხელეში ასწია. ეს მოხდა მერძეობის ფერმის ეზოში. ცეცხლის ალში გახვეულ შენობასთან ქვარტლითა და კვამლით გაშავებული, ხელბაწეული გერმანელი იდგა.

— არც მაგაზე გაწყენინებ! — გაიფიქრა ლევანმა და გულდანდობილი გაეშურა მისკენ. უეცრად გერმანელმა ხელი მოიქნია და, ტყვედ ჩაბარების მაგიერ, სახელოში დამალული გრანატი ლევანს ფეხებში დაუგორა. კიდეე კარგი, მოტყუებულმა ლევანმა მიწაზე დავარდნა მოასწრო, თორემ ბარი ვერ აფხვკდა, ისე წაუვიდოდა საქმე. მხოლოდ ერთი ნამსხვრევი მოხვდა თავში, კრილობა არც ისე საშიში აღმოჩნდა, მაგრამ... დაჯექი ახლა ლევან ბაზლიძე მყუდრო ჩრდილში, ისუნთქე ტყის იასამნისა და წიპლების სუნი და შეგშურდეს მათი ბედნიერება, ვინც დღეს სევასტოპოლში შეიჭრება.

სევასტოპოლი! როგორ უყვარდა ლევანს ეს გმირი ქალაქი! უყვარდა იმიტომ, რომ რვა თვის განმავლობაში

იცავდა იგი ამ ქალაქს. აქ გადაიტანა მან გერმანელთა სამი გააფთხებული იერიში, მათ შორის ყველაზე საშიშნელი — 1942 წლის შვიდი ივნისის იერიში, როდესაც მტრის თვითმფრინავებმა ხუთი ათასზე მეტი ბომბი ჩამოაგდეს ჩვენი ჯარის პოზიციებზე.

250 დღე სევასტოპოლში! განა შეიძლება ამ დღეებზე უფრო ძლიერი რამ აკავშირებდეს ადამიანს რომელიმე ქალაქთან! მეცენზის მთები, ჩრდილოეთის ყურე, ინკერმანი, მალახოვის ყორღანი, ინგლისელთა სასაფლაო და ბოლოს კონსტანტინეს რაველინი, სადაც ქართულ გლეხს ყველაზე მძიმე დღე შეხვდა თავის ცხოვრებაში. იგი აქ მესამედ დაიჭრა და ცოცხალმკვდარი ჯარისკაცი ერთგულმა მეგობრებმა ზერსონისის კონცხთან გემში ჩასვეს და „დიდი მიწისაკენ“ გაისტუმრეს. ეს იყო ოცდასამი თვის წინათ. ოთხი კრილობა და ერთი ურყევი რწმენა წაიღო ამ ქალაქიდან ლევან ბაზლიძემ, — რწმენა, რომ იგი კვლავ დაბრუნდებოდა გმირი ქალაქის დასახსნელად.

იგი დაბრუნდა... მისი სახე ყუბანის მზეს გაეშავებინა, მისი ჩექმის ნაკეცებს „ცისფერი ხაზის“ მტვერი დასდებოდა, მის თმასა და ფარაჯას ორი ზღვის მარილიანი სუნი ასდიოდა. დაბრუნდა ბრძოლებში დაბრძენებული ჯარისკაცი, დაბრუნდნენ მისი მეგობრები, რათა მალახოვის ყორღანზე ისევ წითელი დროშა აფრიალებულიყო.

როგორ უნდოდა ლევანს, ერთი პირველთაგანი შესულიყო სევასტოპოლში! საკვირველია, ლევანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იგი შეიძლებოდა მანამდე მოეკლათ, სანამ სევასტოპოლს მიაღწევდა. რომ მისი მოკვლა ადრეც შეეძლოთ, — „ცისფერი ხაზის“ იერიშის დროს, ან კიდეე ქერჩის მთაგორებში... ფიქრობდა ოდესღაც, როდესაც მტერი წინ მოიწევდა, როდესაც ყოველი უკანდახვეა, ყოველი ქალაქის

დატოვება ლევანს სიცოცხლეს უწამ-
ლავედა.

მხოლოდ სტალინგრადის შემდეგ,
როდესაც უკანდახვეის სიმწარე ჩვენი
დიდი გამარჯვების აღმაფრენამ შეს-
ცვალა, სიკვდილზე ფიქრი როგორღაც
შეუმჩნევლად გაუქრა ლევანს. ახლა
იგი ისევე იშვიათად უშფოთველად
ფიქრობდა სიკვდილზე, როგორც ომამ-
დე გაიფიქრებდა ხოლმე. ფიქრობდა
როგორც გარდაუვალ, მაგრამ ძალიან
შორეულ ამბავზე. ეს დიდი სულიერი
ძლიერება ლევან ბაზლიძემ საბჭოთა
არმიის წინსვლაში მოიპოვა.

გამარჯვებული ჯარის რიგებში ჯა-
რისკაცს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თით-
ქოს წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

ლევანი პოლკში ყველას უყვარდა
თავმდაბლობის, გაბედულების და იმ
უჩინარი ვაჟკაცობის გამო, რომლის
ნამდვილი ფასი ჯარისკაცებმა კარგად
იციოდნენ.

ბევრის მნახველი და ბევრის ამტანი
ლევანი იერიშის მაუწყებელ მაშხალას
ისევე უბრალოდ ხედებოდა, როგორც
მზის ამოსვლას, მაგრამ როდესაც ამ
დილას ზღვიდან წამოსულ ნისლიდან
საპუნ-გორას ნაცნობი ფერდობები გა-
მოჩნდნენ, გულმა ბაგაბუჯი დაუწყო-
ამ მთის გადღმა სევასტოპოლი იყო, —
გვირი ქალაქი, სადაც იგი დავაჟაკდა,
როგორც მეთმარი და სადაც მისი სი-
ცოცხლე სამუდამოდ დაუკავშირდა იმ
ქალაქის სიცოცხლეს.

როგორ უნდოდა ლევანს, ერთი პირ-
ველთაგანი შესულიყო სევასტოპოლის
ქუჩებში, მაგრამ უკანასკნელ წუთში
ბედმა უმტყუნა...

მზე მალა იყო, როდესაც დაპირილი
ლევანი ფერმის ეზოში იპოვნეს, მოა-
სულიერეს და ეჭიმთან წაიყვანეს. გზა-
ში ნაცნობი ლეიტენანტი შემოხვდა.
შემაჩერეთო, სთხოვა სანიტრებს:

— ამხანაგო ლეიტენანტო, დღეს
ჩვენები სევასტოპოლში შევლენ?

ლეიტენანტი მიხვდა, რატომ ეკით-

ხებოდა დაპირილი და გულთბილად
მიუგო.

— ნუ ღელავ, ბაზლიძე. მორჩები და
შენც მოესწრები სევასტოპოლის ნახ-
ვას.

— არა, ამხანაგო ლეიტენანტო. მე
დღეს უნდა შევიდე სევასტოპოლში.
უბრძანეთ, იქით მიმავალ მანქანაზე
დამაწვიონ!

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, სა-
ნიტრებმა აღარ დააცალეს...

ხელის ფრთხილმა შეხებამ ფიქრი
გაუწყვიტა ლევანს. ქალმა წყალი მიუ-
ტანა კარდალით.

— მე არა... აგერ იმას უნდა. —
უთხრა ლევანმა და ხელი მუხისაკენ გა-
წვდინა.

თავპირშებვეული ტანკისტი მშვი-
დად იწვა გულაღმა.

— იმას?! — გაოცდა ქალი.

— ჰო, წელან მთხოვა.

— ვერ ლაპარაკობს და როგორ
გთხოვდა? მის ტანკს ყუმბარა მოხვე-
დრია და საწყალი ბიჭი ძლივს გადაურ-
ჩენიათ. ჯერჯერობით ვერც ლაპარა-
კობს და ყურშიც არაფერი ესმის.

— ხელს მიქნევდა გამწარებული. იქ-
ნებ ცუდად არის და წყალი უნდა-
მეთქი, ვიფიქრე.

ყალბზე შემდგარი ტანკი მოაგონდა
ლევანს. მოაგონდა კოშკზე დახატული
ლომი.

— დღეს ტანკისტები ღმერთივით
იბრძოდნენ! — ჩაილაპარაკა მან და
ისევ მუხისაკენ გაიხედა.

სანიტარმა ქალმა ტანკისტს თავქვე
ხელი ამოსდო და წყალი პირთან მიუ-
ტანა. დაპირილი წამოჯდა. ლევანს გაუ-
ხარდა, რომ მისი წადილი გამოიცირო.
მაგრამ ტანკისტმა წყალი როდი დალია!
ისევ ლევანს დაუქნია ხელი, უფრო
მოუთმენლად, სულწასულად, ვიდრე
აქამდე. მერე მკლავი უღონოდ დაუშვა.
გარინდდა, თითქოს სუნთქვაც შესწყვი-
ტა, — ტუჩებზე დაფარებული ბანდი
აღარ ირხეოდა.

ლევანი შეიშმუშნა. იგი შეაწუხა „ცალთვალა“ ტახეისტის ჩაცხებულმა მზერამ.

უეცრად ტახეისტმა კომბინეზონის საკინძი გაიხსნა და ტილოს ნაჭერში გამოკრული ქაღალდები და ჯიბის ხიფთები ამოიღო. მისი ბანკალბული თითები კარგახანს ქექნდნენ იმ ქაღალდებს. ბოლოს იპოვნა, რასაც ეძებდა... ლევანის ფეხთან წითელყდიანი წიგნაკი დაეცა. გუმანდაკარგული ლევანი წიგნაკს დასწვდა, გაშალა... თავი სიზმარში ეგონა. ხელში ძმის პარტიული ბილეთი ეჭირა. სამი წლის უნახავი ძმის.

— გოგია... ძმაო! — მეტი ვეღარაფერი უთხრა ლევანმა, რადგან გრძნობდა, მერე ვეღარ შეაჩერებდა გულის სიღრმიდან წამოსულ ცრემლებს.

ტახეისტმა ლევანს ტუჩების მოძრაობაზე შეატყო, — ძმამ წარმოსთქვა ძმის სახელი. ეს იყო ყველაფერი, რაც ახლა გოგია ბაზლიძეს სჭირდებოდა.

მე დავესწარი ამ შეხვედრას. მე დავინახე, როგორ შეარყია ლევანი უხმო ქვითინმა. იგი ერთბაშად გატრიალდა

და კარავს მოეფარა. შერცხვა. ვთქვამთ ვაქცალებს შორის ცრემლს ვერ გამოაჩენდა, თუმცა ის ცრემლი დიდი ბედნიერების ნაკურთხი იყო.

სული რომ მოითქვა და მღელვარება გაუნელდა, ლევანი ისევ მინდორზე გამოვიდა. ძმას სასთუმალთან დაუჯდა და თვალთან ქაღალდის ნახევი მიუტანა. ქაღალდზე ეწერა: „თუ არ გეძნელება, გოგო, დამიწერე, რა იყო დახატული შენს ტანკზე“.

გოგია ბაზლიძემ ფანქარი ჩამოართვა. დაძაბული შეყურებდა ლევანი ძმის ხელს.

„ლ ო მ ი“, დასწერა ტახეისტმა.

— მაშ ის შენ იყავ, ბიჭო, სულზე რომ მოგვისწარ?! — მდულარე ხმით წასჩურჩულა ლევანმა და ძმას ხელი ჩამოართვა.

და იმ ხელის ჩამორთმევაში იყო ძმური სიყვარულიც, დედობრივი აღერსიც, ქართლის მიწის სითბოც, — იყო ყველაფერი, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ ამ ბრწყინვალე მაისის დღიას.

საოქომბრო



დღეს ჩვენ ვუმღერით ამ სიმღერას
 ჩვენს დიდ ქვეყანას, —
 მშობლიურ მიწას,
 ჩვენს მთა-ველებს,
 ჩვენს ბაღს და ყანას, —
 ვუმღერით ყოველ საბჭოთა კაცს, —
 დიდს და პატარას,
 ვინც მკვდელია,
 შემოქმედი,
 ან მიწას ბარავს,
 ვუმღერით ხალხებს, ვინც მონობის
 ბორჯილს ვერ იტანს,
 ვინც უტყუარს რწმენით ჩვენს სამშობლოს, —
 ქვეყანას — ტიტანს,
 ვუმღერით ჩინეთს, — მილიონთა
 ზღვასავეთ ღელვას,
 კორეელების გმირულ ბრძოლის
 ქუხილს და ელვას,
 ვუმღერით ყველგან, სად იბრძვიან
 ხალხის შვილები —
 რწმენით, იმედით
 და გმირობით ფრთავაშლილები,
 ვუმღერით ბელადს, ვინც ცეცხლის ზღვა
 გამოგვატარა, —
 იყოს დღეგრძელი, მზესავეთ რომ
 გვინათოს მარად,
 მისგან ეფინოს შუქი ყველგან, —
 მთაში და ბარად,
 ვისი სახელიც მილიონებს
 წინ უძღვის ფარად.

ნაირი ხარინი

სიგყვა მეგობრობაზე *

★

ჭველი არაქსი და მტკვარი ჭველი
დობილებივით ერთ-ერთს მხედებიან,
კასიის ზღვაში შედიან დეღვით
და ვოლვის ტალღებს ეგებებიან.
ჩვენ ამ მიწაზე ოდესღაც გაგნდით
კავკასიელი ქვეყანა სამი,
ერთად გვინათებს მნათობი ცაში,
ერთად შეგვიხვამს წარსულის შხამი.
არ ვნებდებოდით ცოცხალი თავით —
მტერს ვაკედებოდით სისხლიან ომში,
დევი-გმირ ამირანს, ქორ-ოღლს, დავითს
ულეწუთ მტრები იმ შავ-ბნელ დროში.
მაგრამ საზიზღარ შინაურ მტერსაც
ჩვენს სიყვარულში ჩაუსხამს შხამი;
ზოგჯერ გაცლივართ ჩვენ ერთმანეთსა,
დავსორებოვართ კუნაბეტ ღამით;
დავსორებოვართ, მაგრამ ყოველთვის
ერთ-ერთს ვეძებდით კეთილის გულით
და, ჰა, გვეღირსა მზე საბჭოეთის, —
შევკრებით, შევეერთდით მშურ სიყვარულით.
მან შეგვაძულა, გამოგვაღვიძა
სამი ქვეყანა ღალი და ჭველი,
დიდ გამარჯვების გზაზე გაგვიძღვა;
დვას ოცდაათი გმირული წელი.
ოუ მუდამ გყავდა საერთო მტერი
და ბრძოლა ქუხდა თავგანწირული,
ჩვენ მეგობარიც გვეყოლია ერი,
დიდი რუსეთის ერი გმირული,
და უძლეველი საბჭოთა ხალხი,
დიდ ნოელ გზაზე გავედით ერთად.
ყავით ჩვენთვის ახალი სახლი

და ვერას გვაკლებს ღრილი მტერთა.
მშურ სიყვარულით სახლი ავაგეთ,
ვაშენეთ ერთად და ერთად ვიცავთ.
ის მთელ ქვეყანას სხივით ანათებს,
ზედ მეგობრობა სწერია ფიცად.
იქ მზემ დიდგა ბრწყინვალე ტახტი,
ხალად გადიქვა სომხეთი ჩვენი,
ვიზარდით ოხლად, — მაშები ვაგზდით
მცველი არ გყავდა — თვით ვაგზდით მცველნი.
სომხეთის მთებში, სომხეთის ხარში
დიად კომუნის ვაშენებთ ახლა
და ხალხთა მშობის დიდ გაღაენში
მშვიდობის დროსა გვიპირავს მაღლა.
დღეს ოცდაათი წესსულაა წელი,
დვას ჩვენში ტკილი დღე საოცნებო,
მხურვალე გულით და სიტყვით წრფელით
სომხეთის ხალხი მოგმართავთ, მშებო,
ჩვენო ძვირფასო, ჩვენო მომშენო,
დიდ საბჭოეთის ყველა ერებო,
შენ საქართველოვ, შენ მეზობელი —
კასიის მხარე — ბედნიერებო.
ვინც ხელს შრომაში მშურად გავწვდიდით,
ჩვენო სომხეთი ვიმღერო ქებასა,
მშებო, უთქვეწოდ ვერ მივალწვდიდით
ამ გამარჯვებებს ნაოცნებარსა,
თქვენს სადღევრძელოს ვოსჯავის * ღვინით
ესვამთ, მეგობრებო, და ვართმევთ ხელსა,
ვუმღერით მშობას მშობლიურ ჰიმნით,
დიდება სტალინს, ხალხების მშენელსა!

თარგმანი ირაკლი აბაშიძისა.

* ლექსი შედგენილია სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავისადმი.
* ვაზის ჯიშია სომხეთში.

პირისპირ

რომანი

წიგნი მეოთხე

ნანგრევი

ნაწილი პირველი



...აქ აღაშენა მეფემან ბაგრატ ყოვლადწმიდისა
ეკლესია მშვენიერი, გუმბათიანი, სრულიად სოფიას
კენჭით შინაგან ქმნული და მარმარილოთა სპეტაკითა,
წითლითა და ჭრელითა და სვეტებითა მისითავე, და
ყოვლითა შემკობილებითა სრული, და ფრიად დიდი...
შემესრეს ოსმალთა, და წარიღეს სვეტნი მისნი და
მარმარილონი სამცხეს”.

ვახუშტი: „საქარ თველ ოს გეოგრაფი“.

ს

კორნელი და მიხა ბნელ ვაგონში შე-
ვიდნენ. ზედა საწოლი დაიკავეს, თავ-
ქვეშ პატარა ჩემოდნები ამოიდეს და
პალტო წაიხურეს. მიხას მაშინვე დაეძი-
ნა, კორნელი კი ჭერს მიშტერებოდა
და, ღია ფანჯარაში შემოჭრილ ქარის
ხმაურსა და სტვენაზე, გულში ჩახშულ
უცნაურ სიმღერას ამბობდა. ბოლოს
მოსწყინდა გულში ჩახშული ის უცნა-
ური ჰანგი და თავისი გლოვისა და დარ-
დის გამოსახატავად ხმა ამოიღო და
მოულოდნელად კავშირანი სიმღერა
წამოიწყო. მიხამ თვალეზი გააბილა და
გაოცებით შეხედა. კორნელის ყურად-
ღება არ მიუქცევია მისთვის და ისევ
სიმღერით გამოსთქვამდა სატრაფოსთან
განშორებით გამოწვეულ დარდს და
ცრემლი თვალს უსველებდა.

ბნელი ვაგონის ჭერს თვალმიშტერე-
ბული კორნელი დაუსრულებლივ მღე-

როდა გლუკის ოპერის „ორფეუსის“
არიიდან ამოღებულ და გათავისებურე-
ბულ ერთსა და იმავე მოტივს.

ის სიმღერა მოთქმით ტირილს უფ-
რო ჰგავდა:

„დაშეარგა ვერილიკა,
ვერ ვიხილავ მე მის თვალებს
ნეტა თუ რამ შევდრება
ჩემს ჭირსა და სივალაღეს“

დამე შეუმჩნევლად ზღეოდა. ცამ
ღრუბელი გადაიყარა და ცისკრის ვარს-
კვლავმა ფანჯრის მინას მიაშუქა. კორ-
ნელიმ ერთბაშად შესწყვიტა სიმღერა.
ს.ცივე იგრძნო. ტანში გააერყოლა და
ისე მოეჩვენა, თითქოს ნინოსთან ერ-
თად სამუდამოდ ჰკარგავდა ყველაფერს,
რაც მანამდე მისთვის წმინდა და საყვარ-
ელი იყო.

ბოლოს რიონის სადგურიც გამოჩნდა.
კორნელი და მიხა ქუთაისისაკენ მიმავალ
მატარებელში გადასხდნენ. ჯერ

კიდევ ბნელოდა. მხოლოდ მაღლა, მთაზე გადმომდგარ სალორის ტეში, მოახლოებული რიერაის გამო, ვარდისფერი ცა ილანდებოდა, მატარებელი რიონის ველზე გავიდა და მალე კორნელიმ ქუთაისიც დაინახა, თავისი მწვანე ბალებით, ეზოებითა და შიგ ჩადგმული პატარა და კოსტა სახლებით.

კორნელი და მიხა ქალაქში გავიდნენ, რიონის თეთრი ხიდი გაიარეს და, შესხეთის ქუჩაზე, სტეფანე მხეიძის ბინას მიადგნენ. ძმა შინ არ დაუხვდა კორნელის. იგი, ცოლითურთ, კარისმერეთში წასულიყო დედა ტერეზასთან. კორნელი და მიხა ისევ თეთრ ხიდზე გამოვიდნენ. რადგან დილიდანსა კარისმერეთისაკენ დღის ორ საათამდე არ გადიოდა, კორნელიმ მიხას სახაშეში შესვლა სთხოვა. ამდენხანს დადუმებულმა, მზრებანჩილმა და თვალმდასისხლიანებულმა მხატვარმა ჩაიხეხებინა, ცხენსავით გრძელი კბილები გამოაჩინა და ენა ამოიდგა:

— ნასვამი ვართ, ხაში მოგვიხდება.

ისინი ჯაჭვისხიდის თავში რაჭველთა სახაშეში შევიდნენ.

2.

კორნელიმ მიხას მთაზე ასვლა, ძველი ციხისა და ბაგრატის ტაძრის დათვალიერება და მის გალავანში წაძინება შესთავაზა. მიხა დათანხმდა.

ისინი ჯაჭვის ხიდზე შეჩერდნენ და თეთროდებიან კლდეებშუა რიონის გრგინეთა და ლალი დინებით მოიხიზლნენ. მერე სოფლებებისაგან ცივი ლეღვი და ყურძენი იყიდეს, შექამეს და თეთრი ქვის კიბით აღმართს შეუდგნენ. ფართო კიბე ყათარივით ამკობდა მთის კალთას. მთაზე რომ ავიდნენ, რიონის გაღმა-გამოღმა გაშენებული და ბალებში ჩაფლული, თვალწარმტაცი და მშვენიერი ქუთაისი გამოჩნდა. რიონის ველს იქით ზეკრისა და გურია-აჭარის მთებს ნისლი აეყარა. ლურჯი ცის ტატნობზე მძაფრად ახატულ ქედებს

ამომავალი და ჯერ უჩინარი მზის სხივები მისდგომოდნენ. კორნელიმ ლეღვითა და მსუბუქმა ჰავამ გაქმნა და, როდესაც ანკარა, ცივი წყაროს წყალი დალია, შეება იგრძნო. მერე ისა და მიხა ძველი ციხისაკენ მიმავალ შარას დაადგნენ. მალე ციხის ნანგრევიც გამოჩნდა. კორნელიმ მიხას აუხსნა:

— აი, აქ იყო ოდესღაც დიდებული ციხე და ციხიდან რიონზე აგებული ხიდი. აი აქ იდგა მეფეთა სასახლე, მშვენიერი, დიდოსტატების მიერ ნაშენი და რიონზე გადამდგარი, ჰადრებით შემოფარგლული ფართო ასპარეზით. აი, ამ ტაძარში ადგამდა კათალიკოსი გვირგვინს ბაგრატიონთა გვარის მეფეებს. ახლა იმ დიდებული ციხისაგან ნანგრევლა დარჩენილა, ხოლო მეფეთა სასახლისა და პალატების ფუძეც კი წაშლილა და მათ ნაფუძვარზე ეპისკოპოსის, აი ეს სახლი და ყაზარმის მსგავსი სემინარია აუშენებიათ.

თვალდასისხლიანებული მხატვარი სდუმდა და მისი სულელური ღიმილი და გამოთავყვანებული გამომეტყველება ამჟამად მოწმობდა, რომ იგი თავისი ქვეყნის წარსულს არ იცნობდა და არა იცოდა რა მის შესახებ.

კორნელი და მიხა ბაგრატის ციხესა და ტაძრის გალავანს მიადგნენ. რკინის კარები დაკეტილი დაუხვდათ. მალე გალავანში ბერის ტანისამოსში გამოწყობილი მოხუცი დარაჯი გამოჩნდა. იგი სტუმრებს მიესალმა. უზარმაზარი გასაღებით ჭიშკარი გააღო და სტუმრები გალავანში შეუშვა.

კორნელიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მყისვე დიდებული ტაძრის ნანგრევის წინ განცვიფრებული შეჩერდა. მას ბავშვობაში და მოწაფეობის დროსაც ჰქონდა ნახული ეს ტაძარი, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად წარმოუდგა მისი მშვენიერება.

იგი გულმოკლული გასცქეროდა ოღურქების მიერ დამწვარ, დანგრეულ, ნაპარტახალ და ეამისაგან დასაღუბავად განწირულ ტაძრის ნანგრევს.

ცათაწედილი გუმბათი და მაღალი კედლებიც ჩამოქცეულიყო და ხედ ლეღვი, ბროწეული, თუთა და ბალახ-ბულახი ამოსულიყო.

თავახდილი ტაძრის შიგნით ჩამოქცეული გუმბათის ჩუქურთმიანი, თვალწარმტაცი ლავგარდახები, ლოდები და სვეტის თავები ეყარა. ეტყობოდა წვიმა და თქემი ჩამოდიოდა აქ, ქარიშხალი დაძრწოდა და ნადირივით ღმუროდა.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მხახველზე მიწაზე წამოქცეული, ქაშისაგან დახრული და დაეანგული, წვიმამავდრისაგან გამოქარული და მარადიული ღუმლით მოცული ვეება სვეტებო. ისინი განგმირული ბუმბერაზებით წვიანან მიწაზე, ხოლო წარმტაცი ჩუქურთმებით შემკული და იქვე დაყრილი მათი კოხმიდები და სვეტის თავები ოშში დაცემულ გმირთა მუზარადებს მოგაგონებენ. ფეხზე დარჩენილი სვეტები კი თავის უსასრულო ტანჯვასა და წამებაზე მოგვითხრობენ. თუმც არაფერი აღარ აწეება მათ თავისი სიმძიმით: არც გუმბათი და არც კამარა, მაგრამ მაინც იღუმალი შრომით იტანჯებიან ისინი, თითქოს ოფლიც კი ჩამოსდითო კუნთებსა და ტანზე. რა აწუხებს და რა სტანჯავს ამ გაუქმებულ და შრომისაგან აწ სამუდამოდ განთავისუფლებულ სვეტებს? მათ აწეება გამოუთქმელი წუხილის სიმძიმე, ამიერიდან რომ ვერ ზიდავენ თავისი ძალოვანი მხრებით დიდებული ტაძრის მშვენიერებას. განა ამ ტანჯავს რაიმე შეედრება? ცისკენ ატოტებული ხელებით დგანან გაუქმებული სვეტები, თითქოს ცას ევედრებინან: თავს დაგვატეხე ქარიშხალი, ელვა და მეხიო.

ასეთი აზრი ამოიკითხა კორნელიმ მათს გაქვავებულ ღუმელში. მან ბაგრატ მესამის დროს აგებულ შესანიშნავ ტაძარს სასოებით გარსემოუარა, მსგავსად მლოცველისა, და, როცა გელათის მხრიდან ამოსულმა მშემ ფიქრში წასულსა და ქამთა სიავისაგან დანგრეულ, ყვითლად და სპილენძისფერად

შეღებულ ბუმბერაზ შენობას პირველი სხივები მიაშუქა, — კლდეში გამოქრული უზარმაზარი ლოდებითა და გვერდითიანი გათლილი ქვებით ნაგები და ჩუქურთმებით შემკული ძველი ტაძარი წარმტაცად წარმოისახა მთაზე, თითქოს შეთხზული ყოფილიყოს იგი მშვენიერი ქუთაისის ნაზი აისისა და მზის ოქროსფერი სხივებისაგან.

კორნელი დადუმებული და განცვიფრებული იდგა დიდებული ტაძრის წინ და ნათლად წედებოდა ახლა წინაპართა დიად სულს, რომელიც მათ წარმტაც ქმნილებაში აღბეჭდილიყო.

უეცრად მას მოეჩვენა, თითქოს წამოდგნენო წამოქცეული ვეება სვეტები, თითქოს აღდგნენო მაღალი კედლები, კამარები და ბჰენი, აღდგა სოფლის კენჭებით შიგნით სრულიად მოოკვილი, სპეტაკი, წითელი და ქრელი მარმარილოს ქვით მორთული და შემკული ბუმბერაზი ტაძარი და თავს დაედგა დანგრეული ტაძრის სვეტებსა და კამარებს ცადაწედილი და ვარვარი გუმბათიც.

მერე საკმევლის სუნი ეცა კორნელის. ტაძარი ჭაღებითა და კანდელებით გაბრწყინდა, ჩუქურთმიანი ნიშები და სარკმელები აელვარდა და უცნაური სურათი წარმოუდგა თვალწინ. აღსავლის კარებთან დადგა თორმეტ მღვდელთან ერთად თეთრწვერა, მოხუცი კათალიკოსი, ხოლო მის წინაშე — მეფე, სარდალი და ლაშქარი. უმაღ დაიწყო კათალიკოსმა ღაღადი, ლოცვა, ჯარის თავზე მოიღო მადლი და ღვთისმშობელს ქართლი შეავედრა. გაისმა წყნარი, სახიერი და ნაზი გალობა, მსგავსი სირინოზთა გალობისა. ვაეკაცთ შვენოდათ გმირთა იერი, მანდილოსნებს კი — ქალთა სიტურფე.

დიდხანს არ იყო კორნელი გართული უცნაური და ძველის ძველი სურათის ჰერეტით... დაინახა დანგრეული ტაძრისაკენ მიმავალი ოსტატები, რომელნიც ხარაჩოებზე ავიდნენ, და თავისი ხელსაწყოებითა და ღუღაბით ბუმბერა-

ზი ტაძრის ჩამონგრეული კედლის შეკეთება დაიწყეს.

ტაძარს ხეტა ჩრდილი მიადგა და ნანგრევები ისევ გულსმომკვლელ შთაბეჭდილებას ახდენდა... კორნელი ადგა და, გალავანშემოვლებულ ეზოში, განგმირული ბუმბერაზებივით მიწაზე განრთხმული და დაღუპებული სვეტების გვერდით, ხის ქვეშ, მწვანე მოლზე პალტო გააფინა და ზედ წამოწვა.

მკვდარი შენობის ნანგრევმა თავისი დამსხვრეული სიყვარული მოაგონა. გუნება გაუფუჭდა. იგი უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მივიდა. ისევ საშინელი სიცარიელე, სიმარტოვე იგრძნო და მწარე ფიქრებმა წარიტაცა: „ცივი, ანგარებითა და უგულობით აღსავსე ხალხი რას დაგიდევს მაღალ სიყვარულს და მიჯნურთა ბედნიერებას! ამ დედამიწაზე რომ იცხოვრო, მიწიერზე უნდა იფიქრო, იზრუნო და თავი გაანებო მაღლა ცისაკენ ფრენას და ნაყარდს! უმაღლეს სილამაზემდე მისულ სიყვარულს ბოლომდე რომ ვერ შევიწარჩუნებდი და აგი შურით, ბოროტებით, უგნურობითა და უაზრო შემთხვევითობით აღსავსე ამა ქვეყნად, უთუოდ რომ დაიშხვრეოდა, — აღრევე უნდა მცოდნოდა“. — მკვდარად და ავად ფიქრობდა ახლა კორნელი და უმაღლვე მიხედა, რომ, სატრფოს დაკარგვასთან ერთად, მის სულსა და გულში ყველაფერი ინგრეოდა და სიხარულითა და შინაარსით აღსავსე მისი წინანდელი ცხოვრება თავდებოდა. და იწვა ახლა ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, ყველასაგან მიტოვებული, დევნილი, სინიდისის ქენჯნით შეძრწუნებული, ურწმუნო, უნდო და სულით ობოლი კაცი. დანგრეული ტაძრის კედელთან აღმართული ხარაჩოები სახრჩობელად, ეშაფოტად ეჩვენა, რომელზედაც მას აიყვანდნენ და ჯალათი თავს მოჰკვეთდა.

მაღე კორნელის მკვდარსავეთ ჩაეძინა. მიზა კი კიდევ დიდხანს დაბორიანლებდა ტაძრის ნანგრევთა შორის. იგი ლოდთან, სვეტთან, ხან სვეტის თათან

მიდიოდა, სათვალეს ისწორებდა და გაოცებული აკვირდებოდა ქვეშეწაოსტატევე, მშვენიერ და სახიფათო ქუჩურთმებს: დედამიწის ნაყოფიერების გამომატველ ყურძნის მტევნებს, ვაზის დაწულ დახლართულ ლერწმებს, ქვაზე ამოტიფრულ უცნაურ ფრინველებს, რქააყრილ ირმებს, ატოტებულ ლომებს, ცხვარსა და კრავებს და ალბომში ხატავდა მათ.

3.

კორნელის ერთბაშად გამოეღვიძა. მზე მაღლა იდგა და საშინლად აქერდა. შეაღღე იყო.

თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან და სახიფათო წუთებში, კორნელი ხშირად მომავალი უბედურების მანიშნებელ და ამხსნელ სიზმარს ხედავდა, ან ისე ერთბაშად გაიღვიძებდა, თითქოს ძილი დამფრთხალი ფრინველივით განშორდა და ამას წინათ არც კი სძინებიაო. მაშინ მისი გონება და თვალი, რომელიც მანამდე თითქოს ჩლუნგი და ბეკი იყო, ახლა ნათელი, ბასრი და შორსმჭვრეტელი ხდებოდა, ასე გეგონებოდათ მისმა მფარველმა ანგელოზმა ხელი შეახო და გამოაღვიძაო. ასეთ წუთებში იგი რთულ მოვლენებში ერკვეოდა, ყოველ წერილმანსაც ამჩნევდა, სალად სწონიდა და მტრის მიერ დაგებული ხაფანგისა და მომავალი უბედურებისაგან თავდასაღწევ საშუალებას აგნებდა და საჭირო გეზსა და გადაწყვეტილებას იღებდა.

ახლაც ერთბაშად გამოეღვიძა და იქვე მის გვერდით მძინარ მხატვარს გადახედა. ძილისგულა მხატვარს ხელები მიცვალეხსავით მკერდზე დაეწყო და ხახა დაელო. მზე მისდგომოდა და სახეზე ხვითქი ჩამოსდიოდა. ცის ქვეშ სუფთა ჰაერზე გამოძინებული და ძალღონით სავსე კორნელი ფხიზელი თვალით ხედავდა ახლა ყველაფერს:

„რა ჭირად მინდოდა, ნავებით სავსე ეს ტომარა რომ ავიცილდე და კარისმე-

რეთში მივათრევ? ვიცი ეგ არის ჩემი გამცემი და მოღალატე. მეგობრობას კი შეფიცება, — ფიქრობდა იგი. — თუმცა მიხა რა შუაშია, მე თვითონ ვარ დამნაშავე ნინოს წინაშე“.

მიხასაც გამოეღვიძა. დაჯდა, თვალეზი ამოიფშვნიტა და კორნელის გაოცებით მიაშტერდა.

— იცი, მიხა, ნინომ უარი მითხრა ცოლობაზე, — უთხრა კორნელიმ.

— კ ა ა ა... — გააბა მიხამ, — მარგარიტა ლეტცზე ეპქობს და იმიტომ...

— ნინო ისეთი ქალი როდი გახლავს, მხოლოდ მარგარიტასთან ჩემი ცოდვის გამო უარი რომ ეთქვა ცოლობაზე. არა, ეგ არ არის მთავარი მიზეზი.

— მაშ?

— ჩემი პოლიტიკური მრწამსი, ნინოს მშობლები მე ბოლშევიკად მთვლიან.

— ესეც არის.

— მერე რა? განა ნინომ არ იცოდა, ვინც ვიყავი? ნინო თავისი მშობლების, თავისი წრის მარწუხებით არის შეკრული, მას რევოლუციისა ეშინია და ამიტომ უარი მითხრა ცოლობაზე, დიახ. მან უარი მითხრა... დაე, ასე იყოს. ჩემი რომანი დასრულდა. მე ახალ ცხოვრებას ვიწყებ. მე რევოლუციურ ბრძოლაში ვებმები, იმ ბრძოლაში, რომელიც ესტატე მაყაშვილთა მსგავს რეაქციულ და ფილისტერულ ბუდეებს დაანგრევს... შეგიძლია გადასცე ყოველივე ეს, ისე როგორც ჩვეული ხარ, მაყაშვილებს...

— რად უნდა გადაეცე, როდესაც მაყაშვილები მეც შეზიზღება...—დაიწყო ლულული მიხამ და ბეც თვალეზზე სათვალე წამოიგო.

შვით განათებული, დანგრეული ტაძარი კვლავ მდუმარედ იდგა, მხოლოდ ხანდახან გაისმოდა მის კედელთან ხარაჩოებზე მდგარი კალატოზების ძახილი და ჩაქუჩის ცემა. ისინი ჟამისაგან მიყენებულ ნახმლევის მსგავსად ლოდებს შუა დარჩენილ ღრიტოვან ადგილებსა და ბზარებში პალოსავით არ-

კობდნენ ქვებს, შიგ დულაბს ასხამდნენ და ტაძრის კედლებს ამრთელუბდნენ.

საქონის
განაწილების

4.

კორნელიმ საათს დახედა. მასთან სავალდებულო ადგილის დარაჯი, შავით მოსილი თეთრწვერა ბერი მივიდა და შორიახლოს მდებარე საფლავის ქვაზე ჩამოჯდა.

— გამოიძინე, ბატონო? — ჰკითხა მოხუცმა კორნელის.

— ოთხი საათი ტყბილად გვეძინა, — მიუგო კორნელიმ. დაამტნარა, სახსრები გამართა და თმა გაისწორა.

— ასე იცის კარგ ჰავაზე ცის ქვეშ წოლამ, — ღიმილით შენიშნა მოხუცმა. კარგად გამოწყობილ, ჩემოდნიან სტუმრებს მოწიწებით მისჩერებოდა და გულში ფიქრობდა: ესენი თბილისიდან ჩამოსული ნასწავლი პირები არიან. ასე აღრე აქ რომ ამოვიდნენ, იქნებ საქართველოს სიძველეთა მუზეუმის მომუშავენი არიანო. კორნელიმ თავისი და მიხას ვინაობა უთხრა და თან დასძინა:

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, თედორე, ამ დიდებულ ტაძარს, ასე თავგამოდებით რომ დარაჯობ.

— ეჰ, რაღა დარაჯი ვარ, ბატონო! პურის ფულსაც არ მაძლევენ. რა ვქნა, როგორ გავანებო თავი ამ დიდებულ ტაძარს! ხალხი სულმთლად ააოხრებს. ამ ციხისა და ტაძრის მახლობლად აშენებული სახლების ფუძესა და კედლებს ამ დანგრეული ტაძრის ფეჯარიანი და ჩუქურთმიანი ქვები აქვთ დატანებული. აქედან გაიტაცა ხალხმა. რა ვქნა? ვიც ვიცი, დიდ საქმეს რომ ვემსახურება... მაგრამ ხომ მოგახსენეთ, ჯამაგიარს არ მაძლევენ, — თქვა ჯერ კიდევ ჯანიანმა, მსუქანმა და თეთრწვერა კაცმა. ცბიერად გაიღიმა და დასძინა: — თქვენსთანა ნასწავლი ხალხი ხანდახან აქ რომ არ მოდიოდეს და ცოტა საჩუქარს არ მაძლევდეს, შიმშილით სული გამძვრებოდა... ვისღა ახსოვს ახლა ხატი და ფეჯარი! ააშენა ღმერთმა ქუთაისის მუ-

ზეუმის დირექტორი, ამ ტაძრის შეკეთება დაიწყო, თორემ კედლები სულ-მთლად დაინგრეოდა...

კორნელიმ ტაძარს გახედა. თედორე ბერი კი განაგრძობდა:

— ღმერთმა აცხოვროს გაბრიელ ეპისკოპოსის სული. სანამ იგი ცოცხალი იყო, ამ ეკლესიასა და ციხეს თვალის ხინივით უფრთხილდებოდა, იგი მეტად განათლებული, ქეშმარიტად ღვთისმორწმუნე კაცი და ნამდვილად წმინდანი იყო. მე მისი ეპისკოპოსობის დროს ვსწავლობდი სემინარიაში.

თედორე მოჰყვა გაბრიელ ეპისკოპოსის კაცობაზე, სიქველზე, ზნეობასა და წმინდანობაზე საუბარს და ბოლოს დასძინა:

— მეც ნამდვილი ადამიანი მინდოდა გამოვსულიყავი: კეთილი, მორწმუნე და ქრისტეს რჯულის მლაღდებელი. ჯერ იყო და მთავარანგელოზის ეკლესიის დიაკვნად ვიყავი ქუთაისში. მერე ათონში ბერად აღვიკვეცე, მაგრამ ვინ გაცალა! ახალი თაობის ხალხმა ქვეყანა არია, ხალხმა ხატი და ჯვარი დაივიწყა, ეკლესია და მონასტრები გააუქმა და ახლა აგერ, ორი წელი იქნება, რაც ამ დიდებული ტაძრის უბრალო დარაჯად ვარ... მწამს არ იქნება ასე. ისევ მოვა ხალხი ჭკუაზე... მამა-პაპის კვალს არ დაავადებს, ისევ ქრისტეს მცნებასა და ჯვარს დაუბრუნდება და ძველ გზას დაადგება.

— არა, არ იქნების ესე, — საღვთო წერილის ენით მიუგო კორნელიმ და წამოდგა, — ძველი ცხოვრება ვეღარ აღდგება ისე, როგორც ეს დიდებული დანგრეული ტაძარი. მოკვდა ის ძველი

დრო, ჩემო თედორე. ველახად ნახავ ახლა ქრისტეს მცნების ქეშმარიტ მიმდევარსა და მლაღდებელს. იმყოფებოდნენ, კარგა ხანია რაც ნაღწია მარტყუარები, ბოროტნი და კაცთმოძულენი მომრავლდნენ. ამ ტაძარმა წმინდად მოიხადა თავისი ვალი ქვეყნის წინაშე. გამოიცვალა მას შემდეგ ქვეყანა და მოდის ახლა წინაპართა შემცველი, სულ ახალი, თავისუფლებისმოყვარული თაობა. იგი შეჰქმნის ქეშმარიტი თავისუფლების ტაძარს. გამოიცვლება სულ მალე ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქუთაისიც, რომელიც სოფელსა და დაბას უფრო ჰგავს ახლა, ვიდრე ნამდვილ ქალაქს. იგი წალკოტად იქცევა, ბაღებით, ფართო ქუჩებით, სასახლეებითა და ქარხნებით დამშვენდება და წმინდად შეინახავს ამ დიდებული ტაძრის ხსოვნასაც...

თედორე ორკოფად იღიმებოდა და, შეეჭვების ნიშნად, თავს აკანტურებდა. მიუხედავად ამისა, როდესაც კორნელი და მიხა წასასვლელად მოემზადნენ, იგი ლაქუცს მოჰყვა, საჩუქრის მოლოდინში კორნელის ხელეში შესცქეროდა და თავის სიტყვებზე, შიმშილსა და გაჭირვებაზე წუწუნით თავს აცოდებდა. კორნელიმ გულის ჯიბიდან ქაღალდის ფული ამოიღო და კარგა დიდი თანხა მისცა. ბერმა კი არ გამოართვა, გამოსტაცა. კინაღამ ხელეში დაუყოცნა, საეპისკოპოსო სახლამდე მიაცილა, გზა დაულოცა და ლოცვა-კურთხევით აღავსო.

კორნელი და მიხა შარაგზას გაჰყვნენ და ქალაქისაკენ დაეშვენენ.

ისევ კარისმერეთში



„ჩემი ფანტაზიის მეშვეობით შექმნილი პირობები არ შრომდებიან და თანმდევენ უფრო სწორად, მათში მე საყუთარ ჩემს თავს ვგრძნობ“.

გ. ფლობერა: „წერილები“

1.

შალამბერიძის კანტორიდან დილი-
ქანს დანიშნულ დროზე გასვლა ისევ
აღარ ელირსა. ბირჯაზე გალაზლანდარე-
ბული, გაწუწუებული და მთერალი
მედილიყნე—დათიკო ქაშაკაშვილი, რო-
მელსაც ამ ერთი წლის განმავლობაში
მეტი ღიბი დასდებოდა, ისევ სამიკიტ-
ნოში იდგა დახლთან, მსუნაგი ლაში
ჩამოვგდო და მოჭეიფე ხალხს შესცქე-
როდა, იქნებ ვინმემ დამპატიყოს და
ღვინო დამალევენოსო.

დიდი ვაივაგლახის შემდეგ დილიქან-
სი კარისმერეთისაკენ წავიდა.

როდესაც დილიქანსი კარისმერეთს
მიუახლოვდა, მზე უკვე გურია-აჭარის
მთებისაკენ დაეშვა.

კორნელი და მიხა გზისმცველის პა-
ტარა სახლთან დილიქანიდან ჩამოვი-
დნენ. შარაგზიდან გადაუხვიეს და გეზი
კარისმერეთისაკენ აიღეს. გორაკზე
ფართო აივნიანი მალალი სახლი გა-
მოჩნდა.

— ის ჩემი სახლია. აგერ, ძელქვებ-
თან მდგარი ქოხი კი იონა ჩხეიძისაა;
ჯერ იონას ეზოში შევიდეთ, — უთხრა
კორნელიმ მიხას.

მიხას კორნელისაგან ბევრი რამ
ჰქონდა გაგონილი იონას ნაყითხობისა,
მხატვრული გემოვნებისა და უცნაურო-
ბის შესახებ და მასთან გაცნობა სწყუ-
როდა. მთის აქაფებულ, ჩქარ და ხევში
მოგრიალე მდინარეზე ბონდის ხილით
გავიდნენ. მეზობლებთან და ნაცნობებ-
თან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ,
კორნელი და მიხა იონას ეზოს მიადგნენ
და ღობეზე გადახტნენ. როდესაც იონას
ხეხილით სავსე „დაბლა-ეზო“ გაიარეს,


მზე ჩავიდა კიდეც, კორნელი არხზე გა-
დებულ ბოგირზე შეჩერდა. ბოგირიდან
აღმართი და „მალლა-ეზო“ იწყებოდა,
რომელშიაც ქოხისმაგვარი ოროთახიანი
ფიცრული სახლი, ზედ მიდგმული სამ-
ზარეულო და ვენახი გაეშენებინა
იონას.

ეზოში ქოლგასავით ოსტატურად
გადაკაფული და ტოტებდაშეკებული
უზარმაზარი თუთა იდგა. თუთას კბე
ჰქონდა მიყენებული. ზედ ფიცარდაგე-
ბული, მოაჯირიანი სადგომი გაემართნა
იონას. იგი ამ სადგომს „სათვალთვა-
ლოს“, ხან კიდეც — „სამზერს“ ეძახდა,
რადგან ზაფხულის ცხელ დამეებში აქ
უყვარდა წოლა, ხოლო დილასა და სა-
ლამოს — ჯდომა, ფიქრი და ბუნების
ლამაში სურათების ქერცტა. აქედან
სევანეთის მთებისა და ზეკარის ხეობის
მართლაც მშვენიერი ხედი იშლებოდა.

კორნელი და მიხა თუთის ძირას რომ
მივიდნენ, წინა ოთახში, ღია ფანჯა-
რასთან, ზურგშექცევით მჯდარი და გა-
ზეთის კითხვით გართული მოხუცი დაი-
ნახეს; ისინი თუთის ქვეშ წამოწვენ და
თავზე პალტოები წაიხურეს. ძალღმა
ყფა ატეხა. მოხუცი შემობრუნდა და,
თუთის ქვეშ წამოწოლილი უცნობები
რომ დაინახა, გაუკვირდა და გასძახა:
რომელი ხარ მანლა.

კორნელიმ და მიხამ ხმა არ გასცეს
და გაირინდნენ. მაშინ გაოცებული მო-
ხუცი კარში გამოვიდა და თუთისაკენ
გაეშურა. კორნელის პალტოს სწვდა,
მაგრამ თავისუფალ გადააძრო. მიხას კი
სიცილი წასყდო. მხატვრული თვითღმამა
უცნობმა პალტო გავაძრო და ცხენზე
წამოვდგა. იონა მგებოდა ნამკვირვარს.

— უკაცრავად ვინ ხარ მანდიჭო?



— თქვენი სტუმარი, ბატონო იონა, — მიუგო მიხამ. ისინი მიესალმნენ ერთმანეთს. იონამ ისევ ჰკითხა:

— ეს ეკუთვრება ვინ ბრძანდება?

— ჩემი მეგობარი...

— ეკუთვალულობს რად მეთამაშებთ? ნაცრისფერ, მშვენიერ კოსტიუმში გამოწყობილმა კორნელიმ უმაღლე გადაიძრო პალტო და იონას წინაშე სიცილით გაჩერდა.

— კორნელი! — შესძახა იონამ და თავისი სულის მესაიდუმლე ჭაბუკ მეგობარს გადაეხვია და გადაკოცნა.

— საიდან სადარ, წმიდა საბაო? ასე როგორ მომეპარეთ? — იძახდა ტილოს უბრალო ხალათსა და შარვალში გამოწყობილი მოხუცი. კორნელიმ მიხამ გააცნო და უთხრა:

— ეს მხატვარია: მიხამ მაჭავარიანი. ელო მაყაშვილის ქმარი.

— ქვისღები ყოფილხართ. აგაშენათ ღმერთმა, ამ მიყრუებულ სოფელში დარჩენილი კაცი რომ მინახულეთ. თუმცა, — მიუბრუნდა იონა კორნელის, — წელს ბედნიერი შემოდგომა დაგვიდგა: შენი ძმა სტეფანე და მისი ცოლი კატო, დეიდაშენი ელენე და მისი ქმარი დათა მიქელაძე, ბიძაშენი დიმიტრი და მისი ცოლი მამო კარისმერეთში გვესტუმრნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ევგენი არის ახლა ჩვენგან შორს — პარიზში. გუშინ ჩვენები ყველანი ზედაზენში გაემგზავრნენ ბიძაშენთან — ოტიასთან. კვირას მისი ბავშვის ნათლობაა დანიშნული და ჩვენც იქ მოგვიწევს წასვლა.

— დედაც ზედაზენში წავიდა? — ჰკითხა კორნელიმ.

— ხომ იცი დედაშენის ამბავი, კარისმერეთის მიტოვება არ უყვარს. თანაც შემოდგომა კარზე მოგვადგა, ქალაქის ხალხის აყოლა სოფლელებს არ გვარგია. დაიკა, ეს ნამგზავრი სტუმარი ფეხზე რად გაგიჩერებია? შინ შემობრძანდით, — უთხრა მიხამ იონამ.

— არა. დედა უნდა ვნახო, თორემ ეწყინება, — უპასუხა კორნელიმ.

— ჰო, ეს მართალია. წავედეთ, — ჩააგუგუნა ახოვანმა მოხუცმა და დასძინა: მაღლობა ღმერთს, დეიდაშენი ელენე, შენი რძალი კატო და ბიცოლაშენი მამო ზედაზენში რომ არიან, თორემ შენს ჩამოსვლაზე წივილ-კივილს ასტებდნენ. მეზარება ქალების ისტერიკა, მლიქვნელობა, ფლიდობა, ლაქუცი და ქალაჩუნობა.

მიხამ გაცივებით მისჩერებოდა ორმოცდაათ წელს მიღწეულ ქალარა წვერულვაშიან, ნახევრად მელიოტ, მწითურსა და სისხლსავსე ჯანიან კაცს. მხატვარმა მაშინვე მიაჭვია ყურადღება მის მგზნებარე, შუქიანსა და ღიბრონ თვალებს, კეზიან ცხვირსა და გაბერილ ნესტოებს, საფეთქლებზე ამობურცულსა და დაქიმულ ძარღვებს, გაკრეჭილ მის თეთრ წვერსა და ტყიური კაცის მსგავსად გაბანჯგველულსა და შრომისაგან დაკოყრებულ ხელებს.

იონა სახლისაკენ გაიჭრა, ფეხებზე ძაღლი და კატა ეხახუნებოდა, ტანისამოსი გამოიცვალა, შავი შარვალი — გალიფე და ჩექმები ჩაიცვა, მხრებზე ყაბალახსაყელოიანი მოსასხამი მოიგდო და თავზე რუსული ქუდი დაიხურა. ასეთ ტანისამოსში იგი უფრო ახოვანი ჩანდა. მოხუცმა ფანჯარა, სახლის, სამზარეულოს და ბოსელის კარი დაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიღო და მერე ყველანი ტერეზას ეზოსკენ გაემურნენ.

2.

იონამ მხატვარს ალაგზე გადასვლა არ აკადრა, რიკულიანი პატარა ჭიშკარი გაულო და სტუმარი თავის მეზობლის ტერეზას ეზოში შეუშვა. ძაღლმა „მაზარემ“ ყეფა ატეხა, გამოიქცა, კორნელის შეახტა, ფეხებში დაუტრიალდა, ხელი გაულოკა. პატრონმა თავზე ხელი გადაუსვა და მოეფერა.

ტერეზას მოჯამაგირე ბიჭმა აგოიამ შორიდანვე მოჰკრა თვალი კორნელის. „დედაია!“ — დაიძახა და თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა, მაგრამ სათვალე-

ებიანი უცნობი კაცი და მოსასხამსა და იქებებში საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული იონა რომ დაინახა, დაირცხვინა, განზე გადაგა და იქ დაელოდა მომავალთ. იგი საგრძნობლად გაზრდილიყო. ახლა თითქმის მხარზე მისწდებოდა კორნელის. წულები, შავი შარვალი და შავივე, უქამრო ხალათი ეცვა.

— გამარჯობა აგოია! — უთხრა კორნელიმ, ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა. მერე მიხას გააცნო:

— ეს ჩემი ძველი მეგობარია: აგოია ხვედელიძე, განთქმული მეველე, ცხენოსანი, მეთევზე, მცურავი და ქრისტესტეხვისმკვამელი.

კორნელიმ ჯიუტ და ხეშემუქოვნად გადაუსვა ხელი.

— აგოია ის არ გეგონოს, რაც იყო. ველარ იცნობ. ეს უკვე ჰქუაში ჩავარდნილი, წესიერი, დინჯი, მუყათით და მშრომელი კაცია, — უთხრა დიმილთ იონამ კორნელის.

აგოიამ თავი ჩაჰკიდა. კორნელიმ ნიკაში ამოსდო მხარზე მოხვეული ხელი, თავი ააწეინა, სახეში ჩააცქერდა და შეეტუხა ბიჭს ჰკითხა:

— ვითომ, დავიჯერო ყოველივე ეს? აგოიამ კორნელის ხელი შეიპყრო, ზედ ხელი მაგრად მოუჭირა, შავი ბრილა თვალებით ახედა, და ისე ეშმაკურად გაუცინა, რომ თეთრი კბილების რკალი გამოუჩნდა. მთელ სახეზე — თვალებთან და ძლივს შესამჩნევი ულვაშის ღინღლით დაფარულ ბაგეებთან — მცირე ნაოქები გაბნეოდა, დიდი შრომისა და ჯარის კვალი დამჩნეოდა სოფლის ბიჭს.

— დედა სად არის? — ჰკითხა კორნელიმ.

— ბოსტანში, — უპასუხა ბიჭმა.

დღედაღამე იყრებოდა. მალე კორნელიმ ეზოში ჩქარი ნაბიჯით მომავალი დედა და მის უკან მაიკო დაინახა. დედა გაიცისკროვნებული და მოღიმარი სახით მობრბოდა შვილისაკენ, მაგრამ უცნობი კაცი რომ დაინახა, შესდგა,

წინსაფარი, კაბა და თმა გაისწორა და მერე ნელი ნაბიჯით წამოვიდა.

— ჰქვისლები მოვიდნენ, ტერეზა, ჰქვისლები! — მიამახა იონამ.

ნელი ნაბიჯით მომავალი ტერეზა იღიმებოდა, „კორნელი, შენ შემოგველევ“ და კიდევ რაღაც საალერსო სიტყვებს იძახდა, მაგრამ აღელვებული კორხელი მათ ვერ არჩევდა და გაოცებით მიშტერებოდა ამ ერთი წლის მანძილზე უკვე საესებით გაჭალარავებულ და გამხდარ დედას. დედამ გულში ჩაიკრა კორნელი. ახლა მაიკომ გადაკოცნა ქალბატონის შვილი. კორნელიმ მიხა გააცნო მათ და მერე ყველანი მალა კიბეს მიადგნენ და ვაზითა და გლიციანიებით გამწვანებულ განიერ აივანზე ავიდნენ. კორნელიმ და მიხამ პალტოები და ჩემოდნები ტახტზე დაალაგეს. იონამაც მოიხადა ყაბალახეულიანი მოსასხამი და ყველანი მაგიდასთან სკამზე დასხდნენ. ტერეზამ მაყაშვილები მოიკითხა და მიხას უთხრა:

— ძალიან სასიამოვნოა, აქეთ მოსვლა რომ გადაგიწყვეტნიათ. მაგრამ მთკვის ქალები რად არ ჩამოიყვანეთ?!

მიხამ და კორნელიმ იუჟჩეს, იონამ კი შენიშნა.

— რაღა მაინცადამაინც გუშინ წავიდნენ ჩვენები ზედაზენში! სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ აქ უკეთეს დროს გავატარებთ. მართალი გითხრა, მე მხოლოდ სტეფანეზე მწყდება გული. დათას და დიმიტრის არ დავეძებ, მით უმეტეს ქალებს. ელენეს, კატოს და მაშოს ფეხებზე ჰკიდიათ შენი პოეზია და მხატვრობა. ოლონდ აქამე და ასვი, ჩააცვი და დაახურე და ბინა კარგად მოაწყობინე. ეგ არის და ეგ... ხვალ კორნელისა და მიხას ზედაზენში წავიყვან.

— კორნელისა და მის მეგობარს ზედაზენში ხვალ არ გაეუშვებ. შენ გართობ აქ პოეზიითა და გიტარაზე დამღერებით, — გაეხუმრა ტერეზა იონას და დასძინა: — ზეგ, შაბათს კი ყველანი ზედაზენისაკენ გავწევთ, კვირას ოტიას

ვაეის — პატარა კაკილას ნათლობა დანიშნული, ენაცვალოს მამიდა.

ტერეზას ხუმრობიდან იონამ ის დასკვნა გამოიტანა, რომ შვილისა და მისი მომავალი ქვისლის ჩამოსვლით განარებული ქალი კარგ მასპინძლობას გასწევდა. ამიტომ ოხუნჯობისა და სიმღერის გუნებაზე დადგა:

— დღეს აქ, ტერეზასთან ვიქეიფოთ, ხვალ — ჩემთან, ზეგ კი — ოტიასთან, ზედაზენში, — თქვა იონამ და მოულოდნელად საამო ბოხი ხმით დაიწყო: — „Накинув плащ, с гитарой под полою“ — სიმღერა დაასრულა და გადიხარხარა: — ჯერ სადა ხარ, ლხინი და სიმღერები ამაღამ, ვახშამზე ნახეთ! თქვენზე უკეთესი ტერეზას ვინ ჩამოუვა? ვნახოთ ერთი მისი მასპინძლობა! ამ ქართულმა კაცმა არ დაგვცინოს იმერლებს, — თქვა მან მიხას მისამართით და მერე კორნელის ჰკითხა:

— ლხინი და სიმღერა იცის შენმა ქვისლმა?

— ჩინებული, მიხას კონსერვატორია აქვს დამთავრებული. მხატვარიც არის. სმის სურათები გამოფენაზე იყო. თანაც, ოპერის თეატრის დეკორატორია, — მიუგო კორნელიმ.

— ბიჭოს! რა მოქიშვე ქვისლი გყოლია! შენი მწერლობისა მე არა მჯერა. არა, მართლა: შენი „ასპინძა“, „ასკერი“ და განსაკუთრებით კი „გოჯასპირი“ ძალიან მომეწონა. ამ მოთხრობის შემდეგ შენ ყველა ბოლშევიკს გიწოდებს. მეც რომ გამოშვიმე მოთხრობაში! ჩემი სახელი და გვარი თუმცა შეგიცვლია, მაგრამ კარისმერეთში ვინც კი შენი „გოჯასპირი“ წაიკითხა, მაშინვე მიცნო. ისევ ომში რომ ყოფილხარ და ასკერი მოგიკლავს, გავიგეთ. კინოქრონიკაში არის. აგრეთვე ნაჩვენები შავარდნებისა და შენი ვარჯიშობა ვაეის სტადიონზე. ნიკიერი ხალხი ეზრდება, ტერეზა, ჩვენს ქვეყანას, ნიკიერი!

— ეს ყოველივე კარგია, მაგრამ უნი-

ვერსიტეტში როგორ არის შენი საქმე? — ჰკითხა დედამ შვილს.

— მეორე კურსზე გადავედი. ვუჭრობ, სამ წელიწადში დავამთავრო სამედისინი ფაკულტეტი, — მიუგო შვილმა.

— ყოჩაღ, — შეაქო იონამ და ახლა მიხას მიუბრუნდა: — მამ, თქვენ მხატვარი ბრძანდებით? დიდებული სტუმარი გვეწვია. მე მიყვარს ფერწერა, მაგრამ პოეზიასა და მუსიკას უფრო მაილა ვაყენებ.

— ლეონარდო და-ვინჩი ამბობს: ფერწერა მუხჯი პოეზიაა, პოეზია კი ბრმა ფერწერაო, — შენიშნა მხატვარმა.

— რა კარგად და მოხდენილად უთქვამს. რა ღრმა აზრია! — აღტაცებით განაცხადა იონამ და თვალები ნეტარებით განაბა. მერე ისევ რამდენჯერმე ვაამეორებინა მიხას ლეონარდო და-ვინჩის სიტყვები და დასძინა: — ეს უსაათოდ უბის წიგნაკში უნდა ჩავიწერო.

ამის შემდეგ საუბარი პოეზიაზე და ფერწერაზე ჩამოვარდა. ტერეზამ იცოდა, ხელოვნებაზე საუბარს იონა დიდხანს რომ არ დაასრულებდა. ამიტომ სახლში და აივანზე ლამპები აანთო, მერე მაიკო და აგოია წაიყვანა და ვახშმისათვის მზადებას შეუდგა.

3.

ტერეზამ აგოიას ვარიები დააკვლევინა. ამ დროს აგოიას მამა, ყანაში მუშაობით დაღლილი გლეხი — დომენტი ხედელიძეც მოვიდა. აივანზე კორნელი ინახულა, გადაკოცნა, თბილისის ამბები გამოკითხა და მერე ენოში შეშა და აპო, კოცებით წყალი მოიმარაგა, მარანში ქვევრს თავი მოხადა და ძველი ღვინო „საფერავი“ ამოიღო. მაიკომ საქმეს ცეცხლი წაუვიდა და სულ მალე შემწვარი ვარიები აქნა, ნიგვზით, ნივრითა და სურნელოვანი საკმაზით შეზავებულ ისრიმ-მაყვალის წვენიში ჩააწყო. ხაჭაპურები და მკადები დააცხო.

სუფრა სასტუმროში გაშალეს. სოფელში ხმა დაირხა: კორნელიმ თბილისიდან ქვისლი ჩამოიყვანაო. ცოტა ხნის შემდეგ ვახშაშვე ჩოხაში გამოწყობილი, ფიკარივით თხელი კაცი იულო ღურგალი მოვიდა დაბარებულივით. კორნელი გადაკოცნა და თბილისიდან ჩამოსულს ახალი ამბები გამოკითხა. იულოს წვერი გაეკრიჭა და ახალი ჩოხა ჩაეცვა. შეღახული და ბეწვებგადაცვენილი ბუხრის ქუდი მოიხადა და ტერეზას გვერდით დაჯდა. თეთრ წვერზე ხელი გადაისვა. მიქუტუღი თვალებით ვახედა კორნელის და კითხა:

— რამდენ ხანს დარჩები, ვაჟკაცო, კარისმერეთში?

— ორ-სამ დღეს.

— ე, ვერ მოასწრებენ, ტერეზა, შენი შეილები ჩამოსვლას, და მეორე დღესვე გარბიან. ორი, სამი დღე, რა არის?

— მშვიდობა...

— შეხედე, როგორ დავაჟკაცებულა, ეს ტურა?! რად გინდა მერე? ამისთანა ნასწავლი და დიდებული შეილები დაზარდა ტერეზამ, მაგრამ ერთი კაკალი კარისმერეთს არ ეკარება. მიკარებას ვინ დაეძებს. არც ეხმარებიან. რა ქნას, ბიჭო, ამ მარტოხელა ქალმა? სამზადი და სასიმინდე დღეს თუ ხვალ წაეჭყვევა. ამ სახლის სახურავს ბოძები და ლარძაყინები თუ მთლიანად არ გამოეცვალა, ერთი დიდი თოვლი რომ მოვიდეს, თავზე დაეჭყვევა დედაშენს.

— მთლიანად რა მოგახსენო, ჩემო იულო, და ზოგი ბოძი და ლარძაყინი მართლაც გამოსაცვლელია.

— არც ერთი არ ვარგა. ყველა მოძველებული და დამპალია... ყველა უნდა გამოიცივლოს. ნოვი ნადა, ტერეზა, ნოვი...

კორნელიმ გულიანად გაიცინა და იულოს უთხრა:

— რაა, იულო, დედაჩემს რომ აბრაზებ და ყველაფერზე „ნოვი ნადაო“ ეუბნები?!.

— მართალს ვეუბნები და არა სჯედა ხომ იცი, რა ხელმოჭერილი ქალია დედაშენი?!

ღურგალს სამუშაოს და ფულის შონა უნდოდა და ამიტომ ურჩევდა ტერეზას სახლისა და სამზადის ახალი სახურავით გადაჭედვას.

ტერეზას მიხასი შერცხვა და გათამამებულ ღურგალს ყურში რაღაც წასჩურჩულა. ამ დროს მაიკო, დომენტი და აგოია საბოლოოდ მორჩნენ ვახშმის დამზადებას და შინ შემოვიდნენ. დომენტიმ ჩაბალახი მოიხადა, ქაღარა თმაზე ხელი გადაისვა, იგი იულოს გვერდით დაჯდა, რკინის კოლოფი ამოიღო, თამბაქო შეახვია და გააბოლა. ჯემუხმა, მორცხვმა და დამუნჯებულმა გლეხმა მორიდებით შეაპარა თვალი კორნელის და მიხასს. მაიკო და აგოია სუფრის ბოლოს დასხდნენ. კორნელიმ დომენტის გასძახა:

— დომენტი, ხომ გავტეხეთ შენი კერპი ქალბატონი! ჩინებული და კობტა სახლი წამოგიჭიმავს დედის მიერ მოცემულ იმ პატარა ნაკვეთ მიწაზე.

დომენტიმ გაიღიმა და თავი ჩაჰკიდა.

— მე რომ არ ვყოფილიყავი, რა კობტა სახლსაც წამოჭიმავდა, იმასაც ვნახავდი, — დაიკვეხნა იულო ღურგალმა.

— აი გეუბნებოდი, შვილო, დომენტის რომ მიწას და სახლის საშენ მასალას მივცემ, იგი თავის სახლკარს გამართავს და მერმე ჩვენთვის აღარ ეცლება-მეთქი. ასეც მოხდა, —უთხრა ტერეზამ შვილს.

— მაგას რატომ ამბობ, ქალბატონო! როდის მოგაკელი ჩემი ხელი და დახმარება? — გაუბედავად შეაპარა დომენტიმ.

— რა ვიცი, ეს ერთი კვირა კი არ ჩანდი და! კორნელი რომ არ ჩამოსულიყო, ალბათ სულ არ გამეკარებოდი.

იონამ პაექრობა შესწყვიტა და, რადგან თამადა იყო, ტერეზას სადღეგრძელო წარმოსთქვა, მაგრამ ბოლოს მაინც უკბინა:

— ამ ქალმა ვერ გაიგო, ბატონყმობა რომ გადავარდა.

ტერეზას არ მოსწონდა, გლეხების მცველის როლში რომ გამოდიოდა იონა, და აღარ დაიხლო:

— შენზე უფრო მე გავიგე და მწვაველაც განვიცადე ის ამბავი, ჩემო იონა. შენ კი რა გიჭირს? მთელი ჩვენი სოფლის გლეხობა გეხმარება და გინახავს. შენ შენთვის ბატონყმობის რალაც ახალი წესი გამოქმენე: თავი შეაყვარე გლეხელებს. ჩვენ კი არ ვეთილისმებით და არ ველაჭუცებით მას და, ალბათ, ამიტომ ვეზარებით.

ეს არ იყო მართებული შენიშვნა, რადგან იონამ თავის წილ აღგილ-მამულზე აღრევე აიღო ხელი. მცირე ნაკვეთი მიწა აიღო, რამდენსაც თავისი საკუთარი შრომით მოერეოდა, შიგ ქოხი ჩადგა და მშრომელ გლეხობას თავისი სწავლა-განათლებით შევლოდა და მისი მოსარჩლე შეიქნა. მას კარისმერეთის თემის საზოგადო მოღვაწედ თვლიდნენ. მიუხედავად ამისა, იონა, უცხო სტუმრის ხატრით, ტერეზასთან კამათს მოერიდა. უხერხული მდგომარეობა შეიქნა, მაგრამ უხერხულობა მიხამ გაჟღანტა. მან დიდის ამბით შესვა ტერეზას სადღეგრძელო, დაჯდა და ღიმილით მიაშტერდა მასპინძელ ქალს.

როდესაც ჯერი მიხას სადღეგრძელოზე მიდგა, იონამ აგოიას გიტარა მოატანინა და მხატვარს თხოვა ემღერნა რაიმე. მხატვარმა გიტარა აიღო, სიმები ააქურდა და იონას და კორნელის საყვარელი რომანსები ჩინებულად იმღერა. მერე, როცა ლხინი გაჩაღდა, მიხამ კორნელისა და იონას დახმარებით კახური სიმღერები წამოიწყო და ყველა მოზიბლა.

მიხა კახური სიმღერების კარგი მთქმელი იყო... დამახასიათებლად და ბუნებრივად უქცევდა ხმასა და კილოს. იგი ძალიან მოეწონა იონას და ტერეზას, იულოს, მაიკოს, დომენტისა და აგოიასაც. მხატვარიც კარგ გუნებაზე დადგა, ღვინოს აქებდა, სულმოუთქმე-

ლად ყლაპავდა და იცინოდა. ტერეზამ უთხრა:

— მე წელან გციოხეთ...
— არ მიპასუხეთ: რად არ ჩამოიყვანეთ თქვენა და კორნელიმ კარისმერეთში ელო და ნინო?

მიხამ ერთბაშად შესწყვიტა სიცილი. კორნელის მორიდებით შეხედა. შეშინდა, თავი ჩაჰკიდა და დადუმდა. ტერეზამ ახლა შეიღს ჰკითხა:

— რად არ ჩამოიყვანე ნინო?

კორნელი გაწითლდა და მიუგო:

— ავად არის. მგონი ციება შეეყარა ქობულეთში. — მერე უხეშად დასძინა: — რა ვიცი, დედაჩემო, რა შეეყარა — ციება, თუ ეშმაკი..

ტერეზას ეკალივით მოხვდა გულზე შვილის პასუხი. უნდოდა რალაც ეთქვა, მაგრამ იონამ დაასწრო:

— აზირებული ქალი ხარ, ტერეზა. ესტატე და ვარდო მაყაშვილები კორნელის ანდობდნენ ქალს? ვერ ხედავ, კულამოძებებული რომ ჩამობრძანდა კარისმერეთში შენი შვილი? — ახლა მხატვარს მიუბრუნდა იონა და ჰკითხა:

— მიხა, პანღური ხომ არ ჰკრეს და გამოაქევეს მაყაშვილებმა ქობულეთიდან ეს ბიჭი?

— რასა ბრძანებთ! — ნაძალადევად გაულიმა მხატვარმა. კორნელიმ კი გაიფიქრა: ეს ჩვენი უცნაური იონა გულთმისანი არისო.

კორნელის გულზე საშინელი დარდი შემოაწვა და მოიწყინა. ისევე ქობულეთი, ნინოსთან უკანასკნელი შეხვედრა, ქუთაისი და ბაგრატის ტაძრის ნანგრევები მოაგონდა.

— რად მოიწყინე? — ჰკითხა იონამ.

კორნელი დაიბნა და ცოტა ხნის შემდეგ მიუგო:

— დღეს დილით ქუთაისში ბაგრატის ტაძარი ვინახულე და ის მომავონდა.

— ო, ბაგრატის ტაძარი დიდებული რომ არის, — თქვა იონამ.

— ახლა რალა! აბა, გონების თვლით წარმოიდგინე ის ტაძარი, დაუნგრეველად რომ იდგეს მთაზე. რა ბუმბე-

რაზი და მართლაც დიდებული შენობა იქნებოდა! — შენიშნა კორნელიმ და ამის შემდეგ ბაგრატის ტაძარზე, მის მცველ ბერზე და გაბრიელ ეპისკოპოსზე ჩამოაგდო სიტყვა.

— გაბრიელ ეპისკოპოსი განათლებული და მორწმუნე კაცი იყო; მან დასწერა „ქადაგებანი“ და მეცნიერული შრომა „ფსიქოლოგია“, — დაიწყო იონამ. — მე მისი ნათესავი ვარ. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს მასთან ვცხოვრობდი. იგი მზრდიდა. გაბრიელი წინათ საერო კაცი იყო და უბედურება შემთხვა: უეცრად ცოლ-შვილი გარდაეცვალა და ამის შემდეგ გლოვისაგან მოკლული ბერად აღიკვეცა. მერე ეპისკოპოსად აკურთხეს. თქვენ უთუოდ ნახავდით ბაგრატის წინ საეპისკოპოსო სახლს. გაბრიელი იქ ცხოვრობდა. ცოლ-შვილის გარდაცვალების გამო იგი დიდად დამწუხრებული იყო და ბოლოს დასნეულდა კიდევ. მისი ნათელი სახე თვალწინ მიდგას. ბაგრატის ციხის კედელთან, მთაზე დაჯდებოდა საღამო ეამს. გელათის დიდებულ ტაძარს გასცქეროდა საათობით და რაზე ფიქრობდა ის ბრძენი და გონიერი კაცი, ვინ იცის? იქნებ, დაკარგულ ცოლ-შვილზე, იქნებ, საქართველოს წარსულ დიდებას მისტიროდა! არასოდეს არ დამავიწყდება მისი ცხოვრების უკანასკნელი წუთები. იგი კიდევ უფრო დასნეულდა, ბოლოს სიგიჟის ნიშნებიც შეეპარა და ლოგინად ჩავარდა. ხშირად მივდიოდი მის სანახავად. სიკვდილის ეამსაც კი არ მოვშორებოდი მის სასთუმალს, თუმცა ძალიან ძნელი იყო ნახევრად შეშლილი კაცის შექცევა და მისი მოვლა, მით უფრო ყმაწვილი კაცი-სათვის. მეხუთე კლასის მოწაფე თუ ვიქნებოდი მაშინ. მისი აღსასრულის ეამიც დადგა. ერთხელ ცნობადაკარგულმა შემომხედა და ვერ მიცნო. საწოლზე წამოიწია მოხუცი და აღელვებით მკითხა: მითხარი, სად არის ჩემი ცოლ-შვილი? ცოლ-შვილის დარდი სტანჯავდა და არ ასვენებდა საცოდავს.

არც კი დავეფიქრებულვარ, ისე მიუტეგე: სამოთხეში არის, ბატონო-მეთქი. უნდა გენახათ, როგორ განათლდა მანამდე შეძრწუნებული მისი სახე, თვალები სიხარულის ცრემლით აევსო და მითხრა: იცოცხლე და გაიხარე, რა კეთილი და ღვთისნიერი კაცი ყოფილხარ, შენგან ნამდვილი ადამიანი გამოვაო.

— რა საინტერესო ამბავია!.. ამ თემაზე შეიძლება შესანიშნავი ნაშრომი დაიწეროს, — აღტაცებით შენიშნა კორნელიმ იონას და ჰკითხა: — ნეტავ ღმერთი, ქრისტეს აღდგომა, სამოთხე და უკვდავება თუ სწამდა გაბრიელს.

— შე კაცო, — იონას მაგიერად მიუგო ტერეზამ შვილს, — გაბრიელ ეპისკოპოსს ქრისტე-ღმერთი, უკვდავება და სამოთხე რომ ეწამებოდა, ნუთუ გეეჭვება?

— არა, დედაჩემო, აქ მეტად საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე. გაბრიელი ხომ განათლებული, ფსიქოლოგიის დარგში მომუშავე კაცი იყო! შეუძლებელია ღრმად არ ეფიქრნა მას სიცოცხლისა და სიკვდილის, სიზმრებისა და ზმანების, ჩვენი ორგანიზმის ორმაგობის — ხორცისა და სულის შესახებ. ბოლოსდაბოლოს ამ საკითხებზე ფიქრმა მიიყვანა ამ ქვეყნად არსებულ ყველა ხალხი ღმერთისა, იმ ქვეყნიური ცხოვრებისა და ადამიანის სულის უკვდავების იდეამდე. სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ყველა რელიგია და მათ შორის ქრისტიანობაც. მაგრამ, შეუძლებელია ისეთ განათლებულ კაცს, როგორც გაბრიელი იყო, სწამებოდა ის, რასაც ქრისტიანობა ქადაგებს: სხეულის — ხორცის აღდგომა და სამარად-ეამო ცხოვრება, სულის უკვდავება და სამოთხე! როგორც თვით ქრისტეს აღდგომა, აგრეთვე ქრისტეს მიერ მკვდართა აღდგინება, წმინდა წყლის ზღაპარია, რომელსაც საესებით აბათილებს თანამედროვე მეცნიერება. ანატომიასა და ფიზიოლოგიას ვინც კი გასცნობია, მან კარგად იცის, რომ მკვდრის გაცოცხლება შეუძლებელია, რომ ადამიანის

სიკვდილთან ერთად კვდება არამარტო ყველა ფიზიოლოგიური სასიცოცხლო ფუნქცია, არამედ ქრება სულიც, რადგან სული ადამიანის სხეულში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების შედეგია, ცოცხალი სხეულის სასიცოცხლო პროცესების გამოვლენა, ტვინის-მიერი ფუნქციების ჯამია და სხვა არაფერი. მაშ, როგორ შეეძლო გაბრიელს, მეცნიერებისა და ფსიქოლოგიის დარგში მოქმედე კაცს სულის უკვდავება, მკვდართა აღდგომა და მათი სამოთხეში გადასახლება ერწმუნებინა? აქ შეიძლება სამი პასუხი დაგვებადოს: გაბრიელი, როგორც მეცნიერი, ყოფილა ჩამორჩენილი, ან ორტოდოქსალურად ქრისტეს მორწმუნე, მეტაფიზიკოსი და მისტიკოსი, ან კიდევ დიდი ტანჯვა-მწუხარებიდან გამოსავლის ქრისტეს რელიგიაში ძიებნელი. იმ ტანჯვამ და მწუხარებამ, უკვდავების ძიებამ და ეჭვმა დაასწულა იგი. სიკვდილის წინ თქმული მისი სიტყვები სულით დაავადებული კაცის ამოძახილი იყო.

— მართალი ვითხრა, — მიუგო იონამ, — მე ასე დაწერილებით არ მიფიქრნია იმ შემთხვევაზე, და ვერ გეტყვი, გაბრიელ ეპისკოპოსს მართლა სწამდა თუ არა ღმერთი, ადამიანის სულის უკვდავება და სამოთხე. შენი ცოლ-შვილი სამოთხეში არის-მეთქი, დასამშვიდებლად ვუთხარი მომაკვდავს. განა, მართლა მწამდა! მე მაშინაც ზღაპრად მიმაჩნდა ქრისტეს არსებობა, აღდგომა, ადამიანის სულის უკვდავება და სამოთხე.

— აგაშენა ღმერთმა, მეც მანდა ვარ, — შესძახა კორნელიმ, — რელიგია წმინდა წყლის ილუზიაა! ღმერთი, საიქიოს, სულის უკვდავება და სამოთხე სიკვდილის შიშით შეძრწუნებული ხალხის დასამშვიდებლად არის მოგონილი. გაბრიელ ეპისკოპოსს, ეტყობა, სწამდა და არცა სწამდა სულის უკვდავება. მას ეჭვი ღრღნიდა. იმიტომ გკითხა სიკვდილის ეპოს: სად არის ჩემი ცოლ-შვილიო და, შენ რომ უთხარი: სამოთხეში არისო,

(გაგრძელება იქნება)

ამით ის ეჭვი გაუფანტე და დაუდასტურე მისი სულიერი მოთხოვნები: ეწამებინა სულის უკვდავებამ. აგაშენა მტკიცე მას იმედი, რომ სიკვდილს შეხვდებოდა სამოთხეში თავისი სათაყვანებელ და საყვარელ ცოლ-შვილს, რომელიც სიკვდილმა წაართვა და გამოკვლიჯა. და რადგან ის იმედი განუმტკიცე, სწორედ იმიტომ გაიხარა, შეება და ნეტარება იგრძნო, დაგლოცა და ღვთისნიერ, კეთილ ადამიანად გიცნო. ის იმედი, რომ იქ, სამარადეთსო ცხოვრებაში ისევ შეხვდებოდა უღმობელი ბედისწერის მიერ უღროოდ ჩვენგან მოგლეჯილ ღვიძლსა და უძვირფასეს ადამიანებსა და მეგობრებს, — საფუძვლად იქცა სულის უკვდავების რწმენისათვის. მაგრამ ეს რწმენა, როგორც უკვე ვთქვი, სრული ილუზიაა, იგი ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე ეპოქის რეალისტურ მსოფლმხედველობაზე აღზრდილ გონებას. ცდასა და დაკვირვებაზე დამყარებული თანამედროვე ბუნებისმეტყველების ეჭვიმუტანელი და უტყუარი მონაცემები სრულიად აბათილებს ადამიანის სულის უკვდავების მიერ გავრცელებულ ზღაპრებს.

ყველანი, განსაკუთრებით კი დედა, სულგანაბული უსმენდნენ კორნელის ტერეზას უხაროდა გონიერი და ნასწავლი შვილის ყოლა. იგი ათეისტი ქალი იყო და შვილის სიტყვები კეუაში დაუჯდა.

— შენ ისე მოგეწონა და გაგიტაცა ჩემმა ნაამბობმა გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ, რომ, შეიძლება მოთხრობაც დასწერო, — უთხრა იონამ კორნელის.

— გაბრიელის უკანასკნელი დღეები და განსაკუთრებით კი ის შემთხვევა, რომელიც შენ მიაჩნებ, მართლაც საინტერესო თემაა. იგი დიდად ნიჭიერ და ფართო გონების მქონე მწერალს მოითხოვს, — შენიშნა კორნელიმ.

ღელამ კორნელისა და მიხას სასტუმროში გაუშალა ლოგინი. დიდხანს არ დასძინებია. სწუხდა და ფიქრობდა, თუ რა მოხდა კორნელისა და ნინოს შორის.

ახალი ლექსები



შემოდგომა

მე მუდამ მავსებს ტკბილი სიამით
გურიის ზეცის ტატნობი წმინდა.
დედა-ბუნებავ, ო, როგორ მინდა
გიმღერო ქება ხალისიანი.

გნახავ და კრძალვით ვეამბორები
შენს ყვავილებს და რძიან ბალახებს.
ცადაზიდული ეგ მთავორები
სულს ახალისებს და გულს ალაღებს.

დიდი ტფილისის მიყვარს მთაწმინდა,
მაგრამ, გურიავ, დღეს ტყვე ვარ შენი.
ოქტომბრის მზეში ვიშ რა-რიგ შეენი,
ეგ ლურჯი მთები ცად ვინ აზიდა?

ნეტავ რომელმა ხელმა დახატა
ასე ზღაპრულად ეგ არე-მარე,
ვინ ამღერა წყარო მიქეფარე,
მთებით ბარისკენ მსრბოლი ლალადა?

ვინ მისცა მიწის ნაყოფს ბარაქა,
მდელო მოქარვა ფირუზი ხალით,
ეგ ნარინჯები და ფორთოხალი
ოქროს ზოდებით მოაგარაყა.

აგუგუნა მთები ქარებით,
ქრელ კალმახებით აავსო წყალი,
ბნელს დააჯახა შუქი ცინცხალი
ლურჯი ცისკარის აელვარებით.

ვინ გააბრწყინა დღე მოკისკასე,
და მომხიბვლელი მისცა სერი,
აალივლივა ზღვა ნებიერი,
მოთქროვილი ქავლებით საესე?

ვინ აათრთოლა სიცოცხლით მიწა,
ცა მორთო სხივთა ლურჯ ზამბახებით,
ააშრიალა ვარდით ბაღები,
კაცს სიყვარულის ხალისი მისცა?

შემოდგომაა. ჩრდილით ნაბური —
გურიის მთები დგახან მთებურად.
მწვანე ფოთლები შეყვითლებულან,
ტოკაეს ეთერი სულგანაბული.

იღვრება შუქი მუქ სივრცეებით,
ჩამავალი მზე თვალს აჯადოებს.
შრიალებს ბალი, ძირს ხრიან რტოებს
მწიფე ნაყოფით საესე ხეები.

მინდერის კალია ბალახში მღერის,
ყვავილებს არხევს ფუტკრის ზუზუნი.
ტკბილი ბადაგის და თაფლის სუხით
გაქლენთილია თბილი პაერი.

ფრთებს შლის დაისის ბინდი ძლიერი,
მზე ცის დასავალს აელვებს სხივით,
მიწა ჯანსალი სიცოცხლით ღვივის
ბარაქიანი, მზით პოხიერი.

ბალი ზღვის პირად



ამ ბაღს ყოველთვის მე ვესალმები
მოსიყვარულე, მხურვალე გულით.
გავცქერ ხეივანს, ლამაზ პალმებით
ალტაცებული და მოხიბლული.

ყვავილნარში ზის იგი ზღვის პირად,
ვით პატარხალი სახე მწყაზარი.
ზღვა უყვარს, თუმცა თავზარს სცემს
ხშირად
მისი ტალღები უზარმაზარი.

მაგრამ, როს ზეცა ლურჯად ციალებს და ზღვას სიმშვიდით ფერი ეცვლება, ბუნჩულა ზვირთი, ფრთა მოშრიალე, ყვავილებს ნაზად ეალერსება.

შეიმშენება ამ დროს ბალი და ყვავილნი გრძნობით ახელენ თვალებს.

როს მზე მლიმარი, ზეცის თალიდან მათ გადმოაფრქვევს სხივებს
ბრწყინვალეს.
და ჩამოდგება სინემე მკვლრულნი,
ზღვა იწყებს კამკამს შუქთა ჩანჩქერთი.
და მონუმენტი აქ აღმართული
დიდი სტალინის — ლაევარდს
გასცქერის.

მს გურული ახალგაზრდა



კოლექტივის გამარჯვებით ხარობს, შრომა ვისაც უყვარს. დღეს გურული ახალგაზრდა უსაქმოდ არ უზის ბუხარს. ფორთოხალი და ნარინჯი ურჩევნია ალიბუხარს. შრომობს შესტრფის დიად აწმყოს სტალინის მზით განაშუქარს.

ომში იყო, ივაქაცა, განელო სუსხი და ხანძარი. გმირობით და თავგანწირვით ბევრჯერ დასცა მტერს თავზარი. სისხლის ზღვები გადალახა უდაბური და საზარი, ვერ აკრთობდა მეხის გრგვინვა, ზარდამცემი ცის ზანზარი. გაიმარჯვა, შინ დაბრუნდა, ისევ შრომას მიჰყო ხელი. იბრძვის — შრომის გმირიც გახდეს, მთა და ბარის გარდამქნელი.

მოიბოვოს მთელი სოფლის პატივი და სიყვარული, აყვავოს ოჯახი და გაახაროს დედის გული.

ომის ცეცხლმა ვერ გასტეხა ეს გურული მკვირცხლი მზისებრ. კოლექტივში მუშაობს და კრიმანჭულით მღერის ისევ. ლამობს შრომის გმირი გახდეს, აღარ უზის უქმად ბუხარს, ლიმონი და ფორთოხალი ურჩევნია ალიბუხარს. შრომობს დღე-ღამ, შრომადღებნი დააგროვა უკვე უხვად, შრომა უყვარს, მაგრამ კიდევ ერთი გლეხის გოგო უყვარს. უყვარს, მოსწონს მისი სახე, ბაგე ლალი, წარბი ხშირი, მას შეირთავს უსათუოდ, როს გახდება შრომის გმირი!

ს ი მ ლ ე რ ა



როს სიამით გული გალობს — ჰანგში აქსოვს სპეტაკ გრძნობას. ჩემი ლექსი ენაცვალოს სამშობლოს და მეგობრობას!

დღეს ჩვენი ცა ბრწყინავს, ალობს, დამარცხებას გლოვობს მტერი. ჩვენი ნიჭი ენაცვალოს აყვავებას მშობელ ერის!

ო, მამულო, ნატერის თვალო, კვლავ ლალი ხარ და ძლიერი. შენს დიდებას მე ვუგალობ, შენს სიყვარულს გული მღერის!

სიხარულით გული გალობს, გრძნობს მოედო ბოლო წყვილიადს, ჩემი ლექსი ენაცვალოს სტალინის მზეს, მის განთიადს!

სიკლიდან „საქართველოს გაზაფხული“



ზედაზნის მთაზე

ყვითელი ტყე და გაბრწყინებული
მზით თოვლი ლურჯი და სულ ახალი.
და, ვით ყივჩაღი ჩაძინებული,
ძველი ციხე და კოშკი მაღალი.

წითელი ფერი დაშაქრულ შინდის
და შემოდგომის ოქრო და ლალი.
თოვლზე კი მოჩანს, მაგრამ სად მიდის
ახლადგავილი ირემის კვალი!

თითქოს მზის ოქრო ტყეებზე მოდნა,
ვგრძნობ დაბრუნებას ზაფხულის დღეთა.
შორს, ქვევით, მოსჩანს ზაპესი ოდნავ
და ცისფრად გაშლილ სიერცეში — მცხეთა.

ივერთა მხარე აქ მევლინება
ზღაპრული ეშხით, მომზიბლავ ძალით,
და ჟამთა ბრუნვას, ჟამთა დინებას
თითქოს ვუცქერი საკუთარ თვალით.

აქ დროს ვერ არკვევ და გიძნელდება
სცნო, წლის რა დროა, რომელი ხანა.
ეგ მტრედისფერი ჩამოფერდება
და მთის კალთები ლექსებსა ჰგვანან!

ეს სიმღერაა, მაგრამ მთის ტოლი;
ეს თავდაღმართიც ლექსივით მღერის.
ო, ამ ბილიკთა ვერცხლი და ბროლი,
ო, ამ ტყეების ბაჯაღლო ფერი!



წყდება ხმები და სულ სხვა ხმებს აიწეს
 ბგერა, რომელიც გაჰქრება, წაეა.
 და მე ამჟამად ველარც კი ვარჩევ,
 თუ ხმებს რაწაირს ვეკუთვნი თავათ.

დიდი ომები მებრძოლმა ვნახე
 მყუდრო ზღუდეებს არ შეეჭრდი ძალზე.
 თუ გაზაფხულის ქარი ზედა სახეს —
 ლალად გავდივარ მე ახალ გზაზე.

და კიდევ მინდა, რომ ვისაუბრო
 როგორ კრთის სხივი მყინვარის წვერზე,
 როგორ გიზგიზებს ხანძარზე უფრო
 წყნარი დაისი მუხრანის ველზე.

სალაშქრო ჩანთა თან მიმაქვს ბარგად,
 ჩექმების ლანჩას აკვრია ნალი,
 რომ სველა შეეძლოთ ჩემს ლექსებს კარგად
 მძიმე ტვირთიც რომ დააწვეს ძალით.

საგურამოში მე ვცხოვრობ წყნარად,
 თითქოს მომხიბლაე სიზმრების ხლართში;
 და ეს მიტომ რომ მრისხანე ქარად
 შორი ქუხილის ხმა მესმის ცხადში.

და ჩემი ლექსი ხმაღს ხელით წვდება,
 ვით ჯარისკაცი და მეომარი,
 რომელიც მწყობრში ხელახლა დგება
 და იერიშის მსურველი არი!

ციხარტყელა საბურამოში



ის ციხარტყელა ღრუბელთ ბორცვებზე
 იდგა სულ ახლოს, გაშლილი ფრთებდად;
 ისე, ვით ხიდი ზღაბრულ მოძებზე,
 ძმა-მეგობრების შემაერთებლად.

ოქროსფერ წვიმის წვეთები თბილი
 სჩქეფდნენ ფოთლებზე, ანამღერები.
 თვითეულ ფოთოლს ათრობდა ღზინი,
 აფრქვევდა ცრემლებს ბედნიერებით.



ღრუბლებს სიამე სწვეოდათ მწველი,
მიკროდნენ მკერდით მთების მწვერვალებს,
შორით არაგვი ნათელი ხელით
თითქოს უხმობდა ადამიანებს.

ქექა-ქუხილი გორს სცილდებოდა, —
იქ ცა მოლურჯო ზღვასავით იწვა.
და ზოხბისყელის ფერი ზღებოდა
ჩვენს ირგვლივ სივრცე და დედამიწა.

და შუქი ცისა, შუქი ზვიადი
ცისარტყელების ფრთებს აელერებდა.
იგი ჩვენს გულთა შორის დიადი
ძმა — მეგობარის ხიდს აშენებდა.

სანდრო შანშიაშვილს



შანშიაშვილის ლექსის გარეშე
მიჭირს კახეთი წარმოვიდგინო.
რა დიად დროში და რა მხარეში
ისინი გაჩნდნენ, რომ აქ იბრწყინონ!

რაც იყო სანდრო, ის დარჩა ისევ —
ისევ ჭაბუკი გულით და ჯანით.
ალაზნის ნაპირს მიჰყვება ისე,
როგორც იმ წლებში, როს გავიცანი!

შესწევს უქმე დღით შეიჭრას ჯარში
ცეკვით და ბუქნით ისევ გახურდეს,
ან და გავიდეს ბუქში და ქარში
და შემის ტვირთით სახლში დაბრუნდეს.

როს ვზივართ ერთად და ღვინის შესმის,
საუბრის შემდეგ, ჩემი ჯერია, —
ვხედავ, თუ რა რიგ უყვარს და ესმის,
ის, რაც ნამდვილად მშვენიერია.

ზეპირად იცის ზნე-ჩვეულება
საქართველოს და ჯულაანისა.
დიდებით სავსე ქართლის თქმულება,
მწვავე ზღაპრები ქართველ გლეხისა.



შესწევს ხან იყოს გულჩვილი, ნაზი,
 ხანაც, აგზნებით სიხარულისა,
 გადიხარხაროს უცნაურ ზმაზე
 ისე, ვით დევმა ქიანურისა.

რამდენჯერ, ღამით, დაუვიწყარი,
 ლექსებად თქმული შეიგრძნო გულმა,
 თუ როგორ ზიდა წამების ჯვარი
 ქართლმა ტანჯულმა და დარბეულმა.

რომ შემდეგ, ჩვენი გულის საშველად,
 გვენახა სცენით ეს შშობლიური
 ამბავი არსენ ოძელაშვილის,
 ან თვით კრწანისის საქმე გმირული.

ზოგჯერ კი, როგორც შევარდნის ჭანგზე
 აცმული მსხვერპლი, რითმების სეტყვით
 გვეტყვის სიმღერას ქალ-ვაჟიანზე,
 დიდ სიყვარულზე სიმღერას გვეტყვის.

ზოგჯერ, როს ლექსთა გამოჭენებას
 არ უღევს ზღუდე და ვერვინ ჰბოჭავს —
 უმღერებს ჩვენი მიწის შეენებას:
 ქალს კოლმეურნეს და კახურ ოჯახს.

და რომ კახეთი ალაზნის ველით
 არ ყოფილიყო — მის ტურფა იერს
 შექქმნიდნენ სანდროს ლექსები მწველი
 და უმღერებდნენ მრავალყამიერს.

თარგმანი ნიკოლოზ ნადირაძისა

ერთგულება

რომანი *



თავი მეორე

იმ დღეს, როცა თამარმა, ნინომ და დავითმა ჯარში გაწვეული თამაზი რკინიგზის სადგურზე გააცილებს და შინ ბრუნდებოდნენ, თამარს ქეთინი აუვარდა.

— თამარ, რა მოგდის! — მიაძახა ნინომ და ხელი მოხვია, — დაჩემდი, ამოდენა ქალი ხარ, არა გრცხვენია? თამაზი დაბრუნდება, ჩვენც კარგად ვიქნებით. დაჩემდი, თამარ!

— მეც იქ ვიყავი, ხელი დავკარგე, მაგრამ ცოცხალი ვარ. — გაამხნევა დავითმა, შევეგრემანმა საშუალო ტანის ჩაფსკენილმა ქაბუკმა, რომლის მრგვალი სახისა და ტანის მთლიანობას მარჯვენა ხელის ქამარში ჩატანებული სახელო არღვევდა.

— ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე წავიდა, გულმა როგორ გაუძლო! — ქეთინებდა გულამომჯდარი თამარი.

— მთავარია ერთგულება და არა ნიტყვა, თამარი! — დინჯად, დამაჯერებლად, თანაც შეურყეველი პირდაპირობით უთხრა დავითმა.

თამარი თანდათან დაშშვილდა.

— კარგი, დავჩემდები, აღარ ვიტორებ, დაგოჯერებთ! — ბუტბუტებდა და ცრემლები დაბლუპით ჩამოსდიოდა ფერმკრთალ ლოყებზე. ცდილობდა გაღიმებას, გაციუნებას.

თამარს უცნაური ხასიათი ჰქონდა: შეეძლო ერთ წუთს ეტირნა, მეორე წუთს ეცინა, ნაღვლიანი სახე ღიმილს გაენათებინა.

თამარის უფროსი და — ნინო, თით-

ქოს მეორე პოლუსზე იდგა: თუ ნინოს ცაზე მზე იყო, მისი ელვარება უცხად არ წყდებოდა, თუ იღრუბლებოდა — ეს უკვე დიდხნით. დების ხასიათის ეს სრული წინააღმდეგობა, იყო მათი შეხლა-შემოხლისა და მეორეს მხრივ ძლიერი სიყვარულის მიზეზიც. ამ შეხლა-შემოხლაში ყოველთვის ნინო იმარჯვებდა. ნინო ხასიათის მეტ სიმტკიცეს იჩენდა.

დავითი ბევრ რამეში ჰგავდა ნინოს. ნინოსავეთ აუჩქარებელი, დინჯი იყო. ეს განუყრელი სიდინჯე მას ფრონტზედაც არ შორდებოდა. დავითი ღრმად დაჯერებული იყო იმ საქმის გამარჯვებაში, რასაც აკეთებდა. მას ყველაფერზე გარკვეული აზრი ჰქონდა; თუ ეინმე ძელდა, ეს სიძულვილი ურყევი იყო, თუ უყვარდა, ეს სიყვარულიც მტკიცე იყო.

თამაზის სამშობლო სოფელი გაიარეს და ახლა იმ სოფელს მიაღწიეს, სადაც თამარი და ნინო დაიბადნენ და აღიზარდნენ. ხილზე შედგნენ, გულისტკივილით დაჰყურებდნენ პატარა მდინარეს, რომელიც ამ ორ სოფელს საზღვრავდა. რიყის ქვებში მდინარე კრთოდა, ციმციმებდა, მზის სხივებს აფრქვევდა ირგვლივ და ეს წარმტაცი, ცისარტყელად ქცეული პატარა მდინარე, შორს, ხეობაში იყარებოდა.

დები იგონებდნენ აქ გატარებულ ბავშვობის დღეებს.

დავითს სიხარულს ჰგვრიდა გურული სოფლის სიმშვენიერე ყველა მისი თავისებურობით, მით უმეტეს, რომ

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 10.

იგი აქ ყველაფერს პირველად ხედავდა:

ხის პატარა ხიდი გაიარეს და აღმართს შეუდგნენ. ფეხის ყოველ მოცულაზე ჩერდებოდნენ და, გასცქეროდნენ თითქოს ხელით დადგმულ პატარა გორაკებს, ფორთოხლის, ლიმონისა და მანდარინის ხეებითა, თუ ჩაის მწვანე ბუჩქებით შემოსილთ. ზევით, პატარა მოედანზე ავიდნენ, აქ სასოფლო საბუკოს წინ შეყრილი ხალხის ჩოჩქოლი მოესმათ.

აივანზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარდენი გამოსულიყო, მოედანზე შეკრებილ ხალხს გადაკყურებდა, ვებერთელა ტანით მოაჯირზე გადახრილიყო, ხელები ისე გაეშვირა, თითქოს ხალხში შეცურებას ლამობსო, სახე გაფითრებოდა.

— მტერი კავკასიონს აწყდება! — ამბობდა იგი ხმაშლით. — საქართველოში შემოჭრას ლამობს!

„მტერი კავკასიონს ვერ გადმოლახავს!“

„ცოცხალი თავით არ დავანებებთ!“
ისმოდა ხალხში შეძახილები.

დავითმა ხალხს მიაშურა. ქალებიც გაკყენენ, აივნის ახლო შეჩერდნენ. ხალხი ბოზობრობდა, ღელავდა. მოხუცებს, რომელთაც ომის დაწყებამდე ოჯახისა და საზოგადო საქმეების გამოლა შვილებისათვის დაეთმოთ, ახლა, შვილების ომში წასვლის შემდეგ, თვითონ დაეკავებინათ მათი ადგილი. თითქოს ისინი ხელმეორედ იწყებდნენ ერთხელ დასრულებულ ცხოვრებას და პასუხსაც აგებდნენ ამ ცხოვრებაზე.

ოთხმოც წელს გადაცილებული, წელში მოხრილი მოხუცი, რომელსაც ერთ ხელში ჯოხი ეჭირა, ზოლო მეორეში ჩიბუხი, იმავე აივანზე ქოშინით ავიდა, დაბრილი თავი ოდნავ ასწაა და ხალხს ბებერი ვეფხვივით გადახედა, ჯოხი იატაკზე დააკაენა, ჩიბუხი

ხელის გულზე დაიფერთხა, კამარში გაიჭო და სიტყვა დაიწყო:

— პატოსანო მეზობლებო! ჩვენა სიცოცხლე იქაა, სადაც ჩვენნი შვილები წავიდნენ! წინადადება შემომაქვს ჩვენმა კოლმეურნეობამ ერთი ტანკა და ერთი თვითმფრინავი შეიძინოს ფრონტისათვის!

— სიკვდილი მტერს! — შესძახა ხალხმა. ყველა იწონებდა ეგნატეს წინადადებას. იქვე დაიწყეს ფულის შეტანა.

მიტინგი გვიან დასრულდა.

ხალხი დაიშალა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შეჩერებული დები შენიშნა და მიუგება:

— სალამი, ნინო, თამარ! აა, სტუმარიც მოგიყვანიათ!

— გაიცანით, ვარდენ, ჩემი მეგობარი დავითი! — უთხრა თავმჯდომარეს ნინომ.

— მეგობარი? მაშ ყველაფერი ცხადია, ძვირფასო, და ქორწილს მოველი! — გაეხუმრა ვარდენი. უღვამზე ხელი გადაისვა და დავითსა და ნინოს გადახედა.

— დიახ, მალე გვექნება ქორწილი და, იცოდეთ, უთქვენოდ არ ჩატარდება, — ღიმილით უთხრა თამარმა.

— ოკო, მაშ ზევიმობთ, ჩემო ძვირფასო!

— კახელი კაცია და, თუ გურულო სოფელი ვერ მოვაწონეთ, ქალს დავიწუნებ! — უთხრა კვლავ თამარმა.

— ჰოდა, ჩვენც ვეცადოთ, მოვაწონოთ. თქვენ რაღას იტყვით, ძვირფასო მეგობარო, ცუდი ხალხი ვართ? — მიუბრუნდა ვარდენი დავითს და ახლო მეგობარივით ხელი მხარზე დაადო. — არა, სირცხვილს არა ვჭამთ კახელებთან. — რიხიანად განაგრძობდა ვარდენი. შემდეგ თამარს გადახედა გაამხნევა: — არაფერი, თამაზიც დაბრუნდება, მაშინ ჟუკეთესი ქორწილი გვექნება!

თამარს ცრემლი მოერიო, სახე მოა-
რიდა.

— არ წახდე, თამარ! ფიქრი ნუ
გაქვს! ჩვენი წაქცევა არ მოხერხდება,
ძვირფასო! ცა რომ ჩამოიქცეს, ჩვენ
მანც გავიმარჯვებთ! — განაგრძობდა
ვარდენი და უღვაშებზე გაშლილ
ხელს ისვამდა.

ნინო, დავითი და თამარი სოფლის
საბჭოდან გვიან წამოვიდნენ. ერთად
მომავალი დები გარეგნულადაც ისევე
განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან,
როგორც ხასიათით.

ნინო საშუალოზე დაბალი იყო, თა-
მარი მაღალი. ნინოს შავი თვალები
ჰქონდა, თამარს მოწაბლისფერო, ნინო
შავგვრემანი იყო, თამარის მრგვალი,
თეთრი სახე მთვარესავით აშუქებდა.
ნინო უფრო პირდაპირ და მტკიცედ
დადიოდა, თამარი კი ფეხს ოდნავ თუ
აყარებდა მიწას. ნინოს ისეთი გამო-
მეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც
მეტად სერიოზული საქმისათვის ემ-
ზადებო, თამარი კი, პირიქით, თით-
ქოს ჰერში აფრენას ლამობსო.

დავითი იმ წლებს იგონებდა, როცა
თბილისის სტალინის სახელობის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტში სწავ-
ლობდა და ნინოს გაეცნო. მაშინ არა-
ვითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, რო-
მელი ბუდიდან ამოფრინდა ის ფრინ-
ველი, თავისი ცხოვრების სამუდამო
თანამგზავრად რომ მიიჩნია. ახლა კი
ეს ფრინველი გვერდით მიჰყვება და
განუზომელ სიამეს გრძნობს. მოახ-
ლოვდა მათი სამუდამო შეერთებას
ბედნაერი დღე! როგორი სითბო, რო-
გორი სიხარული მოაქვს ამ დღეს!

— დავით, ვახედე მზე როგორ ჩა-
დის, ზღვაში ეშვება! — წარმოთქვა
ნინომ.

— რა მშვენიერებაა. — გაოცდა და-
ვითი.

— აი, ის სკოლა, სადაც პირვე-
ლად მიმიყვანეს!

— როცა მე კახეთში მეთრე ჯგუ-
ფის მოწაფე ვიყავი, აქ, გურიაში,
შენ, ალბათ, პირველად შედიოდი სკო-
ლაში.

— არ იქნა, ვერ მოვამორეთ დედა-
ჩემი ამ სოფლის სკოლას. როცა მა-
მაჩემი ქალაქში სამუშაოდ გადაიყვა-
ნეს, დედა აქ დარჩა და ახლაც ასწავ-
ლის, — წარმოთქვა ნინომ.

კრამიტით დახურული კიშკარი
შეაღეს, ეზოში შევიდნენ. მწვანე
ფარჩით მოფენილ ეზოს აქეთ-იქიდან
ციტრუსების ბაღი ჩამოეხურა, ხოლო
ბოლოში მოჩანდა მოზრდილი ოდა-
სახლი, ცოტათი უკან — სამზარეულო,
იქვე — სასიძინდე და ორიოდ სხვა
პატარა შენობა.

სამზარეულოდან ოთხი-ხუთი წლის
ბიჭუნა გამოიქრა:

— მამიდები მოვიდნენ, მამიდები
მოვიდნენ!

— სულიყო, აქ მოდი! — მიამბა
ნინომ, მიეგება, თავზე ხელი გადა-
უსვა.

ბავშვი ვაიტრუნა, წელზე ხელები
მოხვია ნინოს.

აი, ოდა-სახლის კარი გაიღო, ოდნავ
ფერმიხდილი, თმა შექალაჩავეებული,
მაგრამ მაინც მხნე გამომეტყველების
ქალი გამოვიდა აივანზე.

— რათ დაიგვიანეთ? მოდი, შვი-
ლებო! — წარმოთქვა მან, კიბის სამი-
ოდე საფეხური ჩამოიცვალა და ეზო-
ში ჩამოვიდა.

— მიტინგს დავესწარით, დედი-
ყო, — მიუგო ნინომ.

— კარგია, შვილებო!.. დავით, მობ-
რძანდით. აი, აქ, ეზოში დავსხდეთ,
სკამებს გამოვიტან.

სამზარეულოდან ერთი ახალგაზრდა,
სახენათელი ქალი გამოვიდა, სწრა-
ფი ნაბიჯით გამოეშურა, გაიღიმა და
დაიძახა:

— რად გამიცხვეთ სადლი? მობრძანდით! — შევლივით სწრაფი ქალი დიმილით მიეგება მოსულებს.

— მართა, თქვენ შიმშილით მოგაკალით, არა? — ჰკითხა რძალს ნინომ.
ეზოში დასხდნენ.

დავითს ცაზე ეგონა თავი. ზღვის მხრიდან მოსული ბორჩო ბაღს ტალღასავით ედებოდა, ამრიალებდა; ქალიშვილებს თმებს უწეწავდა, უშლიდა; თითქოს თვით ეზო და მთელი გორაკი ამ ბალთან ერთად ირხეოდა. მაგრამ დავითი მის პირდაპირ მჯდარ ნინოს შავი თმების სანეტარო რხევას აღევნებდა თვალს და თითქოს ასევე ირხეოდა მისი გულიც გამოუთქმელი სიამით.

მზე ჩასულიყო, ხოლო მის სხივებს ოქროსფრად დაეფერა ცაზე მიმოფანტული ღრუბლების ქულები. მალე ეს სხივებიც ჩაქრა და მოოქრულ ქულებს ვერცხლის ფერი დაედო. სოფლის მაჯისცემა არ შეწყვეტილა. იგი უფრო ხმაურობდა. ბაღში შეკრებილი ჩიტები განუწყვეტლავ ფლურტულებდნენ.

ლამემ ფეხი მოიკიდა.

შეწყდა ჩიტების გაბმული ფლურტული. აღამიანთა ხმებიც მინელდა. ცის ვეებერთელა ვარსკვლავთ საკრებულოში ხან აქ, ხან იქ ენთებოდნენ ვარსკვლავთ ქალები. ფოთლებზე და მოლზე ნამი გაბრწყინდა.

ყველა დაწვა, დებს არ ეძინათ.

— თამარ, რას იტყვი, კიდევ რამდენხანს დავრჩით სოფელში?

— ათი დღე.

— არა, ოცი დღე. დავითიც შევებულებას აქ გაატარებს.

— სამაგიეროდ, თქვენ გუშინ ჩამოდიხ. მე კი ათი დღეა აქ ვარ. ახლა თამაშად დატოვა სოფელი და რა გამოაჩერებს აქ.

— რათ მიიჩქარი ქალაქში, ყველანი აქ ვართ.

— რა ვიცი, ნინო.

— შენ თუ არ იცი, მე დამოჯერე.

— გენრიეტამ მთხოვა.

— მე გირჩევ ჩამოშორდე იმ შენს გენრიეტას, განა უნივერსიტეტიდან კარგი საქციელისათვის გარიცხვს?

— მიზეზი კარგად ვერ გამიგია და არა მჯერა.

— ჯობს, დაიჯერო...

ეკატანის შემდეგ ისევ თამარმა დაარღვია სიჩუმე:

— ნინო, როგორ მოახლოვდა ეს კვირა, ხეალ შაბათია. ერთი დღე კიდევ და შენი ქორწილი...

— დაიძინე, თამარ.

— კარგი, ვიძინებ, ვიძინებ. — თქვა თამარმა და კედლისაკენ გადაბრუნდა. მალე ჩაძინდა.

დიდი ხანია შუალამე გადასულიყო, შეგვიანებულ მთვარეს ნინოს სახე მკრთალად გაენათებინა. რაღაც უნახესი, ჯერ განუცდელი გრძნობა მოძრაობდა მის გულში, მთელს სხეულში. „შაბათი თენდება. ხეალ ქორწილია, — რა ვთქვი, ქორწილი? მე უნდა დავქორწილდე?“ — ეს ისეთ ბედნიერებად მიიჩნდა, რომ არ ჯეროდა, თუ იგი ასე ახლოს იყო.

წინათ, როცა სიტყვა „ქორწილს“ გაიგონებდა, მის ძალას არ გრძნობდა. ქორწილს სთვლიდა გასართობ სანახაობად, სადაც მოვიდოდნენ, ბენარ ლენოს შესვამდნენ, იმღერებდნენ, დათვრებოდნენ და წავიდოდნენ, ბოლოს მარტო რჩებოდნენ ორნი და ამ დღიდან იწყებდნენ ცოლ-ქმრულ ცხოვრებას. ახლა კი მიხვდა, რამდენი რამ თავსდებოდა სიტყვა „ქორწილში“.

წამოდგა. გამოღებულ სარკმელთან სკამზე დაჯდა. ჩაძინებულ სოფელს გახედა: აი, მიდამო, სადაც დაიბადა.

ალიზარდა, გაატარა ბავშვობა. ფეხი და ენა აიღვა, ანაბანაც აქ შეისწავლა. რამდენჯერ უბანახვია ამ ლელეში, რომლის ნელი, მაგრამ გაბაჟული ხმაური ესმის ახლა. იგი ამხანაგებთან ცურაობდა ანკარა წყალში, ზოგჯერ თევზაობდნენ, — წერილი თევზებით გობს აავსებდნენ და შინ სიმღერით ბრუნდებოდნენ. ახლა კი გასათხოვარი ქალია. ხვალ ქორწილია. რა სწრაფად გაიარა ბავშვობამ, სწავლის წლებმა. არ ჯეროდა, რომ ხვალ მისი ქორწილი იყო. უცებ რატომღაც თავის სახის დანახვა მოუწია. მაგიდიდან სარკე აიღო. მთვარის მკრთალ შუქზე სარკეში კიდევ უფრო ფერმიხდილი მოჩანდა მისი უძილობით გაცრეცილი სახე. თმაც ჩამოშლოდა.

თენდება. ბახმაროს მწვერვალზე მკრთალი შუქი შენიშნა.

სოფლიდან ვიღაც ყმაწვილის კრიბჭული მოესმა და ურმის გაბმულმა კრიალმა ღამე გააქარა.

აი ავტომანქანის გუგუნი და მისი გაძლიერებული სუნთქვაც მოესმა, გამოერკვა.

„რა მემართება? ეს როგორ იქნება! დაიძინე, ნინო, დაიძინე. გათენდება, — რას ემსგავსები?“ — ფარშევანგივით შიფრითხილა და ლოგინში ჩაწვა. თვალი ძალით მოხუჭა და მალე ძილიც მიეპარა.

... დილით ადრე ამდგარი დავითი თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, რომ დანამულ ბალახს მოკრძალებით ადგამდა ფეხს, მზის პირეული სხივებით მოოქერილი ბაღის მშვენებით ტყებობდა.

მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაედო, მარჯვენა სახელო ჩვეულებისამებრ ქამარში ჩაეკეცა. მთის ნელი ნიავე მოლელილ მკერდსა და შუბლს უგრძობდა.

რა სიწყინარეა, რა სპეტაკია ცა, თითქოს სარკედ ქცეულა ზღვა. იქ

კი, როგორი ცეცხლი ანთია. იქ, სადაც მარჯვენა ხელი დატოვია! არა, ხელს არ ნანობს, მაგრამ სანაწებელი შაინც ხომ აქვს: მისი მეგობრები ისევე იმ ცეცხლში არიან, მტერს მკერდით ხედებიან, მშობლიურ მიწა-წყალს სიცოცხლეს სწირავენ. თვითონ კი აქ ფრთებდაქრილი ფრინველივით დადის ეზოში.

მისდა შეუმჩნეველად ეზოში შეგროვილი ხალხის ხმაურმა, თუ ქვაბების რახარახმა გამოაფხიზლა.

მეზობლები ქორწილს ამზადებდნენ, ეს კი ყველაფერი ჩვენთვის, ნინოსა და ჩემი გულისათვის ხდებოდა, — გაიფეკრა და მარტო სიხარული კი არა, სიამაყეც იგრძნო.

— ხალხო, არ შეერცხვით!

— ვარდენმა დამავალა, — ფრონტელია და ღირსეულად დავაქორწილოთო.

— არა მარტო ფრონტელია, კახელია და ჩვენი სტუმარი! — ისმოდა ხალხში.

აივნიდან თამარის ძახილი მოესმა.

— დავით, თქვენი მზეთუნახავი ვერ გავაღვიძე, ძანავს. ნინოს ასეთი ძილი ჯერ არ მინახავს.

— იძინოს, თამარ.

— დავით, თქვენ კარგად გამოიძინეთ?... მგონი-არა!

— ასეთ ქვეყანაში რა დამაძინებს! აქ გატარებული ყოველი საათი ადამიანს სიცოცხლეს მატებს. — სიტყვა ბანზე აუგდო დავითმა.

თმებჩამოშლილი, აივნის მოაჯირზე, იდაყვებით დაყრდნობილი თამარი, თავის უფროს დას, ნინოს, „მზეთუნახავს“ უწოდებდა; სინამდვილეში კი ასეთი შედარება თვითონ მასზე, თამარზე, უფრო მართებული იყო, ვიდრე ნინოზე. თამარის ღიღრონი, მო-

წაბლისფერო თვალები, თითქოს, უფრო გაზრდილიყო და მზით განათებულ ეზოს დაჩერებოდა; მისი ნორჩი, აივნის ჩუქურთმებში ჩასმული თეთრი პირისახე სინათლეს პფენდა გარშემო.

— სულიყო! დაიბანე ხელპირი! აი, იქ, ლარზე! მიაძახა თამარმა მამის-შვილს.

— ახლავე, მამიდა! — გამოეხმაურა სულიყო. მკვირცხლად გაიქცა, სამზარეულოს გვერდით მეფე ერეკლეს დროინდელი ზარბაზნის ლულაში გადმომსკდარ წყაროს წყალს მიაშურა და პირის ბანა დაიწყო.

სულიკოსთან პატარა, თმაგაჩეჩილმა გოგონამ მიიბრინა, უფროს ძამიკოს თავზე თავი მიადო, მერე გამოილი ხელები წყალს მიუშვია, მაგრამ არ იქნა, წყალი ვერ გააჩერა თითებში, მხოლოდ სველ ხელს ისევად სახეზე და იცინოდა.

— მართა, რამდენი ხალხი მოსულა, ძველებურ ქორწილს ხომ არ აპირებთ? — ახლა მართას მიმართა, თამარმა.

— ომი არ იყოს, ძველებული მონაგონი არ იქნებოდა ახალთან! — მიუგო მართამ და სადღაც გაიქცა.

— დილა მშვიდობისა, მეზობლებო, როგორ ბრძანდებით! — მოაჯირს დაყრდნობილი თამარი ხან ერთს, ხან მეორეს ეტყოდა რასმე და უღიშოდა; მერე გაბრუნდა, ნინოს გასალვიძებლად სახლში შევიდა.

— მადლობა დმერთს, გაიღვიძე? — უთხრა თამარმა და საწოლიდან წამომდგარ ნინოსთან მივიდა. — შუა ღღე იქნება, ხალხი მოვიდა, ეზო-სახლს შეესია, ყველაფერი აახმაურა, შენ კი გაღვიძე და ვერ გაგაღვიძე. განა ბედნიერების მოახლოება ძილს აძლიერებს?

— პირიქით! — წამოცდა ნინოს და სწრაფად შესცვალა საუბრის საგანი — ხალხი? ვინ ხალხი?

— იქნებ დაგავიწყდა, რომ ხვალ ქორწილი გაქვს! — გაუხუმრდა თამარი. ნინოს თვალები გაუქნა და მისი

— რას ამბობ, თამარ, რა დამავიწყებს ქორწილს. რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ, დაო.

— ნინო, ჩემო საყვარელო, ჩემო ჭკვიანო, ნინო. — მოეხვია თამარი დას.

— თამარ, სულ სხვაა თურმე სიცოცხლე, როცა გიყვარს...

ავჯისტოს მიწურულს დაქორწინებული ნინო და დავითი, თამართან ერთად, თბილისში დაბრუნდნენ.

ნინო სწავლის დაწყებას მოუთმენლად ელოდა, თავისი მოწაფეები ენატრებოდა.

დავითი რაიკომის ინსტრუქტორად დანიშნეს.

თამარი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, მაგრამ სწავლის დაწყებამდე თავისუფლად დადიოდა ამხანაგებში; ერთად მეცადინეობის გეგმებს აწყობდნენ.

ომი გრძელდებოდა. მისი სიმძიმე ქალაქშიაც ისევე იგრძნობოდა, როგორც სოფელში.

თამარი ფრონტიდან გამოგზავნილ თამაზის ბარათებს კითხულობდა, იცრემლდებოდა, მაგრამ, როცა ნინოს გამამხნეველ სიტყვებს გაიგონებდა, მშვიდობდებოდა დას დარცხენილად უღიშებდა, დარდას და მწუხარებას გულში იკლავდა.

2

წელიწადნახევარზე მეტი გავიდა. გაზაფხულის პირველ დღეებს სიცოცხლის განმაახლებელი სითბო მოჰქონდა.

თბილისის ქუჩებში აღამიანები და-
ძაბული გამომეტყველებით გარბოდ-
ნენ, ერთმანეთს სახეშიაც არ უცქე-
როდნენ, ყველას ერთი მთავარი საზ-
რუნავი გაჩენოდა: ომის გამარჯვებით
დაგვირგვინება.

მზე ეშვებოდა. თამარი უნივერსი-
ტეტიდან შინ ბრუნდებოდა. რუსთა-
ველის პროსპექტზე ამხანაგებს დაემ-
შვიდობა, მარჯვნივ შეუხვია და აღ-
მართს შეუდგა. ქუჩაში ორ მწყრივად
ჩაარზმული ხეების კვირტებიდან მწვა-
ნე ყლორტები იბადებოდნენ. თამარი
მათ რაღაც გულათრთოლებით აცქერ-
დებოდა. ყველაფერს თავისი დრო
აქვს: დაბადებას, ზრდას, გაფურჩქვნას
და ეს დრო მიდის... გრძელდება ომი,
გრძელდება სიმატოვე (უფრო მას,
შემდეგ რაც ამ ერთი თვის წინათ და-
ვითი კახეთში რაიკომის მდივნად გა-
დაიყვანეს და ნინოც მას გაჰყვა). თა-
მარი მარტო დარჩა, სულ მარტო. ვინ
იცის სანამ გაგრძელდება ეს სიმატო-
ვე, ლოდინი.

ის ეშვავით აკვიატებული გენ-
რიეტა მაინც მოეშორებინა თავიდან!
რაც ნინო თბილისიდან წავიდა, აღარ
ეშვება: შეხვდება თუ არა, გაუღიმებს
და მიიძახებს:

„თამარ, სულელი ხარ! მონოზნად
ზომ არ უნდა წახვიდე? მალე დაჰკენ-
ბე და გვიან იქნება! ვის ელოდები
ვის ელოდები! ვინ იცის ჩამოვა კი?“

როგორ მოიშოროს, როგორ გაექცეს
ამ ხმას? შინ ისე შევიდა, არც გაუგია.

„გენრიეტა, ის საზიზღარია!“ — ამო-
ყვინესა თამარმა. რაღაც გაორებული
გრძნობა არ ასვენებდა. ერთი ეუბნე-
ბოდა: „უნდა ელოდო, ათწილ უფრო
მეტად შეიყვარო იგი!“ მეორე, პირი-
ქით: „რას უცდი, თამარ? იქნებ იმან
იქ სხვა შეიყვარა!“ და ამ ორი, საწი-
ნაღმდეგო გრძნობის ჭილილში უცებ

ტირილი წასკდა: კარგა ხანს იტირა.
გული იჯერა და შემდეგ წამოდგა.

ფანჯრები და აივანზე გასასვლელი
კარი გააღო. ოთახში განათხულის სათ-
ბო და სურნელება შემოიჭრა. გამო-
ღებულ ფანჯარაში ტოტებშემოყო-
ფილ ჰადარის ყლორტებს მისწვდა,
ყოველ ყლორტს თითო ამბორით გაუ-
მასპინძლდა; „ჩემი სტუმრები!.. გა-
ნათხულება მოგიყვანათ!.. ნეტავი მეც
ჩემი განათხულები მესტუმრებოდეს“, —
გაიფიქრა, ფრონტიდან გამოგზავნილი
თამაზის სურათი აიღო, დააჩერდა:

„აი, ჩემს განათხულს ვინ მომიყ-
ვანდა!“ — გაიფიქრა და სურათი გულ-
ში ჩაიკრა.

სადილის შემდეგ დივანზე მოისვენა,
მალე ჩასთელიდა. მის გონებაში ცუ-
რადენენ სახეები, საგნები, მთელი ქა-
ლაქი, უნივერსიტეტი, სოფელი,
ფრონტი, სადაც მისი წარმოდგენით
აღამიანები ცეცხლში შედიოდნენ,
ერთმანეთს ათასნაირი იარაღით ანად-
გურებდნენ. და აი, აქ, ამ ცეცხლში
შესულ აღამიანთა შორის თამაზის სა-
ხეც გაიღებდა.

„რა გადაარჩენს, რა გადაარჩენს!“ —
ჩურჩულებდა თავისთვის.

ზარი დარეკეს, მაგრამ თამარმა
ყურადღება არ მიაქცია. მხოლოდ შე-
იშმულა. მეორე გვერდზე გადაბრუნ-
და. კვლავ გაისმა ზარის წკრიალი. თა-
მარი წამოდგა და დერეფანში გავიდა.

— ვინ არის?

— მე ვარ. გამიღე თამარი! — მოის-
მა ქალის წერილი, თითქოს გაუბედავი
ხმა.

თამარმა იცნო, ვინც იყო, მაგრამ
რატომღაც, მაინც იკითხა:

— შენ რომელი ხარ?

— ველარ მიცანი?

— ვერა, ვერ გიცანი.

— გენრიეტა ვარ. გამიღე, თამარი

— რა გინდა, გენრიეტა?

— არა გრცხვენია? რათ მეკითხები? შენთან საქმე მაქვს!

თამარმა უხერხულობა იგრძნო: რა საბუთი მაქვს მიღებაზე უარი უთხრაო, — კარი გაუღო.

გენრიეტა შემოვიდა და თამარს დამნაშავესავით მშრალად გაუღიმა.

— არა გრცხვენია? ჩვენ ხომ სკოლის მეგობრები ვართ? უნივერსიტეტშიაც ერთად შევედით. მართალია, შემდეგ დაგშორდი, უნივერსიტეტიდან გამორიცხეს, მაგრამ დანაშაული არ მიმიძღვის. — შემოსვლისთანავე დაიწყო გენრიეტამ.

ეს ქალი სილამაზის ყველა ნიშნით იყო შემკული. მაგრამ მის არსებაში რაღაც სიცივე დაბუდებულიყო. ამ ახალგაზრდა ქალის სიტყვა-პასუხი სწორი, თანმიმდევრული, მაგრამ მშრალი და შინაგანად ცარიელი იყო.

თამარს გაუსწრო და სასტუმრო დარბაზში შეიბრინა, სხაპა-სხუბით ლაპარაკობდა.

— როგორ დამშვენებულა თქვენი დარბაზი. რა აბაჟურები, როგორი ფარდები, სავარძლები, განჯინები და ფორტებიანო. რა საცეკვაოა და როგორაა გაუქმებული! ასეთი ბინის უქმად დატოვება, როგორ იქნება? რამდენი ხანია, აქ აღარ ვყოფილვარ! შენი და, ნინო, ცივი ქალია, მიუყარებელი! ვერ გამიგია, რა დაეუშავე! მხედებოდა, მაგრამ, თითქოს, არც კი მცნობდა! განა ჭორები დასაჯერებელია? მხოლოდ სულელებს შეუძლიათ დაიჯერონ ჭორები! და მერე, იცი, თამარ, როგორი ჭორები? ჰა, ჰა! — გადაიხარხარა გენრიეტამ და დივანზე დაეკრდა.

— არ ვიცი, გენრიეტა, — მიუგო თამარმა. — მართალია, მეგობრები ვიყავით, ერთ სკოლაში ვსწავლობდით, უნივერსიტეტშიაც ერთად შევედით, მაგრამ ეს აღამიანის გასაცნობად, თურმე, ცოტაა. შენზე ცუდი ხმები გავრცელდა,

უწესო ქალის სახელი შეგარქმევს და შემეშინდა. მეც ძველებურად ვეღარ გზედებოდი.

— უწესო ქალი? — თითქოს გულმოსულად წამოიძახა გენრიეტამ, — ვინც ცოცხალია და სიცოცხლეს ეტრფის, მას ამცირებენ, ყოველგვარ უმსგავსოებას უგონებენ! მეტი რა საქმე აქვთ ქვეყნის ჭორიკანებს! მათ შურთ, რომ ჩვენ ვცოცხლობთ, გვეტრფიან, მოეწონვართ. — სიტყვა „ჩვენით“ გენრიეტამ თამარის გვირდით დააყენა თავისთავი და აგრძობინა, რომ საჭიროა „ჭორიკანებს“ ყური არ უგდო, მით უმეტეს, რომ ჩვენს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობსო.

— არაფერი არ ვიცი, გენრიეტა, იქნებ მართალი ხარ და ყველაფერი ეს ჭორია, მაგრამ გამოძიებისათვის დროც არა მქონდა... შენ ამბობ, „ვინც სიცოცხლეს ეტრფისო“... რას ნიშნავს ტრფობა? ვის უნდა ეტრფოდე, გენრიეტა? — ჰკითხა თამარმა.

— ვის? რას ჰქვია — ვის? სხვებს კი არა, მე ჩემს თავს ვეტრფი, მაგრამ, თუ ვინმე ჩემი ტრფიანობის ღირსი გახდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჩემი თანაგრძნობა დაიმსახურა, ასეთი აღამიანი სიყვარულის ღირსია.

— მერე შენ, გენრიეტა, თანაგრძნობის მიხედვით ანაწილებ სიყვარულს? განა ამას სიყვარული ჰქვია?

— სიყვარულს კი არ ვანაწილებ, ვინც ღირსია მეც ის მიყვარს. საერთოდ კი მამაკაცების არაფერი დაიჯერო, ჩემო დაიყო...

— არაფერი მესმის, გენრიეტა, სულ დავიბენი. ისე ლაპარაკობ, რომ ვერაფერი გაგიგე, რა უნდა გეთქვა. მითხარი, რატომ გაგიტყდა სახელი?

— ჰა, ჰა, — თითქოს გაიცინა გენრიეტამ, მაგრამ ეს სიცილი სწრაფად შეაჩერა: — სახელი გამიტყდა! უპატიოსნობას მწამებენ! შენც ასეთად სთვლი შენს მეგობარს? განა ეგრე დაგარწმუნეს, ჩემო თამარ? — სიტყვა

გაატყობილა გენრიეტამ: — ო, როგორი მეგობრები ვიყავით და როგორ გავითიშეს! ჩვენი მეგობრობის მოშურნეებმა გავითიშეს, თამარ, მაგრამ, დამერწმუნე, ახლა უფრო მიყვარხარ! მომენატრე და შენთან ყოფნა მომინდა. ახლა ვიგრძენი, თუ როგორ მიყვარხარ, უშენობა გამიჭირდა, ჩემო ყვავილო! სკოლის მეგობრებმა ერთმანეთი თუ ველარ გავიგეთ, სხვა ვინდა გავიგებ? რაც არ უნდა მოხდეს, ერთმანეთი არ უნდა მივატოვოთ და არ დავივიწყოთ, თორემ ორივე წავაგებთ. გაჭირვებისას მარტო ვიქნებით. მართალია, შენ ბევრი მეგობარი გყავს, მაგრამ ჩემსავე ერთგული არ გეყოლება.

— განა დამავიწყდი? — უფრო თბილად უთხრა თამარმა: — ცხადია, მეც მეგობრობა მწადაია, მაგრამ შეშინია. სახელის გატეხას სიკვდილი მიჩვენებია და ვერიდები.

— მეგობრობაც იმას ჰქვია, ჩემო თამარ, რომ, თუ მე ცუდს გავაკეთებ, შენ გამაფრთხილებ, შენ თუ ცუდს ჩაიდენ, მე გაგაფრთხილებ და ორივე მოგებული ვიქნებით. თუ ენატანიებს ყური ვათხოვთ, ცხოვრება მოგვეწამლება, ხელფენშეკრული და ენადამბული დავიხრჩობით. ასე არ არის? — ისევ შეეკითხა გენრიეტა თამარს და თვალი ჩაუკრა.

— რა ვიცი, გენრიეტა, — უთხრა თამარმა, სავარძელში გადაიქცა, დიდრონი თვალები ნახევრად მოჭუტა და გაირინდა.

გენრიეტა გათამამდა. ცდილობდა თავის სიტყვებისათვის მეტი მიმზიდველობა და ხალისი მიეცა.

— ასე და ამრიგად, ჩვენ ისევ ძველი და ახლობელი მეგობრები ვართ. დღევანდელი დღე ჩვენი განახლებული მეგობრობის საზეიმო დღედ უნდა ჩავთვალოთ, ჩემო თამარ, ჩემო პატარა მეგობარო! პატარა იმიტომ ხარ, რომ პატარაობიდანვე შემიყვარდი და მინდა ასეთივე პატარები დავრჩეთ ერთმანეთისა-

თვის. ასე არა ჯობს? — იკითხა, მაგრამ პასუხს არ დაუცადა, წამოდგა და თამარს ხელი მოხვია.

თამარი ამ ხელმა უცბად შეაერთო. გენრიეტა მოიშორა და თითქმის ზიზლით მიაჩერდა. ასე კარგახანს უცქირეს ერთმანეთს.

გენრიეტას უმოძრაო თვალებს არაფერი აკრთობდა, მხოლოდ თამარმა ველარ გაუძლო, შეიმშუშნა, ხელები დაუცვივდა და თვალი მოარიდა.

გენრიეტა წამოდგა, თანჯარასთან მივიდა, ჩამოჯდა, თავზე ხელები შემოიჭლო და, თითქოს ტირისო, სლუკუნე მორთო.

— რა მოგდის, გენრიეტა? ტირი? მაპატიე. უნებლიედ გაწყენინე, არა, ჩემი ბრალი არ არის! უნებლიედ მომივიდა. მაპატიე! არა გრცხვენია? დაჩუმიდი, გენრიეტა! — გულწრფელად ამშვიდებდა თამარი თავის ძველ მეგობარს; ეგონა, მართლა ტირისო, და გული უკადებოდა, რომ აწყენინა.

— რა დავაშავე! რად შემიძულე! რატომ გამწირე! — ამბობდა გენრიეტა, თანაც ცხვირსახოცი თვალებს ისრესდა.

— გაჩუმიდი, კარგი! განა ისეთი რა გაწყენინე! მაპატიე! დავრწმუნდი, რომ მართალი ხარ, ჩვენ ისევ მეგობრები ვიქნებით!

გენრიეტამ შეანელა სლუკუნი. უეცრად თამარს კატასავით ჩაეკრა, მკლავები მოხვია, ჩაიხუტა და კოცნა დაუწყო.

თავის ძველ მეგობარზე ბოლო დროს შექმნილი წარმოდგენა თამარს ჯერ კიდევ ვერ გაეფანტა სავსებით, ამიტომ გენრიეტას ყოველ კოცნაზე ინსტინქტურად კრთოდა, უსიამოვნოდ იშმუშნებოდა, მაინც ითმენდა, თუმცა გენრიეტას ამ გრძნობას აღარ უმხელდა.

— შენ ყველაზე მეტად მიყვარდი, გაღმერთებდი, ყველაფერს შეუვრიგდი, მაგრამ უშენობას ველარ გავუძელი! — იძახდა გენრიეტა.

— კარგი ახლა, დამშვიდდი, თავი აწიე და რამე მითხარი! — სთხოვა თამარმა.

— ვტირი, მაგრამ არაფერია. ეს სიხარულის ტირილია. მოკლული გული გამივცოცხლე, გამახარე, თამარ, რომ დამიბრუნდი. აღარ ვიტყვებ, არა, აღარ ვიტყვებ.

— გენრიეტა, ასე რად გამოიცივლე? — მცირეოდენი ღუმლის შემდეგ შეეკითხა თამარი. — გახდი, ფერიც აღარა გაქვს. რა დაგემართა?

— განა არ გვერა? უმეგობრობას ვეღარ გავუძელი. — მარტო დავრჩი და ამან მომტეხა. ახალგაზრდული სინორჩეც ამან წამართვა. სამაგიეროდ ახლა ერთად დავიბრუნებ ყველაფერს, რადგან ისევ შენთანა ვარ.

— ვეცდები, გენრიეტა, არ გაწყენინო. ეცადე საჭორაო მიზეზი არავის მისცე. მერწმუნე, უსაფუძვლოდ სახელს არავინ გაუტეხს აღამიანს, არც ჭორიყანა და არც პატიოსანი. თუ წესიერად მოიქცევი, ჩვენ ისევ ისეთივე მეგობრები ვიქნებით, როგორც ვიყავით. ამოღენა ბინაში მარტოკა დავრჩი და მოწყენილი ვარ, შეგიძლია ჩემთან გადამოხვიდე. ჰო, აგრე, გენრიეტა!..

— განა არა ვთქვი, მეგობრის დარიგება წამალივით შემერგება შენთვის? — შესძახა გახარებულმა გენრიეტამ. — დაგოჯერებ, ჩემო ყვავილო, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ გინდა. სწორედ იმას მეუბნები, ჩემო დაიკო, რაც მომიხდება. ო, ღმერთო ჩემო, რაღა ჯობს ამას! შენთან ვიქნები, ერთად ვიქნებით! — დაიძახა, ხელი მუხლზე იტყია, თავი ისე გადააქნია, თითქოს უტკბილესი რამ სასმელი შესვაო. ცოტა ხნის შემდეგ იკითხა: — შენი დანიშნულისაგან რა გესმის? რასა გწერს თამაზი? სად არის ახლა და როგორ არის?

— ფრანტზე, მეორეჯერ დაჭრილა. როცა მორჩა, მაშინ მაცნობა. გასაოცარი კაცია თამაზი. მე უფრო მიფრთხილ-

დება, ვიდრე თავისთავს. ინსტიტუტის თხოვნით ჯარიდან გამოიწვიეს მაგრამ უარზეა. — გულწინააღმდეგობით წარმოთქვა თამარმა. *გენრიეტა*

— უარზეა? ამას რას ამბობ? — გაიკვირვა გენრიეტამ. — მერე, რას ფიქრობს? განა ტყვია ყოველთვის დაინდობს? მეცოდები, ჩემო დაიკო!

— გეცოდები კი არა... — წყენით წარმოსთქვა თამარმა, — ავკარგი იცის, სინდისს აფასებს. ამისათვის ჩვენ ჯიუტი გვეგონია თამაზი.

— სინდის-ნამუსი კარგია, მაგრამ ტყვია ამას როდი არჩევს, მოგზედა და გათავდა! შემდეგ ეძიე, ვინ იყო სინდისიერი, ან უსინდისო. ყველა თავისთავს უნდა გაუფრთხილდეს, თორემ სხვები რას დაგიდევენ! აგრე არ არის?

— არა, აგრე არ არის! — უკვე გაცხარებით უბასუხა თამარმა. — ყველა ისე რომ მოიქცეს, როგორც შენ ამბობ, მაშინ მტერი აქ იქნებოდა.

— გეწყინა? — მყისვე შეარბილა გენრიეტამ, — მე თქვენთვის ვამბობდი, თორემ... შენთვის და შენი დანიშნულისათვის, ჩემო ყვავილო!

თამარს არ მოეწონა, სიტყვა „დანიშნული“ რომ გაგრძელებულად წარმოსთქვა გენრიეტამ, მაგრამ ამას აღარ გამოეღვენა და მხოლოდ ეს უთხრა:

— გმადლობ, ჩვენ ხალხში ვცხოვრობთ და არ შეგიძლია მხოლოდ ჩვენს თავზე ვიფიქროთ.

— არა, ჩემო თამარი ჩანს უნივერსიტეტში სწავლას შენთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ბევრი რამ შეგისწავლია. მე კი ჩამოვრჩი. — მოჩვენებითი მწუხარებით თქვა გენრიეტამ, თავი დახარა და საჩვენებელ თითზე საფულეს ძეწკვი დაატრიალა, ზედ გადაიხვია.

თამარი წამოდგა, ფანჯარასთან შეჩერდა, ქუჩას გახედა

— გაზაფხული მოვიდა, გათბა ქვეყანა.

— ჩემი გულიც გათბა, დაიკო. — მიუგო გენრიეტამ.

— მე რა გამათბობს, სანამ ომია, შემდეგ კი, ვინ იცის... თუ დამიბრუნდა! მაშინ მე მკითხე! იმ დღიდან დაიწყება ჩემი სიცოცხლე!

— „იმ დღიდან დაიწყება ჩემი სიცოცხლე!“ ჰა, ჰა! — თამარის სიტყვები ეშმაკურად გაიმეორა გენრიეტამ და გაიციხა.— წავედი, კარგად იყავი, ჩემო დაიკო! ხელ გინახულებ.

— ნახვამდის, გენრიეტა! — დაგვიანებით უთხრა თამარმა და გააცილა.

გენრიეტა გავიდა.

„განა შეგარჩენ, მე უწესო ქალი მიწოდო, შენ კი წესიერი ქალის სახელი ატარო? ვერა, მშვენიერო, მალე გაიგებ ვინაა გენრიეტა. ჩემთვისაც საჭირო ხარ და ვერ მოგეშვები“. ფიქრობდა გენრიეტა და სწრაფად ჩარბოდა კიბეს.

თამარი გაოგნებული დაბრუნდა ოთახში. გენრიეტასა და მას შორის გაჩენილი ყინული გატყდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ამ ყინულის ნამსხვრევები არ გამდნარა, ჯერ კიდევ სავსებით არ გამჟღავნა მათ ურთიერთობაში ჩამდგარი სიცივე. ამ რამდენიმე წუთის წინ გარკვეული შეხედულება ქონდა გენრიეტაზე და თავისთავზე. კარგად იცოდა, რას წარმოადგენდა მისი ყოფილი მეგობარი, როგორ უნდა დახვედროდა მას. ახლა კი ამ შეხედულების საფუძველი შეირყა, გენრიეტაზე აზრი გამოიცვალა, მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო მტკივნეული ის იყო, რომ გენრიეტასთან ახლანდელმა შეხვედრამ თითქოს ჩრდილი მიაყენა მის შეხედულებას ადამიანებზე, მათს ურთიერთ ერთგულებაზე, სიყვარულზე და იგი ნანობდა: ნეტავი გენრიეტა სულაც არ ენახა, ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო, არავითარი სულიერი რღვევა არ განეცადა, რომ მის გულში სიყვარულის წმინდა გრძნობა ხელშეუხებელი დარჩენილიყო. მართალია, საკუთარი აზრიც წარმატებით დაიცვა, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი სავსებით შეუბღალავი არ დარჩენილა. ამ ორმაგი გრძნო-

ბით შეპყრობილი, ხან სრულიად უპროოდ სკამებს აქეთ-იქით აწყობდა, მაგიდას აბრუნებდა, ბოლოს მოიქცა და ყველაფერს თავი მიანება. ფხსაცმელი გაიხადა, შორს გადაჰყარა და რბილ ტახტზე მოსხლექით დაეკარა.

მეორე საღამოს გენრიეტა ისევ ესტუმრა თამარს და იმდენი ელაქუცა, იმდენი ეფერა, რომ კვლავ მოუღბო გული. მალე ისინი ხმაშეწყობილად საუბრობდნენ და იცინოდნენ.

— განა ჩვენ, ქალებს, შეგვიძლია მამაკაცის ერთგულებისა გვეკუროდეს? მამაკაცებში შეიძლება გავარჩიოთ კარგი მამაკაცი და შედარებით ცუდი მამაკაცი, სხვა არაფერი, ჰა, ჰა! — იცინოდა გენრიეტა!

— დაჩუმდი, დაჩუმდი, გენრიეტა! აღარ მინდა მოვისმინო! — აფრთხილებდა თამარი. მაგრამ ამ გაფრთხილებაში გენრიეტასადმი გუშინდელი ზიზღი აღარ იგრძნობოდა.

— ამაღამ ჩემთან დარჩი, გენრიეტა, ხომ ხედავ, სულ მარტო ვარ. — უთხრა ბოლოს თამარმა გენრიეტას.

გენრიეტასაც ეს უნდოდა. დილით, როცა იგი წასვლას აპირებდა, თამარს მოხერხებულად შეაპარა:

— ჩემო თამარ, ნება მომეცი, საღამოს ჩემი შეყვარებული მოვიყვანო და განახო. მინდა ვიცოდე, მოგეწონება თუ არა ჩემი საქმრო.

თამარი დაიბნა. ჯერ ვერაფერი უპასუხა.

— განა არა გსურს, შენი აზრი უთხრა მეგობარს?

— ჰო, კარგი, ჰო... — გაფანტულად უპასუხა თამარმა.

— გმადლობ, დაიკო! — დაიძახა გენრიეტამ, კარი სწრაფად მოხურა და კიბეზე დაეშვა.

„არა, არ უნდა მიმეცა ნება. რატომ ვთქვი „ჰო“, სულელი ვარ, სულელი ვინ იცის, რა კაცია! დაეუძახო? დაეუბრუნო გენრიეტა? არა, გვიანაა“.

თამარი შინაგანად გრძნობდა, რომ გენრიეტას აყოლა მისთვის კარგს არაფერს მოასწავებდა; მაგრამ უკვე წინააღმდეგობის გაწევისათვის ძალა აღარ ყოფნიდა. გენრიეტას საქციელში ჯერ მაინც ცუდს ვერაფერს ხედავდა.

„ენახოთ, რას წარმოადგენს გენრიეტა! ახლა გავიგებ, ვისთან მაქვს საქმე“—ფიქრობდა თამარი. „იქნებ მართლა ესაჭიროება ჩემი რჩევა, ჩემი აზრი. რატომ არ უნდა ვნახო მისი საქმრო, რატომ არ უნდა გავიცნო?“

ის დღეც დალამდა.

თამარი სტუმრის შესახებდრად ემზადებოდა.

„უცხო კაცს უბრალოდ ხომ ვერ შევხვდები? უჩაიოლაც ხომ ველარ გავუშვებ?“

სარკესთან შემოტრიალდა, თითქოს ახლა შეხედაო პირველად თავის სახეს, ტანს. ღიმილით გაეპო ბაგე.

როცა გენრიეტას მოსვლის დრომ მოაღწია, სავარძელში ჩაჯდა. უკვე ყოველ წუთს ზარის ხმას ელოდა.

„ნინო გათხოვდა, უკვე პატარა გოგონაც ჰყავს. გენრიეტაც თხოვდება... ჰო, ჩემთვის ადრეა. საქმროც შორს არის. ჯერ უნივერსიტეტიც არ დამიშთავრებია და მოვესწრები“. — ფიქრობდა თამარი და თან რატომღაც მოუთმენლად მოელოდა გენრიეტას და მის საქმროს. მაჯის საათს დახედა. გენრიეტამ დაიგვიანა. დილით იმიტომ დელავდა, რომ გენრიეტას თავის საქმროს აქ მოყვანაზე თანხმობა მისცა, ახლა კი მას ასე გატაცებით ელოდა. რა არის ეს, რით უნდა აეხსნა საკუთარ გრძნობებში გაჩენილი წინააღმდეგობა? განა დილის შემდეგ გამოიკვალა? არა, დილიდან მოკიდებული, უნებლიედ, რაღაც თავისთავად, ისე შორს წაევიდა მისი ცნობისმოყვარეობა და მოლოდინი, მისი ფიქრი და გრძნობა, რომ ვერ მიმხვდარიყო რა ხდებოდა მის თავზე.

ზარის ხმა გაისმა, თამარი წამოდგა, კართან მიიჭრა, რატომღაც ხელი აუთრ-

თოლდა, ორიოდ წამით შეჩერდა, თითქოს მერყეობდა, მერყეოთავს დასძლია და კარი გააღო.

— მობრძანდით! — თამარის მაგიერ მოიბატიეა გენრიეტამ და მამაკაცს შემოუძღვა: — ჟორა, გაიცანი ჩემი უახლოესი მეგობარი, თამარი!

— ჟორა ბალათურაშვილი! — ხრინწიანი ხმით წარმოთქვა სტუმარმა. თამარს ხელი გაუწოდა, მაგრად ჩამოართვა და უტიფრად მიაჩერდა.

თამარი გაოგნებული უცქეროდა საშუალო ტანის სტუმარს, რომელსაც მუცელი წინ წამოსვლოდა, ხოლო მოკლე ხელები მხრებზე ისე ეკიდა, თითქოს პატრონს კი არ ეკუთვნის, ზედ მიუყერებიათო. ვეებერთელა, ფეხებზე ჩექმები ეცვა, მუხლებს არ კეცავდა. მოჭარბებული სიმსუქნისაგან ქროდა თვალები საბუდრიდან ამოვარდნოდა, უცნაურად გამოიყურებოდა და გრძელი წარბების ქვემოთ ჩასაფრებული თითქოს ამბობდა: ხომ ხედავ, სად ამოვსულვართო. თავზე კრაველის შავი ქუდი ეხურა და, როცა ეს ქუდი მოიხადა, მელოტი თავი აპრიალდა. ფეხის ყოველ მოცვლაზე, მისი ვეებერთელა ჩექმები ისე კრიალდებდა, თითქოს ბანს, მოძახილსა და კრიმანქულს ერთად ამბობსო.

— შენ, თამარ, არ იცნობ ჟორას, მართალია, სახელი „ჟორა“ მის მოყვანილობას არ შეეფერება, მაგრამ, როცა გაიცნობ—რა კაცია, მაშინ მიხვდები!—უთხრა გენრიეტამ თამარს დამაშშვილებელი კილოთი.

ჟორამ, თითქოს გაიცინაო, პირი დაალო და უაზროდ ახარხარდა. ხახა გამოაჩინა, ხრინწიანი ხმაც ამოუშვა, მერე პირი უცბად მოკუმა და გაჩუმდა.

— დაბრძანდით! — სკამი შესთავაზა თამარმა.

გენრიეტამ ქუდი მოიხადა, ტახტზე მიაგდო და მაშინვე სუფრის გაშლას შეუდგა. იგი თითქოს თავის ოჯახში ტრიალებსო, ისე ფაცურობდა, აღებდა განჯინებს, შედიოდა სამზარეულოში, სა-

კუქნაოში. რამოდენიმე წუთში ჩაიდანო ადულდა, ტაფაზე ზეთი აშიშინდა. გენრიეტამ სტუმარი და თამარი სუფრაზე მიიწვია.

სვამდნენ ჩაის და საუბრობდნენ. ყოველ ამბავს გენრიეტა იწყებდა და ამთავრებდა.

თამარი უფრო შეკითხვებზე უბასუხებდა.

ჟორა თითო-ოროლა სიტყვას წამოიძახებდა, გაიღიმებდა, ტუნს ისევ სწრაფად მოკუმავდა და ხელში ჩამალული ჭიქით ჩაის ხვრებდა.

— თამარ, იცი რა თანამდებობის კაცია ჟორა? არტელის თავმჯდომარის მოადგილეა. აი, დახედე რანაირი ფეხსაცმელი იყერება მის არტელში.—უთხრა გენრიეტამ თამარს და ფეხი გაუშვირა. მას კოხტად შეკერილი ლაქის, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

— კარგი თანამდებობა გქონიათ, ბატონო ჟორა! — უთხრა თამარმა.

— მასეთები კი არა, აი, ასეთებიც მოგვეპოვება! — თავმოწონედ უბასუხა ჟორამ და ჩექმები ააჭრაკუნა.

— ჩექმები! — გადიცისკისა გენრიეტამ. — ვის რად უნდა, ჩემო საყვარელო ჟორა, თქვენი ჩექმები. ჩვენ ასეთი კოპწია ფეხსაცმელი გვესაჭიროება — ლაქის, ან ზამშის. არა, თამარ? — მიუბრუნდა თამარს. — შენ რომელი გინდა, პირიმე?

— მე? — დაიბნა თამარი. — მე არ ვაპირებდი ფეხსაცმლის შეკერვას... რა ღირს თქვენთან ფეხსაცმლის შეკერვა, ბატონო ჟორა?

— ჩვენთან თქვენისთანა ანგელოზებისათვის უფასოდ კერავენ...

— ჰა, ჰა, ჟორა! — გადიცისკისა კვლავ გენრიეტამ. — შეჩვენებულს ჟორა! ანგელოზებისათვის. ანგელოზებს ფეხსაცმელი რად უნდათ, შე დაღუპულს! თამარსაც წასკდა სიცილი.

ჟორას თავი აეწია, პირი გაეღო და თითქოს იცინისო, ხიხინებდა. როცა იგრძნო, რომ ქალების სიცილი მისდამი

დაცინვის ელფერს იღებდა, პირი მოკუმავდა. მოილუშა და გაირინდა...

ჩაის შემდეგ კარგა ხანს ისაუბრეს. გენრიეტას თავი ატკივდა. წამოდგა.

— თამარ, მოისვენე, დიკო! ჩვენ უნდა წავიდეთ, ხვალ მოვლენ და ანგელოზს ფეხის ზომას აუღებენ. — უთხრა თამარს გენრიეტამ.

— მე მინც არ მითხარით, რა ელირება. — მიმართა თამარმა ჟორას.

— ანგელოზები ფულს არ იხდიან. პირიმე. — შეაწყვეტინა გენრიეტამ და პირველი გავიდა კარებში. — წავიდეთ, ჟორა. — უბრძანა ჟორას. ჟორა აჩრდილივით გაყვა უკან.

თამარი გაბრუებულივით შემობრუნდა ოთახში. არ მოეწონა ჟორა. არც გენრიეტას ქცევა. ნანობდა, რომ მიიღო ისინი, მაგრამ გვიან იყო სინანული. სუფრა არ აულაგებია. დაწვა. ძილი არ ეკარებოდა. მაჯლაჯუნასავით ეღვავებოდა ჟორას სახე. რა საერთო უნდა ჰქონდეს გენრიეტას ასეთ კაცთან! ნუთუ მართლა საქმროა?

გვიან ჩაეძინა.

ღილით გენრიეტას ფეხის ხმამ გამოადვიდა. არ ესიაშოვნა. „რატომ მივეცი გასაღები“ — გაიფიქრა და წამოდგა. მაგრამ სასტუმროში გასვლა ვერ გადაეწყვიტა, თვითონაც არ იცოდა, როგორ შეხვედროდა გენრიეტას, რა ეთქვა მისთვის. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ის იყო კარი უნდა გაეღო და გასულიყო, რომ გენრიეტამ დაასწრო, კარში თავი შემოპყო, გაიღიმა და შემოვიდა:

— თამარ, როგორა ხარ? რატომ ეგრე გვიან გამოიღვიძე? შენი დანიშნული ზომ არ გესიზმრა? — მიაყარა კითხვები.

თამარი პასუხს არ აძლევდა, სახეშიაც არ უცქეროდა.

— ავად ხომ არ ხარ, რა მოგივიდა?

— მშვენივრად ვარ, გენრიეტა, — ცივად უბასუხა თამარმა.

— ო, რა კარგია, როგორ მიხარია, რომ იცოდე?

— რა გიხარია?
 — რომ მშვენიერი ქალი მშვენივრად ყოფილხარ!

— გენრიეტა, სიმართლე მითხარი: ვინ არის ის კაცი? იცოდე, აქ აღარ მოიყვანო!

გენრიეტას არაბუნებრივი სიცილი წასკდა, მერე უცბად გაჩუმდა და მწყურაღად შეხედა თამარს.

— არ მოგეწონა? გრცხვენოდეს, თამარ!

თამარს შეებრაღა გენრიეტა, გენრიეტამ ეს შეატყო და დაწკურული თვალები გაახილა.

— ჩემო მშვენიერო! — რაღაც ირონიულად დაიწყო გენრიეტამ, — მართალია ჩემი საქმრო შენსას ვერ შეედრება, გარეგნულად მოუხეშავი და უღამაზოა, მაგრამ სულით იქნებ ზოგიერთებს კიდევაც ჯობდეს!

— ვის გულისხმობ, გენრიეტა?

— ყველას ვისაც ეხება! იქნებ შენს საქმროსაც, ჩემო დაიკო!

— რად ამბობ ამას? — წყენით უთხრა თამარმა.

— იცი, თამარ, მეგობარი ხარ და ვერ ამიტანია, რაც გულში მაქვს დაგიფარო. არ გამამხილო, იქნებ მე ვცდებოდე, მაგრამ ვიცი ჩემს გულწრფელობას ცუდად არ გაიგებ.

— მითხარი, გენრიეტა, — ათროთლებული ხმით უთხრა თამარმა.

— გეტყვი, დაიკო! — ხმა შეარბილა გენრიეტამ, — აკი თვითონ მითხარი: დანიშნულმა ფრონტიდან დაბრუნება აღარ ისურვაო, სთხოვენ, მაგრამ თვითონ უარს აცხადებსო. ამას შენ თამაზის

დიდსულოვნებასა და სამშობლოსადმი ძლიერ სიყვარულს აწერ, მაგრამ მე ასე არ ვმსჯელობ. ასეთი რამ დაუჯერებელია, ჩემო დაიკო... თუ მას შენი სიყვარული აქვს, თუ შენთან ყოფნა ახარებს, განა შეეძლო დაბრუნებაზე უარი ეთქვა და სიკვდილისათვის თავი მიეტყა? არა, ვერ დავიჯერებ!

თამარი გაფითრდა, სარკმელს მიეყრდნო, სიტყვა ვერ დასძრა, კარგა ხანს იყუნა, შემდეგ თითქოს ძალა მოემატა, გენრიეტას მკაცრად მიაჩერდა თვალებში.

— დამეკარგე, დამეკარგე! — ათროთლებული ხმით შესძახა გაფითრებულმა.

— თამარ, რა დაგემართა, ჩემო საყვარელო!... შენი გულისათვის გეუბნები სიმართლეს! დამშვიდდი! შენმა სიყვარულმა მათქმევინა მე სისულელე-მაპატიე, მაპატიე!

თამარი გენრიეტას გაკვირვებით მიაჩერდა:

— გენრიეტა!

— არაფერია, ჩემო დაიკო! აკი გითხარი სულელი ვარ მეთქი, წამოეროშე! წამოვყარანტალე... ო, როგორ შემაშინე, ჩემო დაიკო!

— იქნებ შენ მართალი ხარ, მე კი ვცდები, გენრიეტა.—თქვა ცოტა ხნის ღუმილის შემდეგ თამარმა და საწოლზე ჩამოჯდა.— მოდი, დაჯექი ჩემთან, იქნებ მართლა...—სიტყვა ვერ დაასრულა, თავი ბალიშში ჩარგო და აქეითინდა.

ამ დღიდან გენრიეტა უფრო ღრმად შეიჭრა თამარის ცხოვრებაში და ნელ-ნელა ანადგურებდა მეგობრის გულში თამაზის სიყვარულის ფესვებს.

(გაგრძელება იქნება)

რატომღაც მათ



საქვებთან ჯგუზურად გმირებია,
„პობედებმა“ მიაბაღვლეს სოფელს.
მთისკაცები გმირებს გაუკვირებია —
ელიმებათ

ვარსკვლავიან
შოფრებს.

მუხურს ზემოთ საოქუმოს ყანებია,
სიმინდები წამოშლილან ჭალით.
კაცის თვალი ყანას გაუხარებია —
ყანა თუ ცხენოსანი ჯარი!
ტაროები ძელებივით გახიდულან —
ზოგი — ალთას, ზოგი კიდევ — ბალთას.
ფრთავაშლილი ზოგიც დაღმა
დაკიდულა, —

ვით ფრინველი

მონადირის ჩანთას.

საქვებთან ჯგუზურად გმირებია,
„პობედებმა“ მიაბაღვლეს სოფელს.
მთისკაცები ყანას გაუკვირებია —
ელიმებათ

ვარსკვლავიან
შოფრებს.

„როცა ოქუმში დასახლდა კაცი,
როცა აქ დადგეს ფაცხა პირველი,
იყო შამხარის დუმილი მკაცრი
და მყუდროება გასაკვირველი.
დაწლივინებდა გვეშებელი
ტახი ლაქაში ამოლუპული.
სწუხდა უსიერ ღამეში სული,
სწუხდა კაცი და სწუხდა სულდგმული.
მერე, ფაცხების უდაბურებას
როცა ეწვივნენ მურზაყანები,
გაბერწებელი სწუხდა ბუნება,
სწუხდა კაცი და სწუხდა ყანები.
რიულზე გაჩნდა აცმა პილაპილის,

გამწარებული სიცოცხლის ნიშნად...
მაშინ ინატრა კაცმა სიკვდილი,
ან ქვეყანაზე ამოსვლა მზისა...“

ასე ჰყვებოდა ასიწლის კაცი
და რატომღაც უსმენდნენ მოხუცს.
თქვა ჯგუზურიამ: — ბელადის აზრი
მზისებრ დაადგა პატარა ოქუმს.
წინ გაგვიძეხი, მოხუცო კაცო,
ხედავ, მამულმა გამოიღვიძა
გმირთა არტელი სტუმრებს გავაცნოთ.
ვაჩვენოთ ტყბილი ოქუმის მიწა...
გზაზე ჰხედებოდათ წაბლის ოდები
კოლხურ ვარდების გაშლილი ჯარით.
ერთგან აკენის ჩვილს დაფნის ტოტებით
მზეს უჩრდილავდა ყმაწვილი ქალი.
ჩვილს მიაშტერდა ასიწლის კაცი,
მამულის ტრფობით დაუღალავი,
და თქვა მოხუცმა: — ერგება ყმაწვილს
სტუმრებისა და ჩემი საღამი.
მთლად მოიარეს ღურჯი სერები,
და მთისკაცები ვერ დარჩნენ უხმოდ;
სერები იყო გასაშტერები —
სტუმარმა სტუმარს ოქუმი უქო.
პირველად ნახეს ჩაის ფურცელი
და თხემლის წვერზე შავი ყურძენი.
კაცის სიმაღლე ნახეს თამბაქო
და მთელდღეს ჰქონდათ სალაპარაკოდ —
ეგ რომ რაქაში მოგვყავანია,
ხალხს შეგვიყრიან, ვადირვეიან...
გინდ ეგ თამბაქო მოგიწევია
გინდა — ხვანჭკარა დაგილევია...
მზე იყო ცაში ამოფრენილი
და ყველაფერი ცურავდა მზეში,
და ჰქონდათ სტუმრებს გამოტენილი
ჯიბე „სამსუნის“ თამბაქოს თესლით.

ლილ გზაზე *



3

ნესტორმა და თამაზმა ციტრუსების სანერგე ინახულეს და სანაპირო ქუჩაზე გამოვიდნენ. ნესტორი დაწვრილებით უხსნიდა თამაზს, თუ რომელ ნაკვეთზე, როდის რა იყო დარგული, თუ რომელ წელს როგორი ყინვა იყო და რა გავლენა მოახდინა ციტრუსებზე. უზიარებდა ნარკიაში შექმნილ გამოცდილებას.

ამ ლაპარაკში ელსადგური დაათვალიერეს. მეთევზეთა ბრიგადის ბინებს ესტუმრნენ — ნახეს საწყობი, სადაც განიერ კასრებში თევზებს ამარილებდნენ. თევზსაჭერ ხელსაწყოთა საწყობის ერდოზედაც ავიდნენ. აქ აბრეშუმის ძვირფასი ბაღეები მზეზე გაეფინათ.

ჭადრებქვეშ ფეხმორთხმულ მეთევზეებსაც გამოელაპარაკნენ, ისინი ზუთხსაჭერ ანკეებს სწვერავენ.

დილის ათი საათი იყო, როდესაც ნესტორმა აფთიაქის ეზოს კიშკარი შეაღო.

— ვაი თუ ძილი დავუფრთხოთ ჩვენს მადონას! — ჩაილაპარაკა და უღვაშებში ჩაიცინა.

— მადონა? მადონა ჰქვია ფარმაცევტს? — იკითხა თამაზმა.

— არა, მედეა ჰქვია, მაგრამ ნარკიელებმა რატომღაც მადონა შეარქვეს.

— ალბათ, ლამაზია და იმიტომ.

— არც ულამაზოა. — სახლს მიახლოებულმა ნესტორმა ნაბიჯს მოუკლო და ხმა დაიდარბლა. — სიმართლე რომ ითქ-

ვას, მედეა კარგი ადამიანია, მაგრამ მეტისმეტი გრეხიაა და, ხომ იცი, სოფლისა, და მით უმეტეს, ახალი სოფლის ამბავი? მედეა თავისებური ქალია, ამპარტავანი, პრანჭია. დღეში ორმოცჯერ იცვლის კაბას. მაგრამ ამავე დროს შრომისმოყვარე და გულისხმიერია.

ნესტორმა და თამაზმა კიბის პირველ საფეხურზე შესდგეს ფეხი, როცა ოთახიდან აივანზე გამოსასვლელი კარი გაიღო და მედეა გამოჩნდა.

თამაზი განსაკუთრებული ყურადღებით დააცქერდა ქალს. მას შავი თვალები ჰქონდა, კეფაზე დახვეული, შედებილი თმა ოქროსფერად უბრწყინავდა. ისედაც შავი წამწამები ისე მოჩანდა თითქოს საგანგებოდ სათითაოდ დაუყვიათ და ზედ შურის ფიფქი მიუყრიათო. მშვილდით მოლუნული და შეპარსული წარბები თეთრ შებღზე მიხატულსა ჰგავდა.

— როგორც იქნა, გადაერჩით ნარკიელების საყვედურს, აი, ახალი აგრონომი, იცნობდეთ! — აივანზე ასვლისთანავე მიმართა ხუმრობის კილოთი ნესტორმა, მედეას.

თამაზმა უხმოდ, მაგრამ ისეთივე დიმილით, როგორითაც ნესტორი იღიმებოდა, ქალისკენ გაიწია.

— დიდად სასიამოვნოა, ჩემო ბატონო, — ოდნავგასაგონად უპასუხა წამწამდახრილმა ქალმა და ხელი ნაზად გაუწოდა.

მედეა სტუმრებს აფთიაქში შეუძღვა. აქ ფანჯრებიდან შემოჭრილ შუქზე იატაკიც კი ბზინავდა. ოთახს გამრჯე ადამიანის ხელი ემჩნეოდა. ყველაფერი

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 9.

პრიალებდა, ყველგან მყუდროება სუფევდა.

მედემ ნესტორი და თამაზი აფთიაქში დატოვა და უკანა ოთახში გავიდა.

— მარტო ცხოვრობს მადონა? — ჰკითხა ნესტორს თამაზმა.

— მარტო. ავი გითხარით მედუა შრომისმოყვარე... — ნესტორმა სათქმელი ვერ დაამთავრა. ქალმა კარი შემოაღო. მას ახლა განიერსახელოებიანი გრძელი, ყავისფერი ხალათი ჩაეცვა.

ნესტორი და თამაზი ეზოში ჩავიდნენ, ქალმა კიბეზე ჩააცლია სტუმრები, ბოდიში მოიხადა და სახლში შებრუნდა.

თამაზმა მედეას თავისებურ ხასიათს მიაწერა მათი მიტოვება, ხოლო ნესტორი მიხვდა, რომ დიასახლისს სამზარეულოში ეჩქარებოდა.

კიბესთან მდგარი ხე, რომლის კენწეროც სახლს სახურავამდე სწვდებოდა, თამაზს არც კი შეუნიშნავს, როცა ის აფთიაქის ეზოში შევიდა. აღბათ მაშინ მთელი ჩემი ყურადღება მედემ მიიპყრო — გაიფიქრა, როცა ნესტორმა ხეზე მიუთითა და ჰკითხა:

— როგორ მოგწონს?

მაღალი, მსხვილი ნაყოფით დახუნძლული ხე, ტანმსხვილ მუხასავით იდგათუ მის გვერდით ტანმორჩილ ლიმონის ხეებს ზღვიდან მონაბერი სიო არხევედა, ის წელში ამაყად გარმართულიყო და ოდნავადაც არ ინძრეოდა.

— რას იტყვი, ყმაწვილო? — გაუმეორა კითხვა ნესტორმა, მერე ხის კენწეროს ამაყად ახედა, უღვაშებზე ხელი გადაისვა და ხეს დინჯად შემოუარა.

თამაზმა ღიმილით გადახედა ლიმონის პლანტაციას და, როცა ნესტორი მიუახლოვდა, უპასუხა:

— საოცრად აუყრია ტანი, ნაყოფიც ბევრი მოუხსამს, მაგრამ...

— შარშანწინ ვაზეთ „პრავდას“ რედაქციის ბრიგადა გვესტუმრა. ამ ხეს რომ შეხედეს, განცვიფრდნენ. სურათიც გადაიღეს ამისი. დაწერილებით გამოგვიკითხეს მისი ბიოგრაფია. მედეას

სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ის უღლის ამ გოლიათს.

ერქივსული

— ამ ხეებზე რაღა თქვეს? ჰკითხა თამაზმა ნესტორს და დაჩივებულ ლიმონის ხეებს გადახედა. — ასეთ პლანტაციის ფონზე ამ ხის სურათის გადაღება არც ისე იოლი საქმე იყო.

— მართალი ხარ. — მიუგო ნესტორმა თამაზს. — ამ დაყინებული ხეების ფონზე მარტო ეს ერთი ხე მართლაც სამარცხვინოდ გამოიყურება. ამის შესახებ მთელი წერილი დაბეჭდეს იმ კორესპონდენტებმა... მედეას დღემდე ვერ მოუწვდებია ეს ამბავი.

— ამ საქმეში მედეას არ მიუძღვის იმდენი ბრალი. — თქვა თამაზმა.

ნესტორმა სიტყვა ჩამოართვა.

— რამდენიც ჩვენ, არა? გეთანხმები, თამაზ. იმედი გვაქვს, ახალი აგრონომი გამოასწორებს ამ შეცდომას.

— ახალი აგრონომი ეცდება. — გაიღიმა თამაზმა და განაგრძო: — მართალი რომ გითხრა, მარტო აქ როდი ხდება ასეთი ამბავი. ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები მთელ ძალღონეს ალევენ სანიმუშოდ გამოყოფილ ნაკვეთებს, ჩიტის რძესაც არ აკლებენ თვითთული მცენარის ძირს, რომ რაიონის ხელმძღვანელების თვალში ამ ნაკვეთებით გამოიჩინონ თავი.

ნესტორი ყურადღებით უსმენდა თამაზს.

— კიდევ მეტს გეტყვი, — განაგრძობდა თამაზი. — ასეთი ამხანაგები თავს ევლებიან მხოლოდ წარჩინებულ კოლმეურნეებს და სხვებზე კი ნაკლებად ფიქრობენ. არ ეხმარებიან ახალგაზრდებს...

— მართალი ხარ, მეგობარო, გვხვდება ასეთებიც, მაგრამ ამაში ჩვენც, რაიონის ხელმძღვანელებსაც მიგვიძღვის ბრალი.

ამ საუბრით პლანტაციის მეორე კუთხეს მიუახლოვდნენ. ამ დროს აივანზე

მედვა გამოვიდა და საუზმეზე მიიპატიეა ისინი.

4

იმ ოთახიდან რომელშიც მედეას სუფრა გაეშალა, ტანმსხვილი, ტოტეზგანიერი ჰადრების ჩრდილი მოჩანდა. ხე მდინარის ნაპირზე იდგა. აქედანვე მოჩანდა ზღვა და ძველი დანგრეული ციხე.

ღიასახლისმა თამაზს მკლავში ხელი გაუყარა და მაგიდასთან მიიყვანა.

კუთხეში კენტად მდგარი ნიკელის საწოლი მოწმობდა, რომ ეს მედეას საწოლი ოთახი იყო. აქვე იდგა სასაღილო მაგიდა და წიგნის კარადა. კარადის თავზე თუთიყუში შესკუპებულიყო. იგი მედეას თვითელ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა.

ღიასახლისმა ცხელი ელარჯი და მაწონი ჩამოალაგა.

— მიირთვი, თამაზ! — უთხრა ნესტორმა თამაზს, — შეხედე, როგორ იწელება! — ჩანგლით ერთი ლუკმა განაცალკევა და მალა ასწია, ცხელ ღომში უხვად შეზელილი ყველი სიმებრით გაიბა ჩანგლის წვერსა და თეფშს შორის.

თამაზმა ჩანგალი აიღო.

— ჩვენი სტუმარი რატომღაც უგუნებოდ არის. — გაღაულაპარაკა მედეამ ნესტორს თამაზის გასაგონად და არყის ჭიქები შეავსო.

— რას ბრძანებთ! — უპასუხა თამაზმა, — პირიქით.

— სტუმარი! — გააჯერა ნესტორმა ღიასახლისი, — სტუმარი ახლა მე ვახლავართ, მე ვარ პატივსაცემი, თორემ თამაზი... თამაზი უკვე მასპინძელია.

— თქვენ რატომ არაფერს არ მიირთმევთ? — ჰკითხა თამაზმა მედეას, რომელსაც ჯერ კიდევ სუფთა თეფში და დანაჩანგალი ელაგა წინ.

— ჩემი საუზმე, როგორც კანონი, ერთი ჭიქა რძე, ანდა ორი თიხლო კვერცხი გახლავთ. — უპასუხა ქალმა

და მარაოსავით გამოლილი წამწამებდახარა.

— ასე ცოტა? — ჰკითხა ნესტორმა ბულმა თამაზმა.

— ამაზე მეტი ღმერთმა დამიფაროს! ბევრი ჭამა აღამიანს ასუქებს. ამაზე მეტად რომ გავსუქდე, სიცოცხლე ხომ შემჯავრდა? — მედეამ ირიბად გახედა თამაზს და გაინაბა.

— საკვირველია, ღმერთმანი!

— შენს საქმროს უხაროდეს, შენი შენახვა ძვირი არ დაუჯდება. — სიცოცხლით ჩაუტოთ სიტყვა ნესტორმა.

— კარგი, მაგრამ ნორმალური კვების გარეშე განა შეიძლება აღამიანი ჯანმრთელი იყოს?! — თამაზი წამოდგა და კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მედეამ არ დააცალა.

— განა ჯანმრთელობა ბევრ ჭამაშია?

მედვაც წამოდგა. ნესტორიც აპყვა.

— სამწუხაროდ, ახლა კამათის დრო არ არის!.. მაგრამ მე ნორმალურ კვებაზე მოგახსენეთ და არა ბევრ ჭამაზე.

— ჰო, ამაზე შემდეგ. ახლა კი უნდა წავიდეთ, თორემ შავო თუ აყვირდა... — სიცოცხლით წამოიძახა ნესტორმა და კარს მიაშურა.

ისინი კიბეზე დაეშენენ, ეზოში ცოტახანს შეჩერდნენ, რომ ღიასახლისს გამომშვიდობებოდნენ.

აივანზე მედეაც გამოჩნდა.

ქალს უცნაურად აპრელებული ქუდი ეხურა. ასეთი ყაიდის ქუდი მხოლოდ იპოდრომზე უნახავს თამაზს, ყოველს რომ ეხურათ.

— თქვენ საით, მედეა? — შეეკითხა ნესტორი.

— მე საავადმყოფოში მაქვს საქმე. დიდხანს ხმამაუღლებლივ მიდიოდნენ შარავნაზე ნესტორი და თამაზი.

პირველად სიჩუმე თამაზმა დაარღვია:

— მართლა უცნაური ყოფილა თქვენი მედეა.

— მართლაც რომ თავისებური ქალია. უცნაურივით, იტყვის ადამიანი, მაგრამ ამავე დროს ბევრი კარგი თვისება აქვს.

— მაგალითად?

— ერთი შეხედვით ამაყი, უსაქმო და ფუქსავატი ადამიანი გეგონება. სინამდვილეში კი, გულკეთილი, უაღრესად მგრძნობიარე და ამავე დროს შრომისმოყვარეა,—ნესტორმა თანამგზავებს თვალბში ჩახედა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს უნდოდა ეთქვა: მედეა, შენ რომ ფიქრობ, იმაზე უკეთესიაო.

ამ დროს მოსახვევში კოლმეურნეებით სავსე საბარგო ავტომანქანა გამოჩნდა. „ნეტავი, გოგო, მე და შენ“...—მღეროდნენ მგზავრები. ნესტორმა ხელი ასწია და მანქანა შეჩერდა.

— საით? — ჰკითხა კოლმეურნეებს ნესტორმა.

— ზღვისპირა ყანებში, ჩალის ასაღებად, — უპასუხა შოფრის გვერდზე მჯდომმა ახალგაზრდა ბრიგადირმა.

— ანდრო სად არის?

— ბელელშია.

ნესტორმა წასვლის ნიშანი მისცა და მანქანაც დაიძრა.

— ერთი სიტყვით, ჩვენი მადონა შრომისმოყვარე და გულკეთილია, არა? — შეეკითხა თამაზი.

— დიან, შრომისმოყვარე და გულკეთილია — დაუდასტურა ნესტორმა და დასძინა: — ის ამავე დროს თაღლითთან და საქმის ორგულთან მოუბრუნებელი და პირში მოქმელია.

— როგორ მოხდა ის ამ სოფელში?

— ჩვენმა კოლმეურნეობამ მიალბინა მას სპეციალური განათლება და აფთიაქი ჩააბარა. ალბათ, თქვენ ის გიყვართ, თუ საიდან აითვისა მან ეს უცნაური ჩვევები.

— მართლაც, საკვირველია.

— იმას, ვინც არ იცის, თუ რა გარემოცვაში აღიზარდა მედეა, მართლაც გაუკვირდება მისი საქციელი. — უპა-

სუხა ნესტორმა და განაგრძო მეფის დროს მედეას დედამამა თბილისში ცხოვრობდა. ცოლქმარნი ნესტორმა განსხვავდებოდნენ თურქულურთმანქანასაგან. გეოლოგი მამა წყნარი, უაღრესად პატიოსანი და გულისხმიერი ადამიანი ყოფილა. დედა კი უკიდურესი პატივმოყვარე, ამპარტავანი, ცივი და მიუკარებელი. ის თავის ქმრის სოფელში არასოდეს არ ჩამოსულა და, სანამ ცოცხალი იყო, არც მედეას ატანდა მამამისს ნარკიაში. „სოფელში რა სიკეთე უნდა ნახოს ბავშვმაო“ მამა მეტ დროს ექსპედიციებში ატარებდა და მედეას დედამისი ზრდიდა. ბავშვმაც ის ისწავლა და შეითვისა, რასაც გამზრდელი ჩასჩინებდა. — ნესტორმა ამოიხზრა: — ამ რვა წლის წინ მედეას, დედა მოუყვდა. მამამ ნარკიაში ჩამოიყვანა შეილი, მაგრამ რამდენსამე თვეში მოხუციც გარდაიცვალა. მედეას კოლმეურნეობამ გაუწია პატრონობა და, როგორც ხედავთ, გზა გაუკაფა.

— ახლა კი გასაგებია, თუ საიდან მოსდევს ამ ქალს ასეთი პრანკვაგრება.

ისინი ბელლის ეზოს მიადგნენ, შედგნენ და გადაციცებით მომუშავეთ დაუწყეს მზერა.

ანდრო კრებულს გამოეყო, ქიშკრისაკენ წამოვიდა და ახალმოსულთ შესძახა: — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მეგობრებო.



ახალი აგრონომი ჩამოსვლის მეორე დღესვე შეუდგა მუშაობას. როცა ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები, ყანები, სათბურები, სანერგეები და ხეხილის ბაღები შემოიარა, მიხვდა რა დიდ საპასუხისმგებლო საქმეს მოჰკიდა ხელის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

აქ შეეძლო ფართოდ გაეშალა თავისი ნიჭი და უნარი, განეხორციელებინა თავისი მისწრაფებანი, ესწავლა თვითონ და დახმარებოდა სხვებსაც, ესწავლებინა სხვებისთვისაც.

რა ფართო ასპარეზი გადაეშალა შემოქმედების, ძიებისა და ნოვატორობისათვის, ოღონდ იმუშავე, ოღონდ მოინდომე, გააკეთე რამე და ყველა გვერდში ამოგიდგება, ყველა შენთან იქნება. თამაში აქამდე ასე კარგად არ იცნობდა თურმე გლეხის, კოლმეურნის მდიდარ ბუნებას, თბილსა და მოსიყვარულე გულს. მას შემდეგ, რაც ის ქალაქში დაბინავდა, ბევრი რამ გამოცვლილიყო სოფლად. დღევანდელი კოლმეურნეები არ ჰგავდნენ იმ კოლმეურნეებს, რომლებსაც თამაში სოფელში ცხოვრების დროს იცნობდა. სულ სხვა იყო დღეს მათი შრომა, მათი შეგნება,

თამაში ინსტიტუტში შესვლამდე სოფელში იზრდებოდა. თერამეტი წლის ყმაწვილმა საშუალო სასწავლებელი დაამთავრა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შევიდა. აქ პირველი კურსიდანვე დიდი ნიჭი და მუყაითობა გამოიჩინა და ყველას ყურადღება მიიპყრო. ერთგულად და შეუწელებელი ენერჯით ასრულებდა ყოველგვარ საზოგადოებრივ დავალებებს. ეხმარებოდა სწავლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს.

ილეოდა ინსტიტუტში სასწავლო წლები. უხაროდა თამაზს, რომ გაბედული ნაბიჯით წინმიმავალი მიზანს უახლოვდებოდა, მაგრამ ერთი რამ აწყულულებდა მის სიხარულით აღსაყვებულს. ეს იყო მშობლებზე ფიქრი.

ახსოვდა თამაზს მისი დედობილის სიტყვები: დედა შენი სურამშია დასაფლავებული, მამა ცოცხალი უნდა იყოს, მაგრამ სად არის, არაეინ იცისო.

თამაზმა დედის საფლავი ინახულა. კეთილ მეზობლებს ქვის ჯვარზე მიცვალელების სახელი და გვარი ამოეჭრათ.

თამაზს ახალი, ჯერ შეუფრქობი სით-

ბო შეეპარა გულში, როცა მშობლის საფლავი იხილა. ყმაწვილმა არ იცოდა, მშობლიური სიყვარულის ანარეკლი იყო ეს სითბო, თუ დედის საფლავის აღმოჩენით გამოწვეულ გრძნობამ გაუთბო გული, მაგრამ ამ საფლავის ხილვამ რაღაც ახალი, მისთვის უცხო, სათუთი გრძნობა რომ დაბადა მასში, ცხადი იყო.

მამა?

მამა თუ მართლა ცოცხალია და ცოლშვილი ღეთის ანაბარა მიატოვა, ისე, რომ ცოლი მეზობლებს სამადლოდ მიეზარებინათ მიწისთვის — განა გახსენების ღირსია?

იქნებ ზურაბი მდგომარეობამ აიძულა, რომ გადაკარგულიყო? — მაშინ ის ხომ განსვენებულ დედაზე უფრო შესაბრალისია! განა ადვილია მოშორდე ადამიანი საყვარელ ცოლ-შვილს, ოჯახს, საშობლოს?!

დიდხანს დაეძებდა თამაში ზურაბ დევიძის კვალს.

კითხულობდა ზალხში. საქართველოს თითქმის ყველა რაიონი შემოიარა, მოხუცებს ეკითხებოდა მამის ამბავს, მაგრამ ამაოდ. ვერაეინ ნახა მამის ავანჩავანის მცოდნე. სანუგეშო ვერაფერი გაიგო. ბოლოს, როგორც იქნა, ასეთ ამბავს მოჰკრა ყური: ვინმე ზურაბ დევიძე მენშევიკურ მთავრობას გაქცევია 1917 წელს და ირანში გადაბიზნულა ცოლ-შვილით. ეს იყო და, ეს, ამის შემდეგ არც ზურაბი და არც მისი ცოლი არავის უნახავს საქართველოში.

ეს ცნობა არაფერს ამბობდა თამაზისათვის. ის ზურაბ დევიძე 1917 წელს გაქცეულა ცოლ-შვილით საზღვარგარეთ. თამაზის დედა კი 1920 წელს სურამში გარდაიცვალა.

თამაზმა 1941 წელს დაამთავრა ინსტიტუტი. სადიპლომო შრომაც ჩააბარა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა სოფლის გზას ვადგომოდა, თუ ინსტიტუტში დარჩენილიყო, როგორც ამას პროფესორები ურჩევდნენ. მიუხედავად იმი-

სა, რომ გული სოფლისაკენ მიუწევდა, თამაზი მაინც არჩევანში იყო: სწავლა განეგრძო, თუ სოფელს დაბრუნებოდა. ამ დროს როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, ისე თამაზის გეგმებიც შეიცვალა. იგი საბჭოთა კავშირზე ფაქსტუარი ურდობის თავდასხმის მეორე დღესვე გარში გაიწვიეს.

თბილისის რკინიგზის სადგურის მოედანი ხალხით იყო გაჭედლილი. ომში მიმავალთ დიდი და პატარა აცილებდა. საგანგებოდ გამართულ ტრიბუნაზე მოხუცი და ახალგაზრდა ერთმანეთს სცვლიდა. მამები და დედები შვილებს გზას ულოცავდნენ. წინაპართა საგმირო საქმეებზე ელაპარაკებოდნენ. ფიცს სდებდნენ, რომ გაასკეცებული ენერგიით იმუშავებდნენ მინდვრად და ქარხნებში.

საპასუხო სიტყვით გამოსული მეომრები გამარჯვების იმედით აღსავსე ხმით პირობას აძლევდნენ ხალხს, რომ გამარჯვებული დაბრუნდებოდნენ, ან დაიხრცებოდნენ...

ტრიბუნაზე თამაზსაც მოუხდა ასვლა. იგი ლელავდა, დაბნევით ლაპარაკობდა. მას არაეინ მოჰყოლია სადგურში, არც ნათესავი, არც მეზობელი, მაგრამ ისე ეგონა, თითქოს მთელი ხალხი აცილებდა. ტრიბუნიდან რომ ჩამოვიდა, ვიღაც შუახნის მამაკაცი მივიდა მასთან.

— ბოდიშს ვიხდი... თუ შეიძლება ორიოდე წუთით თქვენი ყურადღება მივიპყრო... იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ... — უთხრა და მკლავში ხელი მოჰკიდა.

— სიამოვნებით, — მიუგო თამაზმა ჩვეული ზრდილობით და ყურადღებით მიაკვირდა უცნობს. — რით შემიძლია გეშასაბუროთ?

— თქვენ დევიძე ბრძანდებით, თამაზი, არა? — უცნობმა ისე შეხედა

მას, თითქოს დიდიხნის უნახავ მეგობარს თავი უნდა გაახსენოსო.

— ჰო, თამაზ დევიძე გახლავართ.

— დიახ, თამაზ დევიძე. მე მაშინ გავიგე თქვენი სახელი, ტრიბუნაზე რომ გამოვიძახეს.

თამაზი ყურადღებით შესცქეროდა უცნობს.

— ძალიან ჰგავხართ ერთ ჩემს ნაცნობ დევიძეს... ზურაბ დევიძეს. — უცნობი თვალს არ აშორებდა გამოურყვეველ მდგომარეობაში მყოფ თამაზს.

— ზურაბი!.. ზურაბი მამაჩემის სახელია.

— მართლა? ახლა სად არის? — შეაწყვეტინა უცნობმა.

— მამა? — აღელვებით აღმოხდა თამაზს. — რა მოგახსენოთ, არ ვიცი სად არის, ან თუ ცოცხალია. იქნებ თქვენ იცით რამე?

უცნობმა ნაბიჯი უკან გადადგა და სიხარულით წამოიძახა:

— დიახ, თქვენა ხართ, თქვენ, მე არ შეემცდარვარ, იცით? ზედგამოკრილი ზურაბი ხართ. ის ცოცხალია. ამ რამდენიმე წლის წინათ ვნახე სტამბოლში. თქვენ მას ცოცხალი არ ჰგონიხართ. ოხ, რომ იცოდეს, როგორ გაიხარებს ის კეთილი მოხუცი!

ახალგაცნობილმა თამაზს ყველაფერი უამბო, რაც ზურაბის შესახებ იცოდა. უამბო თუ როგორ გაიციო მან ზურაბი სტამბოლში, თუ რა უბედურებას სწევია საქართველოდან განდევნილი ზურაბ დევიძე, თუ როგორ გამოუსტუმრებია საქართველოში თამაზი ავადმყოფი დედით. ისიც კი უთხრა: ხეიბარს აქამდე შეიძლება არც კი ეცოცხლნა, ძმა და ძმისწული რომ არ სტუმრებოდნენო.

— მაშ, ცოცხალია? ნამდვილად ის არის? ძალზე მოხუცია? — ძლივს აი-მალლა ხმა თამაზმა, შუბლზე ხელი მო-ისვა და, თითქოს ახლა გაერკვა ამ სა-სიხარულო ამბავშიო, მის სახეს სიფით-რე თანდათან მოშორდა და გაუბრ-წყინდა.

— ნამდვილად ის არის. როგორც კი გაიგებს თქვენს ამბავს, ყველაფერს გაჰყიდის და აქეთ გამოემგზავრება.

— დღესვე ვაცნობთ, მაგრამ სად? როგორ? — წამოიძახა სიხარულით აღ-ტაცებულმა თამაზმა.

— სტამბოლში, სხვაგან სად? ზურა-ბის მისამართი თანა მქვს. — უცნობმა პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო და უბის პატარა წიგნაკი ამოიღო...

მიტინგი დამთავრდა.

პერონი ომში მიმავლებითა და გამ-ცილებლებით გაიქცა.

მატარებელი ჩამოდგა.

თამაზი და ახალგაცნობილი შუახნის მამაკაცი სადგურის კავშირგაბმულობის განყოფილებაში შევიდნენ. დეპეშა გა-უგზავნეს ზურაბს და წელი ნაბიჯით მატარებლისაკენ გაემართნენ.

თამაზმა საარტილერიო კურსები ექვს თვეში დაამთავრა და იგი ქვეგანა-ყოფის მეთაურად დანიშნეს. მალე სტალინგრადისათვის ბრძოლაში თავდა-დებისა და მამაცობისათვის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს. სანამ სტალინგრადთან ფაშისტების „უძლევე-ლი“ არმიის მზე არ ჩაესვენა, თამაზი ფრონტის წინა ხაზს არ გასცლია.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარე-ბის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ორ თვეს მისდევდა უკან დახეულ მტერს. ვინ იცის კიდევ რამდენ საგმი-რო საქმეს გააკეთებდა თამაზი საბჭოთა არმიის, რომ მტრის ყუმბარის ნამსხვ-რევს არ დაეჭრა.

სამი თვე ჰოსპიტალში გაატარა და განკურნების შემდეგ კიდევ ფრონტი-საკენ გაუწია გულმა, მაგრამ მთავრო-ბის დადგენილებით, სოფლის მეურნეო-

ბის სხვა სპეციალისტებთან ერთად, ისიც საქართველოში გაქროსტუმრეს.

სამშობლოში მიმავლელმა წინი-რად იგონებდა სტალინგრადის სანგრებ-ში გატარებულ დღეებს. აქ, ამ სანგ-რებში დაებადა პირველად აზრი ყინვა-გამძლე ციტრუსის შესახებ.

საქართველოდან საქუქრები მიიღეს მეტროლებმა: ლენინო, თამბაქო, ფორ-თობალი და მანდარინი, ვაშლი და მსხა-ლი. ყველაზე მეტად მანდარინითა და ფორთოხლით მოიხიბლნენ თამაზის ამ-ხანაგები.

— ოხ, რა იქნებოდა, ჩვენშიც — უკ-რანიაშიც რომ ხარობდეს ეს ოქროს ხი-ლი! — ინატრა უმცროსმა ლეტენანტმა მიხეილ კოროტჩენკომ.

„მართლაც, რა დიდებული რამ იქნე-ბოდა!“ — მყისვე გაუელვა თავში თა-მაზს და, აი, მაშინდელმა ფიქრმა მოიყ-ვანა იგი ნარკიაში. თბილისში ჩამოსე-ლისთანავე მან აგრონომის ადგილი ით-ხოვა ციტრუსოვან კოლმეურნეობაში. იგი სამეგრელოში გაგზავნეს.

გამგზავრების დღეს ინსტიტუტში შე-იარა.

ბუდიდან ახალაფრენილი მერცხალი-ვით დანაეარობდა თამაზი იმ დღეებში. წასელას ჩქარობდა. ეგონა, რომ საყვა-რელ ქალაქში გატარებული ერთი დღეც დანაშაული იყო იმ სოფლის წინაშე, რომლის ქალები, მინდვრები, ბაღები მოუთმენლად ელოდა მას.

მატარებელი დასავლეთისაკენ საღა-მოს ექვს საათზე გადიოდა.

რაც უფრო ახლოვდებოდა გამგზავ-რების დრო, მით უფრო მეტი მოუსვენ-რობა ემჩნეოდა. ინსტიტუტის შენობა-ში თითქმის სირბილით შევიდა.

ტანმორჩილი მოხუცი წიგნებით ხელ-ში დერეფანში აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა. ჩამოშლილი თეთრი თმა სუფთად მოპარსულ სახესა და დიდ-სათვალეებს უჩრდილავდა. მისკენ მო-მავალი თამაზი შეამჩნია თუ არა, სახე-

გვერდზე მიიბრუნა და წიგნები ილიაში ამოიღო.

ისინი ოთახის კარებთან შეხვდნენ ერთმანეთს და შედგნენ. მოხუცმა თავი ოდნავ დახარა და სათვალეების ზემოდან ისეთი თვალებით შეხედა თამაზს, თითქოს ჯერ არ ენახა.

— ჩემთან ხართ? — კითხა და პასუხს არ დაელოდა, კარი შეაღო, ოთახში შესულმა უკან მოიხედა. თამაზი კარებში იდგა. დაბნეულობა იხატებოდა მის სახეზე. პროფესორი, საწერ მაგიდასთან რომ მივიდა, შემობრუნდა.

— მობრძანდით! — უთხრა ცივად თამაზს — რისთვის გარჯილხართ, რა გნებაეთ? მიემგზავრებით? მშვიდობით ბრძანდებოდეთ. კეთილი მგზავრობა. გასურებთ წარმატებას. — მივიდა თამაზთან და ხელი გაუწოდა.

— აღეკსანდრე ივანეს ძე! — ოდნავ გასაგონი ხმით წაიღულულულა თამაზმა და დამნაშავესავით შეხედა მოხუცს. — მე ბოდიში მინდა მოვიხადო, მინდა დაგარწმუნოთ...

— დამარწმუნოთ... — შეაწყვეტია პროფესორმა. — რაში? რომ თქვენ იქ უფრო საჭირო ხართ, ვიდრე აქ? — თქვა მკაცრად. — თქვენ ხომ ხართ ამაში დარწმუნებული? ესეც კმარა, დიახ... რა გაეწყობა. აქი გითხარით, კეთილი მგზავრობა მეთქი. — დაჯდა, მაგიდაზე დალაგებული ქაღალდები ერთი ადგილიდან შერეოზე გადაჰქონდა. დელადა.

თამაზი ერთხანს უსიტყვოდ იდგა. შესტკეროდა მოხუცის გაფითრებულ სახეს, მის ხელებს, ოდნავ მოხრილ მხრებს, ხედავდა, გრძნობდა, როგორ დელადა პროფესორი.

— მე არ შეგონა, ბატონო პროფესორო...

მოხუცმა უცებ ასწია თავი.

— რაო, როგორ? ჰო, არც ახლა გვიან. — წამოდგა, თამაზთან მივიდა, ხელი მხარზე დაადო. — გამიგონე, შვილო, შენ აქ ხარ საჭირო, აქ, ჩემს გვერ-

დით, ჩემს კათედრაზე. შენი მომთხოვლი მეცნიერებაა. დაფიქრდი. სოფელში რიგითი აგრონომი... რასაკვირველია ეს დიდი საქმეა. ჭვეყანას ნიქიერი და საქმის მცოდნე აგრონომები ესაჭიროება. მაგრამ აქაც გვინდა ხალხი, რომელიც ჩვენ შეგაცვლის, ჩვენს შემდეგ გაუძლებება... — გააუშოდა უცებ. დაჯდა. — დირექტორს ველაპარაკე გუშინ. — თუ დარჩები, ის შუამდგომლობას აღძრავს მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ დაგტოვო...

— ვერა, ვერ დავრჩები. მე იქ მელიან. არა მაქვს უფლება, როცა იქ ასე საჭიროა კაცი, რომელიც მათ დაეხმარება. ერთ დროს მოწინავე კოლმეურნეობა ჩამორჩენილა. რამდენიმე ასეთი ჰექტარი ჩაისა და ციტრუსის პლანტაცია აგრონომს ელის...

— აქი გითხარი, იქ სხვას ვაგზავნიან მეთქი.

— რატომ სხვას, პროფესორო! მე და ყოველი ჩვენგანი იქ უნდა ვიყოთ დღეს, სადაც უფრო საჭირონი ვართ.

— მაშ, არც ჩვენ უნდა ვიჯდეთ აქ. ყველა მინდვრად გავიდეთ, თოხი დავიჭიროთ ხელში.

— მაპატიეთ, მაგრამ... თუ საჭირო იქნა, თოხსაც დავიჭერ. მე მოგახსენეთ, ვინ სად უფრო საჭირო ვართ, იქ უნდა წავიდეთ მეთქი. ჩემი შეცვლა თქვენს კათედრაზე ყველას შეუძლია. თქვენი კი — არა. ამიტომ მე უნდა წავიდე. იქ ახლა ისეთებია საჭირო, როგორიც მე ვარ.

პროფესორი, თითქოს შეკრთაო, გაირინდა. მერე წამოდგა ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს ეზოს გაჰყურებდა.

შემდეგ მის სახეზე დამკვიდრებული მტკიცე გადაწყვეტილება აღიბეჭდა.

— შრომის ფრონტზე, გინდათ თქვათ.

თამაზმა პირდაპირ შეხედა პროფესორს. მოხუცი მოწონებისა და ალტაცების ღიმილით შეჰყურებდა მოწაფეს.

— დიახ, შრომის ფრონტზე.

პროფესორი ახლოს მივიდა თამაზთან, ორივე ხელი მხრებზე მოავლო და თვალბში შეაცქერდა.

— მე მხოლოდ ჩემს კათედრაზე ვფიქრობდი... მოვხუციდი, ალბათ... ამ ფანჯრებს იქით ვერ ვიხედები.

— პატივცემულო პროფესორო...

— ჰო, ჰო, შეცდა შენი პროფესორი, უნდა მოუტეო. უნდა გაემგზავრო. დიახ, იქა ხარ საქირო. რომ შემეძლოს, მეც, მეც, მაგრამ მე ერთობ მოვხუციდი ამისათვის. ვერ აიტანს ჩემი ძვლები. გიშვებ, განათავისუფლებ, მაგრამ ერთი პირობით... დაუბრუნდები კათედრას.

— პირობას გაძლევთ.

— აბა ნახვამდის. — უთხრა პროფესორმა და მკერდზე მიიკრა თამაზი.

5

უხაროდა თამაზს, რომ სამი წლის თავდაუზოგავმა შრომამ გაუმართლა. უხაროდა, რომ ახლა ციტრუსის არც ერთი ხე შელახული არ იყო. კარგად ესმოდა, რომ მისი მუშაობის ნაყოფმა იმიტომ იჩინა ასე ადრე თავი, რომ სოფელმა თამაზში, ჩასვლის პირველ დღეებშივე, დაინახა, თუ როგორი შრომისმოყვარე და თავისი საქმის კარგი მცოდნე იყო იგი. სხვას რას შეეძლო, თუ არა ხალხის სიყვარულს, რომ თამაზის დაძინებულ მთელი სოფელი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დაეყენებინა. თამაზის თაოსნობით მთელ პლანტაციას ქარსაცავი ზოლი შემოაქვდა. გრეიფრუტისა და ლიმონის ნაკვეთებში ღუმელები ჩადგეს. გაიყვანეს წყალსაწრეტი თხრილები. გაანახარეს გუბურები. გვალვების დროს პლანტაციების მორწყვა გარდუვალ წესად იქნა შემოღებული.

ნარკიას პლანტაციები სანიმუშოდ გადაიქცა მეზობელ კოლმეურნეობათათვის. ამ თავდაუზოგავი და მუყაითი აგ-

რონომის სახელი მთელ რაიონს მოედო. წარჩინებული კოლმეურნეები მოდიოდნენ, რომ თამაზს ენახათ, გასწავლობდნენ მის მუშაობას, ესწავლათ მისგან. ისინი ხშირად ისმენდნენ პარტიის რაიკომის ბიუროზე ნარკიას კოლმეურნეობის ანგარიშს, მის ქებასა და სასახლო შრომის ამბავს.

როგორც ხალხი, რაიონის ხელმძღვანელობაც განსაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით ეყიდებოდა ახალგაზრდა აგრონომს.

თამაზი ხშირად სწერდა წერილს თავის პროფესორს. აცნობდა თავის მუშაობას. რჩევა-დარიგებას სთხოვდა. ალექსანდრე ივანეს-ძეც არ აყოვნებდა პასუხს. მასწავლებლისა და მოწაფის ამ მიწერ-მოწერას ორივესათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა. ნარკიას კოლმეურნეობა სისტემატურ საქმიან ურთიერთობაში იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან.

ყველაფერი რიგზე მიდიოდა კოლმეურნეობაში. თამაზის გულს ყოველდღე ახალ-ახალი სიხარული ემატებოდა. მაგრამ მამაზე ფიქრი მის სიხარულით გაშუქებულ გულს ხშირად მწუხარების ჩრდილს აპარებდა.

პირველ ხანებში თამაზი ფრონტიდან ხშირად სწერდა მამას წერილებს, მაგრამ ზურაბ დევიძის პასუხს ვერ ეღიროს. იმედს მაინც არ კარგავდა თამაზი — იქნებ ომმა, საზღვარგარეთთან საფოსტო კავშირს ხელი შეუშალაო — ფიქრობდა.

მაგრამ ახლა? როცა ომი დამთავრდა, როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, როცა უცხოეთთან ნორმალური ურთიერთობა აღდგა? ნუთუ მომატყუა იმ დარბაისელმა ადამიანმაო, გაუელვებდა ხშირად ფიქრი თამაზს.

ზაფხულის კვირა დღე იყო.

ნარკიელების უმრავლესობა ჩვეულებრივ გაღმა აგარაკზე ისვენებდა.

ზღვაზე იალქნიანი ნავებით დასერილობდნენ მოაგარაკენი.

სანაპიროდან სიმღერა ისმოდა. ციხის ნანგრევებთან ახალგაზრდები ბანაობდნენ.

კოლმეურნეობის გამგეობის წინ კი თთხი მსუბუქი ავტომანქანა იდგა.

სტუმრები დილაადრიან ჩამოსულიყვნენ რაიონის ცენტრიდან.

უკრაინელ კოლმეურნეებს რაიკომის მდივანი და სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ხესტორი ჩამოჰყოლოდა.

ანდრო და თამაზი სტუმრებს წინ მიუძღოდნენ.

სოფლის შუაგულში გაშენებულ ყველაზე უფრო დიდ პლანტაციას ათვალიერებდნენ.

— ...როგორც მოგახსენეთ, ამხანაგ ანთიმოზს დიდი ხანი უწარმოებია დაკვირვება ლიმონის ავადმყოფობა „მალსეკოზე“, რაც ჩვენში ყველა სენზე უფრო საშიშრად არის ცნობილი. — ეუბნებოდა თამაზი სტუმრებს. — მას თავიდან სწორი გზა აურჩევია და ყურადღება მიუქცევია ისეთი ძირებისათვის, რომლებიც დაავადებულ ხეებს შორის იზრდებოდნენ, მაგრამ თვით არ დაავადებულან. მას ამ ხეების სანამყენო კალმები დაუმყნია საძირე ტრიფოლიატებზე და, როგორც მათ წინაპართ, ჯერჯერობით არც ამათ შეყრიათ ეს საშიში სენი. ასეთი ნარგავი ახლა 1200 ძირამდე გვაქვს კოლმეურნეობაში და ვიმედოვნებთ, რომ „მალსეკო“ მათ ვერაფერს ავნებს.

სტუმრებმა კმაყოფილი ღიმილით გადახედეს ანთიმოზს.

ჯგუფი ფორთოხლის ხეებისაკენ გაემართა.

— აი, ფორთოხლის ხე. ეს უკვე ოცდახუთი წლისაა. — თამაზი ხას ძირას შედგა და განაგრძო: — წარმოიდგინეთ, ეს ხე უმარცვლო ნაყოფს იძლევა, ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, როგორც ნაყოფის ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, მას ჩვეულებრივ

ფორთოხალზე უფრო მეტი შაქარი და ვიტამინი აქვს.

— ოცდახუთი წლისაა! — გაიკვირვა სტუმარმა ქალმა ვერა დუბოკოვამ.

— დიახ, დიახ, ოცდახუთი წლისა. მისი თვისება ორი წლის წინათ გახდა ჩვენთვის ცნობილი, მე მგონია რომ მისი შთამომავალნიც უმარცვლო ნაყოფს მოგვეცემენ.

— რამდენ ნაყოფს იძლევა? — იკითხა ვილაძემ.

— სამი ათასი ცალი ნაყოფი მოგვცა შარშან. — უპასუხა ანდრომ. — საინტერესოა აგრეთვე ამ მწკრივის ხეები. — ანდრომ დაბალი ტანის ხეებს გადაავლო თვალი. — ეს ხეები სამი წლისაა, მაგრამ მათი სტადიური განვითარება ჩვენი აგრონომის ღონისძიების შედეგად იმდენად დაჩქარდა, რომ წელს უკვე პირველ მოსავალს მოველით.

— როგორ ფიქრობთ, ამხანაგო ნესტორ, შეიძლება ჩვენს აგრონომს დავუჯეროთ? — ჰკითხა ერთერთმა სტუმარმა ეშმაკური ღიმილით.

— გვაიძულებს, დავუჯეროთ, — უპასუხა სტუმარს ნესტორის მაგივრად რაიკომის მდივანმა. — რასაც ამბობს, ყველაფერი გულთმისანავით უსრულდება ჩვენს თამაზს.

— აქ, თითქოს, მიწა სხვანაირია, მცენარეებსაც რაღაც თავისებური ფერი გადაჰკრავს, ალბათ აქ სულ სხვა ჰავაა, სხვა პირობები. — სთქვა ვერა დუბოკოვამ.

— არ გეთანხმებით, — წამოიძახა წინ მიმავალმა რაიკომის მდივანმა და შედგა. როგორც კი წამოეწია სტუმარი, რაიკომის მდივანმა განაგრძო: — ეს მიწაც და ეს ადგილიც ჩვეულებრივი ზღვისპირა ადგილია, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ჩვენი მხარის სხვა მიწებისაგან. მაგრამ ჯერჯერობით სუბტროპიკულ კოლმეურნეობებს შორის ეს კოლმეურნეობა სანიმუშოა. ყოველთვის როდი შეიძლება მცენარის დაბალმოსავლიანობა მარტო ჰავასა და მიწას დავაბ-

რალთ. უფრო მეტ შემთხვევაში ადამიანების ბრალია, ჩემო მეგობარო. დღეს ხომ სადავო აღარ არის ის ამბავი, რომ მოსავლიანობის გადიდება დამოკიდებულია აგროტექნიკური პირობების გაუმჯობესებაზე? ასე რომ, აქ მიწა და ჰავა კი არ არის სხვანაირი, სხვანაირი ადამიანები არიან.

შარავნაზე გამოსულთ ბავშვების გუნდი შემოეგება. ზოგს დოქით მდინარეში ჩააცივებული ლეინო მოჰქონდა, ზოგს კიქები, უმრავლესობას მსხლით, ვაშლით, ჩირითა და ჩურჩხელებით სავსე პატარა კალათები.

რაიკომის მდივანი პატარებთან მივიდა. წინამდგომ თერთმეტი წლის გოგონას, რომელსაც ცისფერი კაბა ეცვა, წითელი ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული და ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა, მარჯვენა ხელი გაუწოდა, მარცხენა მხრებზე მოხვია და უთხრა: — დაგაგიანდათ, ჩემო პატარებო, დაგაგვიანდათ, ყველაფერი ეს ბაღში იყო კარგი, ახლა... ამ შარავნაზე...

— რატომ შარავნაზე! აქეთ მობრძანდით, ბატონებო! — მოისმა ქალის ხმა ეზოდან და კიშკარი გაიღო. გზაზე შუახნის ქალი გადმოვიდა. სტუმრებს მიესალმა და ეზოში შეიპატიჟა.

სახლის განიერ კიბეზე მასპინძელმა ჩამოირბინა. სიხარულით ილიმებოდა და კიშკრისაგან მოისწრაფოდა. ქალვებმა ეზოში ვენური სკამები ჩამოიტანა. ფორთოხლის ხის ძირას კილოები და ხალიჩა გაშალეს. სტუმრები ჩამოსხდნენ. დიასახლისმა მრგვალი მაგიდა მოარბენინა და სამზარეულოში შებრუნდა.

მაგიდაზე ხილსა და ღვინოსთან ერთად, ცივი ხაჭაპურები, ყველი, მწვანელი და არაყი გაჩნდა. ბავშვებმაც ჩამოდგეს მაგიდაზე ღვინით სავსე დოქები, ხილით სავსე კალათები კი ხის ძირას ჩააშკრივეს.

— თავს დაგესხით მოულოდნელად, შეგაწუხეთ, მაგრამ თქვენი მუღუღა

დამნაშავე. — უთხრა რაიკომის მდივანმა მასპინძელს.

— რასა ბრძანებთ, ანხანავო გიორგი, პირიქით, დიასახლისს ასეთი გამბედაობისათვის მადლობა უნდა გადაეხადო. დაგინახეთ თუ არა, დავიძალე, ვიფიქრე, იქნებ გამაწბილონთქო და ცოლს ვუთხარი — შენ მოიპატიე, ქალი ხარ, უარს ვერ გეტყვიან-მეთქი. — უპასუხა მასპინძელმა ღიმილით.

დელეგაციის მეთაურმა კიქას აღმაცერად გახედა, მერე მზეს შეავლო თვალი და მასპინძელს მიუბრუნდა:

— ამ შუადღეზე არაყი ცეცხლს მოგვიციდებს.

— მხოლოდ ერთი კიქა, მეგობარო, მადის გასახსნელად. — უპასუხა მან და სტუმარს ღიმილი შეაგება.

კიქები დაცალეს.

ლობის იქით გოკი აჭყვივდა. ქათმები აკაკანდნენ. სამზარეულოდან კვამლი გამოვიდა და ქალის ძახილიც მოისმა.

დიასახლისი ქმარს უხმობდა.

— ტარასი! — მიამახა ანდრომ სამზარეულოსკენ მიმავალ მასპინძელს, — იცოდე ჩვენ დიდხანს ვერ დავრჩებით. — ტარასი, თითქოს მას ძახილი არც კი გაუგონიაო, ისე მიიმალა სამზარეულოს დია კარებში, რომ უკან არც კი მოუხედავს.

— მაშ თქვენ იმედი გაქვთ, რომ რაოდენიმე წელიწადში გექნებათ ლიმონის ისეთი ჯიშები, რომლებიც თორმეტ გრადუსს ყინვას გაუძლებს? — ჰკითხა თამაზს დელეგაციის მეთაურმა და გათლილი მსხალი მიაწოდა.

— დიას, ეს ასე უნდა მოხდეს. ფორთოხალმა თორმეტს, ხოლო მანდარინმა თხუთმეტ გრადუსს ყინვას უნდა გაუძლოს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ აქ არ შევჩერდებით. ამაში მყნობის ახალი მეთოდების შედეგად მიღებულმა მცენარეებმა დაგვარწმუნა. საცდელ სადგურში ასეთი ლიმონის ნორჩიხე თორმეტ გრადუს სიცივეში სამი დღე

და ღამე გეკონდა მოთავსებული და, წარმოიდგინეთ, არ შელახულა...

— მაშ, მალე ჩვენს მიწაზედაც გაიხარებს ჩაი და ციტრუსი, — შეაწყვეტიან თამაზს ვერა გულდენკომ.

— რასაკვირველია, მალე გაცდებია ჩაი და ციტრუსი საქართველოს საზღვრებს, — უპასუხა თამაზმა. — და აი ასევე გაუშლით თქვენც სუფრას სტუმრებს თქვენს ეზოში მანდარინისა და ფორთოხლის ხის ჩრდილში.

სამზარეულოდან დინჯად მომავალი ტარასი გამოჩნდა. ანდრო წამოდგა და მასპინძელს მიეგება.

— საით, ანდრო? — ჰკითხა ტარასმა ახლო მისულ ანდროს.

— სამზარეულოში მინდა შევიხედო.

— დაგაგვიანდა. გოჭი უკვე იწვის. ქათმები ისარშება, ასე რომ, საკირო აღარა ხარ. — სიცილით მიუგო ტარასიმ ანდროს და მკლავზე ხელი ჩაავლო. ანდრომ სამზარეულოში, დედა-მეილს გარდა, მოფუსფუსე მეზობლის ქალსაც მოჰკრა თვალი და შეწუხდა.

— შე კაი კაცო, აკი გითხარი დიდხანს ვერ დავრჩებით მეთქი. ხომ იცოდი, რომ სტუმრები სადილად აღმასხანთან უნდა მიმეყვანა. შენ კი...

— როგორ თუ აღმასხანთან! შე აღმასხანაზე ნაკლები ვარ თუ რა! როგორ გეკადრება, ჩემო ანდრო! ხალხი ოჯახში შესტუმროს, უცხო, სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული ხალხი, და უპურმარილოდ გაეუშვან?! ან ისინი რას იტყვიან! ანდა სოფელში ხომ თავი მომეპკრა!

— მესმის, ტარასი, განა არ მესმის? მაგრამ შენ რომ სტუმრები სხვამ წაგართვას, ხომ გეწყინება?

— კი, ბატონო, რასაკვირველია, არ გამეხარდება. მაგრამ, რახან მოსულან, საშუალება მომეცით თითო ჰქიპა მაინც დაეალევირო ხალხს. — ტარასიმ სტუმრებს მიაშურა.

სტუმრებს მეზობლები ემატებოდა. მოდიოდნენ მამაკაცები და ქალები, ვაყები და ქალიშვილები.

გაჩნდა ჩონგური. სტუმრებს გიტარა შესთავაზეს.

მერე მრგვალი მაგიდაზე დადგეს. გრძელი სუფრა გაიშალა.

სუფრის თავში გიორგი დასვეს და თამაღობა მიულოცეს.

ახალ ყველსა და ცხელ ხაჭაპურებს, კეფალსა და ზუთხს, მოხარშული ქათმები, შემწვარი ვარიები და გოჭი მოჰყვა.

ანდრომ ჰქიპა აიღო და სტუმრებს ასე მიმართა:

— მერწმუნეთ, მეგობრებო, რომ ჩვენ, ნარკიას კოლმეურნეები, ისე ვიზრუნებთ თქვენი კოლმეურნეობის წინსვლაზე, როგორც საკუთარ საქმეზე. შრომისა და ენერჯიას არ დაგზოგავთ, მხარში ამოგადგებით და მზრუნველობას არ მოგაკლებთ, სანამ სუბტროპიკული მცენარეების მოვლა-მოშენებაში ისევე არ დახელოვნდებით, როგორც ჩვენი კოლმეურნეები. საუკეთესო ნერგებს გამოვეყოფთ თქვენთვის. დასახმარებლად მოწინავე, დახელოვნებულ კოლმეურნეებს გაგატანთ უკრაინაში. ჩვენ საერთო ძალით შეეძლებთ, რომ ამ ძვირფასმა კულტურამ თქვენშიაც ისე იგრძნოს თავი, როგორც აქ, თავის სამშობლო საქართველოში.

ანდროს სიტყვა საერთო ტანმა დაფარა. ჰქიპები აწყარუნდა. ვილაცამ „პოურადა“ წამოიწყო. მაგრამ ჰქიპართან აღმასხანის მოულოდნელმა გამოჩენამ საერთო სიჩუმე ჩამოაგდო სუფრაზე.

ყველაზე მეტად ტარასი შეიშმუშნა. მეზობლის მოსვლა ღვინვე უნდა გახარებოდა მასპინძელს, მაგრამ „ვთუ მისაყვედუროს სტუმრების ვადაბირებაო“ — იფიქრა და ზანტად წამოდგა.

— ვინ მოჰყვება აღმასხანს? — იკითხა გიორგიმ ხმადაბლა.

ყველანი იმ უცხო ადამიანს მიაცქერდნენ, რომელიც აღმასხანს გვერდში მოჰყვებოდა.

— ვილაც უცხოა, — უპასუხა ნესტორმა.

— პირველად ეხედავ, — დაუმოწმა თამაზმა.

ალმასხანს გაშლილი შუბლი და მუდამ მომლიძარე შავგვრემანი სახე მოედღუშა. უქულო თავზე უწესრიგოდ გაშლილ თმას ნიავეი ურხევდა. შვინდის მოკლე ჯოხს ჩექმის ყელზე ნერვიულად იტყაპუნებდა. მოსალხენად მოსულს არ ჰგავდა ალმასხანი. ფორთოხლის ხის ჩრდილში შემოყო თავი თუ არა, შეჩერდა და გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფივით მიიხედ-მოიხედა. მერე ტარასს შუბლგაუხსნელად შეხედა და შეურაცყოფილის ხპით წაილულღუდა:

— თქვენი გამარჯვება იყოს, ამხანაგებო!

— იცოცხლეთ, მობრძანდით, ალმასხანს სიცოცხლეთ. — გაისმა შეძახილები.

ალმასხანის უქულო თანამგზავრი, რომელსაც ნაცრისფერი შარვალი ლურჯი პიჯაკი და ზოლებიანი აბრეშუმის ხალათი ეცვა, დამხვდურთ თვალს არ აშორებდა. თითქოს ვიღაცას ეძებდა, ნაცნობს, ახლობელს.

— რას დამდგარხარ, შე კაცო, მტრის ოჯახში ზომ არა ხარ! — უთხრა ტარასიმ ალმასხანს და უცნობს მიუბრუნდა: — მობრძანდით, ბატონო, გვეწვიეთ! — მორიდებულად წაატანა ხელი უცნობს, მაგრამ ალმასხანმა შეაჩერა.

— ეჰ, ჩემო ტარასი, ამ უხედავ სტუმრებსა და ამ უცხო ადამიანს უმადლოდეთ, თორემ მამაჩემს აქვს ცბონება, მე ვიცი და ამ ჯოხმა, რაც ეკუთვნის შენისთანა მეზობელს, მაგრამ...

— ჩვენ ვართ დამნაშავე, ალმასხან, ჩვენ, მაგრამ სწორედ ახლა უნდა წამოვსულიყავით, — შეაწყვეტინა თამაზმა ალმასხანს.

— ეგ ყველაფერი კარგი, ტარასი მე თვითონ მოუვლი. მაგრამ ამ კაცს თუ იცნობ, თამაზ? — ჰკითხა აგრონომს ალმასხანმა და წერილი ქროლა თვალები მოჰუტა.

თამაზი ახალმოსულს გაურკვეველი გამომეტყველებით მიაცქერდა. უცნობი დაახლოებით ოცდაათი წლის ვაჟაკა იყო. მაღალ, გამხდარსა და შავგვრემან ახალგაზრდას შავი, ღრმად ჩამჯდარი თვალები განუწყვეტლივ მოჰუტული ჰქონდა.

უცნობმა თამაზს თვალი თვალში გაუყარა, მერე, თითქოს წამით უხერხულობა იგრძნო, შეიშმუნა და ოდნავ გაღიმებულმა თამაზისაკენ გაიწია.

ზღვაურმა, ფორთოხლის ხის ფოთლებთან ერთად, უცნობის წარბებამდე გადმოყრილი ქოჩორიც შეარხია და შუბლზე ნაიარევი გამოუჩინა. თამაზი და სტუმრები გაკვირვებით შესცქეროდნენ უცნობს.

(გაგრძელება იქნება)

მშვიდობას ვიცავთ



მშვიდობას ვიცავთ, ომი არ გვინდა! —
დღეს ეს ძაბილი გერაზმავს, გვალღელებს;
არ გვისწავლია ძარცვა აკენიდან,
როგორც სჩვევიათ ზღვისგადაღმელებს.

არ გვისწავლია რბევა, ფლიდობა,
რისხვა, მუქარა, თავზე დაცემა, —
აი, რად ვიცავთ ასე მშვიდობას,
აი, რად ვამბობთ ომის საწყევარს.

არა, არ გვინდა ომი და რბევა:
ჩვენ კომუნიზმის ვუმღერათ ხარაჩოს;
ვით ერთი კაცი, ჩვენ ისე ვღგვეართ,
მარად მშვიდობას რომ ვუღარაჯოთ.

ალარ დაღება სისხლის შორევი,
ომი და ნგრევა არა, არ გვეჯერა.
ომს თუ ასტეხენ, — მილიონები
დაიგრგვინებენ მათ დასასჯელად.

ომი არ გვინდა, მშვიდობას ვიცავთ —
მსოფლიოს ხალხი ალაპარაკდა —
ჩვენთან ეს ხმები გაისმის ფიცად,
რისხვად გაისმის მტრების ბანაკთან.

თვით მოისპობა სხვების მომსპობი,
თვით გამოუტანს ხალხი განაჩენს, —
დღეს ამას ამბობს დედა-მოსკოვი,
მშვიდობის საქმეს რომ უღარაჯებს;

და იმეორებს ამ ნათქვამს ყველა: —
მშვიდობის გზას ვერ გადაგვიღობავს.
მშვიდობის დროშა უპყრია ბელადს,
თვით სტალინია ხალხთა მშვიდობა.

სივილიზაციის შავევა



ამჯერად, ჩემო მეგობრებო, მე ვიამბობთ კიდევ ერთ ნამდვილ ამბავს, რომელიც მინდა დაუშვათ ჩემს მიერ აღრე ნაამბობს. ეს ამბავი მოხდა შორეულ ქვეყანაში, რომელიც არა ჰგავს ამ ჩვენს ქვეყანას, სადაც მე თქვენ მისმენთ.

ნახევარსფეროების რუკაზე დასავლეთი აფრიკა მოჩანს უზარმაზარ ფართობად, რომელზედაც მიწის ზედაპირი დანაწილებულია სწორი გეომეტრიული ფორმის ჯერ კიდევ მკიდროდ დაუსახლებელ უბნებად. მაგრამ ამ უბნების შესაძენად მეტად ბევრი ფული იქნებოდა საჭირო და რუკაზე აღნიშნულია ზუსტი საზღვრები საუცხოო მიდამოებისა, რომლებიც დიდმა სახელმწიფოებმა მიითვისეს და ერთ მშვენიერ დღეს მათი სრულფლებიანი ბატონპატრონიც გახდნენ.

ამ კონტინენტებზე მოსული მოგზაური მაშინვე აღმოჩნდება ზნირ ბუჩქნარებში — დაუსრულებელ დაბალ ტყეებში, სადაც ხეები თითქმის მთელ წელიწადს გაშიშვლებული დგანან მცხუნვარე მზეში და არაფრით არ განსხვავდებიან ზამთარში ჩვენი გატიტვლებული ხეებისაგან. ისინი იფურჩქნებიან მხოლოდ ტროპიკული წვიმების დროს.

ამ ვეებერთელა შამპნარებში, აქა-იქ, ერთმანეთისაგან დაშორებით, გადაქიმულია ახალი ქალაქები გუბერნატორთა სასახლეებით, ბანკებითა და ადგილობრივ მკვიდრთა უბნით — პირქუში უშენი ადგილით, რომელიც მოგაგონებთ საკონცენტრაციო ბანაკს, ანდა, თუ თქვენ ეს შედარება უფრო მოგწონთ,

უზარმაზარ გალიას, სადაც დასახლებული არიან გულმართალი ზანგები.

სხვა ზანგები ცხოვრობენ ტერვებში ჩაფლულ სოფლებში. აი, ჩვენს თვალწინ არის ერთერთი ასეთი სოფელი; იგი რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული ქალაქ ბამაკოს, რომელიც თავისი სიახლით ისე ბრწყინავს, როგორც «კოლონიური გამოფენის» რომელიმე მყვირალა პავილიონი. ლილოზე განლაგებული სოფელი შესდგება კონუსივით თავწაწვეტებული ორი ათეული ჩალის კარვისაგან, რომლებიც მინაში ჩაფლული სამრეკლოების წვეროებს მოგვაგონებენ.

სოფელს დიალაკუ ეწოდება. ამ ოდესდაც თავისუფლად ცხოვრობდნენ ბამბარასების, უოლოფებისა და სხვა შავკანიანების ტომები, თუმცა თითქმის პირველყოფილი, მაგრამ სამაგიეროდ, ჯანსაღი და მყუდრო ცხოვრებით. ამ ისინი კიდევაც მუშაობდნენ და კიდევაც მზიარულობდნენ. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც, ალბათ, ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის ისტორიის პირველყოფილ ხანაში.

ამ სოფელში განცხრომით ცხოვრობდა მოხუც ახმადუს და მისი მეუღლის ძეტეს ოჯახი. მათი შვილები — ტიკე და კოკობე — ცხვრებს, თხებსა და ხარებს მწყემსავდნენ. ყმაწვილები ხან პალმებზე აცოცდებოდნენ, რომლებზედაც მათ მეტწილად მიდგმული ჰქონდათ კიბეები, რათა დანით ამოჭრილ ხის წვეროებზე პალმის წვენი ეწუწუნათ, ხან გოგარის ქოთნით ახალ რძეს სვამდნენ, ხან სანადიროდ, ანდა უბრალოდ,

შიდამოების დასათვალისწინებლად მიგზავნებოდნენ, რადგან ზანგები ამ ადგილებში ისევე არიან ცოდნისმოყვარულნი, როგორც მხიარულნი. ახმადუს ვაყები და მათი დაი — კობალა მონაწილეობას იღებდნენ ცეკვასა და სიმღერაში საღღესასწაულო კოცონებთან, სადაც ტამტამის ხმა გაისმოდა და ხალხი ტაშს უკრავდა. საღამოობით მთელი ოჯახი, როგორც მართლმორწმუნე მუსლიმანებს სჩვევიათ, ფეხს იბანდნენ და ლოცულობდნენ.

ამასთან ახმადუს ოჯახში იყო კიდევ ორი პაწია ზანგი, რომელთაც, მცირე ასაკის გამო, არ ჰქონდათ მიღებული მწყემსის საპატიო წოდება და ჯერ კიდევ საღღესასწაულო კოცონებთან ცეკვობდნენ, ისმენდნენ ტამტამების გრილს და ტყის ლილოზე აღიზიანებდნენ პავიანების — ამ ნახევრადმამიულების, ნახევრადძაღვებისა და, მასთანავე, ნახევრადამიანების ჯოგებს.

გულმართალ და პატიოსან თანასოფლელებში ახმადუს ოჯახი დიდი პატივისცემით სარგებლობდა და სოფლის წინამძღოლი, რომელიც ხელში შეუბით — ძალაუფლების ამ სიმბოლოთი — გამოცხადდებოდა დროგამოშვებით წესრიგის დასაცავად, ვერავითარ შარს ვერ სდებდა მოხუც ახმადუს.

და, აი, ეს სოფელი ხელთ იგდო საფრანგეთმა და შეუდგა მის კოლონიზაციას, თუმცა საფრანგეთი უკვე ძალზე დიდი ხანია გამეფდა მთელს ოლქში თავისი მოხელეებისა და ჯარისკაცების საშუალებით და დიდხინის განმავლობაში სარგებლობდა „ძლიერის უფლებით“, რათა დამკვიდრებულყო სუდანში. მე მინდა ეთქვა, რომ ახლა ფრანგებმა პირდაპირ მოჰკიდეს ხელი სოფელ დილაკუს.

რა თქმა უნდა, მეტყვიით თქვენ, და მეც საყვებით გეთანხმებით, ძლიერ კარგია, როცა განათლებული, მოწინავე ხალხი უზიარებს ჩამორჩენილ ხალხს თავის ცოდნასა და თავის კულტურას,

რათა აამაღლოს მისი კეთილდღეობა, გაავრცელოს განათლება, გააუმჯობესოს მისი მდგომარეობა და მისი სუბილდობა. მაგრამ ამგვარი კოლონიზაცია არსებობს მხოლოდ ბანკეტებზე წართმეულ სიტყვებში, ან წინასაარჩევნო პლაკატებზე წარწერილ მოკლე ლოზუნგებში. სანამ მსოფლიო პროლეტარიატი თვითონ არ შეუდგება თავის საქმეების მოგვარებას, კულტურების ასეთი შეთანხმება და ურთიერთგავლენა შეუძლებელია. ჩვენს დროში „კოლონიზაცია“ სრულიად არ შეეფერება ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესებს და იგი უფრო თავის მიზნად ისახავს მათს სისტემატურ მოსპობას. ამის დამატებულ საბუთებს ჩვენ ვპოულობთ ადგილობრივ, სწორედ იმავე ოლქში, რომელზედაც ამჟამად ვლაპარაკობთ: შვედნიანი მოსახლეობა აქ არაბუნებრივი სისწრაფით კლებულობს და მალე მასზე მხოლოდ მოგონებად დარჩება. ფრანგი კოლონიზატორები „გონიერი“ მართვის საშუალებით ცდილობენ თავიდან მოიშორონ ზანგები, როგორც შავი ჭირი, და ცოცხლად სტოვებენ მხოლოდ იმათ, ვინც აუცილებელია მათთვის, როგორც ტვირთ-მზიდავი პირუტყვი.

ერთი სიტყვით, იმ ბილიკით, რომელსაც სოფელში მივყევართ, დაიძრა შვედნიანთა გრძელი ქარაგნები მძიმე ტვირთითა და ჯალამბრებით, რომლებზედაც თეთრები ისხდნენ.

ამ ვაქებატონებმა აიძულეს ისინი აეშენებინათ დიდრონი ქოხები. ახმადუს მეორე ვაყი — კოკობე მოსამსახურედ წაიყვანეს ერთ თეთრკანიანთან. მას ძლიერ ცუდად ეპყრობოდნენ და აუტანელი მუშაობით სტანჯავდნენ. კოკობეს წასვლა უნდოდა. მისმა პატრონმა და სოფლის წინამძღოლმა ამის უფლება არ მისცეს. მაშინ ის ტყეში გაიქცა. დაედევნენ და ხელი ტყვით გაუხვრიტეს, რადგან, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო თეთრების პრეს-

ტივის დაცვა თუმცა, შემდეგში, ხალხის „უფლებათა“ პატივსაცემად ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი შემთხვევით მოხდა. ჭრილობა კი არ ხორცდებოდა, არამედ ჩირქდებოდა. ექიმი არ იყო. ყოველი მოგზაური დადასტურებს, რომ ამ ადგილებში სამედიცინო დახმარება ჯერ კიდევ სრულიად არ არის სათანადო სიმაღლეზე.

ნებით თუ უნებლიედ, ერთხელ კოკობე საკაცით მიიყვანეს უახლოეს საავადმყოფოში, დაახლოებით, ერთი კვირის საველ მანძილზე. პირველ ხანებში მშობლებამდე აღწევდა კოკობეს ამბავი, შემდეგ ყველაფერი მიუყრდა და ისინი ვერავითარ ცნობას ვეღარ იღებდნენ.

არ მოდიოდათ ამბავი არც ახალგაზრდა, ბრინჯაოს ქანდაკებასავით გამოკვეთილ ნაზ და ტანად ქალიშვილ ბალასაგან, რომლის სილამაზემაც მიიპყრო კოლონიის რომელიღაც უნტერ-ოფიცრის ყურადღება. ეს უნტერ-ოფიცერი დილაკუში თავს ნამდიელ პატარა მეფედ გრძნობდა. აქ ზანგმა გოგონამ გაივლეა, როგორც მსუბუქმა და საყვარელმა მოჩვენებამ, და სადღაც გაქრა.

მერე რომელიღაც სამრეწველო საწარმოს აშენების შემდეგ დარჩენილ კარიერებში ქაობები გაჩნდა; იქიდან მყრალი სუნნი ამოდიოდა. გაჩნდნენ სხვადასხვა მწერები, რომლებიც საშინელ მეცნიერულ სახელწოდებას ატარებდნენ და რომლებმაც ეპიდემია გამოიწვიეს. ზოგიერთი თეთრკანიანი ივადმყოფი სხვაგან გადაგზავნეს, ხოლო შავკანიანთა უმრავლესობა ამოწყდა, რადგან ექიმები, როგორც წინათ, იქ ახლაც არ იყვნენ: მოელოდნენ სანიტარული სამსახურის რაზმის მოსვლას, მაგრამ არც ის ჩანდა. რა საჭიროა სიჩქარე! ეპიდემიამ მოხუც ახმაღუს ერთი ბიჭუნაც იმსხვერპლა.

სოფელში გამოჩნდა ახალი დიდი პიროვნება. ის მთავრობისათვის ხალხის შემგროვებელი საოცარ ენამკვიერი

მოხელე, ქალაქიდან ჩამოსული, მორთულ-მოკაზმული და მამალივით ყოყლოზინა მალაღმბიანი ზანგი იყო. მას ამშვენებდა ერთიმეორის ზევით მოთავსებული ორი „ბუბუ“, ფეხზე — დაწნული აბრეშუმის სანდლები, თავზე — წითელი ზავერდის ქუდი. იგი არ იცილებდა დიდ ქოლგას. ძნელი იყო თავის შეკავება ამ მოხელის მკვერმეტყველების წინაშე, რომელიც ასეთი ბრწყინვალე სახით წარუდგა სოფლის მცხოვრებთ, მიუხედავად იმისა, რომ ის ზანგი იყო. მან ახმაღუს უფროსი ვაჟი, ტიკე დააწმუნა, რომ ომში წასულიყო. ამ ომში საფრანგეთი მონაწილეობდა. საფრანგეთმა თავისი გულკეთილობით განაცხადა თანხმობა წაეყვანა იგი ჯარისკაცად და მიეცა მისთვის ახალი საუცხოო მუნდირი და თოფი, საფრანგეთი მზად იყო იმისათვის, რომ ტიკეს მადლობის ნიშნად სამსახური გაეწია მისთვის და, თუ საჭირო იქნებოდა, სიცოცხლეც გაეწირა მისი გულისათვის.

წახალისებული იმით, რომ მას თითქმის ფრანგად თელიდნენ, ტიკე არმიში ჩაეწერა და გაემგზავრა.

ამგვარად მოხუცი ახმაღუ და მოხუცი ძეტე სულ მარტონი დარჩნენ პატარა ვაჟით. ისინი სახის უკმაყოფილო შეკმუხნით შეპყურებდნენ ერთმანეთს. სოფელში ასეთივე ბედი ეწია სხვა ოჯახებსაც, და ამიტომ მოსახლეობაში ერთგვარი მტრული განწყობილება შეიქმნა თეთრკანიანი მბრძანებლებისადმი. მაგრამ რას გახდებოდნენ ერთი მუჰა ზანგები, და ისიც ასეთი მშვიდი ხასიათის ადამიანები, ევროპის ცივილიზაციის სწრაფი ზეავის წინააღმდეგ?

გავიდა რამდენიმე წელიწადი. სოფელი დილაკუ მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრის სახეს იღებდა. ზედიზედ ჩნდებოდა საწარმოები და ფაქტორიები, რომელთა გარშემოც სოფლად დარჩენილი მცირერიცხოვანი ადგილობრივი მკვიდრნი დაეხეტებოდნენ. ისინი თავიანთ შეფერთხილი მუცლებითა და

ჩამომკნარი სახეებით უთვისტომო და უსახლკარო მაწანწალებს წააგვადნენ.

სოფელში, როგორც წინათ, ექიმები ჯერ კიდევ არ იყვნენ; თეთრებმა ავტომობილები შეიძინეს. სამაგიეროდ მოაწყეს რადიოსადგურები და საბრალო ზანგები გაოცებული და მოხიბლული იყვნენ რუპორიდან გამომდინარე ხმამაღალი სიტყვებითა და მუსიკით.

ერთხელ ახმადუსა და ძეტეს ბავშვი მძიმე ავად გახდა იმავე სნეულებით, რომელმაც მისი პატარა ძმა იმსხვერპლა. მოხუცები სრულ სასოწარკვეთილებას მიეცნენ, ვინაიდან ავადმყოფი ბავშვი საავადმყოფოში უნდა წაეყვანათ და ამისათვის კი საჭირო იყო ფულა. მაგრამ როგორ უნდა ეშოვნათ ფული იმ ოჯახში, რომელმაც თანდათანობით დაკარგა ყველა შვილი? გაჭრენ მწყემსებიცა და პირუტყვიც. ბავშვი მოხუცთა ერთადერთი ბედნიერება, ერთადერთი იმედი და ერთადერთი ძაფი იყო, რომელიც მათ ცხოვრებასთან აკავშირებდა.

როგორღაც, ერთ საღამოს, როდესაც ისინი უტყვად ჩაფიქრებულნი იყვნენ თავიანთ სევბედზე, მათი პატარა ქოხის ზღურბლთან მალალი ტანის უცნობი ზანგი გამოჩნდა.

ეს მათი ვაჟი — ტიკე იყო. მაგრამ მშობლებმა შვილი ვერ იცნეს.

მსროლელი ტიკე, რომელიც შინ ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა, ისე გამოცვლილიყო, რომ მას ვერც კი იცნობდა კაცი.

ის არ დაღუპულა, როგორც მისი ამხანაგების მეტი ნაწილი — ბასურუ, დიარა, ხალიდუ, დიალო და სხვები დაიღუპნენ (მათს სახელებს ვერავენ ვერასოდეს ვერ გაიგებს!). ტიკე გადარჩა, თორემ შინ ხომ ველარ დაბრუნდებოდა.

მაგრამ ის დასახიჩრებული იყო. ცეცხლასროლიდან გამოვარდნილმა ცეცხლის ნაკადმა ძელამდე ამოსწვა

მისი სახე და ყბა და ამ დასახიჩრების გამო მას ველარავენი იცნობდა.

გამოიცვალა იგი სხვა მსხვერპლთა წელიწადს, რომელიც მან — საფრანგეთში, ფრანგების საზოგადოებაში გაატარა, უშედეგოდ არ ჩაუვლია უბრალო აფრიკელი მწყემსისათვის: მან თუმცა ზოგიერთი ილუზიები დაკარგა, მაგრამ, სამაგიეროდ, გონება გაუმახვილდა, რაც მას არ ახასიათებდა წარსულში, როდესაც იგი თავისი გულუბრყვილობითა და სისწიშვლით არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა ველური ადამიანისაგან.

აი, რატომ მოუვიდა მას აზრად — არ ეთქვა თავისი მშობლებისათვის ერთბაშად: „მე თქვენი შვილი ტიკე ვარო“, და ეს მოულოდნელი საჩუქარი მან დედ-მამას დილისთვის შემოუნახა. მართალია, ის დასახიჩრებულია, მაგრამ ეს ბოლოსდაბოლოს არც ისე დიდი უბედურებაა, — სამაგიეროდ, ის მდიდარია. მან თან მოიტანა მთელი ქონება.

სიმართლე რომ ეთქვათ, როდესაც ტიკემ სოფლის განაპირა უბანში პავიანების ყეფა და პალმების გამხმარი ფოთლების თავისებური შრიალი გაავრგონა, რომლებიც თუნუქივით ეხახუნებიან და ეხეთქებიან ერთმანეთს, გულმა უფრო აჩქარებით დაუწყო ძგერა არტუას და შამპანის ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ამ მოჩვენებას. აი მან დაინახა მალალი ბავშვები, რომელნიც მწვანე თალით ჩრდილავდნენ მოედანს! ამყობდა რა თავისი მოსაზრებით, რომ იგი მხოლოდ ხვალ დილით გაუმხელდა მშობლებს თავის ვინაობას, ტიკე მტკიცედ იდგა თავის აზრზე და განაგრძობდა დედ-მამისათვის თავისი თავის უცხო პირად ჩვენებას და ერთადერთი თვალის მხიარულად ჩაკვრით შეპყრებდა მათ.

მონუცმა ახმადუმ და მისმა ცოლმა ეს შემთხვევითი სტუმარი ისე მიიღეს, როგორც ამას ზნე-ჩვეულება მოითხოვდა. ისინი, მოქანცულნი და ხმაგაყმენდილნი, ასრულებდნენ სტუმართმოყვა-

რობის რთულ წესს. სტუმარი ამოდ
ცდილობდა სასაუბროდ გამოეწვია ისინი.
ბოლოს, მათში ცნობისმოყვარეობა
რომ აღეძრა და თავისი სიმდიდრით
ეტრებახნა, ტიკემ მშობლებს ქალაქის
ფულები უჩვენა. ფული ცხვირსახოცში
ჰქონდა შეხვეული და ჩანთაში ედო.

გამსტერებული მოხუცები გამოფ-
ხიზლდნენ და მათ ერთსა და იმავე
დროს გაიფიქრეს: „ჩვენ რომ ამ ფულის
ხაწილი მაინც გვექონდეს, ჩვენი ბავშვი
უთუოდ მორჩებოდა“.

სოფლამდე რომ მოეღწია, ტიკე იძუ-
ლებული გახდა მთელ დღეღამეს ფეხით
ევილა შეუსვენებლივ, და ახლა ძილი
მოერია, მთქნარება დაიწყო. ბოლოს,
ჩანთა გვერდით მოიდო და მაგრად და-
იძინა.

მოხუცებმა ხელახლა გაიფიქრეს:
„რა იქნება, რომ მოვტაცოთ ფული, სა-
ნამ მას სძინავსო“?

მოხუცმა-დედამ მეუღლის თვალწინ
ჩუმად ამოიღო ფული ტიკეს ჩანთიდან,
შემდეგ ისინი ორივენი ქოხიდან გავიდ-
ნენ და კარები გაიხურეს.

მაგრამ, გარეთ გასვლისთანავე, ძე-
ტემ თქვა: „თუ გამოიღვიძა, ფულს წაგ-
ვართმევს, და ჩვენი ბავშვი მოკვდება“.

ეს აზრი ლურსმანივით ჩაეკედა მო-
ხუცებს გამოფიტულ თავში და უკვე
არაფერზე აღარ შეეძლოთ ფიქრი. ისინი
კანკალმა აიტანა, რადგან შესაძლო
იყო ხელიდან გამოსცლოდათ ბავშვის
ხსნის საშუალება.

ხმელი ტოტებისაგან გაკეთებული
ქოხის კარებთან, სადაც სტუმარს ეძინა,
მოხუცმა ფინხი დააგროვა და ცეცხლი
წაუკიდა. შემდეგ ისინი გაიქცნენ.

მაგრამ, როგორც კი ოდნავ გარიგ-
რავდა, ისინი უხებურად გაეშურნენ ხან-
ძრისაკენ.

ეროვნული

ქოხის ადგილას შეგნდნენ მშობლებს მუ-
გულუბნის გროვა, რომელთაც ზოგან
ჯერ კიდევ კვალი ასდიოდა, და მათ
შორის დანახშირებული სხეული იყო.

უცებ მოხუცებმა თვალი მიაპყრეს
შემომწვარი გვამის მკერდს. და რა ნა-
ხეს? კისერზე ჩამოცმულ წვრილ ძეწვე-
ზე ტიკეს ავგაროზი ეკიდა.

ტიკე, ტიკე, იმათი ვაჟიშვილი! მოხო-
ცები შემადრწუნებელი ქვეითინით დაემ-
ხენენ პირქვე და ერთბაშად მოაგონდომ
(ახლაც ერთსა და იმავე დროს), რომ
უცნობის ხმა მართლაც ტიკეს ხმას
ჰგავდა.

ასე იყვნენ განრთხმული მიწაზე რამ-
დენსამე საათს და ქვეყნის დასასრულს
ელოდნენ, და აი, გაისმა მალღიდან მრი-
სხანე ხმა, რომელიც ჰეჰა-ჰეხილსა
ჰგავდა. ეს რადიოსადგური იწყებდა თა-
ვის მუშაობას.

და ამ ხმამ, რომელიც მთელს მსოფ-
ლიოში გაისმოდა, მიიტანა ნახანძრალში
დამხობილ დარდით გულმოკლულ მო-
ხუცთა ყურთასმენამდე საფრანგეთის
კოლონიათა მინისტრის სიტყვის ნაწყ-
ვეტი:

„საფრანგეთს ყველგან, სადაც კი ის
ფეხს შედგამს, შეაქვს ხალხთათვის არა-
მარტო ცივილიზაციის ყველა სიკეთე,
არამედ თავისი ძმური მზრუნველობა და
სიყვარული“.

თარგმანი ღაბითი ცაგარლიას

ახალი ნიალვარი*



II

ლუკა მიტროფანოვიჩმა, რომელმაც უკვე დაათვალიერა კალო, შინ შეიარა საუზმისათვის.

ახლა ის ხშირფოთლიანი თუთის ხის ჩრდილში იდგა: მოკლე და მაგარი ფეხები ფართოდ გაეშალა, შავი, მზისაგან გახუნებული შარვალი ჩექმებში ჩაეტანებინა, თეთრი ხალათის სახელოები იდაყვს ზევით აეკეცნა და საყელო გაეხსნა. ბიცოლა ევდოკია წყალს ღურჯი ტოლით დიდი ვედროდან იღებდა და უხვად ასხამდა ლუკა მიტროფანოვიჩს კისერზე. ის თავს აქეთ-იქით აქნედა და სიამოვნებისაგან ფრუტუნებდა.

სერგეი შეუმჩნევლად მივიდა, უხმოდ გაჩერდა გაღებულ ჰიშვართან და დაუწყაო ცქერა მათ.

მან ვერ დაინახა ლუკა მიტროფანოვიჩის სახე, მაგრამ დაბალი, მოძრავი და ჩასკვნილი ტანით მამინევე იცნო ცოცხალი და მზიარული ბიძია ლუკა. ბიცოლა ევდოკია ოდნავ გამოცვლილი ეჩვენა. ის უწინაც ასეთივე მალალი და გამხდარი იყო, თავის ჩასკვნილ ქმარს მთელი თავით აღემატებოდა. აი, მხოლოდ სახე შექცნობია ოდნავ და რადანაირად გაშავებულა.

ლუკა მიტროფანოვიჩი ოდესცად სერგეის დეიდის ნატალიას ქმარი იყო. დეიდა ნატალია ჯერ კიდევ სერგეის პატარაობისას გარდაიცვალა. ლუკა მიტროფანოვიჩმა მეორედ შეირთო ცოლი—

უშვილო ქვრივი ევდოკია, მაგრამ ამის შემდეგაც თავს რუდენკოების ახლო ნათესავად თვლიდა: სერგეის დისწულსა და დედამისს კი დას ეძახოდა. რუდენკოებსაც თავისიანად მიჩნდათ ლუკა: სერგეი ბიძას ეძახდა, სერგეის დედა კი — სიძეს. ლუკა მიტროფანოვიჩს, ამ მზიარულ და ენერგიულ ადამიანს ხალხი და მეგობრული საუბარი უყვარდა. მისი სახლი ყოველთვის წესიერად გამოიყურებოდა: სახურავი მთელი ჰქონდა, გარედან სუფთად შეთეთრებული და შიგნით კი — მყუდროდ და სასიამოვნოდ მორთულ-მოწყობილი იყო. სახლის წინ ბაღი გაეშენებინა. ახლაც კი, ომისა და ოკუპაციის შემდეგ, აქაურობას წესრიგი, სისუფთავე და კარგი მეოჯახის ხელი ეტყობოდა. ლუკა მიტროფანოვიჩს ყველაფერი ეხერხებოდა: სახლებს ზურავდა, თითისტრებს თლიდა, ვარცლებს აკეთებდა, ფაცხებს აწესრიგებდა, ჰურჭელსაც კი რჩილავდა. მაგრამ ყველაფერზე მეტად ბოსტანი უყვარდა. კოლმეურნეობაში ის ჯერ კიდევ ოცდაათ წელს შევიდა და მეორე წელსვე მებოსტნე ბრიგადირი გახდა. იმდენს ეცადა, რომ სულ მალე თავისი ბრიგადისათვის ნაკვეთი, მდინარის ახლოს მიიღო. გამოიგონა მარტივი, მაგრამ მოხერხებული მორწყვის წესი, სადღაც შოულობდა არაჩვეულებრივი, ჯერ კიდევ უცნობი ჯიშების თესლს. მისი მსხვილი და ფაშარი კართოფილი ცნობილი იყო ბევრ სოფელში, მისი ნერგები საუკეთესოდ ითვლებოდა. ერთი სიტყვით ლუკა მიტროფანოვიჩი ადგილობრივ გამოჩენილ კაცად

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 9.
5. „მნათობი“ № 11.

ითვლებოდა და მისი სახელი კარგა შორსაც იყო განთქმული.

როგორც კი ხელ-პირის ბანა დაამთავრა, ლუკა მიტროფანოვიჩმა მოიხედა და კიშკართან უცნობი ოფიცერი დაინახა. მან ბიცილა ევლოკიას რაღაც უთხრა და მოსულს ახლა ორთავემ დაუწყეს ცქერა.

სერგეიმ მღელვარება შეიკავა და ეზოში ნელი ნაბიჯით შევიდა. ასევე აღუქმარებლივ, ხელში შერჩენილი პარსახოცით, მიეგება ლუკა მიტროფანოვიჩი, ბიცილა ევლოკიაც მიჰყვება ქმარს ტოლით ხელში. სერგეი ახლა კარგად ხედავდა ბიძის სახეს. თუმცა ბიძამისი ბევრით იყო გადაცილებული ორმოცდაათ წელს, მაგრამ მოხუციაო ვერ იტყოდით. სახე ისევ მრგვალი და მსუქანი ჰქონდა, წლებს ის ნაოჭების ქსელით ვერ დაუფარავს, და მხოლოდ თითქოს ნაჯახით გაჩეხილი რამდენიმე ღრმა ხაზი შებლსა და წარბებთან გაწოლილიყო. მთლად შევერცხლილ ქოჩორს ნიავი ოდნავ ურხევდა. ღაღაღა სახეზე თვალში მოგხვდებოდათ ხშირი და მთლად გაჭაღარავებული უღვაშები. აბურძგენილი შავი წარბები მის სახეს გონიერებისა და მკაცრი გამომეტყველების ელფერს აძლევდა, მაგრამ წარბებს ქვეშ ნათელი, ნაცრისფერი და სრულიად ახალგაზრდული თვალები კიაფობდა.

ლუკა მიტროფანოვიჩი ყურადღებით მიაჩერდა სტუმარს, მაგრამ ვერ იცნო. სერგეიმ ქული მოიხადა და საქციელწამხდარმა ნაღვლიანად გაიღიმა.

ლუკა მიტროფანოვიჩს თვალები უეცრად გაუფართოვდა, სახე გაუფითრდა და ჰაერი ღრმად შეისუნთქა:

— სერიოჟა! — შესძახა ლუკამ და მისკენ გაექანა.

ბიძას თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა:

— შეილო, სერგეი! საიდან... საიდან მოდი?... მე კი, გამოყვეყნებულმა მოხუცმა ვერ გიცანი.

სერგეი უკვე ლუკას მაგარ მკლავებში იყო მომწყვდეული. მის ლოყებს ნამიანი და ცივი უღვაშები მოხვდა. ბიცილას ხელიდან ტოლია გაუფარდა და წერილ ქვებზე ჩხარუნით გაგორდა, ის ტიროდა და მოთქვამდა. სერგეის უეცრად გაუელვა აზრმა, რომ მშობლები მას ასევე შეხვდებოდნენ, და მოულოდნელად ნათლად დაინახა ის, რის წარმოდგენასაც მთელი დილის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა. მამისა და დედის სახეები ცოცხალივით წარმოუდგა თვალწინ აქ, ბიძია ლუკას ეზოში. სერგეის ტანში ერთნატივად დაუარა და ყელში რაღაც მოეპოხინა. თვალმოხუჭული სერგეი მთლად ლუკა მიტროფანოვიჩის ნებას მიენდო.

ბიძია ლუკა კი ხან ჩაიკრავდა მას გულში, ხან მოიცილებდა გაშლილი მკლავების მანძილზე და ისე ათვალთვლებდა, შემდეგ ისევ ჩაიხუტებდა და ჰკოცნიდა. ლუკა უკვე გონს მოვიდა, ცრემლები შეიკავა, მაგრამ ხელები ჯერ კიდევ უკანკალებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ლუკამ სერგეი ბიცილა ევლოკიას გადასცა. ის, არც კი მისალმებია, თავით პირდაპირ სერგეის მკერდს მიეკრა, გულამომჯდარი ქვითინებდა, ხალათს ცრემლებით უსველებდა და თან მოთქვამდა:

— შეილო, ჩემო საყვარელო, დედაშენი ვერ მოეწრო ამ ბედნიერ დღეს. საცოდავმა მარიამ ვერ ნახა შორი გზიდან დაბრუნებული ღვიძლი შეილი, ვერ გაინახა!

სერგეი ეფერებოდა ევლოკიას და თავზე ხელს უსვამდა.

ლუკა მიტროფანოვიჩი უკვე ეზოში დარბოდა აქეთ-იქით, რომ თავისი მღელვარება როგორმე დაეფარა; გახუნებულ ხალათს იცვამდა და ხელი სახელოში ვერასგზით ვერ მოეხვედრებინა; ცდილობდა მზიარული ყოფილიყო და ხუმრობდა:

— მოეშვი, მოხუცო, ბიჭს ტანსაცმელი არ გაუფუჭო... ჯერ ზღერბოზე

ფეხიც არ გადმოუდგამს და შენ კი ცრემლს აფრქვევ. ნეტაი საიდან უჩნდებათ ამ ქალებს ასე ერთბაშად ცრემლი? თუ ცუდი ამბავია — ცრემლები სასიხარულოა — მაინც ცრემლები.

ლუკამ ძლივს მოაცილა ცოლი სერგეის:

— შინ, სტუმარი შინ შეიპატივე! სერგეი, შედი სახლში. მეც ახლავე აქ გაეჩნდები. ერთ ფეხს რომ აქ დაგვრავ, მეორე იქ მექნება.

და მეზობლის ეზოს ანწლის ბუჩქებში მიიმალა.

ვედოკიამ ისევ ისე მოთქმით სთხოვა სერგეის სახლში შესულიყო. დარაბებ-მიხურულ ოთახში გრილოდა. როგორც წინათ, ლუკას ხელით ნაკეთებ მუხის მაგარ მაგიდას თეთრი სუფრა ეფარა, რბილ ტახტს კი მოქარგული ხალიჩა. საწოლთან, რომელზედაც გორასავით იყო დახვევებული ბუმბულის ბალიშები, თეფშებით სავსე ბუფეტი და ტანსაცმელის ძველი კარადა იდგა. ბუფეტის ახლოს, კედელზე გაკრული იყო დიდი წითელი პლაკატი, რომელზედაც ახალგაზრდა ქალიშვილი ეხატა აყვავებულ ტოტების კონით ხელში. „გაუმარჯოს პირველ მაისს“ ეწერა ნახატზე. მაგიდის იქით, კუთხეში, სადაც ოდესღაც ხატები იყო, ახლა რამდენიმე ჩარჩოიანი სურათი ეკიდა, ქვემოთ, მინას ქვეშ, ლუკა მიტროფანოვიჩისათვის მიწსახკომის მიერ სანიმუშო მებოსტნეობისათვის მიცემული სიგელი. უფრო ქვევით კი — ძველი და გამოხუნებული, ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე ნაცნობი სურათები ეკიდა.

სერგეიმ ქუდი ფანჯრის რაფაზე დადო და ტახტთან მდგარ დაბალ სკამზე ჩამოჯდა. რაღაც შორეული, შშობლიური და თბილი, განწყობილება იგრძნო სერგეიმ ამ ოთახში და ამ კეთილ, ახლობელ ხალხში.

ბიცოლა ვედოკიამ შუა მაგიდაზე დადგა ტაფა შემწვარი კარტოფილით, დაჭრა ღორის ქონი, ერთი ნაჭერი კარა-

ქიც მოიტანა და თეფშზე პური დაალაგა.

ლუკა მიტროფანოვიჩის მიმართ: ნაბიჯით შემოვიდა სახლში. მან ჯერ კიდევ კარებიდან დაიძახა:

— აბა, როგორაა საქმე ვედოკია? მზადა გაქვს? ვთხოვთ, შეილო, მაგიდასთან დაჯექი, ვისაუბროთ, ცოტა მოემაგრდეთ.

— დაჯექი, სერგეი... — უთხრა ვედოკიამ და ხელახლა აქვითინდა, — გვაპატიე რომ ჯეროვანად ვერ დაგიხვდით. ყველაფერი ასე მოულოდნელად... საჩქაროდ მოხდა.

— გეყოფა, მოხუცო, — მკაცრად უთხრა ლუკამ და მაგიდაზე არყით სავსე ბოთლი დადგა. — ქვეყანაზე უშენოდაც საკმარისია ცრემლები. სერგეი, ახლოს მოიწი, აი აქ. არაყი გულს ამხიარულებსო — ამბობს ჭკვიანი ხალხი და მოდი და ნუ დალევ ასეთი შეხვედრისათვის! ეხ, უწინ მე და მამაშენი...

და უცებ ჩაიკმინდა ხმა. გაჩუმდა, თავის თავზე გაბრაზებულმა განზრახ ვედოკიას დაუწყო გულმოსული ლაპარაკი:

— ტირილი კარგად იცი და ქიქების მოტანა კი დაგვიწყებია...

III

სერგეიმ მხოლოდ ის იცოდა, რომ ესეულეებმა მამა ჩამოუხრჩეს და დედა დაუხვრიტეს ოკუპაციის ჯერ კიდევ პირველ წელს.

ლუკა მიტროფანოვიჩის გულითადმა თხოვრებმა სერგეის ბევრი რამ აგრძნობინა და ისე ახლოს დაანახა ყველაფერი, თითქოს თვითონ ყოფილიყო იმ ამბების მონაწილე.

პეტრე რუდენკო ათ წელიწადს, თვით სამამულო ომის დაწყებამდე მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ; ლენინის სახელობის კოლმეურნეობა მთელ რაიონში პირველი იყო. როგორი სამძიმო უნდა ყოფილიყო მოხუცისათვის იმის გაჩანაგების ნახვა თავისი თვა-

ლით, რის შექმნასაც მან მრავალი წელი მოანდომა?

სერგეიმ ნათლად წარმოიდგინა, თუ როგორ ეხმარებოდა მამამისი ლუკა მიტროფანოვიჩთან ერთად პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანს სოკოლიუცს პარტიზანული რაზმის ჩამოყალიბებაში, როგორ მიიღწეს გერმანელებმა ავადმყოფი სოკოლიუცის კვალს და როგორ ჩაუვარდა ხელში თვითონ, მეთაურის სიცოცხლის გადაარჩენით გატაცებული მამამისი, ესეულეებს. მთელ ერთ კვირას აწამეს მოხუცი რუდენკო, მაგრამ ვერც ერთი სიტყვა ვერ წამოაცდენიეს. მაშინ ესეულეებმა სერგეის მშობლების სახლს ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. გონებადაკარგული დედამისი პარმალზე გამოვარდა, მაგრამ წამსვე გაისმა ავტომატის ხმა და ქალი მოცულილივით დაეცა სწორედ იმ ქვასთან, რომელზედაც სერგეი ამ დილით იჯდა.

მეორე დღეს, კვირა დილით, ესეულეებმა ხალხი მოედანზე მორეკეს სოფლიდან. პოლიციელებიც მოაგროვეს მეზობლად მდებარე რაიონებიდან. ისინი ხალხს ირგვლივ შემოერტყნენ. შუა მოედანზე სახრჩობელა იდგა. სასოწარკვეთილი ხალხი სდუმდა.

სახრჩობელის კედონზე გამობმული თოკი დათრთვილული იყო. ყულფ ქვეშ ვაზნების შავი ყუთი იდგა. ლურჯი მაზარით გამოწყობილი ეანდარში სახრჩობელას ამაყად უვლიდა ირგვლივ და გაყინულ ხელებს ისრესდა.

ორმა ავტომატთანმა პოლიციელმა ხალხი მიწი-მოწიეს და გასასვლელი გააკეთეს. პეტრე რუდენკოს უკანასკნელი გზა ეს გასასვლელი იყო. ის მშვიდად და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა — სოკოლიუცი ხომ საიმედო აღგილზე იყო და ფაშისტები მას ახლა ვეღარ მიაგნებდნენ. პეტრე რუდენკოს ტანსაცმელი შემოხეული ჰქონდა, წვერი გაბურძნოდა და ცალი თვალი ჩამოსიებოდა.

მტრებს თითქოს ვერც ამჩნევდა, ისე

მივიდა სახრჩობელასთან, ყულფე შეღა და მოედანს გადახედდა.

პოლიციელები სახრჩობელის ყულფეზე ხვიდნენ. ლურჯმაზარიათმა ეანდარში მიიბრინა პეტრესთან და ხელი ბაჭრისაკენ წაიღო, მაგრამ რუდენკომ ეანდარში გვერდზე გადასწია და ხალხს თავი დაუტყა:

— ძვირფასო ამხანაგებო! მტრები პასუხს აგებენ ჩვენი წამებისათვის. მოვეწითელი არმია. ჩემს ვაჟს გადაეცით, რომ მამამისი პატიოსანი სიკვდილით მოკვდა.

მეტი აღარაფერი არ ათქმევინეს. პოლიციელები აწრიალდნენ და აყვირდნენ. მოედანს თითქოს ქარიშხალმა გადაუარა და ყველას ერთბაშად მოხადა ქული.

მან კი ისე გულდაგულ, თითქოს ურმის თოკი ყოფილიყოს, გაასწორა ყულფე, მოაშორა თრთვილი და ნელა, აუქარებლივ ჩამოიკცა კისერზე.

— მშვიდობით, ამხანაგებო!.. არ...

და სული განუტევა მამამ.

პეტრე რუდენკოს სიკვდილის შემდეგ კონსპირაციულ ბინად ლუკა მიტროფანოვიჩის სახლი გადაიქცა.

შორეული რაიონებიდანაც მოდიოდნენ საბჭოთა პარტიზანები სოკოლიუცთან დასაკავშირებლად.

ქალები უვლიდნენ დაჭრილ წითელარმიელებს, რომლებიც შემდეგ სოკოლიუცის რაზმს უერთდებოდნენ. მოხეცა კოლმეურნე მართა დიდხანს მალავდა და უვლიდა ახალგაზრდა ქართველ მეთაურს ვანო ქელიძეს. მტხ-ის მუშის ლეშჩინსკის ქალიშვილი, შავთვალა ნატაშა, ეხმარებოდა მართას ვანოს მოვლაში. იგივე ნატაშა იყო სოკოლიუცის რაზმის მოკავშირე და არაერთხელ მოუტანია მას ლუკა მიტროფანოვიჩისათვის საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები და ფურცლები, რომლებსაც დილით ყოველ სახლში კითხულობდნენ.

როდესაც ვანო გამომრთელდა და ფეხზე დადგა, ნატაშამ ის რაზმში წაიყ-

ვანა და თვითონაც იბრძოდა ახალგაზრდა მეთაურთან ერთად მანამდე, სანამ მათი რაიონი არ გაანთავისუფლეს და ვანო წითელ არმიას არ შეუერთდა.

ფაშისტები აქ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავს მშვიდად ვერ გრძნობდნენ, სისხლით აგებდნენ ისინი პასუხს ყოველი ჩადენილი ბოროტებისათვის...

ლუკა მიტროფანოვიჩი თავის თავზე ცოტას ლაპარაკობდა, არა მარტო იმიტომ, რომ მას საერთოდ არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი, არამედ იმიტომაც, რომ ეს უკვე წარსულს ეკუთვნოდა და მას კი ახლა უფრო დღევანდელი საქმეები აღელვებდა.

ბიძია ლუკა ახლა იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, რომელსაც ათ წელზე მეტ ხანს რუდენკო ხელმძღვანელობდა.

ლუკა მიტროფანოვიჩი ძლიერ უჯავრდებოდა სერგეის იმისათვის, რომ ის პირდაპირ მასთან არ მივიდა. ისინი ხომ ახლო ნათესავეები არიან და სერგეი მას პერ კიდევ „აი ამოდენა“ უტარებია ხელით. ბოლოს, ლუკა უფრო ახლობელია სერგეისათვის, ვიდრე ლარისა დიმიტრის ასული გოლოვანი, სერგეიმ უცხად ვერც კი გაიგო, ვინ იყო ლარისა დიმიტრის ასული გოლოვანი, მხოლოდ შემდეგ ძლივძლივობით მიხვდა, რომ ლესიას ახლა უკვე აღარაეინ ეძახის ლესიას და მისი გვარიც ზარუნდიაა აღარ არის, როგორც წინათ, არამედ მას ახლა ქმრის გვარი აქვს — გოლოვანი. ბიძიას სწორედ ლარისა დიმიტრიევასთან აქვს უსიამოვნება. ლუკას ლესიას საწინააღმდეგო არაფერი არა აქვს მაგრამ თვით ლესია დააცხრება ხოლმე მას თავზე ყოველი თათბირის დროს. ან კი რა უნდა ჰქნას ლუკამ? ლესიას რა უქირს — აგრონომია; აბა, რა დღეში უნდა იყოს ლუკა, თუ მას დაახლოებით ორი ათასი დესეტინა მიწა აქვს, მერე და ვინ იცოდა, რომ ასეთი ზაფხული იქნებოდა? ლუკას კომკავშირთანაც ომი აქვს გამართული (ლუკა მიტროფანოვიჩმა სწორედ სიტყვა „ომი“ იხმარა). თავმჯდო-

მარედ რომ პეტრე ყოფილიყო, ის ყველას გაუსწორდებოდა. ლუკას კი რა შეუძლია, როცა მას წესიერად თავი ვერაფრისთვის ვერ გაურთმევეია. პადა, პგლეჯენ და წიწქნიან საწყალ მოხუცს. სოკოლიუქსაც კი „ჩააწვეთეს“ ყურში, ხოლო სოკოლიუკი პარტიის რაიკომის ერთ-ერთი მდივანია; იგი სწორედ ის კობეც ლესოვია, რომელიც ორ წელიწადს მეთაურობდა პარტიზანთა რაზმს და ებრძოდა ფაშისტებს. ნატალია ლემინსკაია კი ახლა კომკავშირის რაიკომის მდივანია, და, ალბათ, იმან მიუტანა ენა სოკოლიუქს.

ლუკა მიტროფანოვიჩი მალე შეზარხოშდა და ხმამალა ლაპარაკობდა.

სერგეი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ შთაბეჭდილება იმდენი იყო, რომ თავში ყველაფერი ერეოდა, ერთმანეთს უსწრებდა და, დაფიქრებისას, ხშირად კარგავდა ლაპარაკის ძაფს. ლუკა მიტროფანოვიჩმა სერგეის დაღლილობა შეამჩნია, მოსვენება შესთავაზა და თვითონ კი მინდორში წავიდა.

მაგრამ სერგეის მოსვენება არ უნდოდა. რამდენი მწვავე და ამღელვებელი შთაბეჭდილებებით იყო აღსავსე! ყველაფერ ამას რალაცნაირად დაძლევა და მოფიქრება უნდოდა.

სერგეი ეზოდან გავიდა, ქუჩიდან ქუჩაზე გადავიდა და მინდორისაკენ გაეშურა.

შესაძლოა ის თავის სიცოცხლეში პირველად დაეხეტებოდა ასე უმიზნოდ და ადგილს ვერ პოულობდა.

მან მშობლები დაკარგა. მას არ შეეძლო ემუშავა იქ, სადაც სურდა. და განა შეეძლო არ ემუშავა? ჯერჯერობით მან დაუჯერა თავის ძველ მეგობარს ივანე ბობროვს და დაეთანხმა ეცხოვრნა ძველ ადგილას, მლაროს მახლობლად. ეცხოვრნა და შეძლებისდაგვარად მკურნალობისთვისაც მიეყო ხელი.

ღიან, მას შეეძლო შეესრულებინა პარტიის მხოლოდ იოლი დავალება და

გულისტკივილით ეცქირნა სხვებისათვის, თუ როგორ მუშაობენ ისინი, როგორც წესია...

სერგეის წინ სწორ ზოლად გაწოლილიყო ფართო გზა, რომელიც სადღაც პორიზონტთან იყარებოდა.

ამ გზას ნაცრისფერი მტვერით საესე ბორბლის ორი ნაკვალევი მისდევდა. გზისპირა თხრილებში შამხნარი გაბარდნილიყო. გზის ერთ მხარეს შვრიის ყანა გაშლილიყო, მეორე მხარეს კი ნასვენები მიწის დიდი და შავი ზოლი მოჩანდა. რამდენადაც შორიდან ემჩნეოდა, შვრია თხელი და დაბალი იყო, სიმალლით ერთი მტკაველი თუ იქნებოდა, თავთავები მზეზე გადამწვარი და ცარიელი ჰქონდა.

მინდორში აქა-იქ მოჩანდა ღიქა-რბილით თეთრად გადაპენტილი ნაკვეთები; ნასვენი მიწა კი სუფთად გამოიყურებოდა; ეტყობოდა, რამდენჯერმე დაეფარცხათ, მაგრამ მაინც გამხმარი, ღია ნაცრისფერი იყო და ფერფლს წააგავდა. ნაცრისფერი მიწის ზოლზე, სოფლის მიმართულებით, ტრაქტორი მიბობლავდა. მის უკან მტვრის უზარმაზარი სვეტი ღებოდა. სერგეიმ ტრაქტორს თვალი მოაშორა, გადახედა შვრიას, გზას, ისევ ნასვენ მიწას შეხედა და ისეთი მწვავე წუხილი იგრძნო, რომ გული შეეკუმშა.

სერგეი თხრილზე გადახტა და პირდაპირ, ნახნაზე გადავლით, ტრაქტორის შესახვედრად წავიდა. ყოველი მისი ნახიჯი გამხმარ მიწაზე მტვერს აყენებდა, პატარ-პატარა გორბები კი რკინასავით წკარუნებდნენ.

საყანე მიწა თავის დროზე იყო მოხნული და გულმოდგინედ და კარგად დამუშავებული. მაგრამ განა შეიძლება ასეთ ნიადაგში მარცვალი ჩააგდო? სერგეიმ ვერ მოითმინა, გაჩერდა და ჩექმის წვერით მიწა ამოჩიქნა. მიწა გამხმარი იყო. მაშინ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ნიადაგი ხელით გაქექა. უფრო ღრმად მიწას ცოტაოდენი ტენიანობა

ემჩნეოდა, თითბსაც კი ეკვროდა, და ამან სასიამოვნოდ გააოცა სერგეი. იგი გასწორდა, ხელი მუხლზე გაიწმინდა და გზა განაგრძო.

ტრაქტორზე გუშინდელი გაცნობილი ჰაბუკი იჯდა, მას ფიზკულტურელის მკვრივი ტანი და ქალიშვილივით მოლურჯო თვალები ჰქონდა. იგივე „ხარკოველი“ თავისი დაქვეყილი ფრთებით ამტვერებულ ნახნავეებზე კულტივატორს ეზიდებოდა. სერგეი ფეხით საბმურზე შედგა და ფრთაზე ჩამოჯდა.

— გამარჯობა, მეურნე!
იავორმა, როგორც ძველ ნაცნობს, მხიარულად გაუღიმა და თეთრი კრიალკბილები გამოაჩინა.

— გაგიმარჯოთ, ამხანაგო მაიორო!
— ხენას უკვე მორჩი?
— ღამით მოცხანი.
— სათესად ამზადებ?
— ვამზადებ, ამხანაგო მაიორო.
— წვიმა რომ არ მოვიდეს?
— მაინც დაეთესავთ. ამას ნუ უყურობ ამტვერებულები რომ არის, იქ, სიღრმეში, ტენიანია, — და ოდნავი სიამაყით დასძინა: — ეს ნასვენი მომზადებულია ჩვენ მიერ — ამხანაგ ფედორჩუკის ბრიგადის მიერ. გაზაფხულიდანვე ვუთვალყურებთ. წვიმაც რომ არ მოვიდეს, მაინც დაეთესავთ. სიღრმეში ტენია და ჯერჯერობით როგორმე ეყოფა, ზამთარში კი თოვლი მოვა და იმას შევანერებთ, შემოდგომის წვიმებიც ზომუნდა მოვიდეს ოდესმე...

სერგეიმ ხელი საუკეს დააღო.
— აბა, მოდი, მე წაიყვან!
— ამხანაგი ფედორჩუკი მანქანის გადაცემის ნებას არ გვაძლევს.
— მეც მისი შეგირდი ვარ, შენ ნუ გეშინია, ჩემი პასუხისმგებლობა იყოს.
იავორმა საუკე უხალისოდ გადასცა, თვითონ კი ფრთაზე გადაჯდა ჯერ კიდევ ეჭვის თვალთ უყურებდა სერგეის.

— ამხანაგო მაიორო, ამ ისარს ხელოს არ ახლოთ, მეტი გაზი საჭირო არაა.

— ნუ შიშობ, არ გადავწვავ.

იგიორი რამდენსამე ხანს ყურადღებით აკვირდებოდა სერგეის ყოველ მოძრაობას და, როცა დარწმუნდა, რომ სერგეის კარგად, სწორად მიყავს მანქანა, მხოლოდ მაშინ მოსწია თამბაქო, მუცლით წაწვა ფრთაზე და დამშვილდა.

მაგრამ როგორცა სჩანს, იგიორს დიდი ხნით არ შეეძლო ჩუმად ყოფნა. თამბაქოს წევა რომ გაათავა, ფრთას აკყვავა ზევით, ხელი ბაქს დაადო და მოულოდნელად პირდაპირ ყურში ჩასძახა სერგეის:

— ამხანაგო მაიორო, ყური ხომ არ მოგიკრავთ ნიურენბერგის პროცესი მალე დამთავრდება?

— არაფერი გამიგონია, ამ ბოლო დროს ტრიბუნალის თავმჯდომარეს არ შევხვედრივარ, — გაელიშა სერგეის, — მაგრამ, ვფიქრობ, მალე დამთავრდება.

— თქვენი აზრით ყველას ჩამოახრჩობენ?

— არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, ჩამოახრჩობენ.

— როგორ გგონიათ, მსაჯულად რომ ჩერჩილი ყოფილიყო, ჩამოახრჩობდა მათ?

— ჩერჩილი? შენ როგორ გგონია?

— გგონია, რომ არ ჩამოახრჩობდა.

გერმანიას თქვენის აზრით რაღა მოეწონის?

— შენ როგორ ფიქრობ? — უკვე სრულიად სერიოზულად ჰკითხა სერგეიმ.

— რაც არ უნდა იყოს, გერმანიის საქმე ისე არ იქნება, როგორც ჩერჩილს სურს.

— რას ჩააცვივდი ამ ჩერჩილს?

— იმიტომ ჩააცვივდი, რომ მეტისმეტად ამღვრევს წყალს.

— გერმანიისათვის რატომღა სწუხხარ ასე?

— იმიტომ, რომ...

იგიორი მარტად გადაბრუნდა ზურგზე და ფრთაზე დაჯდა. სახეზე ფიქრის ნიშანი აღებუჭდა. მან ირგვლივ ხელით შემოხაზა სივრცე:

— ხომ ხედავთ? იწვის! — ყრუდ დაიწყო იგიორმა. — ოცი წელიწადი მაინც გავიდოდეს ისე, რომ ომი არ იქნებოდეს, და მაშინ ნახავთ, რასაც გაეკეთებთ. ჩვენ აქ, ამ მიწაზე აყვავებულ ბაღს გავაშენებდით, სამოთხე იქნებოდა. ას წელიწადს ვერავითარი გვალვა ვერ შეგვაშინებდა... რის ას წელიწადს? ვერასოდესაც ვერ შეგვაშინებდა. აი რატომ მაინტერესებს გერმანიის ბელი, ამხანაგო მაიორო, და განა მარტო გერმანიის ბელი...

თ ა ვ ი მ მ ს ა მ ე

I

საღამოთი სერგეი და ტოლია ლესიას მოლოდინში სახლის პარმალზე ისხდნენ. სერგეის ლუკა მიტროფანოვიჩთან უნდა გაეთია ღამე, მაგრამ ლესიას დაბრუნებამდე წასვლა უხერხული იყო.

სოფელს თანდათან ეღებოდა აგვისტოს აღრიანი ბინდი. დღის ხმაური ნელდებოდა. ხევიდან ერთფეროვანი ხმები მოისმოდა: მდინარეზე საგუბართან წყალი ბორგავდა. თხრილის იქითა მხარეს, მოედანზე, კლუბის მახლობლად, ელნა-

თურა აინთო. ქუჩაში, სახლების ფანჯრებში მოყვითალო ფერის სინათლე კიაფობდა. სერგეის მსუბუქი, სასაიმოვნო დაღლილობით ტანი უბეჭოდა. საღამო წყნარი და შეხუთული იყო, მაგრამ წყლით გაგრილებული გულშეკრული ჯერ კიდევ სიმსუბუქეს გრძობდა, მეტად სასაიმოვნო იყო სერგეისათვის აქ ყოფნა და წასვლაც არსად უნდოდა.

ტოლია დაბალი ხმით უამბობდა იმის შესახებ, როგორ ცხოვრობდნენ ისა და დედამისი ევაკუაციაში.

...მამა უკვე იმში იყო. ისინი—ლესია და ათი წლის ტოლია, როცა მახლობლად ქვემეხების სროლა მოესმათ, სოფლიდან წავიდნენ, თან წაიღეს მხოლოდ ორი პატარა ბოხნა—თითო-ოროლა ხელი ტანსაცმელი, რამდენიმე დღის საგზალი და ცოტაოდენი ფული.

მთელი დამე შეუსვენებლივ იარეს, და მხოლოდ დილით, დაქანცულნი, ღონემიხილნი, ცერით წელამდე დასველებულნი დიდ მოკენვილ გზაზე გავიდნენ. აქ ისინი წითელარმიალებმა მანქანაზე დასვეს, და უახლოეს სადგურზე მიიყვანეს, დნებრის მახლობლად. მათივე დახმარებით როგორც იყო მოთავსდნენ გრძელი ეშელონის ძალზე გადატვირთულ ვაგონში.

მიუხედავად სიციფროვისა და შეხუთული ჰაერისა, პირველად მგზავრობა საინტერესოც იყო. მეორე დღეს მატარებელი დაბომბეს. ეშელონი შუა ტრამალში გაჩერდა. საჭირო იყო სასწრაფოდ გადმოსვლა შეშინებული ხალხით საესე ვაგონიდან და შემდეგ ისევ საჩქაროდ ჩასხდომა ვაგონში. დაბომბვისას ყველაზე უფრო საშინელი ის აზრი იყო, რომ ეშელონი შეიძლება არ დაგელოდოს და წავიდეს, სანამ შენ ვაგონამდე მიიბნას მოასწრებდე.

ეშელონი ძალიან ნელა მიდიოდა. ისინი მხოლოდ მეორე კვირას შეჩერდნენ შესასვენებლად სადღაც სარატოვის მიდამოებში—ვოლგისპირა კოლმეურნეობაში. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაუდგნენ გზას. ეშელონით ურალსკამდე მიადღწიეს, იქედან კიდევ ბევრი იარეს მანქანებით. დღედაღამე განუწყვეტლივ მიდიოდნენ სწორ ყამირზე. არახინით გამოწყობილმა შოფერმა, რომელსაც შავი და წერილი, ირიბად გაჭრილი თვალები ჰქონდა, ტოლიას უთხრა, ეს სამხრეთ ყაზახისტანიაო.

რომელიღაც სოფელში გაჩერდნენ. ამ სოფელში მხოლოდ რამდენიმე ნამდვილი სახლი იდგა, ირგვლივ კი ალაჩუ-

ხები იყო. ალაჩუხების დანახვა ტოლიას არ გაკვირვებია—ასეთი ალაჩუხები მას გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში და კინოს ეკრანებზე მრავალჯერ უნახავს, ამიტომ მათ ძველი ნაცნობებივით შეხვდა.

ოთახი ორსართულიან სახლში მისცეს, სოფლის ერთ მხარეს განივრად გაწოლილიყო ხორბლის ყანები, შემდეგ მოჩანდა ფართო ტრამალი, რომელსაც ვაციწვერისა და აბზინდისაგან ნაცრისფერი ჩასდებოდა. მინდორში ცხვრის დიდი ფარები სძოვდნენ, მათ ცხენოსანი ყაზახები მწყემსავდნენ.

ცოტა ხნის დასვენების შემდეგ დედა კოლმეურნეობაში წავიდა სამუშაოდ: ჯერ კოლმეურნედ და შემდეგ—კი—აგრონომად. ტოლია შინ რჩებოდა. აბზინდის მწარე და მწყლარტე სუნი იდგა. დღისით სულშემხუთველად ცხელოდა, ღამით ციოდა, ხანდახან ყინავდა კიდევ. ზაფხულობით არც სახლებსა და არც ალაჩუხებში ცეცხლს არ ანთებდნენ. ისე იყო ყველაფერი გამხმარი, რომ ეშინოდათ ხანძარი არ გაჩენილიყო. ალაჩუხების მოშორებით თიხის ღუმელებს აკეთებდნენ. საღამოობით ასეთ ღუმელში ტოლია და დედამისი ქერქების მსგავს უფუარ პურებს აცხობდნენ. პურს მწარე გემო ჰქონდა—აბზინდას ნაცრისფერი მტვერი ერეოდა ხორბალს და მისი მოშორება ძნელი იყო.

ტრამალში დამდამობით მგლები ყმუოდნენ. უფრო გულადები ძალღებს იგერიებდნენ და თითქმის კარებამდე მოდიოდნენ. ეზოში გამოსვლა საშიში იყო. საღამოობით როდესაც ღუმელს ანთებდნენ, შამხარში მწვანე ფერის ცეცხლი აციმციმდებოდა—ეს შორიახლოს გაჩერებული მგლები უყურებდნენ ცეცხლის ირგვლივ მოფუსფუსე ხალხს. ტოლია მაშინ ღუმელში შეაგდებდა აბზინდის დიდ კონას, ალი სვეტივით ავარდებოდა და მგლებიც ულახისოდ შორდებოდნენ იქაურობას.

საერთოდ კი ტრამალში ისინი კარგად ცხოვრობდნენ. ადამიანებიც კარგი და თავაზიანი იყვნენ. ზამთრობით უფრო ძნელდებოდა ცხოვრება. მაგრამ მაშინ ტოლია სკოლაში დადიოდა და სეველი-სათვის დრო მიენცდამინც აღარ რჩებოდა.

ფრონტიდან ცუდი ამბები მოდიოდა. წითელი არმია უკან იხევდა. ფაშისტებს უკვე ჩაეგლოთ ხელში უკრაინის ნოყიერი მიწები, ბელორუსია და სმოლენსკი თავისი მიდამოებით. ამიტომ აქ, შორეული კაზახეთის ტრამალში, ლესიამ კოლმეურნეობა უხნავ ყამირს მიუსია; იგი იბრძოდა, რათა ვაციწვერისა და აბზინდისათვის ნოყიერი მიწები წაერთმია ხორბლის დასათესად. კოლმეურნეობას თავისი ტრაქტორი უავდა. დედა სადღაც ასი კილომეტრის მანძილზე წავიდა და იმდენი იღონა, რომ კოლმეურნეობისათვის კიდევ ორი ტრაქტორი მიიღო. როდესაც ტოლია და დედამისი 1944 წელს კაზახეთიდან მოდიოდნენ, კოლმეურნეობაში სათესი მიწის ფართობი ორჯერ მეტი იყო, ვიდრე 1941 წელს...

სოფელში კაზახები, ბაშკირლები, თათრები, რუსები და უკრაინელები ცხოვრობდნენ. ტოლიას დედა ყველას უყვარდა და პატივისცემით ეპყრობოდა მას. შინ მთელი დღეობით არ ბრუნდებოდა, მინდორში რჩებოდა და მუშაობდა... ლამდამობით ხშირად თავზე საბანს წაიხურავდა და ტაროდა, რადგან ქმრისაგან არავითარი ამბავი არ მოდიოდა და ყოველგვარი ძებნა უშედეგოდ რჩებოდა.

ტოლიამ ყველა თავისი ტოლი ახალგაზრდა გაიცნო, მაგრამ განსაკუთრებით დაუმეგობრდა კოლმეურნეობის ცხვრის დიდი ფარის მეთვალყურეს — მოხუც იულაევს. იულაევი ხშირად მოდიოდა მათთან, დიდხანს ესაუბრებოდა დედას და ამშვიდებდა მას. იგი ბევრ რამეს ეკითხებოდა ტოლიას უკრაინის შესახებ. იულაევი მუდამ თვალმოკუ-

ტული იჯდა, ქანაობდა და ყოველთვის დიდი ყურადღებით უსმენდა მას. რაც ის ილიმებოდა (და ილიმებოდა სემარდ ხშირად), მისი შემწვარი ვაშლივით დანაოკებული სახე სითბოთი იესებოდა და კეთილი ხდებოდა.

იულაევს სხვა კოლმეურნეებზე მეტი შრომადღებები ჰქონდა. მას პატივს სცემდნენ კოლმეურნეობაში. ის ეცადა და მოახერხა, რომ ტოლიასათვის ჩაეზარებინათ ტანდაბალი, მუქ-ყავისფერი ფაშატი ცხენი „ისარი“. ფაშატი ძალიან ამტანი და ფეხმარდი იყო.

დღისით ტოლია ამ ცხენით ძნებს ეზიდებოდა, ნასვენ მიწას ფარცხავდა და შინ ხმელი აბზინდა მოჰქონდა. სასილამოთი კი დაბამულ ხალათს ჩაიცვამდა, „ისარზე“ შეჯდებოდა და მინდორში მიდიოდა. მოხუც იულაევთან და სოფლის ბიჭებთან ერთად კოლმეურნეობის ფარას დარაჯობდა. ცხვრები ერთად შეჯგუფდებოდნენ და ისე სძოვდნენ ბალახს, ან ისვენებდნენ. ტოლია კი გარს უვლიდა მათ ცხენით, აჭრაკუნებდა ჭრიალას და მთელი ხმით ყვირებდა. ასევე იქცეოდნენ სხვა ბიჭებაც. მგლები ფრთხებოდნენ და ფარას ახლოსაც არ ეკარებოდნენ.

იანვრის ერთ დილას მათ ოთახში იულაევი შევიდა. იგი მხიარულად ილიმებოდა. ლესიას გაზეთი და წერილი მოუტანა. გაზეთში მოსკოვთან წითელი არმიის გამარჯვებისა და წარმატებითი შეტევის ცნობა იყო მოთავსებული. წერილი კი ტოლიას მამას გამოეგზავნა. ეს მისი პირველი წერილი იყო, რომელმაც მათთან მოაღწია. მამა ცოცხალი იყო და თავს კარგად გრძნობდა, ის გერმანელებს ებრძოდა. დედამ სიხარულსაგან იულაევი გადაკოცნა, სადღაც ნახევარი ბოთლი არაყი გამოქებნა და მიართვა. ოთახში თითქოს სითბომ იმატა. ტოლია გამხიარულდა, დედამაც ლამდამობით ტირილს თავი დაანება...

...ლესია შინ გვიან დაბრუნდა, მთვარე ამოსული იყო. სერგეი და ტოლია

ისევ გარეთ ისხდნენ ზღურბლის მახლობლად.

ლესია მათთან რამდენიმე წუთით შეჩერდა.

— ცოტას დავისვენებ და მერე ვივახშმოთ, — წყნარად თქვა მან და სახლში შევიდა. მალე ლესიამ ისინი შინ შეიპატიჟა.

ლესია თუმცა წელგამართული იჯდა, მაგრამ მთელ მის სხეულში დალილიობა იგრძნობოდა. მას კიდევ რაღაც სხვა, ახალი, სერგეისათვის გაუგებარი რამ ემჩნეოდა: მას ან აწყენინა ვინმემ, ანდა ფარული სევდა აწუხებდა. ლესია რამდენსამე ხანს ჩუმად იჯდა, შემდეგ კი, თითქოს ლაპარაკი ემძიმებო, წყნარად იკითხა:

— მიამბე სად იყავი დღეს, ვინ ნახე და როგორ მოგეწონა აქაურობა?

— ჯერ თითქმის არაფერ მინახავს. ვიყავი მინდორში. რაც შეეხება იმას, მომეწონა თუ არა აქაურობა, ამაზე რა უნდა ვითხრა, მე აქ ხომ სტუმარი არ ვარ! ნახვით ჯერ ცოტა რამ ვნახე. ვიყავი ლუკა მიტროფანოვიჩთან, გამოიჯაყრდა მოხუცი, რომ პირდაპირ მასთან არ მივედი.

— რა თქმა უნდა, ალბათ, მეც მომხვდა მისგან, — ღიმილით თქვა ლესიამ.

— რაღაცას მეუბნებოდა, მაგრამ კარგად ვერ გავიგე. მგონი თქვენ უსიამოვნება გაქვთ?

— უსიამოვნება კი არა, მაგრამ ზოგჯერ ვდავობთ ხოლმე. მოხუცი ჯიუტი ხასიათისაა. ჩვენს დაეაში განსაკუთრებული არაფერია, ჩვენი პირადი დამოკიდებულება საერთო საქმეზე მაინც ცუდად მოქმედებს...

— დაიცა, რა პირადი დამოკიდებულება? რა უნდა მომხდარიყო შენსა და ლუკა მიტროფანოვიჩს შორის?

ლესიამ გაიციინა:

— არა, შენ ვერ გაიგე. პირადი დამოკიდებულება ორ კოლმეურნეობას შორის და, მაშასადამე, ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს შორისაც. განა

შეიძლება ამ მეურნეობებმა ისორიკებულად იცხოვრონ და რაიმე გავლენა არ იქონიონ ერთმანეთზე? რა თქმა უნდა, არა, კოლმეურნეობათა შორის დამყარებული ურთიერთობა გავლენას ახდენს მთელი სოფლის კეთილდღეობაზე. ჩვენ კი რატომღაც ისე ხდება, რომ არამეგობრულად ვცხოვრობთ. და ახსწორედ აქ გადაიხლართა ერთმანეთში ყველაფერი: სახელმწიფოს ინტერესებიც, კოლმეურნეობათა კეთილდღეობაც და სხვადასხვა ხასიათიც. ისიც არის, ვის როგორ ესმის კრიტიკა. მე მგონია, რომ კრიტიკით დახმარებას ვუწევ, ლუკა მიტროფანოვიჩს კი, პირიქით ისე წარმოუდგენია, რომ მას ძირს უთხრიან. შენ გახსოვს, ჯერ კიდევ ომამდე, როცა მამაშენი თავმჯდომარეობდა, მთელი კოლმეურნეობა მთელ რაიონში განთქმული იყო. ახლა კი საქმე ისე წავიდა, რომ ისინი ჩამორჩენილები არიან. ჩამორჩენილებს კი ყოველთვის ურტყამენ. პოდა, ამას კი ისინი ჩვეულნი არ არიან. როგორ თუ ჩვენ, ყოფილ მოწინავეებს ვიღაცა ჰქუას გვასწავლისო! ცოტა რამ ჩვენც გაგვეგება და იძულებული ვართ მათ ხანდახან ჰქუა ვასწავლოთ. ის ადამიანები კი ნაცვლად იმისა, რომ კრიტიკას ყური დაუდგონ, უფრო მეტად იცეტებიან თავიანთ კოლმეურნეობაში. ჩვენთან რა გესაქმებათ, როგორც გენებოთ ისე მოუარეთ თქვენს თავს, ჩვენსას კი ჩვენ მოუვლითო. კოლმეურნეობაც ჩვენია და გარჯაც ჩვენი, თქვენ ჩვენთან საქმე არა გაქვთ. ერთი სატყვიო, საკუთარ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ. მე იმას არ ვამბობ, რომ ყველაფერში ლუკა მიტროფანოვიჩი იყოს დამნაშავე. კოლმეურნეობა ჯერ კიდევ მის მოსვლამდე ჩამოქვეითდა. ლუკა კი, ნაცვლად იმისა, რომ ყური უდგოს და დაიჯეროს კარგი რჩევადარიგება, ხშირად აყვება ხოლმე ჩამორჩენილ განწყობილებებს და, ნებით თუ უნებლიედ, მათ მხარს უჭერს: არ დაუჯერა ჩვენს რჩევას სიმინდის შესა-

არც ისე ძნელი საქმეა. ლუკა მიტროფანოვიჩმა ისევე თავისებურად დაიწყო. ამ მდგლოების ნახევარი, სწორედ ნაკადულამდე, ჩვენ გვეკუთვნის, ნახევარი კი — ლუკა მიტროფანოვიჩს. უიმიოდ, მარტო ჩვენ, ვერ შევძლებთ ამოშრობას, ლუკას კი, არ უნდა. „ნეტავი იმ მიწებს მოუვლიდე, ამოუშრობლადაც რომ ვარგაო.“ — ამბობს იგი. პირდაპირ ბრაზი მომდის: ამ მდგლოებთან ძალიან საინტერესო გეგმები მაქვს დაკავშირებული.

— ეხ, ეს რაღაც არა გავს ლუკა მიტროფანოვიჩს, — შეაწყვეტინა სერგეი. — თქვენ საერთო ენა ვერ გამოგინახავთ როგორც წესია.

— ლაპარაკისაგან ყბები მეტყინა. ჯიუტი მოხუცია. რომ დაიქინებს რამეს, ადგილიდან ტრაპტორითაც ვერ დასძრავ. ზოგჯერ ველარ მოითმენ, გაჯავრდები, და კიდეც უფრო უარესი გამოდის.

— აი, საქმეც სწორედ ეს არის! შენ ხომ არ გიფიქრნია იმაზე, რომ მოხუცს შესაძლოა უმძიმდეს და უძნელდებოდეს?

— ვისთვის არის იოლი? შენა გგონია, ჩემთვის ყველაფერი იოლია?

— შენ რომ ლუკა მიტროფანოვიჩი არა ხარ, ამაზე ოდესმე გიფიქრნია? ის მოხუცია, უცოდინარი ადამიანა, არც გამოცდილება აქვს, შენ კი აგრონომი ხარ და პარტიის წევრი. ლუკას აღზრდა ესპიროება, როგორ ფიქრობ, განა ეს შენი საქმე არ არის?

— კიდეცაც აღზრდი მას! მეც ხომ რკინა არა ვარ; კოლმეურნეობაში საყოფი საქმე მაქვს.

ლესია გაჩუმდა. კვლავ დადლილობა და შეშფოთება დაეტყო. ახლა ლესიასთან კამათი უხერხული იყო, და სერგეიმ ისე, არც თანხმობისა და არც შესიტყვების სახით, უთხრა:

— რას იზამ, ვიცოცხლოთ და ვნახოთ. შენ კი თავისუფალ დროს უფრო დაწვრილებით მიაბებ მდგლოების შე-

ხებ და წააგო. შეცდომის აღიარება კი არ უნდა. ვთქვათ, ეს მართლაც ერთი კოლმეურნეობის პირადი საქმეა. უფრო სერიოზული საქმეებიც არის. მაგალითად, ტყის იქით, ჩვენს ქერს მათი შვრია ესაზღვრება. ომის შემდეგ მიწა შემზნარით აიგსო. ჩვენ შემოდგომაზე ღრმად მოეხანით შრაალად, ბევრი შრომა შევალეთ. მაგრამ მიწა კი გადავარჩინეთ, ისე გამოვიდა, რომ მთელი ეს ჩვენი მძიმე შრომა უნაყოფოდ დაიკარგა, იმიტომ რომ გვერდით ლუკა მიტროფანოვიჩის ყანაა და მასში ქერზე მეტი ლიჭარბილია ახლა ლიჭარბილა ხმება და მისი თესლი ქარს ჩვენს ყანაში მოაქვს. გამოდის, რომ გაისად ჩვენ ისევე თავიდან უნდა დავიწყოთ. ჩვენი კოლმეურნეები ბრაზობენ და ამბობენ „ჩვენ არ შეგვიძლია სამ წელიწადს ზედიზედ ვიმუშაოთ ზარმაცებისთვის“. ჯერ კიდევ გაზაფხულზე გავაფრთხილე ლუკა მიტროფანოვიჩი, იმან კი დაიგინა, ერთი და იგივე დაიგინა: „მუშახელი სად ვიშოვნო?“ და ისევე გაუმარგლაკი დატოვა. აქ ჩვენ აგრონომიული სანიტარიის თეალსაზრისითაც უნდა წავჩხუბებულიყავით და საჩივარი შეგვეტანა მიწათმოქმედების განყოფილებაში. ნაცკლად იმისა, რომ ჩვენი სიმართლე ელიარეზინათ, ისინი აყვირდნენ: ძირს გვითხრიან, სული აღარ მოგვათქმევენესო. ასე და ამგვარად ემატება ერთი მეორეს და მტრობაც ღრმადება.

— ნუთუ არ შეუძლია გაიგოს? ლუკა მიტროფანოვიჩს მე ასეთად არ ვიცნობდი!

— როგორც ხედავ. აი კიდეც მეორე ამბავი: ხომ გახსოვს სოფლის ბოლოში რომ მდგლოები გვაქვს? დაახლოებით ორმოცი დესეტინა დაქაობებული მდგლოა. არავითარი სარგებლობა არ მოაქვს; იქ მხოლოდ ჭაობის მყრალი ბალახი და ისლი იზრდება, რომელსაც საქონელიც კი არა ჭამს. ვარდა ამისა, იქ კოლოებიც ვრცელდება. მიწა კი, თუ ამოვამრობთ, ოქრო იქნება, ამოშრობ-

სახეზე, რამე მოვიფიქროთ. მეორე მხარის მოსმენაცაა საჭირო...

სერგეის არ სიაზოვნებდა, რომ ლესია და ბიძია ლუკა ვერ თვისდებოდნენ, ამავე დროს კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ლესია ასე გატაცებით ლაპარაკობდა თავის კოლმეურნეობაზედაც, ჭაობზედაც და საერთოდ სოფლის საქმეებზედაც. რაღაც ნორჩი და ახალგაზრდული ვლადერი ჰქონდა ლესიას სიტყვებს და ჭაბუკობასა და კომკავშირს აგონებდა მას. „არაფერია, შერიგდებიან, — გადაწყვიტა სერგეიმ, — ხოლო ჯერ მოსვენება ესაჭიროება, ძალიან დაღლილია, საბრალო“. სერგეიმ ვახშამზე უარი თქვა და ბიძამისთან წასაღელელად მოეშადა.

სახლიდან გამოსვლისას ლესიას რამდენიმე სიტყვით დაემშვიდობა, ხელიც კი არ ჩამოურთმევეია, თითქოს მხოლოდ ერთი-ორი საათით მიდიოდა. ლესია წამოდგა, ბეჭებზე თბილი თავშალი წამოისხა და სთხოვა:

— იცოდე, არ დაგვივიწყო, შემოიარე.

ლესია მშვიდად და მხიარულად ლაპარაკობდა, მაგრამ სერგეი გრძნობდა, რომ ეს სიმხიარულე ნამსახურეა მხოლოდ, რომ გული დამძიმებულ ჰქონდა.

ლესიამ სერგეი ჰიშვარამდე მიაცილა შემდეგ ტოლია გაჰყვა. მცირეოდენი მანძილის გაელის შემდეგ სერგეიმ მოიხედა და ჰიშვართან მთეარის მერთალი შუქით გარემოცული უძრავად მდგარი ლესია დაინახა.

ბიძის სახლში მარტო სამზარეულოს ფანჯარა იყო განათებული. ლუკა მიტროფანოვიჩი დივანზე გაშოტილიყო და ეძინა. ბიცოლა ევდოკია ჭურჭელს რეცხავდა. სერგეის ვახშამი შესთავაზა, მან უარი უთხრა. შემდეგ ბიცოლამ ლოგინი გაუშალა. ბალიშის აბუმბულეებისას მან სერგეის უამბო, დღეს ფედორჩუქმა ორჯერ შემოირბინა და ძალიან სწუხდა, რომ სახლში არ დახვდიო. მთხოვა, თუ შესძლებს დილიდანვე მოვიდეს ჩემთან მტს-ის სახელოსნოში. თერთმეტ საათამდე დაგიცდიო იქ.

თარგმანი რაჭვინი გვიმბაჩინა.

(გაგრძელება იქნება)

მედიოზის საქმე უძლეელია



წარბეზამდე ჩამოფხატული ზუჩი. ზუჩისპირამდე ამომსხდარი, დაბურცული თვალები, და უფრო სწორედ — ზოლად ჩაქრილი ხორცის ორი გუნდა. ყურებამდე გადახეული ლაშები. გადმოყრილი, გაალმასებული ეშვები. დაგრძელებული, ნიჩაბივით წაგდებული ნიკაბი. მოღვლილი გული. ხელში მომარჯვებული ავტომატი... ასეთია: მასწინათ ამერიკულ ჟურნალ — „ნიუსუიკში“ — მოთავსებული სურათი. სიტყვებით შეიძლება ვერ ამოიხსნოს ყველა დამახასიათებელი შტრიხი იმ სახებისა, რომელიც პირველი შეხედვით მოგვაგონებს ყველაზე საშინელ მხეცს, ხოლო ქვეშ წარწერილი აქვს: „პირველადი მოშაღება დამთავრებულია. ახლა ეს ახალგაზრდა მშადაა სერიოზული ბრძოლისათვის“...

უყურებთ ამ სურათს, „სერიოზული ბრძოლებისათვის მოშაღებულ“ ახალგაზრდა ადამიანის სახეს, სახეს, თითქოს ადამიანისას, მაგრამ არა, ნამდვილად მხეცისას; ადამიანის ყოფილა და ქცეულა მხეცის სახედ და გაცემა — ნუ თუ შესაძლებელია ასეთი ატავიზმი?!

ადამიანში არის ზოგიერთი ჩვევა, ან სხეულის ნაწილი გადმონაშთების, რუდიმენტის სახით, რაც გვაგონებს ადამიანის ჩამოყალიბებისა და განვითარების განვილ საფეხურებს. თითქოს ყველა ეს ფიზიოლოგიური და ანატომიური გადმონაშთები აღორძინებულა და უკუუბრუნებით უმალესი სახეობა, ან ეგებ ესაა ახალი, განსხვავებული რასა?! ვინ იცის — ისეთი სიამაყითაა მოთავსებული „ცივილიზებულ“ ამერიკულ ჟურნალში სურათი „გადამწყვეტი ბრძოლებისთვის მოშაღებული ახალგაზრდისა“... ესაა მხეცი ყველა დამახასიათებელი ნიშნებით. მისთვის შეუსაბამო და შეუფერებელი, აშკარად რუდიმენტალური, მხოლოდ და მხოლოდ სამოსია, ეს ზალათიანი ნადირები, ცივილიზებული მხეცები აწიოკებენ კორეელ შრომისმოყვარე, მშვიდობიან მოსახლეობას, აობრებენ მათი კულტურის ძეგლებს და მეურნეობას; ეს ატავიზირებული ადამიანები შეადგენენ არმიას აღმოსავლეთის იმ „გამანათლებელისა“, რომელსაც ყუმბარებით დაფლეთილ კორეელ ბავშვთა დანახვისას ნეტარებით აღმოჰხდა: „ჩემს ბებერ თვალებს ეამება ამ სურათის ხილვა!“

მართლაც საოცრებაა ადამიანის ესოდენი გადაგვარება. რამდენგვარი მეთოდები, რამდენი მზამი და სამსალაა საქირო, რომ ჩვენი ღროის ადამიანი დაუბრუნდეს ველურობას ფსიქოლოგიურად და ანატომიურად?! ადამიანი არ იბადება თავისთავად კეთილად, ან ბოროტად, მას წრთენიან, აყალიბებენ, ზრდიან უადრესად კეთილისმოქმედ, საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქალაქედ, და თურმე შეიძლება აღზრდა ისეთი მხეცისაც, როგორიც გამოხატულია ჟურნალ „ნიუსუიკის“ ფურცლებზე. ამისკენაა მიმართული აგრესული ქვეყნების, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ყველა ღონისძიება. ეს ღონისძიებანი არც მცირეა, არც თუ მარტივი. ამიტომაა, რომ ომის ფსიქოზი მოღებული აქვთ არა მხოლოდ მონოპოლისტებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი ომით, არა მხოლოდ სამხედრო პირებსა და ავანტურისტ პოლიტიკოსებს; არამედ ისეთ სწავლულებ-

საც, როგორცაა, მაგალითად, ქ. ტაშის (ფლორიდის შტატი) უნივერსიტეტის რექტორი ნენსი: „მე ვფიქრობ, — განაცხადა ნენსიმ, — ჩვენ ომისათვის უნდა ვემზადებოდეთ ჯუნგლების კანონების მიხედვით, თვითუღმა უნდა მშენსწავლის მკვლელობის ხელობა... განადგურების მეთოდებსა და იარაღის არჩევაში არ უნდა არსებობდეს არავითარი შეზღუდვა. სავსებით მართებულად მიმაჩნია ბაქტერიოლოგიური ომი, გამოყენება გაზების, ატომური და წყალბადის ყუმბარების, საკლანტათმორისო რაკეტების“. როცა აქამდეა მისული უნივერსიტეტის რექტორი, სწავლული, რომლის წმიდათაწმიდა ვალდებულებას შეადგენს საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანის აღზრდა, ახალგაზრდობის გაწრთვნა ხალხთა საერთო კეთილდღეობისათვის საბრძოლველად, რაღა უნდა მოეკითხოს, ვთქვათ, რომელიმე მისტერ ჯონ უოლშს, რომლის აზრით: „ახლოვდება დრო, როცა განრისხებული ამერიკა ჩაჰკოლავს რუსეთს ატომური ყუმბარებით“, ან მისტერ ჯონსტონს, სენატორს სამხრეთ კაროლინის შტატიდან, რომლის ფიქრით: „ამიერიდან შეერთებული შტატები აღარ აწარმოებენ ომს ქვეყნიერების შორეულ კუთხეებში, არამედ გადაიტანენ კომუნისტური რუსეთის გულში“; რა უნდა მოეკითხოს ან სხვა მისტერებსა და მათ თანამეცხედრებს, რომლებიც მხოლოდ პოლიველდის კინოფილმებით იცნობენ ომს?!

მაგრამ ნუთუ ფრანგებსაც მხოლოდ ეკრანზე უნახნიათ ომი, ესოდენ ეინიანდ რომ გააკვივის ფრანგული გაზეთი „ფრანს დე მარსეი“: „ის, რაც დღეს კორეაში ხდება, უნდა მოხდეს უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში და აგრეთვე ბალტიისპირეთში?!“ რატომ ავიწყლებათ საფრანგეთის მმართველ წრეებს, თუ მათში მისხალის ოდენა ეროვნული გრძნობა მაინც არსებობს, რომ ომზე ისევე ცივად არ შეიძლება ლაპარაკი საფრანგეთში, როგორც ამერიკაში?! ატლანტიკის პაქტი, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და რევანშისტული სულსიკვეთების წაქეზება მოწმობს, რომ რა ხასიათიც არ უნდა მიიღოს მომავალმა ომმა (თუ ეს მოხდა და თუ უფრო გამწვავდა მდგომარეობა) აღმოსავლეთში, დასავლეთ ევროპა იქნება საომარი ასპარეზი. „ომი, როგორც არ უნდა წარიმართოს, — სწერდა გერმანელი პოეტი იოჰანეს ბეჰერი, — გერმანელ ხალხს მიიყვანს საბოლოო კატასტროფამდე“ (იხ. „Литературная газета“, 21 ნოემბერი, 1950 წ.). დასავლეთ გერმანიის მარიონეტებმა და საფრანგეთის მმართველმა წრეებმა რატომ დაჰკარგეს ამის შეგნება?! თუცა თითქოს აშინებთ მომავალი ომი და საფრთხეს ეძებენ საღდაც შორს: ამასწინათ ეროვნული კრების სხდომაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანიმ საბჭოთა კავშირის წინადადების საპასუხოდ — მოწვეულ იქნეს ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ პოტსდამის შეთანხმებათა შესრულების განსახილველად, — განაცხადა, რომ მასში „დიდ მღელვარებას“ იწყევს შორეული აღმოსავლეთი...

მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას მართლაც დიდად აღელვებს მდგომარეობა კორეაში, ვიეტნამში, ფორმოზაზე (ტაივანი) ისევე, როგორც დიდადა დაფიქრებული ერთიან, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ გერმანიის ბელზე..., ხოლო რობერ შუმანი თითქოს თვალწინ ვერაფერს ჰხედავს, პირიქით, — თვითონაა ავტორი (ვისი შთაგონებით — რაღა საჭიროა ამაზე ლაპარაკი) ე. წ. „შუმანის გეგმისა“, რაც მოასწავებს საფრანგეთის ეროვნული ინტერესების გაყიდვას დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისათვის.

მაგრამ როგორ შეუძინა მაინც „აღელვებულმა“ შორეული აღმოსავლეთის ამბებით. აღელვებულნი არიან ყველა შექანები, ყველა ლაქიები. იმპერიალისტური კაპიტალისა, აფორიაქებულნი არიან მსხვილი მონოპოლისტები და მონოპოლიზმისათვის მებრძოლი მრეწველები, დიხააც, რომ შეძრწუნებულნი არიან... ძრწიან და პლელავენ განა იმიტომ, რომ ამერიკის ავიაციამ მანგარევეზად აქცია კორეის მთელი რიგი ქალაქები—ჩხონჯინი, ვონსანი, ტეჯონი, კუნსანი, რირი, ნავონი, ჩხუნჯუ, ვინჯუ, ფხენტეკი, ანსონი, დონდუნენი და სხვა; არა იმის გამო, რომ მაკარტურის „სერიოზული ბრძოლებისათვის გამზადებულმა ახალგაზრდებმა“ წამებით მოკლეს მშვიდობიანი მოქალაქენი (სულ ცოტა რომ ეთქვათ): ფხენტეკში—600, ანსონში—500, ტეჯონში — 8644, ჯხონჯუში;—2000, ჩონჯუნში—4000 და სხვა მრავალი არა იმიტომ, რომ უამრავია ასეთი სურათები: თვითმფრინავების გუგუნე მისწყდა. ხალხი თავშესაფრებიდან სახლებისაკენ დიძრა. თავის სახლისაკენ გაეშურა ახალგაზრდა დედაც — კიმი, რომელსაც ზურგზე მოხვეული ჰყავდა ბავშვი. დედამ არ იცოდა, რომ ბავშვი უკვე მკვდარი იყო, ვერც ერთმა ახლომყოფმა ვერ გაპბედა ეთქვა, რომ ბავშვს თავი ჰქონდა წაგლეჯილი. დედამ მიადწია სახლამდე. სახლი იწვოდა. სიმწრისაგან გამშრალი მახლობლად ქვაზე ჩამოჯდა, ზურგიდან ჩამოიხსნა ბავშვი, მას ხომ დიდხანია ძუძუ არ მოეწონა, მაგრამ... ხელში შერჩა თავწაგლეჯილი პირშო... არა ეს მათ ვერ აღელვებს! მათ მხოლოდ ის აძრწუნებთ, რომ ჩინეთის ხალხმა გადასწყვიტა ბოლო მოუღოს დანაშაულებრივ ომს კორეაში, არ მისცეს საშუალება ამერიკას და ამერიკის სატელიტებს კორეა აქციონ პლაცდარმად ჩინეთის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეჭრისათვის... მათ მხოლოდ ის აღშფოთებთ, რომ მსოფლიოს ხალხებმა, კაცთმოყვარე და მშვიდობისმოყვარე ადამიანებმა თვითონვე აიღეს ხელში თავიანთი ბედი და აღარაგის მისცემენ აბუჩად აგდების უფლებას.

მსოფლიოს ხალხებს უკანასკნელ დრომდე კიდევ ჰქონდათ იმედი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა სწორედ იმიტომ, რომ მისი საშუალებით შენარჩუნებული ყოფილიყო მშვიდობა სამუდამოდ თუ არა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მაინც. დიდმა ბელადმა ი. ბ. სტალინმა ჯერ კიდევ 1944 წელს განაცხადა: „შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება საქმოდ ეფექტიური იქნება? ის ეფექტიური იქნება, თუ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მთავარი სიმძიმე, კვლავაც ერთსულოვნებისა და თანხმობის სულისკვეთებით იმოქმედებენ. ის ეფექტიური არ იქნება, თუ ეს აუცილებელი პირობა დაირღვა“.

ინგლის-ამერიკის ბლოკმა ყველა ღონისძიება იხმარა, რომ დარღვეულიყო ეს აუცილებელი პირობა.

ინგლის-ამერიკის მმართველმა წრეებმა თითქმის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთანავე გამოიყენადეს ბრძოლა ზუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმეობის პრინციპს; ამერიკა-ინგლისის ბლოკი ხმების მექანიკური უმრავლესობით სისტემატურად შლის საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს, რაც მიმართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ. გაერთიანებული ერების ყველაზე უფრო შეუფერებელ საქციელს წარმოადგენდა ჩაშლა საბჭოთა წინადადებისა, ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღების საყოველ-

თაო შემცირებისა და მოწესრიგების, აგრეთვე ახალი ომის პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და შეიარაღებული ინტერვენციის დაწყება კორეაში გაერთიანებული ერების დროშით... აგრესიისა და აგრესორების წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებული ორგანიზაცია თვითონვე იქცა ატლანტიკურ აგრესორად, აგრესიის შენიღბვისა და გამართლების საშუალებად.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ღონე არ დაიშურეს ისე გარდაექმნათ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომ მისი იმედი დაკარგვოდა მსოფლიოს ყველა ხალხებს; ღონე არ დაზოგეს, რომ კორეის წინააღმდეგ რომელი ჩაერიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ბევრი ქვეყანა, ყველა ძალები მიეზიდათ პატარა ქვეყნის წინააღმდეგ... დავალებაც შესაფერის კანდიდატს მისცეს...

აღმოსავლეთის ახალი „გამანათლებლის“, გენერალ მაკარტურის ბიოგრაფიაში არის ერთი მეტად დამახასიათებელი ამბავი... ეს მოხდა 1932 წლის ზაფხულში. ეკონომიური კრიზისის შედეგად შევიწროებული უმუშევრად, უთავშესაფაროდ, ულუკმაპუროდ დარჩენილი პირველი იმპერიალისტური ომის ვეტერანები აიყარნენ ყოველ მხრიდან, ცოლებით, წვრილშვილით ჩაივდნენ ვაშინგტონში, თხოულობდნენ კანონით უკვე დიდხანია დადგენილ დახმარებას. დახმარების გაკემის წინააღმდეგი იყო თეთრი სახლი. ომის ვეტერანები დაქინებით მოითხოვდნენ კუთვნილ ფულს. მაშინ კონგრესმა გენერალ მაკარტურს დაავალა ვაშინგტონიდან გაერეკნა უმუშევარი. გენერალმა მაკარტურმა ნამდვილი საომარი პოზიციები მოაწყო ვაშინგტონის ქუჩებში, ნახევრადმიშველ, სიმშლილსაგან ძვალ-ტყავადქცეულ, უიარაღო მუშებისა და მათი ცოლშვილის წინააღმდეგ დასძრა მთელი ლაშქარი ტანკებით, ტყვიამფრქვევებით... შეტევის წინ, ვიდრე მაკარტურის მოლაშქრენი პოზიციებს ეკავებდნენ, ერთმა უმუშევარმა იკითხა: „რას აპირებენ, მაინც, რა რაოდენობის ჯარს უნდა მოუყარონ თავი?!“ — „რამდენადაც მაკარტურს ვიცნობ, — მიუგო მეორემ, — „ამოქმედებს ყოველივეს, ამოქმედებს მძიმე არტილერიასაც“ (იხ. ჯონ უივერ — „კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება“). მართლაც ყველაფერი გამოიყენა გენერალმა მაკარტურმა უიარაღო, ლუკმაპურის მაძიებელი ხალხის გასაფანტავად, გამოიყენა მომწამლავი გაზიც... და არჩევანში არა ტყუევდებოდნენ შეერთებული შტატების მმართველი წრეები, როცა აპირებდნენ ინტერვენცია დაეწყათ კორეაში, ყველა ქვეყნის ჯარები და ყველა სახეობის იარაღი გამოიყენებინათ შრომისა და მშვიდობისმოყვარე პატარა ქვეყნის დასაპყრობად... ეს ზომ შინაგანი ბუნებაა გენერალ მაკარტურისა...

მაგრამ ბებერი გენერალისათვის ერთი რამ მეტისმეტად უცხოა — მას არასოდეს უხილავს როგორ ესარჩლებიან დანაგრულებს, ვერ წარმოუდგენია, რომ დიდი ჩინელი ხალხი ვერ მოითმენს მეზობელი ერის დაპყრობას აგრესორების მიერ, საუკუნოებრივი მონობისაგან განთავისუფლებული ადამიანები არავის მისცემენ უფლებას საფრთხე შეუქმნას მათ მონაპოვარს!.. ამიტომ თუ იყო, რომ ჩრდილოეთ კორეის სახალხო განმათავისუფლებელ არმიაში ჩინელ მოხალისეების გამოჩენისთანავე გენერალმა მაკარტურმა ასტეხა განგაში — მიშველეთ, აგრესიაში ხელს მიშლიანო!.. შეერთებული შტატების დიქტატის მორჩილნი, „მარშალის გეგმის“ ყურმოჭრილი მონები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყურადიღებენ ამ საჩივარს... ესევე აღელვებს რობერ შუმანს. ეს აღელვებს სიტსა და უოლ-სტრიტს, ეს აღელვებთ გენერალ მაკარტურის

ფაშისტ-თაყვანისმცემლებს, რომლებმაც 1 ოქტომბერს ნიუ-იორკში ღებრანს-ტრაცია მოაწყვეს და გააკიდნენ: „მე-38 პარალელის შემდეგ მოსკოვისაკენ!“ მართლაც ამერიკის შეერთებულ შტატებზე რომ იყოს დამოკიდებული მსოფლიოს ბედი, ვინ იცის — რა ელის კაცობრიობას!

საერთო სახალხო მშვიდობისათვის მებრძოლმა ადამიანებმა, რომლებსაც უკვე დაეკარგათ იმედი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, შექმნეს მშვიდობის მსოფლიო საბჭო, რომ იხსნან ხალხი, იხსნან კაცობრიობის მომავალი ისეთ გამძვინვარებულთაგან, რომლებიც ვაშინგტონის გახეთ „ტაიმს-გერალდის“ ფურცლებს ცოფებად ჰყრიან: „ჩვენ გავგზავნით თვითმფრინავებს, რომლებიც ორმოციათას ფუტის სიმაღლეზე იფრენენ; ჩვენ გავავსებთ მათ ატომური, ცეცხლოვანი და ბაქტერიოლოგიური ყუმბარებით, აგრეთვე ნიტროტოლოლით, რათა გაველიტოთ ბავშვები აკვანში, მოხუცები ლოცვის დროს, მშრომელები სამუშაოზე“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, უფრო სწორედ—ამერიკის შეერთებული შტატები მოსყიდული ხმებით ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგებს; უარს ამბობს ალაგმოს ასეთი შხამმოდებული, გამძვინვარებული ადამიანები; უარს ამბობს შესწყდეს ინტერვენცია კორეაში, შესწყდეს გამალებული შეიარაღება, აიკრძალოს ატომური იარაღი, მკაცრად დაისაჯოს აგრესორი...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელი აღიდგინა პირვანდელ და ძირითად დანიშნულებაზე, იმედი დაუქარგა მშვიდობის მოყვარე ხალხს მთელ მსოფლიოში.

მშვიდობისმომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე ვარშავაში ფრედერიკო ეოლიო-კიური ამბობდა: „ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ და მივალწიოთ იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაუბრუნდეს პირვანდელ წესდებას, იმ წესდებას, რომელიც მიღებულ იქნა ხალხთა ნებასურვილით და კარგად გამოჰხატა მათ მისწრაფებას“. ამ სიტყვებს გულმხურვალედ გამოეხმაურა ყველა დელეგატი და მშვიდობის მსოფლიო საბჭომ იკისრა მაღალეითლშობილური, საკაცობრიო, სასიცოცხლო მოვალეობა — დაუბრუნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის პირველ წესდებას და დანიშნულებას, მტკიცედ დაიცავს და ხანგრძლივად შეინარჩუნოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში, განამტკიცოს კულტურული ურთიერთობა და მეგობრული სულისკვეთება ერთა შორის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (როგორც მართებულია ეწოდოს ინგლისის პრემიერ მინისტრს) სცადა ხელი შეეშალა ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის. მისმა საიდუმლო მიმართვამ ინგლისის წარმომადგენლებსადმი სხვადასხვა ქვეყნებში, რაც ცნობილი გახდა მშვიდობისმომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მუშაობის დაწყებისას, ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რაოდენ უსუსურნი, რარიგ უმწეონი არიან ადამიანები, თუნდაც ეყრდნობოდნენ ჟანდარმულ რეჟიმს, თუ წინ აღუდგებიან ხალხთა ნებასურვილს. „მუშათა“ პარტიის ბელადმა ეტლიმ, მართალია მოახერხა მშვიდობისათვის ბრძოლის თვალსაჩინო მოღვაწენი არ შეეშვა ინგლისში (სადაც გათვალისწინებულიყო მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწვევა), მაგრამ ამ სამარცხვინო საქციელით ერთხელ კიდევ გამოამყარა, თუ იმპერიალისტური კაპიტალის ლაქიებს, რარიგ ამინებთ უბრალო სიტყვა — მშვიდობა... მშვიდობისმომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესი შესდგა ვარშავაში. „ამ ქალაქის სახელი, — სწერდა ცნობილი გერმანელი მწე-

რალი ანა ზეგერსი, — ამიერიდან აღნიშნავს ადგილს, სადაც ხალხმა თვითონვე მოაქიდა ხელი თავის ბედს“ („Литературная газета“, 18 ნოემბერი, 1950 წ.). დიახ, ამიერიდან ხალხი თვითონ გახაგებს თავის ბედს და ჰელეაგონი აგუესორები, ძრწიან ატომური, ბაქტერიოლოგიური და ცეცხლოვანი ყუმბარებით შეიარაღებული მილიტარისტები, მშვიდობის ემბლემის — მტრედი ბზის რტოთი დედამიწის ბურთზე — დანახვისას.

რა უწყინარია მშვიდობის მტრედი და რარიგ აძრწუნებთ შეჯავშნულ ატომოსნებს!..

მაგრამ მშვიდობა თავისთავად არ დამყარდება. „მშვიდობას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ იგი“. მოუწოდებს ხალხებს მშვიდობისმომხრეთა მეორე კონგრესის მანიფესტი.

დღეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სახით მსოფლიო ხალხებს აქვთ უდიდესი და უძლიერესი იარაღი საყოველთაო, მტკიცე მშვიდობის მოსაპოვებლად. აგრესიული, მილიტარისტული სახელმწიფოების უბრალო ადამიანებს, ხალხს საშუალება აქვს იხსნას ერი შესაძლო დანაშაულებსაგან. ცნობილი გერმანელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე იოჰანეს ბეჰერი მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე ამბობდა: „რაც შეიძლება დროულად უნდა განვუძარტოთ ჩვენს ხალხს, რომ მათ წინაშეა დიდი ისტორიული შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა შეიცავს ჩვენს სამხედრო დანაშაულებათა გამოსყიდვას იმით, რომ არ დაეუშვათ ახალი დანაშაულებრივი ომის გაჩაღება ევროპაში“. გერმანელი ერი გაიგებს ამას... მსოფლიო ხალხებს ესმით დიდი ისტორიული როლი მშვიდობის მსოფლიო საბჭოსი, რომელიც მოქმედებს ოთხმოცი ქვეყნის ხალხთა სახელით და ემყარება სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელისშეწყობა 500 მილიონ ადამიანს. „მშვიდობის მსოფლიო საბჭო იკისრებს დიდ ამოცანას — სწერია მიმართვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი, — უზრუნველყოს მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, რაც ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესს შეესაბამება. მშვიდობის მსოფლიო საბჭო კაცობრიობას შთაუწერგავს რწმენას, რომ მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, რომელთა უგულვებელყოფა არ შეიძლება, იგი შეასრულებს ნაკისრ მისიას“.

კითხულობთ ამ რწმენით აღსავსე სიტყვებს, ეცნობით მშვიდობისმომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მუშაობას, რამაც გამოჰხატა ხალხთა ერთსულოვანი ნებისყოფა ეროვნული, რასიული, იდეური შეხედულებების და რელიგიური რწმენის განსხვავებულობის მიუხედავად; თვალ-ყურს აღევნებთ ხალხთა გამოხმაურებას ყოველი მხრიდან მშვიდობისმომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის შედეგებისადმი და გჯერათ, ღრმად გჯერათ — კაპიტალისტ-აგრესორები ვერ შესძლებენ საზოგადოებრივი განვითარების შეფერხებას, ისტორიის შემობრუნებას, კაცობრიობის გადაგვარებას... თუმცა დღეს კიდევ აქვს შესაძლებლობა გენერალ მაკარტურს ნეტარად სთქვას: „ჩემს ბებერ თვალებს ახარებს ხილვა გაელეტილ ბავშვებისა“; ამ ყველაზე უფრო დიდ ბოროტ მოქმედს, უდიდეს სამხედრო დამნაშავეს კიდევ შეუძლია საპრობილეებიდან გაანთავისუფლოს უმთავრესი სამხედრო დამნაშავენი; ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებსაც კიდევ ჰყოფნით კადნიერება სიამაყით გამოაქვეყნონ ატავიზირებული ადამიანის სახე, მაგრამ ახლო აღსასრული ბოროტებისა, ყოველივეს მოლუწავს დიდი კვერი ისტორიისა, ბოროტს სძლეეს კეთილი, მშვიდობის დიდი საქმე უძლიველია.

სახელოვანი თარიღი

გიორგი ერისთავის თეატრის ასი წლისთავის გამოც



ასი წლის წინათ, თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში წარმოადგინეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. ამ სპექტაკლით აღდგენილი იქნა ქართული თეატრი და საფუძველი ჩაეყარა მუდმივ პროფესიულ თეატრს.

ქართული თეატრალური ხელოვნებას სათავე შორეულ წარსულში იწყება. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე მას მუდმივი პროფესიული ხასიათი, თანამედროვე გაგებით, არა ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მე-18 საუკუნის 90-იან წლებში შექმნილ მუდმივ ქართულ თეატრს, რომელმაც, აღა მაჰმადხანის შემოსევასთან ერთად, 1795 წელს თავისი არსებობა შესწყვიტა. გასული საუკუნის 50-იანი წლებისათვის კი ნიადაგი მომზადდა და სავსებით მომწიფდა საკითხი ჩვენში მუდმივი პროფესიული თეატრის ჩამოსაყალიბებლად.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგი აღინუნა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტი. საქართველომ თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა რუსეთს. ეს იყო ისტორიული აუცილებლობა, რამაც საქართველო გადაარჩინა ფიზიკურ განადგურებას და იგი განვითარების თავისებურ გზაზე დააყენა.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამ ერთგვარი რეაქცია გამოიწვია ქართველი ფეოდალური არისტოკრატის გარკვეულ წრეებში, რაც ყველაზე

უფრო მკაფიოდ გამომჟღავნდა 1832 წლის ცნობილ შეთქმულებაში. ცარიზმი იარაღით იკვლევდა გზას და სამხედრო ხასიათის ღონისძიებათა გატარებით მკვიდრდებოდა ჩვენში.

ეს იყო ის პერიოდი, „როცა — „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, აუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედობალი!“ (ი. სტალინი).

ეს შეთქმულება წარმოადგენდა ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმის“ ერთერთ გამოხატულებას, და იგი მიმართული იყო „რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში. საკმარისი იყო ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მომარობას“, რომ ძირიანად დაენგრია იგი“ (ი. სტალინი).

სრულიად ახალი და განსხვავებული იყო ამ ფაქტით შექმნილი ისტორიული ვითარება. ხალხის აზვირთებული ღტოლვა და გულისთქმა გამოსავალს ეძებდა. მისი მღელვარე სული ძველ ჩარჩოებში ვეღარ ეტეოდა.

ამ ხანებში ლალად გაშალა ფრთები ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიამ და ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიამ, ამღერდა გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების პოეტური შემოქმედება.

რუსეთში განსწავლილი და გადასახლების გამო პოლონეთში ნამყოფი გიორგი ერისთავი ახალი, მოწინავე იდეებით აღჭურვილი დაბრუნდა სამშობლოში. მან უშიშრად შეხედა თვალეზში სინამდვილეს და ცხადად დარწმუნდა, რომ ძველებურად, ცხოვრება, წარსულისაკენ გამუდმებული ცქერით, მისი აზრდილებისადმი ტრფიალითა და მათზე ოცნებით შეუძლებელი იყო.

სწორედ ეს მოტივები დაუდო საფუძვლად გიორგი ერისთავმა თავის მხატვრულ შემოქმედებას. გიორგი ერისთავმა, ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „შექმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა. ამით მარტო სიყვარულის და ტრფიალების მორევში მოარული გული ჩვენი და მარტო განლტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინაცხოვრებას დააკვირვა, მიახედდა: მისი „გაყრა“ ამისი მაგალითია“.

აღნიშნავს რა გიორგი ერისთავის დიდ გავლენას სხვა მწერლებზე, მაგალითად, ზურაბ ანტონოვიზე, ილია ჭავჭავაძე განაგრძობს: „გ. ერისთავი, როგორც პოეტი, იმითაა შესანიშნავი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყულულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს“.

ამ პრინციპებზე აგებულმა გიორგი ერისთავის თეატრმა ღრმა კვალი დასტოვა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ძნელად სავლელ გზაზე. აი მისი მხატვრული შემოქმედების მრწამსი და მთავარი შინაარსი:

„მე დავსწერე იმაზედა,
ვინც ზნობით არის შრული,

ჩვენ ვეცადნეთ და ვაწვდენით
რაცა არის ჩვენში ცული“.

ერისთავის

მთელი თავისი მხატვრული შემოქმედებით გიორგი ერისთავი მგზნებარედ მოუწოდებდა ხალხს:

„ვიყვარდეთ, ძმანო, თქვენი მამული,
მათზედან გაქნდეთ სიმტყიეთ ვული!“

ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით იყო აღსავსე ამ შესანიშნავი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შინაარსიანი ცხოვრება.

უაღრესად მრავალფეროვანია გიორგი ერისთავის მოღვაწეობა. იგი მარტო დრამატურგი, თეატრის ხელმძღვანელი, რეჟისორი და მსახიობი როდი იყო. გიორგი ერისთავი ცნობილია როგორც პოეტი, ქურნალ „ციცქარის“ დამაარსებელი და მისი პირველი რედაქტორი. ეს იყო ის ორგანო, რომელმაც „აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“ (ილ. ჭავჭავაძე).

თავისი მოღვაწეობის დროს ქართული თეატრის საკეთილდღეოდ გიორგი ერისთავს გვერდში ედგნენ საქვეყნო საქმისათვის თავდადებული ერთგულები: მეიფარიანი, ანტონოვი, აბრამიძე, დვანიძე, ჯაფარიძე, ტატიშვილი, ელიოზიშვილი, ლაფერაშვილი, უზნაძე, ივანიძე, კიკნაძე და სხვები. ისანი თავიანთი არტისტული შემოქმედებით თუ დრამატული ნაწერებით, ზოგნი კი ორივე დარგში გატაცებული მუშაობით კმნიდნენ დიდ ეროვნულ-კულტურულ საქმეს, გზას უკაფადდნენ ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და აღორძინებას.

არ გამართლდა მეფისნაცვლის გრაფ ვორონცოვის იმედები, როცა ქართული თეატრის ჩამოყალიბების იდეას მან მხარი დაუჭირა; ის ფიქრობდა, რომ თეატრის დაარსებით ხალხს უბრალო

თავისგასართობ საშუალებას აძლევდა. იგი ამ ფაქტში ხედავდა ახალ იარაღს, რომლითაც შეიცვლიდა ცარიზმის ხელში მანამდე მოფარკებული სამხედრო ხასიათის ღონისძიებათა და საშუალებათა, ხოლო საზოგადოებრივი აზრის განვითარების თვითმპყრობელობისათვის სასურველი გზით წარმოადგენდა. მაგრამ ევროპეის ვარაუდი სინამდვილემ სრულიად გააქარწყლა. ამჟამად გახდა ის უდიდესი მათრგანისებელი როლი ხალხის გამოფხიზლებისა და გათვითცნობიერების საქმეში, რომელსაც ასე ბრწყინვალედ ასრულებდა გიორგი ერისთავის თეატრი. უბრალო გართობის ნაცვლად თეატრში მოწოდების ზარით გაისმა სიმართლის ხმა. ქართული თეატრის სცენა გახდა ტრიბუნა, საიდანაც ჰქუხდა პროტესტი ძველისა და უვარგისის წინააღმდეგ, ისმოდა მოწოდება გონებრივი აღმავლობისა და ზნეობრივი სიფაქიზისაკენ, ცხოვრების ნამდვილი აღამიანური პირობების შექმნისაკენ.

ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ 1855 წელს მეფის ბიუროკრატიულმა მთავრობამ ქართულ თეატრს საარსებო საშუალება მოუსპო და იგი დაიხურა.

მაგრამ ამის შემდეგაც ერთი წუთით არ შენელებულა ზრუნვა და ფიქრი თეატრის კვლავ განახლებაზე.

ქართული თეატრის დახურვის შემდეგ ქართული წარმოდგენებისადმი მისწრაფება ძლიერი იყო. გაზეთ „დროების“ 1874 წლის № 445-ში ვკითხულობთ: „ქართულად მოლაპარაკე საზოგადოებას სწყურად გასაგებ ენაზედ თეატრი, მისი ცხოვრებიდან აღებული სურათები, ნაცნობი და მისაზვედრი, მხიარულების თუ მწუხარების გამომეტყველი სცენები“. ეს სიტყვები მკაფიოდ გამოხატავს მოწინავე ქართველი საზოგადოების გულისთქმას. ავივე გაზეთი გულისტყვილით აღნიშნავს: „რომ არა გაეწყო-რა ქართული

ტრუპის დაარსებას? არ შეიძლება საბატო ხალხმა თეატრის საქმეს მოჰკიდოს ხელი და სცენიდან გააგონოს საზოგადოებას თუ აზრი არა, ენა მაინც?“ აქედან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მომწიფებული ყოფილა საკითხი ქართული თეატრის კვლავ განახლებას, ჩანს, თუ რა რიგ ყოფილა მოწყურებული ჩვენი ხალხი ქართულ თეატრალურ ხელოვნებას. ქართველი მოწინავე საზოგადოების ეს სანუკვარი ოცნება 1879 წელს განხორციელდა, როცა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სერგეი მესხის, ნ. ავალიშვილისა და სხვათა ხელმძღვანელობით კვლავ ჩამოყალიბდა მუდმივი დრამატული დასი. ამის შემდეგ მუდმივი ქართული პროფესიული თეატრის არსებობა აღარ შეწყვეტილა. ამ დროის მანძილზე ბევრი შესანიშნავი სახელი შესძინა ქართულმა თეატრმა ხელოვნების ისტორიას.

ფრიად თვალსაჩინო და ფასდაუდებელია გიორგი ერისთავის თეატრისა და დრამატურგიის გავლენა მუდმივი პროფესიული ქართული თეატრის შემდგომ განვითარებაზე, აგრეთვე როგორც ქართული, ისე სხვა ხალხთა ზოგიერთი დრამატურგის შემოქმედებაზე. მაგალითად, დღეს უკვე საბოლოოდ დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რუსი მწერლის ა. პისე-მსკის პიესა „Радая“ დაწერილია გიორგი ერისთავის კომედიის „გაყრის“ ზეგავლენით. ასევე შეიძლება ითქვას სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანცისა და სხვათა შესახებაც.

როგორც უკვე ითქვა, 1879 წელს კვლავ აღორძინდა მუდმივი ქართული პროფესიული თეატრი. გასული საუკუნის 90-იან წლებში თეატრის მუშაობის გამოცოცხლებისა და გაუმჯობესების მიზნით პეტრე უმიკაშვილმა გადაწყვიტა დაეწერა პიესა, რომელიც ასახავდა გიორგი ერისთავის კომედიას „გაყრის“ რეპეტიციას.

საინტერესოა ერთ-ერთი იმდროინდელი მოღვაწის ცნობები ამ ფაქტის შესახებ. აი რას წერს იგი თავის სტატიისში: „იმ საღამოს დიდძალი ხალხი მოაწყდა ქართულ თეატრს. ფასიც არავის ენანებოდა. თუნდ ერთი ორადაც გადინდინენ, ოღონდ ადგილი ეშოვათ. ყველას სურდა ენახა ის ისტორიული მომენტი ქართული თეატრის დაარსებისა, რომელიც მთლად კულტურული მოძრაობით იყო გამოწვეული“.

გიორგი ერისთავის შემოქმედების გავლენა და მისით დაინტერესება შორს გასცდა წმინდა მხატვრული ლიტერატურის, თეატრალური ხელოვნებისა და დრამატურგიის ფარგლებს. მაგალითად, დიდი სტალინის თანამებრძოლი ალექსანდრე წულუკიძე თავის ცნობილ ნაშრომში „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ წამოყენებული დებულების დასაბუთებისათვის მიმართავს გიორგი ერისთავის პიესას „ქუნწი“ და ამბობს: „გაიხსენეთ გიორგი ერისთავის „ქუნწი“, როგორის სიყვარულით, ალერსით ელამუნება ეს გმირი ლითონს, როგორის ალტაყებით ისმენს მის ხმაურობას, რანაირი გულის ფანქვალით დასჩერებია თავის სკივრში ჩამალულ განძს, რომელიც მისთვისაც და სხვისთვისაც გამოუსადეგარია და სრულიად უმნიშვნელოა ცხოვრებაში“.

გიორგი ერისთავის თეატრის მიერ დამკვიდრებული მხატვრული მეთოდი რეალიზმისა შემდგომი პერიოდის ჩვენი თეატრის შემოქმედების მთავარ გზად გადაიქცა. მტკიცედ დაადგა რა ქართული თეატრი ამ გზას, არ უღალატნია მისთვის მთელი თავისი შემოქმედებითი პრაქტიკის მანძილზე.

ქართული თეატრის კორიფეები კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვალერაან გუნია და თეატრალური შემოქმედების მთელი რიგი სხვა ბუმბერაზები თავი-

ანთ შემოქმედებითს მოღვაწეობას რეალიზმის პრინციპების მტკიცედ დაცვას გზით წარმართავენენ. იმდროინდელი

მგზნებარე, პატრიოტული იდეების დანერგვა, ხალხისადმი უანგარო სამსახური, ჩაგრულისა და უუფლებოსადმი თანაგრძნობისა და სიყვარულის გაღვივება, მაღალი მორალური პრინციპების ქადაგება, მშრომელთა ინტერესებისათვის მედგარი ბრძოლა, მშობლიური ენის წმინდად დაცვა — აი რა გაიხსნა თავისი სამსახურის საგნად და უმწიკველ დანიშნულებად ქართულმა თეატრმა.

მშრომელთა ინტერესების დაცვასთან ქართული თეატრის მუშაობის მკიდროდ დაკავშირების ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ქუთაისის თეატრის სცენიდან, თეატრისა, რომელსაც სათავეში ედგა სცენის ჯადოქარი ლადო მესხიშვილი, გაისმოდა რევოლუციისაკენ მგზნებარე მოწოდების ხმა.

მაგრამ ქართული თეატრის მუშაკები მარტო ამით როდი კმაყოფილდებოდნენ. ქართველი მსახიობები, ლადო მესხიშვილის წინამძღოლობით, მხურვალედ, აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციურად განწყობილი მშრომელი მასების თავდადებულ ბრძოლებში მეფის სატრაპების წინააღმდეგ. თეატრის შენობიდან გამოტანილი დეკორაციებით, ავეჯითა და სხვა მოწყობილობით ისინი ქუჩებში ბარკადებს აწყობდნენ და საკუთარ მკერდს უშვერდნენ ჯალათების ტყვიას, რათა დაეცვათ და გადაერჩინათ რევოლუციის საქმე, მუშათა კლასის საქმე.

ამრიგად, ქართული თეატრის მსახიობის არსებაში შემოქმედთან ერთად შეთავსებული იყო თავისი ქვეყნის პატრიოტისა და მოწინავე მოქალაქის მიზიდველი სახე.

მებრძოლი სულისკვეთება, კეთილშობილება, საქვეყნო საქმისათვის თავ-

დადება ქართველი მსახიობის განუყრელი დამახასიათებელი თვისება იყო. ქართული თეატრის რეპერტუარიც სწორედ იმნაირად შერჩეული პიესებისაგან შედგებოდა, რომელთა დადგმაც საშუალებას აძლევდა ქართულ თეატრს, ქართველ მსახიობებს — მთელი სისავესით გამოეყვინებინათ თავიანთი მებრძოლი სულისკვეთება, პროგრესისა და მოწინავე იდეების გავრცელებისათვის დაუღალავი შრომა.

ქართული ორიგინალური დრამატურგიის გვერდით ჩვენს თეატრში დიდი ყო თარგმნილი პიესების ხვედრითი წონა. ქართული თეატრის რეპერტუარი ეროვნული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებთან ერთად, შედგებოდა რუს და უცხოელ დრამატურგთა პიესებისაგან. ჩვენი თეატრის რეპერტუარში თავიდანვე საბატიო ადგილი ეკირა შექსპირის ტრაგედიებს. ეს მოვლენა ისე მტკიცე დამკვიდრდა ჩვენი თეატრების პრაქტიკაში, რომ იგი შეუბღალავ ტრადიციად იქცა. ამ ტრადიციის ფუძემდებელი და სულისჩამდგმელი არის ილია ქავჭავაძე. არსებობს მასალები იმის შესახებ, რომ გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულში იმავე სცენაზე, რომელზედაც გიორგი ერისთავის „გაყრა“ პირველად დაიდგა, თბილისის ყოფილი პირველი გიმნაზიის დარბაზში, დადგმულა ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირიდან“. ამ საქმის ინიციატორად გამოსულა ილია ქავჭავაძე. მასვე წარმოუსახავს მეფე ლირი. ცოცხალი სურათის დადგმაში მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე ალექსანდრე ქავჭავაძის ქალ-ვაჟს — სოფიოსა და დავითს.

შემდგომში კი, როცა მუდმივი ქართული თეატრი კვლავ აღორძინდა, შექსპირის „ჰამლეტი“, „ოტელო“, „პირველი ცოლის მორჯულება“ და სხვა მისი პიესები ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე და მაყურებელიც დიდი

ინტერესით ეტანებოდა ამ სპექტაკლებს.

გარდა ამისა, ქართველ დრამატურგებს სცენაზე დიდი წარმატებით იდგმებოდა აგრეთვე ფ. შილერისა და მოლიერის პიესები.

რუსული კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები ქართული თეატრის რეპერტუარში მუდამ ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დამომობილი ალ. ოსტროვსკის პიესებს. ხშირად იდგმებოდა გარეთვე ნ. გოგოლის, მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, ი. ტურგენევისა და სხვათა დრამატული ნაწარმოებნი.

ქართული თეატრი მარტო საქართველოში როდი არსებობდა. იგი ხშირად გასცილებია აგრეთვე ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც. ქართული თეატრის არსებობა რევოლუციამდელ ბაქოში დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში. თეატრის მუშაობა მშობლიურ ენაზე უაღრესად ნაყოფიერ შეგავლენას ახდენდა ბაქოში მცხოვრებ ქართველებზე. აქ ქართული თეატრის დარბაზში იკრიბებოდნენ ისინი, ისმენდნენ მშობლიურ ენას, უცქეროდნენ ქართველ მსახიობთა თამაშს, ტკბებოდნენ მათი ოსტატობით. წარწელი, კეთილშობილური განცდები აფაქიზებდა მათს სულიერ ცხოვრებას. ბაქოს ქართულ თეატრში უმუშავებია ჩვენი სცენის ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს. მათ შორის აღსანიშნავი არიან ეფემია მესხი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ალექსანდრე წუწუნავა და სხვები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ შალვა დადიანის ცნობილი პიესა „გუშინდელი“ ავტორს დაუწერნია ბაქოში მუშაობის დროს და პირველად იქვე დაუდგამთ ქართული თეატრის სცენაზე.

ჯერ კიდევ რევოლუციამდელ მოწიერ ქართველ მსახიობთა ერთი ჯგუფის სა-

გასტროლო მოგზაურობა მოსკოვს. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ნატალია ჯავახიშვილი, ვალერიან შალიკაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, დავით მგალობლიშვილი.

იყო პერიოდი, როცა ქართულმა თეატრმა დაკნინება განიცადა. ეს მოხდა 1917 — 20 წლებში, როცა ჩვენში ხელისუფლებას სათავეში მენშევიეები ედგნენ. მათ თავიანთი უყურადღებო შით დახურვის საფრთხის წინაშე დააყენეს ქართული თეატრი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეექმნა თეატრალურ ხელოვნებას აღორძინებისა და განვითარების ყოველგვარი პირობები. ეს პირობები სრული შესაძლებლობით იქნა გამოყენებული იმ დღიდან, როცა ქართულ საბჭოთა თეატრს სათავეში ჩაუდგა ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. მან თავისი მაგიურა ძალით შემოქმედების ფართო პერსპექტივები გადაუშალა წინ ქართულ თეატრს. ლაპე დე ვეგას „ცხვირის წუხარო,“ რომელიც კოტე მარჯანიშვილმა 1922 წლის ნოემბერში დადგა რუსთაველის სახელობის თეატრში, საუღელტეხილო ეტაბი იყო ქართული თეატრის ცხოვრებაში. ამ დღიდან ჩვენი თეატრი იმ მაღალი შემოქმედებითი სიხარულით და მუშაობის თანამოზიარე გახდა, რომელსაც რუსული საბჭოთა თეატრი აწარმოებდა და ამჟამადაც აწარმოებს.

მეზობელ რესპუბლიკებთან შემოქმედებითმა თანამეგობრობამ ჭეშმარიტი გამოხატულება ჰპოვა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ქართული თეატრების საგასტროლო სპექტაკლები და ჩვენი ხელოვნების პუშკათა მონაწილეობა მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში, ხარკოვსა და ბაქოში მოწყობილ ქართული ხელოვნების დეკადაში, ოლიმპიადასა და ფესტივალებში საბჭოთა ხელოვნების ნამდვილ ტრიუმფს წარმოადგენდა.

ამ საერთო აღმავლობამ წარმოშვა თანამედროვე აქტუალურ (თემებზე) საგებულო დრამატურგიის შექმნის საშუალება. ჩვენმა დრამატურგებმა წარმატებით მოკიდეს ხელი ქართული ორიგინალური პიესების წერას. მოწინავე ქართველმა საბჭოთა დრამატურგებმა შალვა დადიანმა, პოლიკარპე კავაბაძემ, სანდრო შანშიაშვილმა, სერგო კლდიაშვილმა, კარლო კალაძემ, იონა ვაეკელმა, გ. შატბერაშვილმა, ს. მთავარაძემ, მ. ჯავახიძემ, ვ. გაბესკირიამ და სხვებმა ბევრი თეატრალური და საყურადღებო ნაწარმოებები შექმნეს. მათი პიესები დიდი წარმატებით იდგმებოდა და იდგმება როგორც დედაქალაქის, ისე პერიფერიის თეატრებში.

ახალი ადამიანი, კომუნისმის მშენებელი მოქალაქე, საბჭოთა ქვეყნის ერთგული შვილი ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის მთავარ თემად იქცა.

ამხანაგ ლავრენტი ბერიას შესანიშნავმა წიგნმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ უდიდესი ცხოველყოფელი გავლენა მოახდინა საერთოდ ჩვენს შემოქმედებითს ძალებზე—მწერლებზე, მხატვრებზე, მოქანდაკეებზე, მუსიკოსებზე, დრამატურგებზე. თავიანთ ნაწარმოებთა თემად ჩვენმა დრამატურგებმა დიდი სტალინის რევოლუციურ ბრძოლასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები გაახადეს.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“, რომელიც შეეხება ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას ცხრაასიანი წლების დამდეგს. ამ პიესის დადგმა ბრწყინვალედ განახორციელეს ჩვენი ქვეყნის წამყვანმა თეატრებმა. ამჟამად ეს ნაწარმოები წარმატებით იდგმება რუსეთში და სხვა ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში.

რევოლუციის დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის სცენიური სა-

ბის შექმნა უდიდეს საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანას აყენებს თითოეული საბჭოთა თეატრის წინაშე. ამ ამოცანის ღირსეულად გადაწყვეტისათვის მთელი მონდომებით, შთაგონებითა და სიყვარულით მუშაობს ჩვენი თეატრები. ნათქვამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“, შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“, მ. კიაურელისა და პ. პაელებკოს „ღიაღი მომავლისათვის“ — რუსთაველის სახელობის თეატრში, შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“, მ. კიაურელისა და ლ. ასათიანის „1917 წელი“ — ე. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, გ. ნახუციანიშვილის „სიკვამლე ბელადისა“ — მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში და მრავალი სხვა სპექტაკლი — ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ თეატრებში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 26 აგვისტოს ისტორიული დადგენილება „დრამატიული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ უაღრესად სერიოზულ საბრძოლო ამოცანებს აყენებს ჩვენი მწერლობის წინაშე. დადგენილებაში ნათქვამია: „ჩვენი დრამატურგები და რეჟისორები მოწოდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა აღმშენებლის აღზრდის საქმეში, უპასუხონ მათ მაღალ კულტურულ მოთხოვნილებებს, აღზარდონ მხნე, ხალისიანი, სამშობლოს ერთგული და ჩვენი საქმის გამარჯვებისადმი რწმენის მქონე საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა, რომელსაც შეეძლება ყოველგვარი სიძნელეების გადალახვა“... „აუცილებელია, რათა ყველა მწერალი, რომელსაც უნარი შესწევს შექმნას დრამატურგიის ნაწარ-

მოებნი, აქტიურად, შემოქმედებითად ჩაებნენ თეატრების რეპერტუარის შექმნის საარსებო საქმეში რეპერტუარისა, რომელიც თავისი ხარისხით თანამედროვე მაყურებლის ღირსი იქნება“.

საბჭოთა დრამატურგები მთელი შემოქმედებითი შესაძლებლობით იბრძვიან პარტიის ამ დიდმნიშვნელოვანი მითითების განსახორციელებლად.

ქართული საბჭოთა თეატრი, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო რაზმი, მტკიცედ დგას რა თავისი განუხრელი წინსვლისა და განვითარების უტყუარ, სწორ გზაზე, იმედით, თავისი უპირატესობის სრული შეგნებით შესცქერის მომავალს ახალი შემოქმედებითი წარმატების მოსაპოვებლად. ამასთან იგი კანონიერი სიამაყით მიმოავლებს ხოლმე თვალს თავის შესანიშნავ წარსულს, მის ღირსეულ წინამორბედს — გიორგი ერისთავის თეატრს, რომლის დაარსებითაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენში მუდმივ პროფესიულ თეატრს.

დღეს ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნება ლენინ-სტალინის პარტიის შეუწელებელი ყურადღების, მზრუნველობისა და დახმარების შედეგად განუხრელად ვითარდება. იგი ახალ-ახალ შემოქმედებითს მწვერვლებს იპყრობს. ქართული თეატრი ორგანული ნაწილია დიდი საბჭოთა ხელოვნებისა, რომელიც ყველაზე მოწინავე ხელოვნებაა მთელ მსოფლიოში, საბჭოთა ხელოვნებისა, რომელიც შეიქმნა კაცობრიობის უდიდესი გენიოსების ლენინისა და სტალინის უკვადავი, ყოვლისმძლე იდეების განხორციელების საფუძველზე.



პირველი უკრაინული ივანე ჯავახიშვილის
მოღვაწეობიდან

ბარდაცვალებიდან 10 წლისთავის გამო



როდესაც ივ. ჯავახიშვილი სამეცნიერო მუშაობის ასპარეზზე გამოვიდა, საქართველოში უკვე მეცნიერული ისტორიის მოთხოვნილება მეტად გაზრდილი იყო. ეს იყო 1905 წლის რევოლუციის ხანა. იმ დროს ქართველ ისტორიკოსს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწვა. ბრძოლად ამდგარ ქართველ ხალხს საკუთარი ისტორია ესაჭიროებოდა, ისტორია თანამედროვე მეცნიერების მონაპოვართა სიმაღლეზე მდგომი, ისტორია არა გადასულ ამბავთა მოსაგონარი, არამედ ისტორია ცოცხალი, მებრძოლი და მომავლის მქონე ხალხისა, ისტორია ამ ხალხის სიყვარულით გამთბარი, ისტორია მკაცრი, ჭეშმარიტი და სასარგებლო. ყველაფერი გადასინჯვას მოითხოვდა. ნამდვილი მეცნიერული ისტორიის დასაწერად საჭირო იყო სათანადო ნიადაგის შექმნა, საჭირო იყო განთავისუფლება იმ ე.წ. „მამულიშვილური“ ქაოსისაგან, რომლითაც შეპყრობილი იყო იმდროინდელი ქართული თავადაზნაურული ინტელიგენცია. ქართული საისტორიო კვლევა-ძიება მეთოდოლოგიურად ძალიან დაქვეითებული იყო, წყაროების კრიტიკული შესწავლის აუცილებლობის შეგნება არ არსებობდა. როგორც აკად. ს. ჯანაშია სამართლიანად შენიშნავდა: „საქართველოს ისტორიის მოყვარულთა წრეში გულუბრყვილო-მოწყობით ნაციონალისტური განწყობილება იყო გაბატონებული მშობლიური წარსულის ყველა ძეგლისადმი, განურჩევლად. დიდმპყრობელური და შოვინისტური წრეები კი, პირიქით, ნერგავდნენ უარყოფითს, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამ წყაროებისადმი, ცდი-

ლობდნენ რა მათი მნიშვნელობის გაბახებასა და გაქარწყლებას“.

ყოველივე ამას ზედ ერთვოდა ცარიზმის პოლიტიკის მთელი საშინელება. ცარიზმი სთიშავდა და გზას უხშობდა ყოველივე ნაციონალურს, პროგრესიულს, განმათავისუფლებელს.

ძაღვები დაქსაქსული იყო, გზა დახშული. თუ ვინმე ბედნიერებას ეღირსებოდა და უმაღლეს განათლებას მიიღებდა, მას მშობლიური საქართველოსაკენ აღარ უშვებდნენ. უამისოდაც დიდი მსხვერპლი და გმირობა იყო საჭირო სამეცნიერო ლაბორატორიისაკენ გზის გასაგლეჯად. ვინც ახერხებდა მიცლია აკადემიური კარებისათვის თავის „ინოროდცობის“ დალით. ის სამუდამოდ უნდა მოწყვეტოდა სამშობლო ქვეყანას. აქ ღარჩენილნი კი, სამეცნიერო მუშაობის ელემენტარულ პირობებს მოწყვეტილნი, ლუკმაპურისათვის ზრუნვაში დაღლილ-დაქანცულნი, ღამეებს სტაცებდნენ დროს, რომ თავიანთი საზოგადოებრივ-მეცნიერული ინტერესი მაინც დაეკმაყოფილებინათ. დილას მათთვის მოჰქონდა ცენზურის „კონსულტაცია“, ხელისუფალთა რისხვა, დევნა და შეურაცხყოფა“.

ბევრს ისტორიის, როგორც მეცნიერების, მნიშვნელობა ყალბად ჰქონდა წარმოდგენილი. ცოტა როდი მოიძებნებოდა ისეთი „მეცნიერი“, რომლის აზრითაც საჭირო იყო მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ ქართველებს ბრწყინვალე წარსული აქვთ და ყოვლისშემძლე თვითმპყრობელი წყალობის თვალთ გადამოხედავდა მათ. ივ. ჯავახიშვილმა სასტიკად დაჰგმო „მოწყალეობით მოთხოვარი“ თავადაზნაურული ინტე-



ლიგენცია და ნათელყო მათი პოზიციის მიწვევას ხასიათი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით: „გაზვიადებული ადვოკატური ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული შეღავათი გრძობა დააკმაყოფილოს და დაამშვიდოს, ხოლო ამგვარი სურვილი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს. საქართველოს წარსულის ცოდნა მისაბაძავად კი არაა საჭირო ჩვენთვის, არამედ შესასწავლად და გასათვალისწინებლად“.

ივ. ჯავახიშვილის დამსახურება იმაშია, რომ მან დიდი შემოქმედის სიმკაცრით გაწმინდა ქართული ერის ისტორიის საშენი მასალა.

ერთი ადამიანისათვის სრულიად საკმარისი იყო, რომ ქართველოლოგიის ერთ რომელიმე დარგში იმდენი რამ გაეკეთებინა, რაც ივანე ჯავახიშვილმა გააკეთა, რომ მას ქართული კულტურის მოღვაწეთა პანთეონში საპატიო ადგილი დაეკავებინა. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი ქართული ეროვნული მიცნიერების თითქმის ყველა მხარეს შეიხო. არ არის ისეთი დარგი, რომლის განვითარებაშიაც ივ. ჯავახიშვილს ფასდაუდებელი წვლილი არ შეეტანოს.

ივ. ჯავახიშვილის მიცნიერულ პროდუქციას განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი თავისი რაოდენობითაც. გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობა 9000 გვერდს აღემატება და გამოუქვეყნებელიც ბლომად არის.

დიდი სტალინი გვასწავლის, რომ ყოველ ერს,—სულ ერთია—დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისობრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის და რომელიც სხვა ერებს არ მოუპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის

საგანებში შეაქვს და ავსებს, ამდღერებს ამ საგანებში“.

ივ. ჯავახიშვილის მთელი მეცნიერული მოღვაწეობა იმას ემსახურებოდა, რომ გამოეჩინა ქართველი ხალხის „თვისობრივი თავისებურებანი“, მისი სპეციფიკა, ეჩვენებინა, თუ რა შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო კულტურის საგანებში, რითი გამდიდრა მან ეს საგანებში.

ამ კეთილშობილურ საქმეს ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ცოდნა და ენერჯია შეაღია.

ჯერ კიდევ 1917 წელს, როცა იგი უნივერსიტეტის დაარსების პროპაგანდას ეწეოდა, მას შეგნებული ჰქონდა, რომ „საქართველოსა და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართული უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს. ქართული ერის ისტორიული ბედი საუკუნეთა განმავლობაში მრავალი სხვადასხვა კულტურისანი ერის ბედთან იყო დაკავშირებული და, თუ დასაუვლეთ ვეროპის მკვლევართათვის აღმოსავლეთის კულტურის შესწავლას უფრო მეცნიერული ცოდნის-მოყვარეობის შედეგია, ქართველთათვის და ქართულ მეცნიერებისათვის ასურელების, სპარსელების, ბერძნების, არაბებისა, სომხებისა და სხვათა ისტორიისა, მწერლობისა და კულტურის შესწავლა თვით ჩვენივე წარსულისა და აწმყოსათვის არის აუცილებლად საჭირო“.

ივ. ჯავახიშვილი ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც სათანადოდ ესმოდა მეცნიერების ნამდვილი ამოცანები. მისი აზრით, მეცნიერება საჭიროა არა მეცნიერებისათვის, არამედ — ხალხის კეთილდღეობისათვის, პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ჯერ კიდევ 1924 წელს ის სწერდა, რომ თანამედროვე ცხოვრების განვითარება დაკავშირებულია მეცნიერების განვითარებასთან და ამიტომ მოითხოვდა მეცნიერების

შვიდრო კავშირის ცხოვრებასთან. ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის უნაყოფიერესი წლები რევოლუციის შემდგომი ხანა იყო. საბჭოთა წყობილების პირობებში ივ. ჯავახიშვილი ჰაბტუური ენერგიით შეუდგა განახლებული საქართველოს სოციალისტური კულტურის კეთილშობილურ სამსახურს, ეროვნული კულტურის თითოეული მიღწევა ახარებდა და ყოველი ახალი სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულების გახსნა აფრთოვანებდა მას.

აკად. ნ. ბერძენიშვილი სავსებით სამართლიანად სწერს განსვენებულ მეცნიერზე: „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ივ. ჯავახიშვილი ახალ ეტაპის შემქმნელია. ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა განსვენებულმა მეცნიერმა ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხი: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია, მატერიალური და სულიერი კულტურა... დიდი ერუდიცია, მაღალი მეცნიერული აღჭურვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივა, ბასრი კრიტიკული აღლო, სანიმუშო და მისაბამი მეცნიერული სინდისი, მუშაობით შეუწელებელი გარტაცება, დიდი ნებისყოფა და მშობილო ხალხისადმი კეთილშობილი სიყვარული, — ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ღრმად გადაეხნა“.

ივ. ჯავახიშვილი სარბიელზე გამოდის არა როგორც კაბინეტის კარჩაკეტილი სწავლული, რომლისთვისაც სამეცნიერო საგანი მხოლოდ საკვლევ ობიექტს წარმოადგენს და სხვას არაფერს, არამედ როგორც საზოგადოებრივი მებრძოლი, რომლისთვისაც მეცნიერული მუშაობა საზოგადოებრივი

აქტიურობის მხოლოდ ერთი ფორმად განიხილავს.

ამიტომ იყო, რომ ივ. ჯავახიშვილმა, საუნივერსიტეტო ლექციების დაწყებასთან (1904 წ.) ერთად, სამეცნიერო წრეც შექმნა. მისი საზოგადოებრივი მუშაობის შედეგია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნაც, რომელიც დღეს დიდი სტალინის სახელს ატარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილის საფიციარს ქართული ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარება წარმოადგენდა და იგი შეურიგებელი იყო იმათ მიმართ, ვინც ამ კეთილშობილურ საქმეში ხელს უშლიდა.

როდესაც უნივერსიტეტის დაარსება 1917 წელს რეალურ საქმედ გადაიქცა და ივ. ჯავახიშვილი ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა, ქართული კულტურის მტრები ამოძრავდნენ. უნივერსიტეტის 20 წლისთავზე ივ. ჯავახიშვილი სწერდა: „რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს მაშინ, როდესაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე მსჯელობა სწარმოებდა, ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც ან მთელი ეს კამათი სასაცილო გულუბრყვილობად მიაჩნდა, ანდა მის გავონებაზე ღიმილი მოსდიოდა, რამდენი გვეყვოდა ბრძენი დამრიგებელნი, კეკელის მასწავლებელნი და წინასწარმეტყველნიც-კი, რომელნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულგებოთ უნიადაგო და უიმედო განსაზღვრისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ზომ იყვნენ, მათ შორის მეცნიერებიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველებისათვისაც დამლუპველად ჰქონდათ პრესაშიც კი აღიარებული: კულტურული დაქვეითების მტრი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელი და იმავე დროს იგი პეტერბურგ-

ში (აწ ლენინგრადში) დიდი გაჭირვებითა და ხანგრძლივი მუშაობით შექმნილი სომხურ-ქართული ფილოლოგიის ერთერთი კერის გავერანებას უღრისო*.

ამ მოწინააღმდეგეთა ბელადი ნ. მარიაყო.

საქართველოს ცენტრარქივში დაცულია 1922 წელს დაწერილი ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის არსებობის ოთხი წლის თავთან დაკავშირებით. რადგან ეს მოხსენება დღემდე არ გამოქვეყნებულა და მას კი მეტად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოებრივი აზრისათვის, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ამ დოკუმენტიდან ვრცელი ამონაწერები მოვიტანოთ.

თავის მოხსენებას ივ. ჯავახიშვილი ასეთ შესავალს უკეთებს: „უკვე ოთხი წელიწადია დღეს, რაც ჩვენი უნივერსიტეტი გაიხსნა, ჩვეულებრივ სამეცნიერო ტაძრის არსებობისათვის ეს ისეთ მცირე დროდ უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთ ვაშს წარსულზე ფიქრისა და წარსულის მოგონების მაგიერ მთელი ჩვენი აზრი და გონება მომავლისაკენ უნდა ყოფილიყო მიპყრობილი და მომავალ სამუშაო გეგმებზე და წინამდებარე საქმეზე უნდა გვესაუბრა. რასაკვირველია ჩვენც მომავალზე ვფიქრობთ. მაგრამ ჩვენ მაინც იძულებული ვართ ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის ახლობელი წარსული მოვიგონოთ და მისი წარმოშობისა და დაარსების მოკლე ამბავის მოთხრობით შევაწუხოთ. თუმცა ისტორიკოსს, თქვენს უმორჩილეს მონას, ამ შემთხვევაში ისტორიკოსობა არ სურდა და მეტსაც მოგახსენებთ—არ შეშვენოდა. ყველაზე ნაკლებ მე ამაზე მიფიქრია, მაგრამ ერთმა სამწუხარო გარემოებამ მაიძულა დღემდე დამერღვია და ხელში კალამი ამეღო. პროფესორს, აკადემიკოს ნ. მარს, თუმცა ენათმეცნიერს, მაინც უყისრნია უკვე ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიკო-

სობა და რუსეთის განათლებული საზოგადოებისა და სამეცნიერო აკადემიისათვის შეუთხზავს კიდევ ამის შესახები მოხსენება, რომელიც, ვითარცა წარსულის ძეგლის წერა, მისივე თხოვნით, სამეცნიერო აკადემიის უწყებებში დართული და დასტამბულია: ჯერ კიდევ ძველმა ქართველმა მეცნიერმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არის მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერელისად საუკუნოდ“. ჯავახიშვილი განაგრძობს: „ვინც აკად. ნ. მარის მოხსენებას გადაიკითხავს, უმალ შეამჩნევს მის აღმწერელის ზრახვასა და გრძობას და თვითონაც ადვილად დასდებს მსჯავრს, მაგრამ ვინ გაარჩევს ნებითსა და უნებლიეთს ცთომილებებს ამ მოხსენების იმ ნაწილში, სადაც ავტორი ისტორიული ძეგლის მწერლობას ჩემულობს, თუ თანამედროვე მკითხველსა და მომავალ ისტორიკოსს ამ საკითხის შესახებ თანდამხდურთა, თვით მხილველთა და მიწაწილეთაგან აღნუსხული უტყუარი ცნობებიც არ ექნება ხელთ“.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, იგი მოგონებას სწერს იმიტომ, რომ საქმის ნამდვილი ვითარება „მომავალმა ისტორიკოსმა პირუთენელად განსაჯოს და ღირსეული მსჯავრი დასდოს“.

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ვრცელ მიმოხილვას უკეთებს ნ. მარის დამოკიდებულებას ქართული უნივერსიტეტის გახსნის საკითხისას და სწერს: „ქვემოთ მოყვანილი მოგონება ამ სტრიქონების ავტორს მიაჩნია მხოლოდ ერთერთ იმ მასალათაგანად, რომელნიც ჩვენი სამეცნიერო ტაძრის მომავალ ისტორიკოსს სხვათა შორის უნდა ჰქონდეს ხელთ. საიდან, როგორ და როდის წარმოიშვა ჩვენი უნივერსიტეტი, რომელსაც ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდება. აკად. ნ. მარის რუსეთის დროებითს მთავრებასა და შემდეგ სამეცნიერო აკადემიის უმტკიცებდა, ვითომც აზრი მისი დაარ-

სების შესახებ 1906 წ. შემდგომ რუსეთის რევოლუციის იმედების გაცრუების უმაღლეს დამადებულებას. თურმე, ნუ იტყვი, იგი დაკავშირებული ყოფილა ქართული საზოგადოებრივი აზრის ახალ ეროვნულ ავადმყოფურ, მწვავე ნაციონალისტურ მიმართულებასთან“. მართლაც, ნ. მარი სწერდა: „Она (უნივერსიტეტის დაარსების იდეა, დ. გ.) связана с новым национальным, получившим, к сожалению, болезненный острый националистический характер, уклоном грузинской общественной мысли“ (Известия Российской Академии Наук 1918 г. № 14, გვ. 1496).

ივ. ჯავახიშვილი იგონებს, რომ 1906 წ. ნ. მარმა უნივერსიტეტის გახსნას აკადემიის გახსნა დაუპირისპირა ისიც იმ ფორმებში, რომ აკადემიის გახსნის იდეაც წინასწარვე განწირული უნდა ყოფილიყო. „როდესაც 1917 წ. ოქტომბერში, — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, — პეტერბურგიდან ცნობა მოგვივიდა, რომ აკად. ნ. მარი ჩვენი უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეთა ბანაკის ბელადად არის... გაოცებული ვიყავ, რომ ის აღმაიანი, რომელმაც 1906 წ. ქართული სამეცნიერო აკადემიის დაარსების თაოსნობა იკისრპ, ათი წლის შემდგომ ქართული უნივერსიტეტის დაარსების გააფთრებულ მოწინააღმდეგედ იქცა. ისეთი რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რომ ნ. მარის აზროვნება ასე ძირიანად შეიცვალა. შეუძლებელია ეს გარემოება მარტო 1917 წ. რევოლუციის შედეგი იყოს. 1906 წ., როდესაც ნ. მარს ქართული სამეცნიერო აკადემიის წევრად არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ პროფესორად. მაშინ მას აკადემიკოსად არჩევის იმედიც კი არ ჰქონდა და ამ აკადემიის თავისებური ენამახვილობით დასცინოდა. ამ დროს ქართული სამეცნიერო აკადემიის არსებობასაც მისთვის მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგ კი, როდესაც

დიდი ხნის ნატვრა აღსრულდა და აკადემიკოსობას ელირსა, ეხლა ქართული სამეცნიერო ტაძრის დაარსებულ უკვე მას არამც თუ საქიროდ არ მიიჩნია, მის თავშეუქცევებელ მრისხანებასაც კი იწვევს“.

დროებითი მთავრობის პრესაში მარი ამტკიცებდა, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტის გახსნას „რუსეთში თავისუფლების სულის ჩაჭრობა შეეძლო“. ივ. ჯავახიშვილი გაკვირვებული შენიშნავდა: „რატომ, უნებლიეთ იკითხავს აღმაიანი, ნუთუ ქართული უნივერსიტეტის დაარსება რუსეთისათვის ასეთი საბედისწერო რამე უნდა ყოფილიყო?“.

მარი კიდევ უფრო შორს წავიდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება მას ქართველთა ავადმყოფური ეროვნული გრძნობის წარმონაშობად ეჩვენებოდა.

როცა ნ. მარმა დაინახა, რომ მისი თავდასხმა ამოა და უნივერსიტეტი მაინც დაარსდა, მაშინ იგი შეეცადა ყველაფერი, რაც უნივერსიტეტის სასწავლო გეგმებით იყო გათვალისწინებული, თავისი თეორიული არსენალიდან მომდინარედ ელიარებინა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ, საქართველოს უნივერსიტეტში, სიტყვა „იაფეტური“ შეცვლილია სიტყვა — „ქართულით“. ივ. ჯავახიშვილი ამ ბრალდებასაც არღვევს და იძლევა მარის იაფეტური თეორიის გამანადგურებელ კრიტიკას. „საითგან წარმოიღვინა ბ-ნმა მარმა, რომ ქართულ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიას ნ. მარისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებასა და დიალექტოლოგიასთან რაიმე საერთო ექმნება. ხოლო, თუ სიმართლის გაგონება სურს ნ. მარს, ჩვენ კი არ განვიდივინია ტერმინი იაფეტური, არამედ სწორედ მან განდევნა, და სდევნიდა. რეალური ერთეული, ისტორიულად და ეხლაც არსებული ტერმინი „ქართული“ და თავისი ჩვეულებრივი ენიანობით ყველ-

გან „ქართლის“ მაგიერ შემოიღო თავისგან შეთხზული და მოგონილი, მის ავტორისათვისაც კი გამოურკვეველი ერთეულისა და ცვალებადი ცნების გამომხატველი ტერმინი „იაფეტური“. ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „იაფეტური ენათმეცნიერება ნ. მარის პირადი მონაპოლიაა და დამწვინდებული ბრძანდებოდეს ბ-ნი აკადემიკოსი, რომ არც ერთს ჩვენთაგანს ქართული ენათმეცნიერება და დიალექტოლოგია მარისებურ იაფეტურ ენათმეცნიერებად არ ჰქონია განზრახული“.

ყურადღებას იპყრობს მარის მეცნიერული კვლევის მეთოდებისა და მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ ივ. ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები: „ნ. მარი თავის ყრმობის ხანის ნამუშავეარს — საენათმეცნიერო შრომებს დაუბრუნდა და გამოქვეყნებას შეუდგა. პირველი წინასწარი უწყებულემა ბეერს რამეს ახალსა გეპირდებოდა. მას უნდა მოჰყოლოდა ამვე საკითხის ქართული სემი-ართა ენების მონათესავეობის შესახებ არა ერთი და ორი საფუძვლიანი, მრავალ უცილობელ ფაქტსა და დაკვირვებაზე დამყარებული გამოკვლევა. მაგრამ დრო გადიოდა, წელიწადი წელიწადს მისდევდა და შეპირებული შედარებითი გრამატიკის არც ფონეტიკა და არც მორფოლოგია არ გამოქვეყნებულა, სამაგიეროდ, ის, ერთის მხრით, პატარ-პატარა, კერძო საკითხების შესახებ გამოკვლევის ბეჭდვას იწყებს; მეორეს მხრით, სწრაფი და გამარტივებული საშუალებით ის ორისაში კვირის განმავლობაში სულ ახალ და ახალ ენებს სწავლობს და უმალ თუმცა წინასწარ, მაგრამ მრავალს ისტორიულს, ეთნოლოგიურსა და საენათმეცნიერო პირველხარისხოვანი საკითხების თითო-ორილა მაგალითების საშუალებით გადამწყყეტ მოხსენებებს კითხულობს და ბეჭდავს. თეორია თეორიას მისდევს და ხშირად იცვლება ისეთი სისწრაფით, რომ თვით მათ ავ-

ტორს აკად. ნ. მარსაც წინათქმული ხეირიანად აღარ ახსოვს და წერათი იმავე საკითხის შესახებ ზრგჯერ სულ მოკლე ხანში რამდენიმე სხვადასხვა თეორია აქვს გამოქვეყნებული, ისე-კი, რომ წინანდელი მერმინდელი თეორიის გამოქვეყნების დროს თვის ავტორისაგან არც მოხსენებულა და არც უარყოფილა, თუმცა ყოველ თავის თეორიას მისი გამოქვეყნების დროს იცავდა ხოლმე როგორც უცილობელსა და შეურყეველ ჭეშმარიტებას. ამგვარად თვით ნ. მარსავე ისე არია საქმე, რომ განსვენებულ აკად. კარლ ზალემანის მარის ერთერთი მოხსენების დროს ნათქვამი სამართლიანი სიტყვით, მარის თეორიის გაგება შეუძლებელი ხდებოდა. ის, რასაც აკად. მ. მარი იაფეტურ ენათმეცნიერებად ასაღებდა, რომ მართლა ენათმეცნიერება ყოფილიყო და იყოს, ადამიანს ყოველგვარი პატივისცემა უნდა დაეკარგოს ენათმეცნიერებისადმი, და უნიადაგო თეორიებისა და თვალთმაქცობად უნდა იყოს მიჩნეული.

„კარგა ხანია, რაც ეს გარემოება თანდათან, ნ. მარის ამგვარი მოღვაწეობის თანდათან გაძლიერებისთანავე, ჩემთვის ცხადი შეიქნა. ის წინააღმდეგობა, რომელსაც მას უწევდნენ, ნ. მარს მისი ყოფილი ქართველი მოწაფეების ნაციონალისტობად ეჩვენებოდა. 1913 წელს, როდესაც ქართველი ერის ისტორიის წიგნის ახალი გამოცემისათვის შესავსები ნაწილები, მათ შორის ქართულისა და მისი მონათესავე ენების შესახები თეორიების მიმოხილვის, წერას შეეუდღე და ნ. მარის ყველა ნაწერები გულდასმით თავითგან ბოლომდის გადავიკითხე, მაშინ ჩემთვის სრული უეჭველობით ცხადი შეიქნა, რომ ნ. მარის მთელი თეორია, მრავალი წლების ლინგვისტური მუშაობა ძირიანად უნდა შერყეულიყო და მისი სრული უარყოფით უნდა დამთარებულიყო, ასეთი დასკვნის შემდგომ მე ზნეობრივ

მოვალეობად ჩავთვალე ეს გამომე-
ქვეყნებინა და მთელი ეს მიმოხილვა
წავუჯიოთბე კიდევ ჩემს მსმენელ სტუ-
დენტებს“.

ნ. მარის მეცნიერული გზა ჯავახიშ-
ვილმა აშკარად უვარგისად მიიჩნია და
დასძინა: „ჩვენ შეგნებულად და გადაჭ-
რით უარეყოფთ ამ გეარს უვარგის
გზასა და ამნაირს მიმართულებას ენათ-
მეცნიერებაში და არც გვსურს, რომ
ქართული ენათმეცნიერება მეთოდუ-
რი, დინჯი და საფუძვლიანი კვლევა-
ძიების მაგიერ ბრჭყვიალა და ფართო,
მაგრამ ხანმოკლე და უნიდაგო თეო-
რიების ტურფა საბადნაროდ იქცეს“.

ნ. მარი, როგორც ივ. ჯავახიშვილი
სწერს: „აღფიქრებელი იყო იმ სრუ-
ლებით ბუნებრივი გარემოებითაც, რომ
ჩვენ ქართველ მეცნიერებმა მშობელი
ერის კეთილდღეობის და წარმატები-
სათვის ხელისშესაწყობად აღმოსავლეთ
ენების ფაკულტეტს თავი მივანებეთ
და სამშობლოში წამოვედით ქართული
უმაღლესი სასწავლებლის შესაქმნე-
ლად. მას თურმე არ სჯეროდა და ვერც
წარმოედგინა, რომ ვისიმე საზოგადო-
ებრივ-საგანმანათლებლო მიზნების გუ-
ლისათვის ჩვენ იმ მარტოდმარტო მუ-
ხის ფესვებისა და ძირის გამოთხრას
ვიკადრებდით, რომლითაც ჩვენ ორიენ-
ტალისტი კავკასიის მკვლევარნი ეროვ-
ნებისა და მიმართულებისდა მიუხედა-
ვად გამოკვებილი ვართ. არა მგონია,—
განაგრძობს ჯავახიშვილი, — აკად.
ნ. მარის პოეტური შედარება რომე-
ლიმე ორიენტალისტისათვის შესაწყნა-
რებელი იყოს და თავისი თავი იმ სულ-
დგმულად ჩასთვალოს, რომელიც მუ-
ხის ნაყოფით იკვებება ხოლმე. ნ. მარს
ვერას გზით ვერ გაუგია, როგორ შეგ-
ვეძლო ჩვენ ფიქრად მოგვესვლოდა აღ-
მოსავლეთის ენების ფაკულტეტისათ-
ვის უეცრად თავი მიგვეყენებინა და
სამეცნიერო სინათლის ნაკადულას
დავსება გვეკადრა, საზოგადოდ პეტერ-

ბურგის უნივერსიტეტისათვის საქარ-
თველო დაგვეპირისპირებინა და ერთ-
ნაირ ღირებულებად მოგვეჩინა. უცნა-
ურია, რომ ასეთი რამ ვერ გაუგია აკად.
ნ. მარს, რადგან ყოველი ადამიანისათ-
ვის, რომელსაც საზოგადოებრივი აღ-
ლო აქვს, ეროვნული შეგნება მოვპოვე-
ბა და მთლად გადაგვარებული არ არის,
ჩვენი ნაბიჯი სრულებით ადვილი გა-
საგები უნდა იყოს“.

მარი არც შემდეგში ცხრებოდა და
ქართული კულტურის წინსვლის შე-
ფერხებას შეგნებულად ცდილობდა.
როცა საქართველოს სს რესპუბლიკის
მთავრობამ საკაეშირო მთავრობის წი-
ნაზე აღძრა საკითხი რუსეთში მყოფი
ქართული სიძველეებისა და კულტუ-
რის ძეგლების საქართველოში დაბრუ-
ნების შესახებ, აკადემიკოსთა ერთი
ჯგუფი ნიკო მარის მეთაურობით წი-
ნააღმდეგ წავიდა. მარი სწერდა:
„Утверждаю, что безумие, когда это
дело предполагают таким насильствен-
ным путем пересадить на обществен-
ную почву страны обеспокоенной для
научного творчества, в данный мо-
мент господством низменных зооло-
гических чувств“.

დიდმა სტალინმა მარის მეცნიერულ
მოღვაწეობას საბოლოოდ ახადა ფარ-
და და ამით საშუალება მოუსპო ქარ-
თული კულტურის აშკარა თუ ფარულ
მტრებსაც, მარის საფარით რომ გვებრ-
ძოდნენ, განაგრძონ თავიანთი ბინძური
საქმიანობა.

ივ. ჯავახიშვილი იყო გულმართალი
„იმ მეცნიერებისა, რომელიც ხალხს კი
არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ
უჭირავს თავი, არამედ მზადაა ემსახუ-
როს ხალხს, მზადაა გადასცეს ხალხს
ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა, რო-
მელიც მომსახურებას უწევს ხალხს
არა იძულებით, არამედ ნებაყოფლო-
ბით, ხალხით“ (სტალინი).

ჭეშმარიტების ბუნების გაგების საკითხისათვის

★

მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომებში, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში, მოცემულია ჭეშმარიტების ერთადერთი მეცნიერული, ამომწურავი და ყოველგვარ ორაზროვნებას მოკლებული განსაზღვრა. მარქსიზმ-ლენინიზმმა მოგვცა არა მარტო ჭეშმარიტების ბუნების ლოგიკური განსაზღვრა, არამედ აგრეთვე გვიჩვენა, თუ როგორ უნდა გვესმოდეს მისი შინაარსი. მიუხედავად ამისა, ფილოსოფიურ ლიტერატურაში, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში გამოვიდა ჩვენში (განსაკუთრებით ლოგიკის სახელმძღვანელოებში), მოცემულია ჭეშმარიტების ისეთი განსაზღვრებანი, რომლებიც ძალზე ნებისმიერია და ამკარად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტების მარქსისტულ-ლენინურ ფორმულირებას. გასაგებია, რომ ჭეშმარიტების არასწორი ფორმულირების საფუძველზე არა მარტო ლოგიკის მეცნიერების განვითარება არ შეიძლება, არამედ იგი განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინურ აღზრდის საქმეს.

ქვემოთ შევეცდებით გადმოვცეთ ჭეშმარიტების მარქსისტულ-ლენინური ფორმულირება. ჭეშმარიტების ბუნების ჩვენება გულისხმობს შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის გადმოცემას, რაც ამ სტატიის მიზანს არ შეადგენს. შემეცნების თეორიის ზოგიერთ საკითხს მხოლოდ გაკვრით

შევეხებით, რამდენადაც ეს საჭიროა ჭეშმარიტების ბუნების გასაგებად.

•
•

ჭეშმარიტების საკითხი ფილოსოფიის ძველთაძველი საკითხია. შემეცნების წყაროს საკითხი — წერდა ლენინი, — ისმის და ირჩევა ფილოსოფიის დაწყების დღიდან¹.

ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იდეალისტი პლატონი თავის ერთ-ერთ დიალოგში კითხულობდა, რა არის ცოდნა? პლატონისათვის, მაგალითად, ნიკობილი იყო, რომ დურგლის ცოდნა არის ხისაგან რაიმე ახალი საგნის გაკეთების უნარი, მცოდნე, ამ შემთხვევაში დურგალი, ხისაგან აკეთებს ისეთ საგანს, რომელიც „ხე“ არ არის. ადამიანს თუ არა აქვს დურგლის ან მეწაღის ცოდნა, ისე ვერც მაგიდას გააკეთებს და ვერც ფენსაცმელს შეკერავს. ეს ფაქტია, რომლის უარყოფა იდეალისტებსაც კი არ შეუძლიათ. მაგრამ იდეალისტებს არ შეუძლიათ ახსნან ცოდნის ბუნება, ვინაიდან უარყოფენ ობიექტურ ჭეშმარიტებას, ისინი ცოდნის ბუნებას, მის წყაროს ისევე ცოდნაში ეძებენ. იდეალისტური ფილოსოფია როგორც ძველი, ისე ახალი, ცოდნის ფაქტს არა თუ სწორად ვერ ხსნის, არამედ ამ საკითხს სწორადაც ვერ აყენებს. იდეალიზმი იმ წანამდღვარს ეყრდნობა რომ ჭეშმარიტებ-

¹ ვ. ლენინი, თბ., ტ. 14, გვ. 117.

მხოლოდ ცოდნის ფორმაა, იდეალისტური ფილოსოფიისათვის კეშმარიტება ისევე როგორც შეცდომა, შეიძლება მხოლოდ აზრში არსებობდეს. „შეცდომა, ისე როგორც კეშმარიტება, — წერს კანტი თავის „ლოგიკაში“, — შეიძლება იყოს მხოლოდ მსჯელობაში“.

იდეალიზმი არ ცნობს შემეცნების ობიექტური, შემეცნებლისაგან დამოუკიდებელი წყაროს არსებობას. „მატერიალიზმი და იდეალიზმი, — წერდა ვ. ლენინი, — განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ როგორ წყვეტენ საკითხს ჩვენი შემეცნების წყაროს შესახებ...“¹ იდეალიზმი ცოდნას ცალმხრივად, მხოლოდ მისი ფორმის მხრივ განიხილავს და უგულებელყოფს ცოდნის ობიექტურ მხარეს, რომელიც ცოდნის ერთადერთ შინაარსს შეადგენს. ცოდნის ობიექტური შინაარსის უარყოფა ნიშნავს მეცნიერების უარყოფასაც, მის დამცირებას და რელიგიის ქადაგებას. „კანტი, — წერდა ლენინი, — ამცირებს ცოდნას, რომ სარწმუნოებას გზა გაუხსნას: ჰეგელი ამალღებს ცოდნას, ირწმუნება რა, რომ ცოდნა არის ღმერთის ცოდნა. მატერიალისტი ამალღებს მატერიის, ბუნების ცოდნას, ხოლო ღმერთსა და მის დამცველ ფილოსოფ აბამზადებს სანაგვე ორმოში გზავნის“².

მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ უჩვენა მუშათა კლასს, პროგრესულ კაცობრიობას კეშმარიტების გზა. კეშმარიტების განსაზღვრა, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია იძლევა, ადამიანთა საზოგადოების მთელი ისტორიული პრაქტიკის, შემეცნების პროცესის მეცნიერული ფორმულაა.

როგორი იქნება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით

კეშმარიტების ყველაზე არსებითი, ყველაზე მთავარი განსაზღვრა? დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით კეშმარიტება ობიექტურია, ე. ი. დამოუკიდებელია შემეცნებლისაგან, საერთოდ კაცობრიობისაგან. ვ. ლენინმა და ი. სტალინმა კეშმარიტების ობიექტურობის ყოველმხრივი და ამომწურავი დახასიათება მოგვეცეს.

ვ. ლენინი, აკრიტიკებს რა რუს მახისტს ბოგდანოვს, რომელიც ობიექტურ კეშმარიტებას მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქის ფარგლებში ცნობდა და რომლისთვისაც კეშმარიტება ცდის იდეოლოგიური ფორმა იყო, წერდა: „თუ კეშმარიტება მხოლოდ იდეოლოგიური ფორმაა, მაშინ შეუძლებელი ყოფილა ისეთი კეშმარიტება, რომელიც დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, კაცობრიობისაგან, ვინაიდან ჩვენ... ადამიანურის გარდა სხვა იდეოლოგიას არ ვიცნობთ“¹. სხვა ადგილას ლენინი წერს, რომ მატერიალისტისათვის არსებითია ობიექტური კეშმარიტების აღიარება. მატერიალისტობა ნიშნავს იმ ობიექტური კეშმარიტების აღიარებას, რომელსაც შეგრძნებანი გვიმზღვენ². ვ. ი. ლენინი როგორც „ფილოსოფიურ რვეულეში“, ისე „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ ლაპარაკობს ობიექტური კეშმარიტების შემეცნებაზე. „შემეცნება..., წერს ლენინი, — ასახავს ობიექტურ კეშმარიტებას, რომელიც დამოუკიდებელია ადამიანისაგან“³.

წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც არ ცნობს ობიექტურ კეშმარიტებას, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი ამხანავ სტალინის დახასიათებით აღიარებს, რომ ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ, ცდით, პრაქტიკით შემოწმებული, წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას, რომელსაც

¹ ვ. ლენინი, ობზ., ტ. 14 გვ. 246

² ვ. ლენინი, ფილოსოფიური რვეულეები, 28. 266.

¹ ვ. ლენინი ობზ., ტ. 14 გვ. 110.

² იქვე, გვ. 120

³ იქვე გვ. 112

ობიექტურ ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს.¹... მეცნიერების კანონები,—წერს ამხანაგი სტალინი,—ობიექტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ². ვ. ლენინი და ი. სტალინი ხშირად ლაპარაკობენ ობიექტურ აზრზე, საგანთა ლოგიკაზე, ობიექტურ ლოგიკაზე.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებიდან ზემოთ მოყვანილი ციტატები არავითარ ეჭვს არ ტოვებენ იმაში, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი ცნობს ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან დამოუკიდებელ, ობიექტურ ჭეშმარიტებას.

რას ნიშნავს, რომ „მეცნიერების კანონები ობიექტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ“? როგორ უნდა გვესმოდეს ობიექტური ჭეშმარიტების, საგანთა ლოგიკის არსებობა? ამ საკითხის გასარკვევად საჭირო იქნება შემეცნების პროცესის ზოგიერთი საკითხის მოკლე განხილვა.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, წინააღმდეგ იდეალიზმისა, იქიდან გამოდის, რომ „სამყარო და მისი კანონზომიერებანი საესებით შეცნობადია, რომ ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ, ცდით, პრაქტიკით შემოწმებული, წარმოადგენს სარწმუნო ცოდნას, რომელსაც ობიექტური ჭეშმარიტებათა მნიშვნელობა აქვს, რომ სამყაროში არ არსებობენ შეუცნობადი ნივთები, არამედ არსებობენ მხოლოდ ისეთი ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შეცნობილი, რომლებიც გახსნილი და შეცნობილი იქნებიან მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალეებით“³.

მაგრამ შემეცნების პროცესი, როგორც გარკვეული სინამდვილე, გარკვეული ფაქტი, აუცილებლად გულის-

ხმობს არა მარტო ობიექტს, ბუნებას ვ. ი. იმას, რაც შეცნობილი იქნას, არამედ სუბიექტსაც, ე. ი. იმას, ვინც შეიცნობს ამ ობიექტს. შემეცნების პროცესი არ არსებობს ობიექტის გარეშე. მაგრამ თუ რაიმე ვიციტ საგანთა არსების შესახებ, ვიციტ მხოლოდ აზროვნების საშუალებით, აზროვნების გარეშე არავითარი ცოდნა არ გვექნებოდა ბუნებისა და მისი კანონზომიერების შესახებ. ხოლო ის გარემოება, რომ სინამდვილეს აზრის საშუალებით შევიცნობთ, იმას კი არ ნიშნავს, რომ აზრი და სინამდვილე საერთოდ განუყოფელი არიან ერთმანეთისაგან, რომ სინამდვილე არ არსებობს ცნობიერებისგან დამოუკიდებლად. ასე მსჯელობენ იდეალისტები. ავენარდუსი, წერდა ვ. ლენინი,—„უბრუნდება სუბიექტური იდეალიზმის ძველ. გაკეთილ (time-worn) საბუთს, რომ აზრი და რეალობა გაუთიშავია, იმიტომ რომ რეალობა შეიძლება ათვისებულ იქნას მხოლოდ აზრში, ხოლო აზრი გულისხმობს იმის არსებობას, ვინც აზროვნებს“.¹

ამრიგად, შემეცნების საკითხი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარეა. შემეცნების თეორია ფილოსოფიის ძირითადი საკითხისაგან წარმოებული საკითხია. ფილოსოფიის ეს ძირითადი საკითხი, ე. ი. აზროვნებისა და ყოფიერების მიმართების საკითხის გადაწყვეტა განასხვავებს შემეცნების მატერიალისტურ თეორიას შემეცნების იდეალისტურ თეორიისაგან, განსაზღვრავს მოაზროვნის მსოფლმხედველობას. ერთადერთ მეცნიერულ პასუხს ფილოსოფიის ძირითად საკითხზე იძლევა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია. ბუნება, მატერია არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად, აზროვნება კი „არის პროდუქტი მატერიისა, რომელმაც თავის განვითარებაში მიაღწია სრულყოფის მაღალ ხარისხს, სახელდობრ —

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. XI გამოც. გვ. 674 — 675.
² იქვე. გვ. 675.
³ იქვე. გვ. 675.

¹ ვ. ლენინი, თხზ. ტ. 14. გვ. 60

ეს არის ტვინის პროდუქტი, ხოლო ტვინი აზროვნების ორგანოა¹... ვ. ლენინი გვასწავლის, რომ ასახვა არის მთელი მატერიის თვისება. მატერიის ამ თვისებამ — უბრალო ასახვის თვისებამ — ორგანული ბუნების წარმოშობისა და განვითარების პროცესში, ნერვული სისტემისა და შეგრძნების ორგანოების გართულებით შეიძინა ახალი თვისება, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში აღწევს თავის სრულყოფას და რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულია ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებით. ლენინ-სტალინის მოძღვრება მთლიანად დაადასტურა მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებამ.

ჯერ კიდევ ი. სეჩენოვი თავის გენიალურ ნაშრომში — „აზრის ელემენტები“ წერდა, რომ საგნების გამოცნობა ცხოველისათვის მიზანშეწონილი მოქმედების სახელმძღვანელოა, უამისოდ ის ვერ განასხვავებდა ნაფოტს საკვებისაგან, გააიგივებდა ხეს მტერთან და საერთოდ ერთი წუთითაც ვერ შეძლებდა გარემომცველ სინამდვილეში ორიენტირებას².

გარემომცველ სინამდვილეში ცხოველის ეს ორიენტირება, მის მიერ წონასწორობის შენარჩუნება ხასიათდება ძალიან რთული მოქმედებით, რომელიც გამოხატავს თვით ცხოველის „დამოკიდებულებას“, მის „აქტიურობას“ საგნისადმი. ვასაგებია, რომ ცხოველის „დამოკიდებულება“ საგნისადმი, მისი ფსიქიკა, როგორც საბჭოთა ფიზიოლოგიამ ცხადყო, არაფერს შეიცავს მისტიკორსა და ზებუნებრივს, ენაიდან იგი წარმოებულია, განსაზღვრულია თვით გარემო პირობებით. გარემოს გარეშე ცხოველს აქტიურო-

ბაც არ ექნებოდა, არ იქნებოდა ცხოველიც, როგორც ბიოლოგიური არსება.

მაგრამ ადამიანის ორიენტირება სინამდვილეში, მისი ფსიქიკური ცხოვრება არსებითად განსხვავდება ცხოველის ფსიქიკისაგან. ადამიანის ცნობიერება (ასახვა) სულ სხვა პირობებში ვითარდება, ვიდრე ცხოველის ცნობიერება, და ამიტომ იქნეს ისეთ ნიშნებს, ისეთ თვისებებს, რომლებიც უცხოა ამ უკანასკნელისათვის.

მაგრამ თავის მხრივ ადამიანის აზროვნების ეს თავისებურება, შექმნა ადამიანთა საწარმოო ურთიერთობამ. ი. სტალინმა თავის გენიალურ ნაშრომში — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, რომელიც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს, გვიჩვენა აზრთა გაცვლის მნიშვნელობა. „აზრთა გაცვლა“ — წერს ი. სტალინი, — მუდმივი და სასიცოცხლო საჭიროებაა, რადგან უამისოდ შეუძლებელია მოეწყოს ადამიანთა ერთად მოქმედება ბუნების ძალებთან ბრძოლაში, საჭირო მატერიალური დოვლათის წარმოებისათვის ბრძოლაში, შეუძლებელია მიღწეულ იქნას წარმატება საზოგადოების საწარმოო საქმიანობაში, — მაშასადამე, შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების არსებობაც“¹. საზოგადოება, როგორც უნდა იყოს მისი ფორმა, ადამიანთა ურთიერთობის პროდუქტია². ადამიანთა ურთიერთობა კი შეუძლებელია აზროვნების გარეშე. „ისეთ ადამიანებს, — წერდა ლენინი, — რომელთაც გონება და გრძნობა არა ჰქონდეთ, ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ“³.

ადამიანთა ურთიერთობა წარმოუდგენელია, შეუძლებელია აზროვნებისა და ენის გარეშე. ენა ისევე ძველია, როგორც ცნობიერება. ენის მსგავსად,

¹ ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხი, გამოც. XI, გვ. 673.

² ი. სეჩენოვი. რჩეული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური თხზულებანი. 1947 წ. გვ. 215.

¹ ი. სტალინი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, გვ. 23

² კ. მარქსი, ფილოსოფიის სილატატი, გვ. 78.

³ ვ. ლენინი, თხზ. ტ. 1, გვ. 478.

ადამიანის აზროვნებაც საზოგადოების საპირობებამ, წარმოების პროცესში სხვა ადამიანებთან ურთიერთობამ წარმოშვა.

ამრიგად, ადამიანის აზროვნება განხილულ უნდა იქნას როგორც სოციალური პროდუქტი, იგი ადამიანის საწარმოო მოქმედების შედეგია. აზროვნება, ისევე როგორც ენა, უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან, მის მოღვაწობასთან. ადამიანის აზროვნების ყველაზე არსებითსა და უახლოეს საფუძველს წარმოადგენს წარმოება. წარმოების პროცესში ადამიანი არა მარტო მატერიალურ დოვლათს აწარმოებს, არამედ ქმნის აგრეთვე იდეას, ცნებას, აკეთებს დასკვნას.

ცხოველი უკეთეს შემთხვევაში ბუნების მხამზარეული პროდუქტების შეგროვებას ახდენს, ადამიანი კი უბირველს ყოვლისა აწარმოებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი იმავე ბუნების ძალებსაგან ისეთ საარსებო საშუალებას ქმნის, რომელთაც ბუნება თავისთავად, უადამიანოდ ვერასოდეს ვერ წარმოშობდა თავის თავიდან. მართალია ცხოველიც აქტიურობს, იგი ეძებს საკვებს, მაგრამ ცხოველის ეს მოქმედება ვერაერთარ გავლენას ვერ ახდენს მის ცნობიერებაზე. როგორც ი. სენენოვი აღნიშნავს, შიმშილი ცხოველს აიძულებს საკმელი ეძიოს, მაგრამ ცხოველის მიერ საკმელის ეს ძიება „არავითარ შემთხვევაში გავლენას არ ახდენს თვით აზრის განვითარებაზე“. ამიტომ ცხოველს არ შეუძლია თავის ნებისყოფის დადი დასავას ბუნებას. ცხოველს არ შეუძლია ბუნების ძალები შეიგუოს, ბუნებაზე იბატონოს, აიძულოს ის თავის მიზანს ემსახუროს. ცხოველი ბუნებაში ცვლილებას ახდენს მხოლოდ თავიში ფიზიკური არსებობით.

სულ სხვა შედეგს იძლევა ადამიანის აქტიურობა, მისი საწარმოო საქმიანობა. ადამიანი არამხოლოდ ბუნებას გარდაქმნის, არამედ წარმოების პროცესში გარდაქმნის თავისთავსაც. ხოლო ადამიანის აქტიურობა, მისი საწარმოო საქმიანობა გავლენას ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე და წარმოშობს ადამიანის ცნობიერების ისეთ თავისებურებას, რომელიც ცხოველთა სამყაროში არ არსებობს. თუ ცხოველის ცნობიერება შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნების ზემოქმედება ცხოველზე, ადამიანის აზროვნების განხილვის დროს უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა მივიღოთ თვით ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე, მისი საწარმოო საქმიანობა, ვინაიდან ადამიანის აზროვნება ვითარდებოდა იმდენად, რამდენადაც ადამიანი ბუნების შეცვლას ახდენდა.

ამრიგად, ადამიანის აზროვნება, მისი თრიენტირება გარემომცველ სინამდელიეში სხვა კანონზომიერებას ემყარება, ვიდრე ცხოველის მოქმედება. მართალია, ცხოველსაც არ ატუუებენ მისი შეგრძნების ორგანოები, მაგრამ ცხოველის „შემეცნება“ ბიოლოგიურ კანონზომიერებას ემორჩილება და ამდენად ინსტინქტურია. ცხოველის „შემეცნება“ განსაზღვრულია უშუალო საგნობრივი შთაბეჭდილებებით. ხოლო ადამიანი არა მარტო განსახეებებს ერთ საგანს მეორისაგან, არამედ საგნებს შორის აღმოაჩენს არსებითს ურთიერთობას. ეს გასაგებიცაა, რადგან წარმოება, ბუნების გარდაქმნა შეუძლებელია საგანთა გარეგანი, ზედაპირული ურთიერთობის პროცესში. წარმოების დროს ადამიანი ერთ საგანს ამოქმედებს მეორე საგანზე, შედეგად იღებს ისეთ რამეს, რომელსაც ბუნება თავისთავად, ადამიანის ჩაურევლად ვერასოდეს ვერ შექმნიდა. გარდა ამისა, ერთი საგნის მეო-

რე საგანზე ზემოქმედების პროცესში, წარმოების პროცესში, ადამიანი აღმოაჩენს საგანთა ისეთ თვისებებს, სინამდვილის ისეთ მხარეებს, რომლებიც ყოველთვის მიუწვდომელი დარჩება ცხოველისათვის. ადამიანის მიერ ერთი საგნის ზემოქმედება მეორეზე ხდება თვით ამ საგნების ბუნების მიხედვით, მათი შინაგანი კანონზომიერების მიხედვით.

ამრიგად ადამიანის შემეცნება ვითარდება წარმოების განვითარებასთან ერთად. ამ გაგებით პრაქტიკა არა მარტო ქვეშარიტების კრიტერიუმია, არამედ ის საფუძვლად უდევს მთელ შემეცნებას. საგანთა არსებითი ურთიერთობა ადამიანის ცნობიერებაში აიხსნება სწორედ წარმოების, ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედების და მისი გარდაქმნის პროცესში.

ადამიანის შემეცნება არის ბუნების ასახვა. მაგრამ ეს ასახვა არ არის მარტივი, სარკისებური, ვინაიდან ეს ასახვა მიმდინარეობს წარმოების, ბუნების გარდაქმნის პროცესში. შემეცნების ადამიანური პროცესი—ეს არის აბსტრაქციების, ცნებებისა და მსჯელობების შექმნისა და ფორმირების პროცესი. „ადამიანს არ შეუძლია, — წერდა ლენინი, — ასახოს, გამოხატოს მთელი ბუნება ერთბაშად, მისი „უშუალო მთლიანობა“. მას შეუძლია მხოლოდ მუდმივად უახლოვდებოდეს ბუნებას მით, რომ ქმნის აბსტრაქციებს, ცნებებს, კანონებს, სამყაროს მეცნიერულ სურათს“¹.

წარმოების პროცესში ადამიანური აზროვნება იძენს ახალ თვისებას, რითაც მას შეუძლია აღმოაჩინოს ისეთი საგნები და მოვლენები, რომლებიც მიუწვდომელია შეგარძნების ორგანოებისათვის. ამ აზრით ადამიანის აზროვნება განუსაზღვრელია. მაგალითად, ადამიანის აზროვნებამ აღმოაჩინა ბუ-

ნების ისეთი მდგომარეობა, როდესაც ის გავარჯარებული იყო. მაგრამ შეეძლო თუ არა აზრს (ადამიანს) ყოფილიყო უშუალო ამსახველი იმ ბუნებისა, რომელიც გავარჯარებულ მდგომარეობაში იყო? აზრს რომ ასეთი ბუნება უშუალოდ აესახა მაშინ აზრი უნდა არსებელიყო ბუნების გავარჯარებულ მდგომარეობაში. მაგრამ ასეთი ვარაუდი ყოველგვარ მეცნიერულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება; აზრს არ შეეძლო ბუნების გავარჯარებული მდგომარეობა უშუალოდ აესახა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბუნების გავარჯარებულ მდგომარეობაში არა თუ ადამიანს, არამედ სიცოცხლის დაბალ ფორმასაც არ შეეძლო არსებობა. ამ გაგებით სინამდვილის ადამიანურ ფორმაში ასახვა არ არის უშუალო.

ქვეშარიტება, — წერდა ლენინი, — არ დევს საგნის ზედაპირზე. ქვეშარიტება არ არის უშუალო, პირველი შთაბეჭდილება. იგი პროცესია¹. მარქსი წერდა, რომ საგანთა არსება მოვლენათა ზედაპირზე რომ იდოს, მაშინ ყოველგვარი მეცნიერება ზედმეტი იქნებოდა. „ჩვენ რომ ვუცადოთ, სანამ მასალა კანონისათვის წმინდა სახით მზად იქნებაო, ეს ნიშნავს მოაზროვნე კვლევა მანამდე შევაჩეროთ. მაშინ კი მარტო ამის გამოც ვერასოდეს კანონს ვერ მივიღებდით“². მეცნიერების განვითარების ფორმა არის სწორედ ჰიპოთეზა. ჰიპოთეზა კი ყოველთვის ატარებს ლოგიკური დალაგების ან ცნობილი წინამძღვარიდან დასკვნის გამოყვანის ხასიათს.

აბსტრაქტული აზროვნების როლი გენიალური სიცხადით დაგვანახვა ი. სტალინმა გეომეტრიის მაგალითით. გეომეტრია, წერს ამხანაგი სტალინი —

¹ ვ. ლენინი. ფილოსოფიური რვეულები. გვ. 177.

² ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 248.

¹ ვ. ლენინი. ფილოსოფიური რვეულები. გვ. 176.

„თავის კანონებს იძლევა ისე, რომ აბსტრაქციას ახდენს კონკრეტული საგნებისაგან, განიხილავს საგნებს, როგორც კონკრეტულობას მოკლებულ სხეულებს, და მათ შორის ურთიერთობას განსაზღვრავს არა როგორც ამა და ამ კონკრეტული საგნის კონკრეტულ ურთიერთობას, არამედ როგორც საერთოდ სხეულთა, ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულ ურთიერთობას“.¹

მართალია, აბსტრაქციის პროცესი სხვადასხვანაირია მეცნიერული აზროვნების სხვადასხვა დარგისათვის, მაგრამ მეცნიერება საერთოდ აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია. იდეალიზმი აბსტრაქტული აზროვნების აღიარება კი არ არის, არამედ მისი მცდარი ახსნაა.

იდეალიზმი ამჩნევს შემეცნების რთულ, დიალექტიკურ პროცესს, არ უარყოფს იმას, რომ მეცნიერება თეორიულია, მაგრამ აქედან იდეალისტურ დასკვნას აკეთებს. იდეალისტები უარყოფენ თეორიულ აზროვნებისათვის სინამდვილის პრაქტიკის საჭიროებას. ვ. ლენინი სწორედ შემეცნების პროცესის რთული დიალექტიკური ხასიათის ცალმხრივ გაგებაში ხედავდა იდეალიზმის გნოსეოლოგიურ ფესვებს. „ფილოსოფიური იდეალიზმი,—წერდა ვ. ლენინი,— ცალმხრივი, გაზვიადებული განვითარებაა... შემეცნების ერთი თვისებისა, მხარისა, ზღვარისა აბსოლუტად, რომელიც მოწყვეტილია მატერიას, ბუნებასა და გაღმერთებულისა“. ყოველ მარტივ აბსტრაქციაში, ამბობდა ლენინი, უკვე მოცემულია იდეალიზმის შესაძლებლობა². შემეცნების რთული დიალექტიკური ბუნება ქმნის იმის ილუზიას, რომ აზროვნებას თითქოს ობიექტიური სინამდვილე არ

სჭირდებოდეს. შეგრძნობის ორგანოები მატერიალურ სინამდვილეს რომ ასახავს, ეს თითქოს არ უნდა უყოს სინამდვილე. მაგრამ საკითხის სიძნელე იმაშია, თუ როგორ შეიძლება ცნება, მსჯელობა, დასკვნა, მოკლედ თეორია, რომელიც სპეციალურად ადამიანის ცნობიერებისათვის არის დამახასიათებელი, ასახავდეს იმავე მატერიალურ სინამდვილეს, რომელსაც შეგრძნებები გვიჩვენებს.

მართალია, იდეალისტები არ უარყოფენ აზროვნებისათვის ობიექტის, შინაარსის საჭიროებას, მაგრამ ამ ობიექტის ქვეშ ისევ აზრს გულისხმობენ და ამდენად უარყოფენ ობიექტურ ქვეშარჩევას. გასაგებია, რომ თუ ადამიანის აზროვნების შინაარსი, მისი ობიექტი აზროვნებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტურად არსებული რეალობა კი არ არის, არამედ ის ობიექტია, ის შინაარსია, რომელიც ისევ ცნობიერებაში არსებობს, მაშინ ქვეშარჩევა მსჯელობის, დასკვნის საკითხი ყოფილა, ე. ი. ფორმალური ლოგიკა ყოფილა ერთადერთი უნივერსალური მეცნიერება. ასე იქცევა სწორედ კანტ-მახის ფილოსოფია, რომლის გამანადგურებელი კრიტიკა მოგვცა ვ. ლენინმა თავის გენიალურ ნაწარმოებებში — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. თანამედროვე ინგლის-ამერიკის რეაქციული ფილოსოფია კანტ-მახის გზით მიდის. მათ ფორმალური ლოგიკა გამოაცხადეს უნივერსალურ მეცნიერებად, რომლის კანონებსაც თითქოს ემორჩილება აზროვნება. შემეცნება, მეცნიერება მათ სურთ ლოგისტიკად აქციონ.

წინააღმდეგ იდეალიზმისა, მატერიალიზმი აღიარებს რომ „უკვე სავსებით მარტივი განზოგადება, პირველი და უმარტივესი შედგენა ცნებათა (მსჯელობათა, დასკვნათა etc.) ნიშნავს მსოფლიოს უფრო და უფრო ღრმა ობიექტური კავშირის შემეცნებას ადამიანის

¹ ი. სტალინი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ გვ. 25.

² ვ. ლენინი. ფილოსოფიური რკვეულები. გვ. 90.

მეორე¹. სხვა ადგილას ლენინი შენიშნავს, რომ „აზროვნება კონკრეტულიდან აბსტრაქციაზე ასვლისას არ შორდება—თუ იგი სწორია... (კანტი კი, როგორც ყველა ფილოსოფოსი, ლაპარაკობს სწორ აზროვნებაზე) — კეშმარიტებას, არამედ იგი მასთან მიდის. მატერიის, ბუნების კანონის აბსტრაქციას, ღირებულებისა და სხვ. აბსტრაქცია, ერთი სიტყვით ყველა მეცნიერული (სწორი, სერიოზული და არა სულელური) აბსტრაქცია ბუნებას ასახავს უფრო ღრმად, უფრო სწორად, უფრო სრულად“.¹



რეალური და მკვლარი აბსტრაქციების განსხვავებათა მოკლე დახასიათებიდანაც ნათელია, თუ როგორ ესმის დიალექტიკურ მატერიალიზმს ობიექტური კეშმარიტება, მაგრამ უფრო ახლოს განვიხილოთ ეს საკითხი.

ადამიანის აზროვნებას სხვა ფუნქცია, სხვა დანიშნულება არა აქვს, თუ არა კეშმარიტების შემეცნება, თუ არა ის, რომ იყოს სინამდვილის სწორი სურათი. აზრი საზოგადოების მოთხოვნილებამ, მისმა საჭიროებამ წარმოშვა, მაგრამ აზრი მაშინ არის სასარგებლო, როცა ის კეშმარიტია.² მკვლარი აზრი სასარგებლო კი არ არის, არამედ ზიანს მოუტანს საზოგადოებას, თუ დიდხანს „იბატონებს“. „ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვების გამოცდილებიდან ცნობილია, — ამბობდა ამხანაგი ა. ჟდანოვი ფილოსოფიურ დისკუსიაზე, — თუ როგორ ჩიხში მოამწყვდია მთელი ხალხები იდეალისტურმა ფილოსოფიამ“.

მაგრამ მკვლარი აზრიც სინამდვილის ჭაღბი სურათია. ცნობიერება საერთოდ ასახვია. ი. სტალინმა თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერე-

ბის საკითხები“ გვიჩვენა, რომ ფაშინარსო აზრი არ არსებობს. აზრი შინაარსითაა განსაზღვრული. წმინდა სხვის, უსახო აზრის არსებობის აღიარება იდეალიზმია. მაშ რით განვასხვავთ მკვლარი აზრი კეშმარიტისაგან? სხვანაირად რომ ვთქვათ როგორ უნდა იყოს აზრის შინაარსი, რომ კეშმარიტებასთან გვექონდეს საქმე?

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კეშმარიტების კრიტერიუმის საკითხი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავიგივეოთ თვით ობიექტური კეშმარიტების არსებობის საკითხთან. ერთი კითხვა, თუ როგორ ითვისებს ადამიანი სხვადასხვა გრძნობათა ორგანოების შემწეობით ობიექტურ რეალობას და როგორ ვითარდებიან ამ ათვისებებისაგან აბსტრაქტული ცნებანი, „ხოლო სულ სხვა კითხვაა, შეფუარდება თუ არა კაცობრიობის ამ ათვისებებსა და ცნებებს ობიექტური რეალობა, რომელიც დამოუკიდებელია კაცობრიობისაგან“¹. სხვა ადგილას ლენინი წერს, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ ობიექტური კეშმარიტების არსებობის საკითხი და მისი კრიტერიუმის საკითხი.²

ვ. ლენინი წარმოადგენას, იდეას, თეორიას საერთოდ სინამდვილის სურათს, სახეს ან ასლს უწოდებს, ხოლო თვით ობიექტურ სინამდვილეს, ბუნებას, მატერიას—ორიგინალს ან ღედანს. რასაკვირველია, სინამდვილის სურათი, როგორც წარმოდგენა და სინამდვილის სურათი, როგორც ცნება ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ისევე, როგორც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წარმოდგენა და ცნება. მაგრამ როგორც ცნება, ისე წარმოდგენა ობიექტური სინამდვილის სურათია. შეგარძნება ადამიანს ობიექტურ კეშ-

¹ ვ. ლენინი. ფილოსოფიური რეკლემები, გვ. 173.

² ვ. ლენინი. თბ. ტ. 11. 127, 166.

1 იქვე გვ. 174

2 იქვე. 116

მართებას უმხელს, ე. ი. არ ატყუებს მას. ამ მხრივ წარმოდგენასა და ცხებას შორის განსხვავება არ არსებობს. ამიტომ ცნებასაც და წარმოდგენასაც ლენინი ახასიათებს, როგორც სინამდვილის სურათს. „ჩვენი წარმოდგენა, იდეები მხოლოდ იმ ობიექტების ასლები ახე ანარეკლებია, რომელნიც „გონების გარეშე“ არსებობენ“¹.

რა დამოკიდებულება არსებობს სურათსა და ორიგინალს შორის ე. ი. ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის ობიექტური ჰეგმარობის თვალსაზრისით? ლენინი ამ საკითხის გაგებაში ებრძვის როგორც ასლის (ცნობიერების) და დედანის (მატერიის) იდეალისტურ გაიგივებას, ისე მათი ერთმანეთისაგან მეტაფიზიკურ მოწყვეტას, მათ შორის იგივეობის, შესაბამისობის უარყოფას. ცნობიერებისა და ყოფიერების გაიგივება არ შეიძლება, რადგან „ჩვენი წარმოდგენის საგნები განსხვავდებიან ჩვენი წარმოდგენებისაგან, ნივთი თავისთავად განსხვავდება ნივთისაგან ჩვენთვის. იმიტომ რომ უკანასკნელი მხოლოდ პირველის ერთი მხარე ან მხოლოდ ნაწილია, როგორც თვით ადამიანი მხოლოდ ერთი ნაწილია მის წარმოდგენაში ასახული ბუნებისა“². ცნობიერება, ასლი არსებობს სუბიექტში, ხოლო მატერია (დედანი) არსებობს ობიექტურად, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. გარე სამყაროს სახეები. — წერდა ე. ლენინი. — არსებობენ ჩვენში, სუბიექტში³. „იმას, რაც ჩვენს თავში ხდება, — წერს ი. სტალინი, — წინ უსწრებს შესაფერისი მატერიალური ცვლილება, ე. ი. ის, რაც ჩვენს გარეშე ხდება... თუ შეუწყურებ ხეს და ეხედავ მას, — ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ, სანამ ჩემს თავში წარმოდგენა დაიბადებოდა ხის შესახებ, ამაზე წინ არსებობ-

და თვითონ ხე, რომელმაც შესაფერისი წარმოდგენა გამოიწვია ჩემში“⁴. ადამიანის წარმოდგენა, სუბიექტი (სურათი) არ შეიძლება არსებობდეს ობიექტურად, ადამიანისაგან დამოუკიდებლად. ამის აღიარება იდეალიზმია. სწორედ იდეალისტები აღიარებენ ობიექტური აზრის, ადამიანისაგან დამოუკიდებელი აზრის არსებობას. „ყველამ ვიცით, რა არის ადამიანური იდეა, — წერდა ლენინი, — მაგრამ უადამიანოდ და ადამიანამდე არსებული იდეა, იდეა აბსტრაქციადი, აბსოლუტური იდეა იდეალისტ ჰეგელის თეოლოგიური ნათხზავია... შეგრძნებანი (ადამიანური) უადამიანოდ არ არსებობენ“⁵. ამრიგად, საგნის სახე, მისი სურათი ჩვენში, სუბიექტურად არსებობს, ხოლო საგანი ობიექტურად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს. ამიტომ მათი გაიგივება, ე. ი. ცნობიერების მატერიალ მიჩნევა, ან, პირიქით, მატერიის ცნობიერებად გამოცხადება დიდი შეცდომაა, რომელსაც დიალექტიკური მატერიალიზმი ებრძვის როგორც აშკარა იდეალისტურ შეცდომას.

მაგრამ ლენინი შემეცნების პროცესში არა მარტო განასხვავებს ცნობიერებასა და ყოფიერებას, არამედ ხაზს უსვამს მათ შორის მსგავსებასაც, იგივეობასაც, შესაბამისობასაც. ე. ლენინი კანტს და საერთოდ იეროგლიფების თეორიას სწორედ იმიტომ ებრძვის, რომ ისინი წყვეტენ ერთმანეთს ცნობიერებასა და ყოფიერებას, გაჰყავთ მათ შორის გარღვევალი უფსკრული.“ თუ შეგრძნება, — წერდა ლენინი, — საგნის გამოხატულება კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი ნიშანი ან სიმბოლოა, რომელსაც „არაერთარი მსგავსება“ არა აქვს მასთან, მაშინ... გარეგანი საგნების არსებობა საეჭვო ხდება, ვინაიდან ნიშნები ან სიმბოლოები შესაძლებელია მოჩვენებითი საგნების მიმართაც, და ყველამ იცის ასე-

¹ ე. ლენინი, თხზ., ტ. 14 გვ. 109.

² იქვე, გვ. 106.

³ იქვე, გვ. 106.

⁴ ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 299 — 300.

⁵ ე. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 214.

თი ნიშნების ანუ სიმბოლოების მაგალითები“¹. ვ. ლენინი ებრძვის აზრის სიმბოლოდ, ნიშნად გამოცხადებას, მართალია გამოხატულება (აზრი) ვერასოდეს მთლიანად ვერ შეედრება მოდელს (მატერიას), მაგრამ სიმბოლოსა და გამოხატულებას შორის დიდი განსხვავებაა, ვინაიდან „გამოხატულება აუცილებლად და გარდუვალად გულისხმობს იმის ობიექტურ რეალობას, რაც „აიხსნება“².

ზემოაღნიშნულიდან აშკარად ჩანს, რომ ლენინი არა მარტო განასხვავებს ერთმანეთისაგან ცნობიერებასა და ყოფიერებას, არამედ ხაზს უსვამს მათ შორის მსგავსებასაც, შესაბამისობასაც. ვ. ლენინი კანტიანობის (აგნოსტიციზმის) არსებას იმაში ხედავდა, რომ ეს უკანასკნელი უარყოფდა იმ ობიექტურ რეალობას, „რომელიც ჩვენ შეგრძნებაში გვაქვს მოცემული“³. როგორც ცნობილია, კანტი „ნივთი თავისთავადის“ არსებობას კი არ უარყოფდა, არამედ უარყოფდა მისი შექმნების შესაძლებლობას, ე. ი. უარყოფდა იმ რეალობას, რომელიც ჩვენ შეგრძნებებში, აზროვნებაში გვაქვს, სხვათადად რომ ვთქვათ, უარყოფდა ობიექტურ ქვეშაობას.

ქვეშაობა აზრისათვის საკმარისი არ არის, რომ აზრი სინამდვილით იყოს განსაზღვრული. მცდარი აზრიც სინამდვილითაა განსაზღვრული, მაგრამ ამის გამო მცდარი აზრი ქვეშაობაში როდია. სინტერესოა ამ საკითხზე ლენინის მიერ რუსი მახისტის ბოგდანოვის კრიტიკა. ბოგდანოვი აღიარებდა, მაგალითად, რომ ქვეშაობა ისეთი აზრია, რომელიც საყოველთაო, ობიექტურია. მაგრამ ობიექტურს ბოგდანოვი მახისტურად განმარტავდა, ე. ი. ობიექტურის ქვეშ ესმოდა ის, რაც საყოველთაოა ყველასათვის, მაშინ როცა

ობიექტურის ქვეშ მარქსიზმს ესმის ის, რაც დამოუკიდებელია ყველასაგან. „ობიექტურობა განმარტებულია წერს ვ. ლენინი ბოგდანოვის მიერ ობიექტურობის ცნების განმარტებაზე—ისე, რომ ამ განმარტებას უდგება რელიგიის მოძღვრებაც, რომელსაც უეჭველად „საყოველთაო მნიშვნელობა აქვს“⁴.

ქვეშაობა ვ. ლენინის მიხედვით არ არის კი არ არის, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, რომელსაც უმრავლესობა აღიარებს. ქვეშაობის ნიშანი ამით არ განისაზღვრება. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რელიგიაც ქვეშაობადად უნდა მივიჩნიოთ, რადგან დღეს, მაგალითად, კაპიტალისტურ ქვეყნებში „რელიგიურ მოძღვრებას უფრო „საყოველთაო მნიშვნელობა აქვს“, ვიდრე მეცნიერების მოძღვრებას. მეორე მხრივ აღამიანის ცნობიერებაში რელიგიური წარმოდგენები, ისე როგორც ყოველგვარი ილუზიები, მცდარი აზრები, თავისთავად, შემთხვევით კი არ წარმოიშვებიან, არამედ განსაზღვრული არიან თვით ობიექტური სინამდვილის კანონებით. რელიგიები წერს ვ. ლენინი, უშიხეზოდ, შემთხვევით არ წარმოშობიან⁵. რელიგიური ცნობიერება სინამდვილის ფანტასტიკური ასახვაა. ამრიგად, ყოველგვარი ასლი, ყოველგვარი იდეა არ არის ქვეშაობა, თუმცა, ყოველგვარი იდეა, ყოველგვარი აზრი სურათია, ცნობიერება საერთოდ ყოფიერებით არის განსაზღვრული. ცნობიერების ბუნება საერთოდ იმაშია, რომ ის ასახვაა, აზრი შინაარსის გარეშე არ არსებობს.

როგორც ვნახეთ, ვ. ლენინი ილაშქრებს არა მარტო იდეისა და მატერიის იდეალისტური გაიგივების წინააღმდეგ, არამედ მათ შორის მსგავსების შესაბამისობის უარყოფის წინააღმდეგაც. როგორ არიგებს ვ. ლენინი ამ ორ დებულებას? სხვანაირად რომ ვთქვათ, რა

¹ იქვე, გვ. 222.

² იქვე, გვ. 223.

³ იქვე, გვ. 184.

⁴ იქვე, გვ. 112.

⁵ იქვე, გვ. 112.

გაგებით უარყოფს ვ. ლენინი მატერიისა და აზრის იგივეობას, და რა გაგებით ამტკიცებს მატერიისა და აზრის იგივეობას? საკითხის სიძნელე იმაშია, თუ როგორ შეიძლება ერთი და იგივე იყოს ის, რაც სუბიექტურად არსებობს და ის, რაც ობიექტურად არსებობს. მართლაც როგორ შეიძლება, მაგალითად, წარმოდგენა „ხის“ შესახებ და თვითონ „ხე“ ერთი და იგივე იყოს. წარმოდგენა „ხის“ შესახებ ზომ ჩემში, სუბიექტურად არსებობს, ხოლო თვითონ „ხე“ ობიექტურად, მატერიალურად. რასაკვირველია, მათ შორის იგივეობის გაგება, იმ თვალსაზრისით, რომ თითქოს ან „ხე“ იყოს წარმოდგენა ან წარმოდგენა „ხე“, მცდარია, იდეალისტურია.

დიალექტიკური მატერიალიზმი აღიარებს, რომ რეალურ სინამდვილეში იგივეობა ყოველთვის გულისხმობს სხვაობას. არ არსებობს აბსოლუტური იგივეობა. თუ ერთი მოვლენა აბსოლუტურად იგივეობრივია მეორე მოვლენასთან, თუ ერთი საგანი აბსოლუტურად, ყოველმხრივ უდრის მეორე საგანს, ასეთ შემთხვევაში იგივეობაზეც არ შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ორ საგანთან, ორ მოვლენასთან არა გვექონია საქმე. აბსოლუტური იგივეობის აღიარება მეტაფიზიკური აზროვნებისათვისაა დამახასიათებელი. დიალექტიკური აზროვნებისათვის კი სხვაობის გარეშე იგივეობაც არ არსებობს. ასე რომ, როდესაც დიალექტიკური მატერიალიზმი აღიარებს შემეცნების პროცესში აზრისა და მატერიის იგივეობას, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აზროვნება აბსოლუტურად იგივეობრივია ყოფიერებასთან. ეს რომ ასე იყოს, მაშინ შემეცნების პროცესი, როგორც გარკვეული სინამდვილე, არ იქნებოდა.

ამრიგად, შემეცნების პროცესში აზრისა და მატერიის იგივეობა დიალექტიკურ მატერიალიზმს ესმის ობიექტური კეშმარიტების თვალსაზრისით ვ. ი. სამყაროსა და მისი კანონზომიერების

შემეცნების თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ ცნობიერების შინაარსი და ობიექტური რეალობის შინაარსი ერთი და იგივეა. შემეცნების პროცესში ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის იგივეობის მომენტი არის სწორედ შინაარსი, რომელიც ობიექტურად არსებობს. ცნობიერების შინაარსი ობიექტურადაც უნდა არსებობდეს, რომ კეშმარიტებასთან გვექონდეს საქმე. ცნობიერების ისეთი შინაარსია კეშმარიტი, რომელიც ობიექტურად არსებობს. ამ აზრით კეშმარიტება ობიექტურია.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ცნობიერებას და ყოფიერებას შორის ურთიერთობის ნათელსაყოფად ლენინს დედნისა და ასლის ანალოგია მოჰყავს. მაგრამ განა ასლსა და დედანს შორის საერთო შინაარსი არ არის? ასლის შინაარსი მესამე კი არ არის, არამედ დედნის შინაარსია. თუ ასლში სხვა შინაარსია მოცემული, ვიდრე დედანში, მაშინ ასლი ყალბია და იგი გადაგდებული უნდა იქნეს, როგორც უფარგისი. რასაკვირველია, ასლა და დედანს შორის ანალოგია ამ შემთხვევაში არ ამოწურავს შემეცნების პროცესში ცნობიერებისა და ყოფიერების ურთიერთობის მთელ შინაარსს. ცნობილია, რომ ასლი მთლიანად, ერთბაშად გამოხატავს შინაარსს, ის დამთავრებული, ერთდროული პროცესია, მაშინ როცა შემეცნების პროცესში ცნობიერება ყოფიერებას, ბუნებას აბსოლუტურადაც შეიცნობს და შეფარდებითაც.

ამრიგად, ასლისა და დედნის ურთიერთობა მხოლოდ. ანალოგიაა, მაგრამ ეს ანალოგია ძირითადად სწორად გამოსცემს შემეცნების პროცესში ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის აზრს. აჩაკ. ე. ი. ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის შემეცნების პროცესში საერთოა სწორედ შინაარსი, რომელიც არსებობს ობიექტურად, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ჩვენი ცნობიერების შინაარსი და ობიექტუ-

რი სინამდვილის შინაარსი ერთი და იგივეა. აზრის კანონები და სინამდვილის კანონები შინაარსობრივად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. რასაკვირველია, ფორმის მხრივ ისინი განსხვავდებიან, ისე როგორც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმის მხრივ ასლი და დედანი. აზრი არსებობს სუბიექტურად, ე. ი. იდეოლოგიის, მეცნიერების ან თეორიის ფორმაში. ამ ფორმის მხრივ განსხვავებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ადამიანი მას იყენებს ბუნებაზე ზემოქმედებისათვის. მაგრამ ამ საკითხზე ქვემოთ "... აზროვნების კანონები, — წერს, ლენინი, — შეეფარდება ბუნების კანონებს. ეს სრულიად გასაგები ხდება, თუ გავიხსენებთ, რომ აზროვნება და შეგნება „ადამიანის ტვინის პროდუქტებია, ხოლო თვით ადამიანი ბუნების პროდუქტი“, — ამბობს ენგელსი. გასაგებია, რომ „ადამიანის ტვინის პროდუქტები, რომელნიც საბოლოო ანგარიშით თვით ბუნების პროდუქტებს წარმოადგენენ, არ ეწინააღმდეგებიან დანარჩენ ბუნებრივ ურთიერთობას, არამედ შეეფარდებიან მას“¹

ჩვენს ადამიანურ აზრს ობიექტური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ის არა მარტო სუბიექტურად არსებობს, არამედ ობიექტურადაც. რელიგიაც სურათია, ასახეა, იგი უმიზეზოდ არ წარმოშობილა ადამიანის ცნობიერებაში. მაგრამ რელიგია სუბიექტურია და არა ობიექტური, რადგან რელიგიის შინაარსი ობიექტურად, რეალურად არ არსებობს. რელიგიურ მოძღვრებას დედამიწის წარსულისა და სამყაროს შექმნის შესახებ არ შეესაბამება ობიექტური რეალობა. სწორედ ამიტომ არის, რომ რელიგიური აზრი, მოძღვრება, ქვეშაობა არ არის. ხოლო მეცნიერების მოძღვრებას იმის შესახებ, რომ დედამიწა არ-

სებობდა მანამდე, სანამ მასზე რაიმე ცოცხალი არსება გაჩნდებოდა, — ობიექტური რეალობა შეესაბამება. სწორედ ამიტომ არის, რომ წინააღმდეგ რელიგიისა, მეცნიერულ აზრს ობიექტური ქვეშაობების მნიშვნელობა აქვს. გონების მიერ მოაზრებული საგანი რეალურად უნდა არსებობდეს ობიექტურ ქვეშაობებასთან რომ გვექონდეს საქმე. ამრიგად, სუბიექტურად არსებობს მხოლოდ ცნება, მსჯელობა, იდეა და სხვ., ხოლო მათ ობიექტური მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათში ამავე დროს ასახულია ობიექტური სინამდვილე, ისე, როგორც ის არის.

მამასადამე, როდესაც ლენინი კაცობრიობისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ქვეშაობებაზე ლაპარაკობს, მაშინ ფორამას, ე. ი. აზრს, ცნებას, მსჯელობას არ გულისხმობს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ლენინი არ იტყოდა, ობიექტური ქვეშაობება კაცობრიობისაგან, საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად არსებობსო. ქვეშაობება რომ მარტო აზრის ფორმა იყოს, როგორც ამას ბოგდანოვი აღიარებდა, მაშინ ქვეშაობება ობიექტური, ე. ი. კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი არ იქნებოდა. აზრი, ცნება საზოგადოების გარეშე, ბუნებაში არ არსებობს. მაგრამ ის (აზრი) ქვეშაობებაც შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასში ასახულია აზრისაგან, კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი შინაარსი. ამ გაგებით, ე. ი. აზრის შინაარსის თვალსაზრისით ობიექტური ქვეშაობება და ობიექტური რეალობა ერთი და იგივეა, ვინაიდან როდესაც ლენინი ობიექტურ ქვეშაობებაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს ცოდნის წყარო, ხოლო ცოდნის წყარო ბუნება, და არა ისევე ცოდნა. ამ გაგებით, ე. ი. ცნების შინაარსის გაგებით,

¹ იქვე, გვ. 143.

ლენინი აიგძვებს ბუნებასა და ჭეშმარიტებას.

„ჩვენი შეგრძნება, ჩვენი ცნობიერება, — წერს ლენინი, — მხოლოდ სახეა გარეგანი ქვეყნისა და თავისთავად იგულისხმება, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ ასახული არსებობს ამასახელის დამოუკიდებლად“¹.

ამრიგად, ასახული ამასხველის დამოუკიდებლად არსებობს. თუ ეს ასეა, მაშინ იბადება კითხვა, რა შეიძლება სუბიექტური იყოს ასახულში, რომელიც ობიექტური ჭეშმარიტების შინაარსია? თუ ასახულში სუბიექტურიც არის, გამოდის, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი არ არსებობენ ჩვენგან, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. სუბიექტური ასახულში კი არ არის, სუბიექტური მხოლოდ ასახეა, სურათია. ასახულში სუბიექტური რომ იყოს, მაშინ მისი შემეცნება შეუძლებელი იქნებოდა.

„მატერიალიზმი იმის აღიარებაა, — წერდა ლენინი, — რომ ბუნების ობიექტური კანონზომიერება არსებობს და ეს კანონზომიერება დაახლოებით სწორად აისახება ადამიანის თავში“². ასახულის განსაზღვრაში თუ შევიტანთ აზრს, მაშინ ბუნება არ არსებულა ობიექტურად, ჩვენი ცნობიერების დამოუკიდებლად. გამოდის, რომ თითქოს სამყარო არ არსებობს თავისთავად, დამკვირვებლის გარეშე—ეს არის სწორედ სუბიექტური იდეალიზმი, რომელის პრობაგანდასაც ეწევა ინგლის-ამერიკაში თანამედროვე ფიზიკური იდეალიზმი.

ამრიგად, ჭეშმარიტება მარტო ასახვა არ არის, ე. ი. მარტო აზრი არ არის, ვინაიდან ასახვა, აზრი ყოველნაირი შეიძლება იყოს. ჭეშმარიტება აზრის ისეთი შინაარსია, რომელიც ობიექტურად,

არსებობს. შემეცნების პროცესი, რასაკვირველია, შეუძლებელია სუბიექტის გარეშე, მაგრამ შემეცნების წყარო სუბიექტის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად არსებობს. ადამიანი შემეცნების წყაროს კი არ ჰქმნის, არამედ წარმოების პროცესში გარდაქმნის მას და ამაშია ადამიანის, შემეცნებელის უდიდესი მნიშვნელობა.

ზოგიერთი ამბობს, განა ფაქტი, „ნივთი თავისთავად“ ჭეშმარიტია? როგორ შეიძლება ფაქტის ჭეშმარიტებაზე ვილაპარაკოთ? ობიექტური ჭეშმარიტება, ამბობენ ისინი, „ნივთი თავისთავადის“ არსებობის აღიარებაა, ფაქტის არსებობის აღიარებაა და არა თვითონ ფაქტი, საგანი. რასაკვირველია, სანამ საგნის შესახებ ცოდნა არა გვაქვს, მანამდე ამ ცოდნის ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მსჯელობა უნდა არსებობდეს, რომ შეგვეძლოს ვთქვათ, ეს მსჯელობა ჭეშმარიტია თუ მცდარი. თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად, ცოდნა არ არსებობს. საგანი კი არ მსჯელობს, არამედ ჩვენ ვმსჯელობთ, ჩვენ ვაზროვნებთ საგნის შესახებ. წარმოდგენის, მსჯელობის არსებობის აღიარება ადამიანის დამოუკიდებლად იდეალიზმია.

მაგრამ მოუხედავად ამისა, ობიექტური ჭეშმარიტება მარტო საგნის, „ნივთი თავისთავადის“ არსებობის აღიარება არ არის. მართალია, „ნივთი თავისთავადის“ არსებობის აღიარება მატერიალიზმია, მაგრამ დიალექტიკური მატერიალიზმი აქ არ ჩნდება. მაგალითად „ნივთი თავის თავადის“ არსებობას კანტიც აღიარებს, მაგრამ კანტი აგნოსტიკოსია ე. ი. უარყოფს ობიექტურ ჭეშმარიტებას. აგნოსტიკოსისათვის, — შეუძლებელია ობიექტური ჭეშმარიტება არსებობდეს. საინტერესოა, რომ ლენინი ობიექტური ჭეშმარიტების თვალსაზრისით არავითარ განსხვავებას არ ხედავს ჰიუმესა და

¹ იქვე, 83 57.

² იქვე, 83-142.

კანტის ფილოსოფიას შორის. თუმცა კანტის ფილოსოფიასა და ჰიუმეს ფილოსოფიას შორის განსხვავება არსებობს, მაგრამ ობიექტური კეშმარიტების აღიარების თვალსაზრისით ეს განსხვავება მეორეხარისხოვანია. ამ თვალსაზრისით ჰიუმესა და კანტის ფილოსოფია ერთიდაიგივეა, ორივე აგნოსტიციზმია ე. ი. ობიექტური კეშმარიტების უარყოფა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიალექტიკური მატერიალიზმი, წინააღმდეგ იდეალიზმისა, აღიარებს არა მარტო „ნივთი თავისთავადის არსებობას“, არამედ ცნობს მისი შემეცნების შესაძლებლობასაც, ე. ი. აღიარებს ჩვენს ცნობიერებაში ობიექტური რეალობის შინაარსის არსებობას. ნივთი თავისთავად გადაიქცევა ნივთად ჩვენთვის და ეს არის სწორედ შემეცნების პროცესი. ჩვენ ვიცით თვით ეს საგნები.

ყოველივე თქმულის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ ობიექტურ კეშმარიტებად ლენინი გულისხმობს ცნობიერების ისეთ შინაარსს, რომელიც ობიექტურად, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ვინაიდან აზრის კეშმარიტება, მისი სისწორე დამოკიდებულია შინაარსზე. ამრიგად, ცნობიერების შინაარსი არც მესამე წევრია და არც რაღაც საშუალო რამ ცნობიერებასა და ყოფიერებას შორის. ცნობიერების შინაარსი იგივე ობიექტური სინამდვილის შინაარსია და ამდენად გნოსეოლოგიურად შემეცნების პროცესში დაპირისპირება გვაქვს აზრსა და ყოფიერებას შორის და არა სამ წევრს შორის. რასაკვირველია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემეცნების პროცესში ადამიანი არა მარტო საგნიდან აზრისაკენ მიდის, არამედ აზრიდან საგნისაკენ წასვლა არის ნამდვილი თეორიული შემეცნება. მაგრამ ის აზრი, რომელსაც ადამიანი იყენებს საგნებისა და მოვლენების შესაცნობად,

მესამე კი არ არის, არამედ ისევე აზრია, რომელსაც ობიექტური კეშმარიტების მნიშვნელობა აქვს. თუ აზრი შემეცნების პროცესში გამოსავალი შეიძლება გახდეს, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის კეშმარიტი აზრია, პრაქტიკის, მეცნიერული განვითარების შედეგია. მკდარი, მაგალითად, რელიგიურა აზრიდან შეუძლებელია საგნისაკენ წასვლა, საგანზე ზემოქმედება. ამრიგად, ცნობიერების შინაარსი მესამე კი არ არის, არამედ პირველია, ობიექტურია.

მაგრამ იბადება კითხვა, როგორ შეუძლია ჩვენ ცნობიერებას ამ შინაარსის შემეცნება, ე. ი. ჩვენი ცნობიერება ბუნებას შეიცნობს ერთბაშად, აბსოლუტურად თუ ნაწილნაწილად? ლენინი ამ კითხვას უწოდებს აბსოლუტური და შედარებით კეშმარიტების ურთიერთობის საკითხს. აბსოლუტური და შედარებითი კეშმარიტების ურთიერთობის საკითხის გაცნობა კიდევ უფრო ნათელს გახდის იმას, თუ როგორ ესმის დიალექტიკურ მატერიალიზმს ობიექტური კეშმარიტება. რასაკვირველია აბსოლუტური და შედარებითი კეშმარიტების ურთიერთობის საკითხს აქ ძალიან მოკლედ შევხებით.

დიალექტიკური მატერიალიზმი არ უარყოფს აბსოლუტურ კეშმარიტებას, ვინაიდან ის აღიარებს ობიექტურ კეშმარიტების არსებობას. „აღიარო ობიექტური, ე. ი. ადამიანისა და კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი კეშმარიტება ნიშნავს, ასე თუ ისე აღიარო აბსოლუტური კეშმარიტება“.¹ აი ეს „ასე თუ ისე“, აღნიშნავს იქვე ვ. ლენინი, განასხვავებს მატერიალისტ-დიალექტიკოსს მატერიალისტ-მეტაფიზიკოსისაგან.

ლენინი ებრძვის აბსოლუტურ რეალტივიზმს. ლენინმა გვიჩვენა, რომ აბ-

¹ იქვე, გვ. 120.

სოლუტურა რელატივიზმი — იდეალიზმია. რაკი ადამიანური ცოდნა ცვალებადია, რა კი ერთი თეორიული დებულება, ფორმულა ისტორიული განვითარების პროცესში გამოდევნის, შეცვლის მეორე თეორიულ დებულებას — აქედან იდეალისტებს ისეთი დასკვნა გამოჟავთ, რომ თითქოს არ არსებობს ობიექტური ქვეშარტება, ე. ი. თითქოს ცვალებადობაში მყოფი აზრი არ ასახავდეს სინამდვილეს. რასაკვირველია თუ მეცნიერული აზრი, მეცნიერული თეორია სინამდვილეს არ ასახავს, მაშინ ერთი აზრის მიერ მეორე აზრის შეცვლა აბსოლუტურია, არაფრით არ არის განსაზღვრული. როგორც ვხედავთ, აბსოლუტური რელატივიზმი აზროვნებას წყვეტს ყოფიერებისაგან, აზროვნებას იღებს როგორც ისეთ რამეს, რომელიც თავის თავში მოძრაობს. ადამიანური აზრი ცვალებადია, არ არსებობს აბსტრაქტული ქვეშარტება, ქვეშარტება — კონკრეტულია, მაგრამ ცვალებადი აზრი ასახავს მუდმივ მოძრაობაში მყოფ მატერიას. აზრი იცვლება, მაგრამ არ იცვლება ის, რომ ცვალებადობაში მყოფი აზრი სინამდვილის ასახვაა, რომ მეცნიერული თეორია სინამდვილის დაახლოებით სწორი სურათია. აბსოლუტური ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ადამიანის აზრს სინამდვილის ასახვის უნარი აქვს. ყველაფერი იცვლება, არაფერი არ არის უცვლელი, მუდმივი, აბსოლუტური. მაგრამ რომ ცვალებადი აზრი მუდამ ასახავს განვითარებაში მყოფ მატერიას, ეს უცვლელია, აბსოლუტურია. ამ გაგებით ადამიანური აზრი განსაზღვრულიც არის და განუსაზღვრელიც, რელატიურიც არის და აბსოლუტურიც. აბსოლუტური ქვეშარტება შედარებითი ქვეშარტებათა ჯამისაგან შესდგება.

როგორც ცნობილია მარქსი თავის თეზისებში ფეიერბახის შესახებ აღ-

ნიშნავდა, რომ საკითხი მიეკუთვნება თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ქვეშარტება, თეორიის საკითხს კი არ წარმოადგენს, არამედ პრაქტიკის საკითხია. ადამიანმა პრაქტიკით უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ქვეშარტება სურათის, სახის შემოწმება, ქვეშარტების გამოყოფა შემცდარიისაგან პრაქტიკით გვეძლევა. სწორედ პრაქტიკით დასტურდება ცნობიერების შინაარსის შესაბამისობა, იგივეობა ობიექტურ სინამდვილესთან. ცნობიერების შინაარსი რომ განსხვავდებოდეს ობიექტურ რეალობისაგან, ე. ი. ცნობიერების შინაარსი და ობიექტური სინამდვილე სხვადასხვა იყოს, მაშინ საზოგადოება ვერ შესძლებდა აზრის, თეორიის გამოყენებას, მის მიხედვით სინამდვილის გარდაქმნას და ყოველთვის იქნებოდა უფსკრული ადამიანურ აზრსა და სინამდვილეს შორის. მაგრამ თუ ადამიანი მიზანს ახორციელებს, თუ საგანი შეუძლია შექმნას წარმოდგენის მიხედვით, ეს იმას ნიშნავს, რომ მოაზრებელი საგანი და რეალურად არსებული საგანი შეესაბამებიან ერთმანეთს, ერთი და იგივე არიან. პრაქტიკით მტკიცდება სწორედ მათი იგივეობა.

რასაკვირველია, თვითონ პრაქტიკა არ არის სტატიური, უცვლელი. პრაქტიკაც ვითარდება. ადამიანი ყოველთვის პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით მოქმედობს. მაგრამ პრაქტიკას თუ განვითარების გარეშე ავიღებთ, მაშინ ის თავის საწინააღმდეგო შედეგს მოგვეცემს, ამიტომ პრაქტიკის ცალმხრივად განხილვა, არის იდეალიზმი, თეორიის მოწყვეტა პრაქტიკისაგან. თეორია არ არსებობს პრაქტიკის გარეშე ისე როგორც პრაქტიკა — თეორიის გარეშე. პრაქტიკას აშობს ლენინი, არასოდეს არ შეუძლია რომელიმე ადამიანური წარმოდგენა მთლიანად უარყოს ან დაადასტუროს, მაგრამ პრაქტიკის „ეს კრიტერიუმი იმდენად „გამო-

ურკვეველია“, რომ ადამიანის ცოდნას ნებას არ აძლევს „აბსოლუტურად“ იქცეს, ამავე დროს იმდენად გარკვეულიცაა, რომ მისი შემწვობით შეგვიძლია უღმობელი ბრძოლა ვაწარმოოთ იდეალიზმისა და ავგოსტიციზმის ყველა სახეობასთან.¹



ამრიგად, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მთელი არსება ობიექტური კვშმარიტების აღიარებაა, მაგრამ ობიექტურ კვშმარიტების აღიარებას არაფერი აქვს საერთო ე. წ. ობიექტივიზმთან. ვ. ლენინმა გენიალური სიცხადით გვიჩვენა, რომ ობიექტივიზმისა და მარქსისტის შეხედულებათა სისტემა ერთი და იგივე არ არის, რომ მათ შორის სრული წინააღმდეგობაა.² მარქსისტული მატერიალიზმი ებრძვის ბურჟუაზიულ ობიექტივიზმის ყოველგვარი გამოვლენას, ვინაიდან ობიექტივიზმი შეუთვისებელია ობიექტურ კვშმარიტებასთან, მეცნიერების არსებასთან, ობიექტივიზმი იდეალიზმია.

ვ. ლენინი მარქსის დამსახურებას იმაში ხედავდა, რომ მან ფილოსოფიურ-მატერიალიზმი ბოლომდე მიიყვანა და ბუნების ფილოსოფიურ-მატერიალისტურ შეცნობა ადამიანთა საზოგადოების შეცნობაზე გააერთიანა.

აზროვნების ისტორიაში პირველად მარქსმა და ენგელსმა შექმნეს, ხოლო შემდეგ ლენინმა და სტალინმა განავითარეს მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ. ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ მართალია საზოგადოების განვითარებაც კანონზომიერი პროცესია, მაგრამ საზოგადოების განვითარება განსხვავდება ბუნების განვითარებისაგან. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ფილოსოფოსებისა

და პოლიტიკოსებისა, რომლებიც აიგივებენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს, მარქსიზმი ხაზს უსვამს მათ სპეციფიკას, განსხვავებას. ბურჟუაზიული ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები საზოგადოების კანონებს აცხადებენ მარადიულ, უცვლელ კანონებად და ამით სურთ გაამართლონ ექსპლოატაციის არსებობა, ომებისა და კრიზისების არსებობა, თანამედროვე ინგლის-ამერიკის ოფიციალურ იდეოლოგიას წარმოადგენს მალტუზიანიზმი. ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმმა მეცნიერება ჩააყენა ომისა და რევოლუციის სამსახურში. პროგრესისა და მეცნიერების უბოროტესი მტერი რესელი ოცნებობს იმაზე, თუ როდის იქნება გამოყენებული ატომური ბომბი მსოფლიოს უდანაშაულო ადამიანთა ამოსაყელტად. იმპერიალიზმის სამსახურში მყოფი ფილოსოფები მეცნიერებს უბიძგებენ არა იქითკენ, რომ იმუშაონ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, არამედ გამოიგონონ ადამიანთა ხოცვა-ყლეტის აბალ-აბალი საშუალებები.

წინააღმდეგ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა, მარქსიზმ-ლენინიზმი იმ დებულებიდან გამოდის, რომ არ შეიძლება გავაიგივოთ ბუნების კანონები საზოგადოების კანონებთან. მართალია საზოგადოების კანონებიც კანონზომიერი პროცესია, მაგრამ თუ ბუნების კანონზომიერება ხორციელდება სტიქიურად, საზოგადოებაში პირიქით — საზოგადოების ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს თავისი განზორციელების სუბიექტი გააჩნია ე. ი. საზოგადოებაში ადამიანები მიზანს ისახევენ და მას ახორციელებენ. საზოგადოების ისტორია ბუნების ისტორიისაგან განსხვავებით არის ადამიანების მოქმედების პროდუქტი.

აქედან ცხადია, რომ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მარტო ხაზო-

¹ იქვე, გვ. 130.

² ვ. ლენინი, ობზ. ტ. 1, გვ. 480.

გადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ-ისტორიულ პროცესზე მითითებით. მარქსიზმ-ლენინიზმი არა მარტო საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას აღიარებს, არამედ არკვევს იმას, თუ რომელი კლასი განსაზღვრავს ამ აუცილებლობას. „ობიექტივისტი, — წერდა ლენინი, — ლაპარაკობს „დაუძლეველ ისტორიულ ტენდენციებზე“; მატერიალისტი ლაპარაკობს იმ კლასზე, რომელიც „განაგებს“ ამა თუ იმ ეკონომიურ წესებს და ჰქმნის სხვა კლასთან წინააღმდეგობის ამა თუ იმ ფორმებს. ამრიგად, მატერიალისტი, ერთი მხრივ, ობიექტივისტსე უფრო თანმიმდევარია და უფრო ღრავად, უფრო სრულად ატარებს თავის ობიექტივიზმს“¹. ლენინმა ცხადყო, რომ მატერიალისტი შეიცავს პარტიულობას, რაც მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე, განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასის თვალსაზრისზე. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, თავიდან-ბოლომდე პარტიული მეცნიერებაა, ვინაიდან იგი მუშათა კლასის იდეოლოგიაა, იმ კლასის, რომელიც მოწოდებულია გარდაქმნას კაპიტალისტური საზოგადოება და ააშენოს სოციალისტური საზოგადოება.

მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს რა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის ისტორიული აუცილებლობა, მიუთითეს პროლეტარიატზე, როგორც ერთად-ერთ ბოლომდე რევოლუციურ კლასზე, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გადასვლის ისტორიულ აუცილებლობას. მარქსმა და ენგელსმა დაამტკიცეს, რომ ბურჟუაზიის საზოგადოება მუდმივი ომებითა და კრიზისებით კატასტროფისაკენ მიყავს და

რომ საზოგადოების ხსნა ამ მდგომარეობისაგან შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს. მხოლოდ სოციალიზმმა უზრუნველყოფს ადამიანის ნამდვილად შეგნებულ ბატონობას ბუნებაზე.

მამასადამე, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მიერ ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება არამც თუ არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური დაწესებულებების, იდეების, თეორიის როლის აღიარებას, არამედ გულისხმობს მას. იდეოლოგია (პოლიტიკური, ფილოსოფიური, მორალური, ესთეტიკური შეხედულებანი) მხოლოდ იმდენადაა ჭეშმარიტება, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება მეცნიერებას, რამდენადაც იგი ხელს უწყობს სინამდვილის გარდაქმნას.

ვ. ლენინმა ცხადყო რომ მხოლოდ ისეთ ფილოსოფიურ სისტემას შეუძლია საზოგადოებას სამსახური გაუწიოს, რომელიც არ ეწინააღმდეგება მეცნიერების საფუძვლებს. „ბუნებისმეტყველება, — წერდა ვ. ლენინი — შეუძლებლად აღიარებს ობიექტურ ჭეშმარიტებას და მხოლოდ ასეთ ფილოსოფიას შეუძლია შეურიგდეს ბუნებისმეტყველება“¹. მარქსიზმ-ლენინიზმი არის სწორედ ისეთი ფილოსოფიური სისტემა, რომელიც არამც თუ არ ეწინააღმდეგება მეცნიერებას, არამედ მეცნიერების შეგნებული, მისი ნამდვილად სწრაფი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძველზე. იდეალიზმი ბორკავს, ხელს უშლის მეცნიერების განვითარებას, რადგან უარყოფს ობიექტურ ჭეშმარიტებას.

ვ. ლენინმა და ი. სტალინმა დაასაბუთეს, რომ იდეები, პოლიტიკური შეხედულებები, თეორიები შეიძლება იყვნენ მოწინავე, პროგრესიული და რეაქციული, ჩამორჩენილი. ძველი იდეები და პოლიტიკური დაწესებულებები,

¹ ვ. ლენინი, თხ. ტ. 1, გვ. 481.

¹ ვ. ლენინი, თხ. ტ. 14, გვ. 264.

რომლებიც გამოხატავენ რეაქციული კლასის ინტერესებს, აფერხებენ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას, უკან ეწევიან მას, ხოლო მოწინავე და პროგრესიული იდეები, რომლებიც გამოხატავენ რევოლუციური კლასის ინტერესებს, ხელს უწყობენ საზოგადოების განვითარებას, წინ წევენ მას. ვ. ლენინმა და ი. სტალინმა გვიჩვენეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიდი როლი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების განვითარებაში, ამ იდეების საფუძველზე დარაზმეს რუსეთის მუშათა კლასი და მოახდინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ლენინურ-სტალინურ თეორიის საფუძველზე საბჭოთა ხალხმა დიდი ი. სტალინის წინამძღოლობით ააშენა სოციალისტური საზოგადოება.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის სიცოცხლის უნარიანობა მთლიანად დაადასტურა სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ამჟამად დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მიდის წინ კომუნისმისაკენ და

წარმატებით ახორციელებს ბუნების გარდაქმნის დიდ სტალინურ გეგმას. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის უდიდესი ტრიუმფია სახალხო დემოკრატიული რეჟიმის შექმნა ჩინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერით და დახმარებით აშენებენ სოციალიზმს.

•
•

წინამდებარე სტატიის მიზანი იყო მხოლოდ იმის ჩვენება, რომ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით ჭეშმარიტება არის ობიექტური, რაც ნიშნავს ჩვენს ცნობიერებაში ისეთი შინაარსის არსებობას, რომელიც ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობს. ჭეშმარიტების სხვანაირი განმარტება ყოველთვის იქნება შეცდომისა და გაუგებრობის წყარო.



ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი

შემოქმედებითი ნათესაობის საკითხისათვის



ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ სწორად არ არის გაშუქებული ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი ნათესაობის, იდეური და სულიერი სიახლოვის მთელი რიგი პრობლემა. მათ შორის ყველაზე საყურადღებოს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რა დროიდან ზდება ილიას მიერ ბარათაშვილის შემოქმედების პირველი გაცნობა, როგორია ის პირველი შთაბეჭდილებანი და იდეური ზეგავლენა, რაც ასე მკაფიოდ ატყვია ილიას შემოქმედების ადრეულ, განსაკუთრებით სტუდენტობის პერიოდს. ამ საკითხის სწორ მეცნიერულ გადაწყვეტას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საერთოდ 60-იანი წლების მოღვაწეებისა და კერძოდ ილია ჭავჭავაძის ვაგება-შესწავლისათვის.

ახალი ქართული ლიტერატურის მკვლევართა მიერ დღემდე დადგენილი არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ როდის, რა გზით და რა ვითარებაში გაიცნო პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ილია ჭავჭავაძემ.

მკვლევართა ერთი ნაწილის მეტად გავრცელებული შეხედულებით, ილია ჭავჭავაძეს და მთელს ჩვენს მოწინავე ქართველ ინტელიგენციას 1860 წლამდე სრულიად არაფერი სცოდნიათ ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ და მხოლოდ ამ დროიდან, ე.წ. ჭავჭავაძის აჯახში, პეტერბურგში, ილიას მიერ

ბარათაშვილის ლექსების წაკითხვის შემდეგ, ერთბაშად იღვიძებს განუზომელი ინტერესი ბარათაშვილისადმი. ამის საწინააღმდეგოდ წერილში „ქართული რომანტიზმის შესწავლისათვის“¹ დოც. დ. გამეზარდაშვილმა, სხვა საკითხთან დაკავშირებით, გაკერით გამოთქვა თავისი მოსაზრება და მოკლედ მიუთითა მის უსაფუძვლობაზე. მაგრამ საკითხის სრული გაშლა და დასაბუთება მას არ მოუცია.

განვიხილოთ ეს საკითხი დაწერილებით.

პირველი ვერსია არსებითად ეყრდნობა ილიას სიყრმის მეგობრის კობტა აფხაზის მოგონებას, რომელიც სათანადო კომენტარებით 1935 წელს „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ გამოაქვეყნა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ. კობტა აფხაზი თავის მოგონებაში წერს:

„... პეტერბურგში ვცხოვრობდით, მომეტებულ ნაწილად ვასილევის კუნძულზედ (средний проспект, дом Колгина). ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც, მეც და ილიაც, ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბ. დადიანისას... ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკით-

¹ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ. № 49.

ხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს ლექსები იყო: „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზე. თითქმის მთელი კვირა ყმაწვილი ბოდავდა ბარათაშვილით¹.

გ. ლეონიძე კომენტარს უყუთებს რა კოხტა აფხაზის ამ მოგონებას, თავის წერილში, „ორი შენიშვნა ბარათაშვილზე“, გარკვევით მიუთითებს, რომ „ეს ამბავი ეკუთვნის 1860 წელს, როცა ილია ზედიზედ წერს ორ ლექსს ბარათაშვილზე 19 ივლისს და 16 აგვისტოს პავლოვსკში“².

პ. ინგოროყვა თავის ვრცელ ბიოგრაფიულ ნარკვევში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც წამძღვარებული აქვს ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1945 წლის საიუბილეო გამოცემას, პირდაპირ წერს:

„60-იან წლებში ეკატერინე, საქართველოდან რუსეთში მისული, რუსეთის იმპერატორის კარზე, თან ატარებდა განუყრელად, როგორც რელიქვიას, თვით ბარათაშვილის ხელით გადაწერილი ლექსების ძვირფას ფურცლებს. აი, ამ დროს (ე. ი. 60-იან წლებში—ა. თ.) ილია ჰაეჰავაძე პირველად ეცნობა [ხაზი ჩემია, — ა. თ.] ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას ეკატერინე ჰაეჰავაძის ოჯახში, ეკატერინეს ასულის მიერ გადაცემული ხელნაწერებიდან“³.

ა. მახარაძე თავის წიგნში „ქართული რომანტიზმი“ წერს: „ეკატერინეს ოჯახში პირველად იგრონო ილიამ

ბარათაშვილის პოეზიის სიბოლო და მიმზიდველობა“⁴.

უფრო ადრე ეს აზრი გამოთქმული აქვს გრ. ყიფშიძესაც⁵.

მაგრამ კოხტა აფხაზის მოგონების გარდა არსებობს მეორე დოკუმენტიც. ეს არის ცნობილი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანისადმი მისი შეილის ნიკოლოზ ყიფიანის მიერ 1865 წელს მიწერილი ბარათი, რომელშიც ერთის მხრივ, გამოხატულია მისი ავტორის დიდი სიყვარული ბარათაშვილის პოეზიისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, დაყინებითი მოთხოვნა იმის გასაგებად, თუ ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბარათაშვილის ლექსებით აღტაცებული ნიკ. ყიფიანი თავის მამას სწერდა:

„...ნეტა ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? შენ, მგონია, იცნობდი. სწავლასად მიიღო, სამსახურში ყოფილა თუ არა, უვლია სადმე ან რუსეთში ან იქით, სპარსეთში? რა ხასიათისა იყო, საზოგადოებაში რა იყო, საზოგადოებებო როგორ უყურებდა?“

ამ დოკუმენტიდან მკვლევართ გ. ლეონიძეს და პ. ინგოროყვას თითქმის ერთი და იმავე ხასიათის დასკვნა აქვთ გაკეთებული.

„ნიკოლოზ“ ყიფიანის შეკითხვა, — წერს გ. ლეონიძე, — მეტად დამაზახსიათებელი საბუთია იმისა, თუ მგოსანი როგორ გადავიწყებული იყო თვით „მესამოციანთა“ ინტელიგენციაშიც. როდესაც საბოლოოდ მოხდა ნ. ბ. სახელის რესტავრაცია“⁶.

ხოლო პ. ინგოროყვა, მოყავს რა ნიკოლოზ ყიფიანის წერილი, ასკვნის:

¹ ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ. გვ. 564.

² გ. ლეონიძე, „ორი შენიშვნა ბარათაშვილზე“, ლიტერატ. მემკვ. 1935 წ. გვ. 629.

³ ნიკოლოზ ბარათაშვილი, საიუბილეო გამოცემა, 1945 წ. გვ. 52 (ან LII).

⁴ ა. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, 1948 წ., გვ. 60.

⁵ ი. ჰაეჰავაძე, თხზულებანი, მ. გედევიანიშვილის გამოცემა, 1914 წ., წინასიტყვაობა, გვ. XXIII.

⁶ გ. ლეონიძე, „ორი შენიშვნა ბარათაშვილზე“, ლიტერ. მემკვ., 1935 წ. 628.

„ამ დროისათვის, სამოციანი წლების კარზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია თვით მოწინავე ინტელიგენციის ფართო წრეებში თითქმის გადავიწყებული იყო... იმის შემდეგ, რაც ითქვა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ილია ჭავჭავაძესაც არაფერი ჰქონია გაგონილი ნიკო ბარათაშვილის შესახებ... ილია ჭავჭავაძე მხოლოდ უნივერსიტეტში ყოფნის დროს პირველად გაეცნო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას. გაეცნო სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში“¹. (ხაზი ჩემია. — ა. თ.).

იბადება კითხვა: ნუთუ 1860 წლამდე ილია ჭავჭავაძე მართლა არ იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას, მის ცალკეულ ნიმუშებს? ნუთუ მართლაც ამ დრომდე სრულიად უცნობი იყო სამოციანი წლების ქართველი ინტელიგენციისათვის ბარათაშვილის, როგორც შემოქმედის სახელი? მაშ, რით აიხსნება პოეტური ხაზების ის შეხვედრები, განწყობილებათა ის სიახლოვე, სოციალური და პოლიტიკური გამიზნულობის ის მსგავსება, რაც ასე მკაფიოდ გვესახება თვალწინ, როცა ბარათაშვილისა და ილიას ადრეული, 1860 წლამდე დაწერილი ლექსების ანალიზს ვახდენთ? რატომ მაინცდამაინც ბარათაშვილი იყო უცნობი ილიასათვის, მაშინ როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიით ის 1858 — 59 წლებშიც ყოფილა გატაცებული? როგორია ამ საკითხის ნამდვილი ვითარება?

დავიწყოთ ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონოლოგიით.

ცნობილია, რომ 1848 წლიდან ილია თბილისში სწავლობს, ჯერ ჰაკეს პანსიონში, ხოლო 1850 წლიდან ის უკვე თბილისის გიმნაზიის მოსწავლეა.

„როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში, — წერს იონა მეუნარგია, —

ილიას ყველაფერი განსხვავებული დრო შეხვდა. თბილისში ის რომ ჩამოვიდა პირველად, აქ ვერცხვანავე დაწერა ზეს ნაყოფი გამოელო, „ცისკარი“ გამოიცა, ქართული თეატრი დაარსდა. ეურნალმა და დრამამ ცოტაოდენი ქართველი საზოგადოება გამოაღვიძა. თუ გამოაღვიძება ყველგან თვალსაჩინო არ იყო, თუ დაბლა ხალხს სულ ისევ სძინავდა, მაღლა წრეებში, განათლებულ საზოგადოებაში, ქართველმა კაცმა თვალი გაახილა. ამ საზოგადოებას ილიაც ეკუთვნოდა, როგორც გიმნაზიის მოსწავლე“¹ (ხაზი ჩემია. — ა. თ.).

იონა მეუნარგიას ეს ცნობა მრავალმხრივ საგულისხმო და საინტერესოა. ილია, გიმნაზიის მოსწავლე, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, მაშინდელი მაღალი წრის, „განათლებული საზოგადოების“ აქტიური წევრი ყოფილა. ჩვენ ვიცით ილიას შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან მეორე, არანაკლებ საგულისხმო ფაქტიც, რომ ილიას პირველი პოეტური ახმანება დაკავშირებულია ჰაკეს პანსიონსა და გიმნაზიაში სწავლის პერიოდთან. ამ დროს განეკუთვნება მისი ლექსები „რწყილები“, „კოშკზე“, „მარანზე“, „ალბომში კნენია ნატალია ანდრონიკაშვილისას“ და სხვ.

და ეს ხანა ემთხვევა იმ დროს, როცა 1852 წელს ქართული კულტურის პორიზონტზე პირველად გაიღვია „ცისკრის“ მბეუტავი სინათლის სხივებმა.

ამ „ცისკრის“ 1852 წლის აპრილის ნომერში (№ 4) გიორგი ერისთავმა პირველად დაბეჭდა ნ. ბარათაშვილის ოთხი ლექსი: „ბუღბუღი ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „რად ჰყვედრი კაცსა“, და „სულო ბოროტო“. აქვე მოთავსებული იყო გ. ერისთავის საინტერესო ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონის-დე ბარათოვის გარდაცვალებაზე“.

¹ ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ. გვ. 52.

¹ ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, ტ. 2, 1945 წ., გვ. 182 — 183.

ამრიგად, 5 წლით ადრე, პეტერბურგში ილიას წასვლამდე, ქართულ პრესაში უკვე გამოქვეყნებული იყო ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების ცალკეული ნიმუშები. ძნელია შევეურობოდეთ იმ აზრს, რომ გიმნაზიელ ილიას არაფერი სკოდნოდა პირველი ქართული ჟურნალის გამოცემისა და მისი არსებობის შესახებ, არ ყოფილიყო დაინტერესებული მისი წაკითხვით, გაცნობით.

მაშინდელ გიმნაზიებში, თუ გავითვალისწინებთ ქართული სიტყვიერების დარგში სახელმძღვანელოების უქონლობას და ამით გამოწვეულ მთელ რიგ სიძნელეებს, სიტყვიერების მასწავლებელთათვის „ციცკარი“ ერთადერთი საშუალება უნდა ყოფილიყო მოსწავლეებისათვის ქართული მწერლობის ნიმუშების გასაცნობად. არსებობს წყაროები, რომ ამ გზას მართლაც მიმართავდა ზოგიერთი პედაგოგი.

გამოჩენილი პუბლიცისტი და მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე თავის მოგონებაში „წარსულიდან“, სადაც მოგვითხრობს ქუთაისის გიმნაზიაში მისი სწავლის ზოგიერთ პერიოდზე ერთგან პირდაპირ მიუთითებს, რომ მასწავლებელი „ციცკარში“ დაბეჭდილ ლექსებს გვაკითხებდა და გვასწავლიდაო.

აი, რას წერს ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებაში:

„ყველაზე გასაგები, რასაკვირველია, ქართული ენის გაკვეთილები იყო, რომელსაც გვასწავლიდა ქართული გიორგი დიდებულძე. ის გვაძლევდა ზეპირად სასწავლებლად ნ. ბარათაშვილისა და სხვა პოეტების „ციცკარში“ დაბეჭდილ ლექსებს. მართლაც ამ ში მდგომარეობდა ჩვენის ამ საგნის შესწავლა“¹ (ხაზი ჩემია — ა. თ.).

ეს ხდებოდა ქუთაისში. უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავს მოვლენას აღგვილოპქონდა უეჭველად თბილისისა და სხვა გიმნაზიებშიც. ეს მოწმობს, რომ „ციცკარს“ იყენებდნენ სკოლებში, როგორც სასწავლო მასალას, როგორც წყაროს.

1857 წლის ივნისიდან ილია უკვე პეტერბურგშია. რამდენიმე თვით ადრე რუსეთში წასვლამდე, 1857 წლის იანვარში, ივანე კერესელიძის მიერ აღდგენილ „ციცკარში“ (№ 1) გამოქვეყნებულ იქნა ილიას მიერ რუსულადან საუცხოოდ თარგმნილი ლექსი „ჩიტი“. „ეს იყო 20 წლის ილიას პირველი ბეჭდვითი გამოსვლა“¹. 5 თვის შემდეგ ილია ქაევკავაძის სახელი მოხსენებული იყო ჟურნალის იმ აქტიურ თანამშრომელთა სიაში, რომელთაც რედაქცია „უგულითადეს მადლობას“ უცხადებდა მასალების მიწოდებისათვის. ეს მოწმობს იმას, რომ „ციცკართან“, როგორც პირველ ქართულ ბეჭდვითს ორგანოსთან, ილია ქაევკავაძე თავისი იდეური მომწიფებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებამდეც ახლო იმყოფებოდა.

პეტერბურგში ყოფნის მთელ პერიოდში, უკანასკნელ დრომდე, ილიას არ შეუწყვეტია თანამშრომლობა „ციცკარში“, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის იდეური მიმართულება და თემატიკა მას თავიდანვე არ მოსწონდა. 1859 წლის „ციცკარის“ ნომრებში გამოქვეყნდა ილიას რამდენიმე ნათარგმნი და ორიგინალური ლექსი. მაგალითად, 1859 წლის № 1-ში დაიბეჭდა ილიას მიერ თარგმნილი გოეთეს ლექსი „ბედა მქადაგებელი“, № 3-ში — ილიას საკუთარი ლექსი „მეც შავს თვალებს“, № 10-ში — „არაგვი“ (ნაწყვეტი „აჩრდილიდან“) და № 11-ში — „ელეგია“.

¹ ნ. ნიკოლაძე, რჩული ნაწერები, ტ. 1, გვ. 32.

¹ ი. ბალაბაშვილი, ი. ქაევკავაძის მოწიფეობა და სტუდენტობა, 1937 წ. გვ. 38.

ისმის კითხვა: ნახულობდა თუ არა ილია „ცისკარში“ დაბეჭდილ თავის ლექსებს პეტერბურგში? ღებულობდა თუ არა საერთოდ ქართველი სტუდენტობა პეტერბურგში „ცისკარს“? ამ საკითხზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. იმ დროის მთელი ჩვენი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია სტუდენტობის სახით პეტერბურგში იმყოფებოდა და, ცხადია, მათზე უკეთესი და შეგნებული მკითხველი „ცისკარს“ არც ჰყავდა საქართველოში. ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ეურნალის რედაქტორს ივანე კერესელიძეს, რომელიც სისტემატურად უგზავნიდა ეურნალის თვითუფლ ნომერს პეტერბურგში მყოფ ქართველ ახალგაზრდობას.

აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი:

„ივანე კერესელიძე „ცისკარს“ გვიგზავნიდა პეტერბურგში. ჩვენც მაღლობა მოვწერეთ და ვთხოვეთ, რომ „ნაპრაველნიე“ გამოეცვალა. კერესელიძემაც „დაგვიგერა“ და ზღვით გამოგვიგზავნა ეურნალი“¹.

1859 წლის 18 მარტს ილია თავის დას ნინო აფხაზს სწერდა: „იანერის „ცისკარში“ ჩემი ლექსებია მოთავსებული, წაიკითხე თუ არა. აი, გინდოდა ჩემი ლექსები გეხილა „ცისკარში“ და აგისრულე“.²

ილია ჰვავავაძე იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც დროზე შენიშნა „ცისკარის“ არასწორი პოლიტიკური მიმართულება და თემატიკური შეზღუდულობა. „ცისკარი“ ჯოჯოხეთის კარია და არა ღეთისაო“—ამბობდა იგი.

და, აი, ამ „ცისკარში“, რომელიც ქართველი სტუდენტების ხელიდან ხელში გადადიოდა, 1858 წლის № 2-ში გამოქვეყნდა ნიკოლოზ ბარათაშვილის კიდევ სამი ახალი ლექსი: „შევიშრობ ცრემლსა“, „ლაშქრობა ქართველთა კავკასიაზე“ და „ჩვილი“, ხოლო იმავე წლის № 9-ში მთლიანად დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის ისტორიული პოემა „ბედი ქართლისა“ (იხ. № 9, გვ. 1-14).

რა დოკუმენტები არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ კერძოდ ამ წლის, ე. ი. 1858 წლის „ცისკარიც“ ილიას პოლემიკური მსჯელობის საგანი ყოფილა?

ქართველი სტუდენტებისა და, კერძოდ, ილიას პირდაპირი და შეუპოვარი მოთხოვნის საფუძველზე „ცისკარმა“ 1857 წლის მეორე ნახევრიდან რამდენიმე თავი დააღწია თემატიკურ შეზღუდულობას და ხელი მოჰკიდა საზოგადოებრივი ხასიათის საკითხების გაშუქებას. 1857 წლის № 11-12-ში და 1858 წლის № 1-ში გამოჩნდა „მოლაყების“ ხელმოწერით დაბეჭდილი წერილების სერია საერთო სათაურით „სალაყბო ფურცელი“. ამ წერილებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართველ სტუდენტ ახალგაზრდობაში. განსაკუთრებული ენთუზიაზმით გამოეხმაურა მას ილია ჰვავავაძე, რომელსაც შეცდომით წერილის ავტორად მ. თუმანიშვილის ნაცვლად გ. სულხანიშვილი მიუჩნევია.

აი, რას სწერდა 1858 წელს ილია გ. სულხანიშვილს „სალაყბო ფურცლის“ თაობაზე.

„ამას წინაღ, მგონი, შენი სტატიები იყო „ცისკარში“ და მოლაყბედ აცხადებდი შენს თავს. შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო... უნდა გენახა რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდან ხელში ის ბედნიერი „ცისკარის“ ნომერი (ხაზი ჩემია. —

¹ ი. ბალახაშვილი, ი. ჰვავავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა, 1937 წ. გვ. 53.

² ი. ჰვავავაძე, წერილები, აფხაზეთის სახელგამის გამოცემა 1949 წ. გვ. 20.

ა. თ.), სადაც მოლაყბის ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის".¹

წერილის თარიღის დაზუსტებისათვის უტყუარ ცნობას თვით გ. სულხანიშვილი გვაწვდის: «ეს წიგნი პეტერბურგიდამ მგონი თებერვალში, თუ მარტში არის მოწერილი 1858 წელსა».²

აქედან ჩვენთვის საგსებით ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი ინტერესითა და გულმოდგინედ აღვიწყებდა თვალს «ცისკარის» თვითთულ ნომერს, დაკვირვებით კითხულობდა მასში მოთავსებულ თვითთულ მასალას და საკუთარ, დამოუკიდებელ შეხედულებებს იმუშავებდა მათზე.

და განა თვით ამ «ცისკარმა» არ შთააგონა ილიას გაეშალა დაუნდობელი ბრძოლა ძველი თაობის წარმომადგენლების, ე. წ. «მაშების» წინააღმდეგ? და განა ამავე «ცისკარში» არ იბეჭდებოდა ბარათაშვილიც? როგორ შეიძლება თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ილიას სხვა მასალების გვერდით «ცისკარში» ბარათაშვილის ხელმოწერით დაბეჭდილი ნაწარმოებები ვერ „შეეჩინა“ ან საჭიროდ არ ეცნო მათი წაკითხვა?

საინტერესოა პ. უმიკაშვილის ერთი საგულისხმო ცნობაც: «ცისკარში» რაც ბარათაშვილის ლექსებია დაბეჭდილი 1860 წლის დასაწყისიდან, ეს ლექსები ჩემის ნაწერებიდან არის. მე გადმოვწერე ალექსანდრე ჩიქოვანის ხელით დაწერილ რვეულითგან, რომელშიაც, მახსოვს, მოხსენებული იყო, რომ სარდიონ ალექსიევი-მესხიევის რვეულიდან გადმოვწერეო. ის რვეული გიორგი ჩიქოვანს ჰქონდა და ილია ჭავჭავაძეს, ვგონებ, და უკარგავს»³ (ხაზი ჩემია. — ა. თ.).

¹ ი. ჭავჭავაძე, წერილები. აფხაზეთის სახელგამი, 1949 წ. გვ. 6.

² იხ. იქვე, «შენიშვნები», გვ. 142.

³ ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ. განკ. «ხელნაწერები და გამოცემანი», გვ. 132.

ამ ცნობიდან ირკვევა, ჯერ-ერთი, რომ პ. უმიკაშვილს ბარათაშვილის ლექსების შეგროვება გადმოწერა, ერთ რვეულში მოთავსება უნდა დაეწყო, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 1860 წლის დამდეგისა, რადგან ამ წლის დასაწყისიდან უკვე მის ბეჭდვას იწყებს. ამავე დროს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ალექსანდრე ჩიქოვანს, რომლიდანაც პ. უმიკაშვილს ბარათაშვილის ლექსები გადაუწერია, რვეული შედგენილი ექნებოდა ამაზე კიდევ უფრო ადრე, წინა ხანებში; ამ ცნობიდან ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ უმიკაშვილისეულ ხელნაწერს რამდენიმე პირის ხელში გაუვლია და რომ მის კვალს ბოლოს თვით ილიამდეც კი მიეყვებართ.

ყოველივე აქედან თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბარათაშვილის ლექსები ხალხში ადრიდანვე ყოფილა გავრცელებული, რომ ის დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა ქართველ მოწინავე ახალგაზრდობაში. ისე, როგორც რუსეთის დიდი პოეტის ლერმონტოვის ლექსები დაბეჭდვამდე იკაფავდა გზას ხალხის მგრძობიარე გულისაკენ, ბარათაშვილის ლექსებიც, თავისი ღრმააზროვანი ლირიზმითა და ადამიანის სულიერი ტრაგიზმის ძლიერი გამოსახვით, პირველი წაკითხვისთანავე იპყრობდა მკითხველთა ინტერესსა და ყურადღებას.

როგორ შევათანხმოთ ყოველივე ეს კატეგორიულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ არც ილიამ და არც 60-ანი წლების ქართველმა ინტელიგენციამ 1860 წლის ზაფხულამდე თითქოს სრულიად არაფერი იცოდა ნ. ბარათაშვილზე, როგორც პოეტზე და შემოქმედზე?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შეხედულება აგებულია ცალმხრივ ინტერპრეტაციაზე, იგი ეყრდნობა საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს, სახელდობრ — კოხტა აფხაზის მოგონებას, და უგულებ-

ბელუოფს მის მეორე მხარეს, სახელ-
დობრ — „ციცკარის“ არსებობას, რეა-
ლურ, ნამდვილ ვითარებას.

ამაში კიდევ უფრო ნათლად დავრწ-
მუნდებით, თუ კრიტიკულად განვიხი-
ლავთ ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავა-
ძის ადრეულ შემოქმედებას მათი ურ-
თიერთმსგავსებისა და აზრობრივ-სა-
ხეობრივი თანდამთხვევის თვალსაზ-
რისით.

•
•

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველო-
ბისა და იდეოლოგიის ფორმირებაში
60-იანი წლების რუსეთის მოწინავე
რევოლუციურ-დემოკრატიული იდეე-
ბის, გამოჩენილი და პროგრესული მო-
აზროვნების ბელინსკის, ჩერნიშევს-
კის, დობროლუბოვისა და სხვ. უდიდეს
ზეგავლენასთან ერთად განსაკუთრებუ-
ლი როლი ითამაშა ნიკოლოზ ბარათა-
შვილის გენიალურმა შემოქმედებამ.
ახალ ქართულ ლიტერატურაში ნიკო-
ლოზ ბარათაშვილი იყო პირველი პოე-
ტი და მოაზროვნე, რომელმაც გაბე-
დულად წამოაყენა არსებული სინამ-
დვილისადმი შეურთგებლობის, წყვედი-
ადითა და ბურუსით შემოსაღობულ
ქორიზონტის გარღვევისა და ეროვ-
ნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის
იდეა. შთამომავლობის კეთილდღეობი-
სათვის თავგანწირული ბრძოლა და
შეუპოვარი სულისკვეთება, უკეთე-
სი მერმისის რწმენა, რომ „გათენ-
დება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა
ის განანათლებს“, საზოგადოებრივი
ცხოვრების წინსვლის, გარდაქმნისა და
გაუმჯობესების აუცილებელ პირობად
აქტიური მოქმედების, აქტიური ბრძო-
ლის აღიარება თავის სრულყოფილ გა-
მოსახულებას ბარათაშვილის ღრმა
ფილოსოფიური სენტენციებით გაქ-
ლენილ ქმნილებებში პოულობს.

ამასთან დაკავშირებით კვლავ იმა-
დება ჩვენს წიხაძე ბუნებრივი კითხვა:
ნუთუ ბარათაშვილის ზეგავლენით
ილიას პოეტური სულის ის განსაკუთარი
მეტამოფროზა, ის მოულოდნელი რე-
ვოლუცია, რაც ასე მკვეთრად იხატება
1860 წლის ზაფხულის შემდეგ, მას
შემდეგ, რაც ის ზედიზედ წერს ბარათა-
შვილზე ორ ლექსს, დაკავშირებუ-
ლია მხოლოდ ეკატერინე ჭავჭავაძის
სახელთან, მასთან შემთხვევით
ყოფნასთან, ბარათაშვილის ხელნაწე-
რი კრებულის შემთხვევით ხილ-
ვასთან? (ჩვენ შემთხვევითს ვუწო-
დებთ თვით ამ ფაქტს იმიტომ, რომ
არც ილია, არც კოხტა აფხაზი „ცარს-
კოე სელოში“ ეკატერინე ჭავჭავაძეს
წინასწარი განზრახვით, ბარათა-
შვილის ლექსთა კრებულის წაკითხვი-
სადმი წინასწარ აღძრული ინტე-
რესით არ სწვევიან). არა. ეს შეხედუ-
ლება ისევე ცალმხრივია, როგორც
პირველი, რომლიდანაც, როგორც და-
სკვნა, ბუნებრივად გამომდინარეობს
ეს მეორე. პირიქით. იგი შედეგი იყო
გრძობათა და განწყობილებათა იმ
თანდათანობითი, ევოლუციური განვი-
თარებისა, რაც ახალგაზრდა, ილიას
სხვადასხვა ხვეულებით („ციცკარი“,
ზეპირგადმოცემანი, ხელნაწერები) აერ-
თებდა ბარათაშვილთან.

ბარათაშვილისა და ილიას 1860
წლამდე დაწერილ ლექსებს შორის
ჩვენ ეპოულობთ არა მხოლოდ აზრობ-
რივ-სახეობრივ თანამსგავსებასა და გა-
მოძახილს, არამედ ხშირად მთელი
სტრიქონი, ლექსის იდეური შთანაფიქ-
რი და სათაურიც კი პირდაპირ ემთხ-
ვევა ერთმანეთს. ასეთია, მაგალითად,
ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ („ციცკა-
რი“, 1852 წლის № 4) და ილიას ლექსი
„ლოცვა“ (დაწერილი 1858 წლის 17
ივლისს), ბარათაშვილის „მიყვარს თვა-
ლები მიბნედილები“ და ილიას „მეც

შავს თვალებს“ (1858 წლის 20 ივნისი), ბარათაშვილის „ფიჭვი მტკვრის პირას“ და ილიას „მტკვრის პირას“ (1859 წ. 3 ოქტომბერი) და სხვა. ამავე დროს ილია ზოგჯერ ბარათაშვილიდან ღებულობს მთელ იდეას. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ილია ამ იდეას პირდაპირ, უცვლელად იყენებდეს, არ აძლევდეს მას ახალ, ორიგინალურ შინაარსს, მიზანდასახულობას, ახალ ემოციურ ძალას. პირიქით, ილიამ გააფართოვა, გაშალა, გააღრმავა ბარათაშვილის აზრების რეალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის განვითარებას მისცა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება, აიყვანა იგი გაცილებით უფრო ახალ, პრინციპულ სიმაღლეზე.

მაგრამ, ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს საკითხი არა იმის შესახებ, თუ როგორ გაიშალა და გაფართოვდა ილიას შემოქმედებაში საერთოდ ბარათაშვილის მიერ დაყენებული სოციალური და პოლიტიკური ხასიათის დიდი პრობლემები, არამედ ის, თუ რა ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან ამ ორი ადამიანის შემოქმედებითი ინტერესები და მოტივები, მისწრაფებანი და იდეები ჯერ კიდევ ადრე, ილიას პროგრესული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებამდე, როგორია პოეტური აზროვნების განვითარების ამ რთულ პროცესში ბარათაშვილის როლი და მნიშვნელობა. ამიტომ უპირველესად შევეხოთ „ცისკარში“ დაბეჭდილ ბარათაშვილის ნაწარმოებებს და გავაჩვენოთ, თუ რა სახით კიაფობენ მათგან გამონაკრთობი სხივები ილიას პოეტურ ქმნილებებში.

ლექსში „ჩილი“ („ცისკარი“ 1852 წ., № 4) ბარათაშვილი აქსოვს ფილოსოფიურ აზრს: რა დამოკიდებულებაშია ადამიანი საგნისადმი მის შეცნობამდე და მისი შეცნობის შემდეგ. ბავშვის უმანკო სულისათვის, ბა-

რათაშვილის აზრით, მიუწვდომელია ამ ქვეყნიური ცხოვრების სიღვეარგე, იგი ღუდის ტყბილი ალერსის გარდა „არას გრძნობს“, „არ განიცდის საწუთროს ვნებას“. და ბავშვის სულიერი სილამაზეც სწორედ ამ უღარდებლობაში, ამ განცხრომაში იხატება. მაგრამ მას აქვს გარკვეული საზღვარი, მიჯნა, რომლის იქით იგი კარგავს ნებეირობის თავისუფლებას და სილამაზის მშვენიერებას, შეიცნობს სოფლის სიყვეს, ჩაიძირება მის მორევეში. ამიტომ პოეტი მიმართავს ჩვილს:

იტყვივე ვნთა უსუსურის,
იტყვივე, ვიდრე ვამი დაგზარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნი სოფელი მომღერალი

ილია ჭავჭავაძე 1859 წლის 13 აპრილს დაწერილ ლექსში „ნანა“ ძირითადად ამავე აზრს ანვითარებს, მაგრამ შლის მას ახალ ასპექტში, აქსოვს პატრიოტიზმის წრფელ და უსპეტაკეს გრძნობებს. ილია, მიმართავს რა შიშით შემკრთალ ბავშვს, დასაშვებლად ეუბნება:

ნანა, შეილო, ნანინა!
ნეტა რამ შევაშინა?...
ჯერჯერ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინამორბედი
არ უხატავს მაგ შენს თვალს...

ამიტომ:

ჯერ მინამ ხარ ვმაწილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შეილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
შკლავი გაგიშავრდება,
შეილო, ყრმობის სიხრება
ბრძოლაზედ შეგაცვლება.

ვიდრემდის ხარ ყმაწილი, ყრმა, თავისუფალი, იტყვივე, ისწრაფე (სინონიმური გამოთქმანი), მოისვენე, მოვედრო და... შეიცნობ სოფელს, გაიგებ

„საწუთროს ენებას“, ცხოვრების წინააღმდეგობასთან ჭიდილში მკლავი გაგიმაგრდება, „ყრმობის სიზმრები ბრძოლაზედ შეგეცვლება“.

აქ თვალნათლივ იგრძნობა, რომ მეორე ლექსის საწყისი პირველშია ჩამარხული. იქ, სადაც წყდება პირველის მდინარება, ბუნებრივად გრძელდება მეორე.

ბარათაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“ („ცისკარი“, 1852 წ., № 4) გამოხატული ღრმა აზრები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში რამდენიმე განშტოებით პოულობს გამოძახილს:

ა) ბარათაშვილი თავისი ლექსის მესამე სტროფში ევედრება ღმერთს:

არა დაქროლონ ნავსა ჩემსა
ქართა ენებისა,
არამედ მოეც მას საღვთო
მყუდროებისა!

სულიერად დაღლილი, დაქანცული პოეტი მისწრაფის მყუდროების სადგურისაკენ, უფროთხილდება თავის ნავს, ქართა გრიალს, ტალღათა ჯახანს.

„სიმღერაში“ [1858 წ. 4 ივნისი] ილია ღმერთის ნაცვლად პირდაპირ ევედრება მდინარეს

ორსა ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირე ნავსა,
პოე, გვედრებ, მდინარევ,
ამ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!

ზღვას, როგორც ღელვისა და შეჯახების, მსხვერვისა და მქუხარების სიმბოლოს, ისევე ერიდება ილია, როგორც ბარათაშვილი „ქარის ქროლვას“. პირველში ცხოვრებასთან ბრძოლაში დაქანცული პოეტის მყუდროებისაკენ მისწრაფების იდეა გამოხატული, მეორეში ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ მოუშზადებელი ქაბუჯის სულიერი განცდა და შიშია ჩაქსოვილი. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, თუ რა ახლოსაა

ერთმანეთთან მათი სულიერი განწყობილება, მათი სულიერი ძაფები.

ბ) ბარათაშვილი თავის „ლექსს ამთავრებს ადამიანის ფსიქოლოგიური განცდის, მისი უკიდურესი და უნახესი გრძნობის გამოხატვით.

და — ჩემთა ბავთ რაღა დუშთო
შენდა სათქმელად?
მამა, ღუმლიც მომიფალე
შენდამი ლოცვად!

არ შეიძლება უნებლიედ არ მოგავონდეთ ბარათაშვილიდან ეს ადგილები, როცა „აჩრდილის“ მე-5 თავში კითხულობთ შემდეგ სტრიქონებს:

სულ ტყულია, რასაც ეხლა ჰგრძნობ...
ჭყუენის დრტივნეა დაუძინარი, —
ღრმად ჩააკვირდი მის ღუმოლს და
სცნობ, —
თვით მაგ ღუმოლში რა წყველავ არა...

განა აქაც ღუმოლი მკაფიოდ არ გვესახება ადამიანის ტანჯვის, მწუხარების, მისწრაფების გამოხატვის მძლავრ საშუალებად?

შემოქმედებითს ანალიზთან დაკავშირებით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ჩვენი აზრის ნათელსაყოფად ბარათაშვილის ისტორიული პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთლიანად დაიბეჭდა „ცისკარში“ 1858 წელს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ადრეულ პერიოდს პოემა „ბედი ქართლისას“ იდეური ზეგავლენა მრავალშტოდ ეფინება. რა თქმა უნდა, 1860 წლის შემდეგ და განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ილია საქართველოში დაბრუნებისთანავე სათავეში უდგება მთელ ქართულ პროგრესულ აზროვნებას, აღნიშნულ პოემაში დაყენებული პრობლემების გაშლა-გაფართოებას უფრო ორგანიზებული, თანმიმდევრული ხასიათი მიეცა არა მხოლოდ ილიას

ნაწერებში, არამედ მთელი ჩვენი მომდევნო პერიოდის ქართული ლიტერატურაშიაც. შეიძლება ითქვას, რომ პოემა „ბედი ქართლისას“ შთანაგონებია ილიას ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა „გუთნის დედა“, „ქართლის დედა“ (1858 წ.), „აჩრდილი“ (პირველი ვარიანტი, 1858 — 59 წ.) და მოთხრობათა ციკლი — „კაკო“ (1858 — 59 წ.), რომლიდანაც შემდეგ წარმოიშვა „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნამშობი“ და „კაცია ადამიანი“.

„ბედი ქართლისაში“ დაყენებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პრობლემა თავის პირველ და მძლავრ გამოძახილს ილიას ისტორიულ პოემა „აჩრდილში“ პოულობს.

ეს ნაწარმოებიც ხომ ისევე, როგორც ბარათაშვილის მთელი პოემა, მთლიანად ამ დიდი იდეის გალადებული პაერთ სუნთქავს! აქაც ხომ ისე, როგორც სოლომონ მსაჯულისა და ერეკლეს საუბარში, მყინვარზე გადმომდგარი, დაფიქრებული, შუბლზე ბელმოჩრდილული მოხუცის სიტყვებში გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის მანდელი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მძიმე სურათები, ხალხის ეროვნული თვითშეგნების აქტუალური საკითხები! აქაც ხომ არაგვისადმი, მშობლიური ქვეყნის ამ ულამაზესი ობიექტისადმი ისეთივე წრფელი და სპეტაკი, ისეთივე შთანაგონებელი და ამაღლებელი სიყვარულია განობატული!

ბარათაშვილის სტროფში

პოი, ნაპირი, არაგვის პირი,
მობიძინეო, შევბოთ მომზირიო, —
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შევნება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუნებაში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასა ვმურებოდეს...

ჩაქსოვილ აზრებს თითქოს კალმის ერთი მოსმით, ლაკონურ და პლასტი-

კურ ფორმებში გამოხატავს ილია/როცა ამბობს:

ქართველნი
გინებოდნენ

ჩვენი არაგვი! რა რიგ მიყვარხარ!
ქართვის ცხოვრების მოწამელ შენ ხარ...
შენს კიდევზე ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამწვენიებული!

სწორედ ამ მშვენიერი არაგვის ნაპირებთან, მთიულეთის ხეობაში შეფარებული ერეკლე — ძველი საქართველოს ეს გამოჩენილი სარდალი — სოლომონ მსაჯულთან ერთად სწყვეტდა ჩვენი ქვეყნის ბედობლის ისტორიულ ამოცანას. ძნელი გამოსაცნობი არ არის ყოველივე ამის შემდეგ ილიას სიტყვების —

შენ ზვირთებ შორის ჩემი ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარბულია
და წინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდევზეუდ გადასბულია —

ძალაუვნებური სიახლოვე იმ შევბენული დროის საზარელი სურათების აღწერასთან, რაც ასე დიდი პოეტური ექსპრესიითაა შესრულებული ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“.

ამ პოემიდან გამოსული იდუმალი ძაფების ფარულ ზოლებს ჩვენ ვამჩნევთ აგრეთვე ილიას თავდაპირველი მოთხრობის „კაკოს“ (კოლას) მხატვრულ კონცეპციაში. პოემაში დაყენებული პრობლემის ძირითადი და მთავარი განშტოება „მგზავრის წერილებში“ გვხვდება. მაგრამ მისი ერთი მძლავრი ნაკადი, როგორც მონუსხუხუე წყაროსი, რომელიც წისქვილის დამდგარ ბორბალს ერთბაშად დასძრავს და დაატრიალებს, მიიმართება აგრეთვე მოთხრობა „კოლადან“ წარმოშობილი დრამატული პოემის „კაკო ყაჩაღის“ ველეებისაკენ.

ეროვნული თავისუფლების მოპოვებასთან ერთად, ილია საჭიროდ სცნობდა პიროვნების თავისუფლების სრულ განხორციელებას. პიროვნების თავი-

სუფლების იდეა, ილიას აზრით, განუყოფელია ეროვნული თავისუფლების იდეისაგან. ისინი ერთი მეორეს ავსებენ და განაპირობებენ. ეს იყო ბარათაშვილის მიერ დაყვებულ პირობების სრულიად ახლებური გაგება და სრულიად ახლებური გაშუქება. ამით ილიამ აწინ გაუსწრო თავის წინამორბედს, შემოქმედებითად განავითარა მის მიერ წამოყენებული, მაგრამ ბოლომდე გადაუტრელები ღრმა სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მთელი რიგი საკითხი.

კრწანისის ველზე ომგადახდილ ერეკლეს გამოჩენას ქართველთა ჯარი ერთხმად შესძახებს:

შენი გამჩენის ჭირივე, შენი,
რომ გავვაგონე კვლავ ხმა სალხენი!

ეს იყო ხალხის აღფრთოვანების მაღალი გამოხატულება იმ ადამიანისადმი, რომელიც თავისი ხმლითა და მახვილით იცავდა სამშობლო ქვეყნის მიწა-წყალს გარეშე მტრების შემოსევისაგან, იბრძოდა ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

განა ასევე ალტაცებით არ ზედება ბატონყმობის მძიმე უღლისაგან ტყედგამქცეული კაკო ბლაქიაშვილი ზაქაროს შემზარავი მონოლოგის უკანასკნელს სიტყვებს:

შენი გამჩენის ჭირივე, შენი!
ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი...

პირველში ბარათაშვილი ეროვნული თავისუფლებისათვის თავგანწირულ მეფეს აღიღებს, მეორეში კი ილია უმღერის პიროვნების თავისუფლებისათვის მებრძოლ ვაჟკაცებს, რომელთაც ნაციონალურ ჩაგვრასთან ერთად, სოციალური უთანასწორობის, ძალმომრეობის, გაბატონებული კლასების აღვირახსნილობისა და ბოროტების მძიმე,

აუტანელი პირობები უნშობდათ ადამიანური ცხოვრების გზებს. მოტანილ მაგალითში თვალნათლივ იგრძნობა. გარდა ამისა, თვით სიტყვიერი სამკაულისა და ლექსის ზომის, რიტმის სიახლოვე.

ასეთია, ჩვენი აზრით, ის ძირითადი გამოვლინებანი, რაც ბარათაშვილის 1860 წლამდე დაბეჭდილი ლექსებიდან ჩანს ეკატერინე ქავჭავაძისეული ხელნაწერი კრებულის წაკითხვამდე ილიას მიერ დაწერილ ზოგიერთ ნაწარმოებში.

რაც შეეხება ბარათაშვილის დაუბეჭდავი ლექსების შინაარსთან ილიას აზრებისა და განწყობილებების სიახლოვეს, ეს ნათლად შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი მაგალითითაც:

სასაცილოა, ბერი კაცი
რომ ემაწვილობდეს,
და საბრალოა, რომ
ქაბუკი ბერიკაცობდეს
(ნ. ბარათაშვილი, „ჩემო მეგობართ“).
ვაი, მას ვინცა ჰაბუკობას
ქაბუკ არ არი!
(ი. ჰავჭავაძე, „იო, სად არიან სიტაბუჯ“...
1859 წ.)
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმუნს უნუგეშობას კრული
(ნ. ბარათაშვილი, „სული ობოლი“).
და მართო გული ერთხელ მოკლული
არც აფუავდება, არც გაცოცხლდება.
(ილ. ჰავჭავაძე, „გაზაფხული“, 1858 წ.
და სხვ.).

და განა, თავი რომ დავანებოთ პოეტური მეტყველების ამ მკაფიო რემინისცენციებს, ილიას ადრეულ ნაწერებშივე არ იგრძნობა ბარათაშვილისებური აზრის დახვეწილობა, სიცხადე, სიბრძნე, სტილური სიმკვრივე, მხატვრული ფორმის დამორჩილება დიდი სოციალური შინაარსის, ღრმა აზრისა და გრძნობის გამოხატვისადმი?

განა ბარათაშვილივით ცხოვრებაში აქტიური მოქმედება და ცხოვრების დიდი მოვლენების, ადამიანის მისწრაფებებისა და განცდების ასახვა, მ-

მულისა და ქვეყნისადმი სამსახური, მომავლის ნათელი გზების გაკაფვისათვის თავდადებული ბრძოლა, ეპოქის რთული სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა არ დაისახა თავის იდეალად ილია ქავჭავაძემ, როცა იგი სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეუდგა?

და განა ეს ფართო იდეალები ილია ქავჭავაძეში აღრევე არ ისახება, აღრიდნევე არ იზრდება, თანდათანობით არ ღვივდება და ვითარდება გონებრივ-მსოფლმხედველობრივ ზრდასთან ერთად?

იქნებ ყველა ეს არგუმენტი მაინც შეუძლებელს ხდის კობტა აფხაზის მოგონებასა და ნიკოლოზ ყიფიანის წერილზე დამყარებული მტკიცების დარღვევას იმის შესახებ, რომ ილიასათვის თურმე სრულიად უცნობი იყო ბარათაშვილის სახელი 1860 წლამდე, რომ იგი მხოლოდ ამ დროიდან გახდა ბარათაშვილის აზრების მიმდევარი, მისი იდეებით შთაგონებული, მისი დიდი მოტრფიალე?

მაშინ კვლავ მივმართოთ ისტორიულ დოკუმენტს.



აქაი წერეთელი იყო პირველი პოეტი და მოქალაქე, ქართული ლიტერატურის პირველი კრიტიკოსი და თეორეტიკოსი, რომელმაც ყველაზე აღრე და ყველაზე უფრო მახვილი თვალთ შენიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ქავჭავაძის სულიერი, იდეური და თემატიკური სიახლოვის ფაქტი. ლიტერატურის ისტორიისათვის ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა.

1864 წელს პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძემ ქართულ ენაზე გამოსცა ქართველ მწერალთა ლექსების კრებული „ჩანგურის“ სახელწოდებით. ეს იყო მეტად საყურადღებო და საინტერესო მოვლენა ჩვენი ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. კრებული იხსნებოდა ნ. ბარათაშვილის: „ცისკარში“ დაბეჭდილი ლექსების და მასში მოთავსებული იყო აგრეთვე ილია ქავჭავაძისა და აქაი წერეთლის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები.

აქაი წერეთელმა „ცისკარის“ 1865 წლის № 9-ში მოათავსა ვრცელი რეცენზია სათაურით: „რამდენიმე სიტყვა ჩანგურის“ შესახებ.

აქაი წერეთლის რეცენზია ჩვენთვის საინტერესოა არა იმდენად, როგორც აქაის თეორიულ-ესტეტიკურ შეხედულებათა გარკვევისათვის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, არამედ როგორც პირველი მასალა, პირველი დასაყრდენი საფუძველი ილია ქავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი ნათესაობის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის.

„ძლივს ერთი ხეირიანი წიგნი გველირსა. — ასე იწყება აქაის რეცენზია. — კ. ლორთქიფანიძემ გამოსცა ლექსების კრება „ჩანგური“, რომელმაც მოულოდნელად გაგვახარა და ისე გულწრფელობითაც არის ეს ჩვენი სიხარული, როგორც პირველი შეილის ძეობაზე მისი მშობლებისა და ახლო ნათესავებისა... სიტყვა „პირველი“ აქ ჩვენ უმიზეზოდ არ გვიხმარია. ეს „ჩანგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და კენესის ქართველების კენესით და მაშ რაღა საექვოა, რომ ყოველი რიგიანი ქართველი ნათესავისთვის სასიხარულო იქნება?.. მიზეზიც ამისა არიან ორი პირველი მწერალთაგანი, როგორც დირსებით, ისე სიუხვით: თ. ბარათაშვილი და თ. ი. ქავჭავაძე“¹ (ხაზი ჩემია. — ა. თ.).

აქაი წერეთელი გამანადგურებელ კრიტიკას უწევს ზოგიერთ თანამედროვეთა უარყოფით შეხედულებებს

¹ „ცისკარი“, 1865 წ., № 9.

ა. ჭავჭავაძის პოეზიისადმი, უკუაგ-
დებს მკითხველთა უკმაყოფილებას
ბარათაშვილის გვერდით ჭავჭავაძის
ჭოთავების გამო და ბოლოს აცეთებს
შემდეგ საგულისხმო დასკვნას: „დი-
ახ!.. ეგ თქვენი ნაწებები და შემკული
ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სწორედ
ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები
არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ
ჩვენს ლიტერატურაში, ერთგვარათ
დაუფიქსარები არიან, ერთს გა-
ნუწყვეტელის ჯაჭვით გა-
დაბმულები ერთი მეორე-
ზედ; ერთის უმეორისოთ გა-
გება ძნელია“.¹ (ხაზი ჩემია. —
ა. თ.).

ილიას თანამედროვე და თანამებრ-
ძოლი, ილიას შემოქმედებითი და იდე-
ური განვითარების ყველაზე დიდი
მკოდნე და შემფასებელი, აკაკი წერე-
თელი ამ სიტყვებში პირდაპირ და ხაზ-
გასმით მიგვითითებს, რომ ილია და ბა-
რათაშვილი „განუწყვეტელი ჯაჭვით“
არიან დაკავშირებული ერთმანეთთან,
რომ ერთის „უმეორისოდ გაგება“ და
შესწავლა, შეცნობა და ათვისება ძნე-
ლია.

აკაკი წერეთელი დაწვრილებით გა-
ნიხილავს ნიკოლოზ ბარათაშვილისა
და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას
კრებულში მოთავსებული ნაწარმოე-
ბების მიხედვით, არჩევს მათ ძირითად
მოტივებს და ღრმა თეორიული აზრე-
ბითა და პრინციპულობით საფუძვლია-
ნად ასაბუთებს ამ ორი მწერლის დიდ
მსგავსებას თანამედროვე საზოგადო-
ებრივი ცხოვრების გაშუქების, მოწი-
ნავე იდეებისა და შეხედულებების
გამოხატვის საქმეში.

თითქმის ერთნაირი სულიერი სიცი-
რიელისა და დახშულობის ეპოქაში
მოუხდა, აკაკის აზრით, ამ ორ მწე-

რალს საზოგადოებრივ ასპარეზზე გა-
მოსვლა. ბარათაშვილისათვის ცხოვრე-
ბის არსებული სინამდვილე იყო მტან-
ჯველი დემონი, რომელიც სულს უზუ-
თავდა დიადი აზრებით შთაგონებულ
პოეტს; ის იკვლევდა ხალხის მატერია-
ლური და სულიერი ცხოვრების მიზე-
ზებს, ეძებდა გამოსავალს შექმნილი
სოციალური და პოლიტიკური ვითა-
თარებიდან, არ კმაყოფილდებოდა მარ-
ტოდენ წარსულის რომანტიკით და
მზად იყო თავისი სიცოცხლე გაე-
წირა ხალხის უკეთესი მერმისისათვის.

„მარტო წარსულზედ და აწმყოზედ
ნუ სტრიალებ, იფიქრე მაგ ხალხის
მომავალზედაც, ამოსთხარე ძირიანად
ეკალი და მის ნაცვლად იქვე ჩასთესე
კეთილი თესლი და არ დაიკარგე-
ბაო“², — ასე მიმართავდა, ამბობს
აკაკი, ბარათაშვილი თავის მაცდურ
დემონს. და, ხალხის მომავლისათვის
თავგანწირული ბრძოლის იდეა პო-
ეტმა ნათლად ჩააქსოვა „მერანში“.

„დიდმა ხანმა გაიარა ბარათაშვილის
შემდეგ და მის კვალზე შემდგარი
არავინ გვინახავს... ასეთი სიკოტრის
ქამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე. პირვე-
ლად, რასაკვირველია, თარგმნა დაიწყო
პუშკინის, ლერმონტოვის და სხვ.,
მაგრამ ბოლოს დაადგო ეს გზა და
შეუღდა ბარათაშვილის კვალს.“³

ილიას მიერ პუშკინისა და ლერმონ-
ტოვის ნაწარმოებთა ძირითადი თარგმ-
ნა განეკუთვნება 1858—59 წ. პერი-
ოდს (ამ ხანებშია ილიას მიერ თარგმნი-
ლი პუშკინიდან „ქუშმარიტება“, „ანგე-
ლოზი“, „წინასწარმეტყველი“, „როცა
შეეყურებ მე შენს თვალებს“ და ლერ-
მონტოვიდან „მწირი“, „ჰაჯი-აბრეკი“
და სხვ.).

მაშასადამე, სწორედ ამ პერიოდთა-
ნა დაკავშირებული, აკაკის მიხედვით,

¹ „ცისკარი“, 1865 წ., № 9.

² იქვე.

ილიას შემოქმედებითი მობრუნებაც „ბარათაშვილის კვალზედ“.

რა ძირითადი ნიშნებით ასაბუთებს აქაი ილიას შემოქმედების მსგავსებას ბარათაშვილთან? „ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, მაგრამ რა საგანიც არ უნდა აიღო ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირად მაინც თვითონ არის“¹. ამ აზრის ნათელსაყოფად აქაი წერეთელი კონკრეტულად არჩევს ილიას ცალკეულ ნაწარმოებებს „გუთნის დედას“, „ხმა სამარიდამ“ და სხვ.

ამ ლექსებში ჩვენ ვხედავთ, ამბობს აქაი, „ყოველდღიურ ქეშმარიტებას, ჩვენს ნაკლულევენებას და ჩვენს საჭიროებას და ამისთვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც. — რაც ამ ერთ ლექსზედა ვთქვით (ლაპარაკია ლექსზე „ხმა სამარიდამ“, სადაც ილიას მიერ გაკიცხულია ბოროტი ადამიანის ცოდვები. — ა. თ.), ის შეიძლება საზოგადოდ ვთქვათ ყველა მის ლექსზედ“². და ბოლოს „ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ... ჩვენ ვეძებთ ჰკვიან აზრებს და ამას კიდევაც ეპოულობთ ქავეკავადის ლექსებში“³.

აქედან ჩანს, რომ კრებულში მოთავსებული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე აქაი წერეთელი იმთავითვე ხედავდა ილიას სახით ბარათაშვილის დიდ მემკვიდრეს.

მაგრამ, რამდენად აქვს ჩვენი აზრის დასამტკიცებლად აქაი წერეთლის აქ მოტანილ რეცენზიას მნიშვნელობა? მერე რა, ვინ უარყოფს, რომ 1860 წლის შემდეგ ი. ქავეკავაძე ღრმად და ძლიერად განიცდიდა ბარათაშვილის იდეურ ზეგავლენას?

საქმეც იმაშია, რომ აქაი წერეთელი პირდაპირ და ნათლად, აშკარად და

მთელი სიცხადით გვიმტკიცებს ილია ქავეკავაძის სულიერ სიკბლოვეს, მის კავშირს ნ. ბარათაშვილის სახელთან არა 1860 წლის შემდეგ დაწერილ ნაწარმოებთა მიხედვით, არამედ მის უფრო ადრინდელი, შემოქმედებითი მომწიფების პერიოდში შექმნილი ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე. ამაში ნათლად დავრწმუნდებით, თუ გამოვარკვევთ, რა ნაწარმოებები იყო შეტანილი კ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ კრებულში ილიას ნაწერებიდან, რომელთა გარჩევის საფუძველზედაც უნდა გამოეტანა აქაის ზემოაღნიშნული დასკვნა.

„ჩანგურში“ ზოგი ხელმოწერით „ილ. ქავეკავაძე“ და ზოგიც ხელმოწერლად, სამი ვარსკვლავის აღნიშვნით, დაბეჭდილი იყო ილიას შემდეგი ნაწარმოებები: „პოეტი“, „ქართველის დედა“, „არაგვი“ („აჩრდილის“ მე-5 თავი), „ხმა სამარიდამ“, „ელეგია“, „ვაზფხული“ „გუთნის დედა“, „მას აქეთ რაკი შენდამი ვეან მე სიყვარული“, „ჩემო კალამო. ჩემო კარგო, რად გვირდა ტაში“, „მუშა“, „ნანა“, „იანიჩარი“ და „რამდენიმე სურათი ან ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (ნაწყვეტი).

ყველა ეს ნაწარმოები, გარდა სამისა („ჩემო კალამო“, „მას აქეთ რაკი“... და „ყაყო ყაჩაღი“), დაწერილია 1857—1860 წლის ზაფხულამდე, ე. ი. ილიას მიერ ე. ქავეკავაძის ოჯახში ბარათაშვილის ლექსების წაკითხვამდე.

ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა: როგორ, რა საფუძველით ამტკიცებს აქაი წერეთელი — ეს დიდი მოაზროვნე და მოღვაწე — ბარათაშვილისა და ქავეკავაძის ურთიერთ მჭიდრო კავშირს, უერთმანეთოდ მათი გაგების შეუძლებლობას, როგორ აღმოაჩინა მან მსგავსება ბარათაშვილის შემოქმედებასა და ილიას ადრე დაწე-

¹ „ცისკარი“, 1865 წ. № 9.

² იქვე.

³ იქვე.

რილ ლექსებს შორის, მაშინ, როდესაც 1860 წლის ზაფხულამდე, გავრცელებული ვერსიის მიხედვით, ილიასათვის სრულიად უცნობი იყო ბარათაშვილის პოეზია და მისი პოეტური სახელი?!

განა შეიძლება ასეთ შემთხვევაში ისეთი თანადამხებევა და თანამსგავსება, როგორც ჩვენ ტექსტის ანალიზიდან ვნახეთ და რაზედაც პირუთენელი რეცენზენტიც ასე ხაზგასმით მიგვითითებს?

აკაკი წერეთელი აქ უტყუარ და სწორ ფაქტებს გადმოგვცემს. იგი სავესებით დამაჯერებლად და ნათლად გვისაბუთებს მოვლენათა კანონზომიერ განვითარებას და გარკვევით გვიჩვენებს, რომ შემთხვევითობა, როგორც ყოველთვის, აუცილებლობის შედეგია, მისი გამოვლინებაა კონკრეტულ ფორმასა და კონკრეტულ ვითარებაში, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი სამწერლო მოღვაწეობის დაწყების დღიდანვე იყო შთაგონებული და გატაცებული ნიკოლოზ ბარათაშვილით.

ასეთია საქმის ვითარება. ასეთია ფაქტები.

რა დასკვნები შეიძლება ვაკეთდეს ყოველივე აქედან?

1. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში წასვლამდე და პეტერბურგში ყოფნის პერიოდში, ე. ი. 1860 წლამდე, უეჭველია, იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ სახელს, მისი პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს. ამ ნიმუშებს იგი უნდა გასცნობოდა პირველ რიგში „ციცკრის“ საშუალებით. ამავე დროს გამორიცხებული არ არის შესაძლებლობა, რომ ილია იცნობდა ბარათაშვილის ზეპირგაომოცემებითა თუ ხალხში გავრცელებული ხელნაწერებითაც.

2. ილიას გონებრივი განვითარების დონე იმ ხანებში ჯერ კიდევ საკმაო არ იყო იმისათვის, რომ მთელი თავისი სიღრმით შეეგრძნო მას ბარათაშვილის გენია გაცნობილი ცალკეული ლექსე-

ბით. მაგრამ იგი, უეჭველად, შინაგანი სულიერი ძაფებით მკიდროდ იყო დაკავშირებული ბარათაშვილთან. მისი გონება შთაგონებული და დამძიმებული იყო ბარათაშვილის ღრმა აზრებით, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა შემოქმედებითს მოტივებსა და აზრობრივ-სახეობრივ შეხვედრებში.

3. ილია თავისი შემოქმედების აღრეულ, სტუდენტობის პერიოდში აშკარად განიცდიდა ბარათაშვილის იდეურ ზეგავლენას, რამაც თავის მხრივ დააჩქარა ილიას პოეტური მომწიფების პროცესი და ხელი შეუწყო მის შეიარაღებას ფართო საზოგადოებრივი იდეალებითა და ახალი მსოფლმხედველობით.

4. ილიას იდეოლოგიისა და მოწინავე, პროგრესული მსოფლმხედველობის ფორმირებაში 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ზეგავლენასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნიკოლოზ ბარათაშვილიც.

5. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი გენიის, მისი ბოზოქარი სულის, იდეებისა და სახეების, როგორც მთელი სისტემის ღრმა, კონცენტრირებული ათვისება კი ნამდვილად დაკავშირებულია იმ მომენტთან, როცა ილიას საშუალება მიეცა წაეკითხა ბარათაშვილის ლექსების სრული, ავტორისეული ხელნაწერი. ამაშია ეკატერინე ჭავჭავაძისეული ხელნაწერის შთაგონებული ძალის მნიშვნელობა. ბარათაშვილის ისეთი შედეგების წაკითხვამ, როგორიცაა „მერანი“, „ფიქრი მტკერის პირას“ და „შემოღამება მიაწმინდაზე“ ერთბაშად ააფეთქა ილიას გულში ბარათაშვილისადმი სათუთად, კრძალვით ნატარება გრძნობა, სადინარი მიეცა შინაგან შემოქმედებითს დღეილსა და ჭიდილში დაგუბებულ მღელვარე განცდებს და ორი

ეპოქის ორი დიდი გენიის აზრები სა-
მუდამოდ გადაეჭდო, გადაენასკვა გა-
დაეხლართა ერთმანეთს.

6. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ
ნ. ბარათაშვილი, როგორც ხალხის საყ-
ვარელი შვილი, არც ისე გადავიწყებუ-
ლი იყო, როგორც ამას ზოგიერთები
ფიქრობენ. 60-იანი წლების კარზე მან
მოაღწია, როგორც ცალკეული კულ-
ტურული მოღვაწეების (გ. ერისთავი,
ი. კერესელიძე) ისე ზეპირგადმოცემე-

ბისა თუ ხელნაწერების გზით მი-
ვიწყებას გადაარჩენილმა პოეტმა, რო-
მელმაც გაარღვია თავისი დროის დაბ-
შული, ბნელი კედლები და გამოანათა
ახალი, უჩვეულო შუქით. ამ პე-
რიოდში ილია თავისი ინტელექტითა
და ცოდნით უკვე სავსებით მომზადე-
ბულიყო ბარათაშვილის დიდი ფილო-
სოფიური აზრებისა და სოციალ-პოლი-
ტიკური მსოფლმხედველობის შეცნო-
ბისათვის.



ბიბლიოგრაფია



პ. რაბინანი — „ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი“. თბილისი, 1949 წ.

დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი მხოლოდ ჩვენს დროს, საბჭოთა პირობებში ჩაუყარა. საკმაო ხნის მანძილზე ილიას შემეყიდრეობა და მისი დაუფიქრავი ამაგი ქართული ხალხის წინაშე წარმოადგენდა ყოველად ჯურის ვულგარიზაციებისა და ფალსიფიკაციების სათარეშო ობიექტს. წლების განმავლობაში ეს ყალბისმკმნელი მახინჯი სხით წარმოვადგენდნენ და ჩრდილს აყენებდნენ უკუდავი მწერლის შემოქმედებას, წარმოდგენელის მხაყრობით შეურაცხყოფდნენ ქართველი ხალხის საზავო მკონის ნათელ ხსოვნას. მაგრამ ბოლნისტალების პარტიამ სამედიამოდ მიღოლი ვულგარიზაციითა მავნებელურ საქმიანობას და სათანადოდ დააფასა დიდი ქართველი კლასიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ამაგი. პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „სრავდამ“ ილია დახასიათა, როგორც „საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უღრესად პოპულარული საზოგადო მოღვაწე“.

პარტიის ცენტრალური ორგანოს ამ ფორმულამ ახალი შუქი მოჰფინა როგორც ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობას, ისე მთლიანად მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

ამ სახელმძღვანელო მითითებებმა ახალი გეზით წარმართეს ჩვენი ლიტერატურული მეცნიერება, დაუსახეს მას სწორი თვალსაზრისი კლასიკური შემეყიდრეობის ათვისებისა და წარსული დროის მოაზროვნეთა მეცნიერული შეფასებისათვის. ამის შემდეგ ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ თამამად გადასდგა ნაბიჯი თავის წარმატების გზაზე. მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებამ და მისმა სწორმა მომარჯვებამ ლიტერატურული შემეყიდრეობის პრობლემათა გარკვევის დროს თავისი ნაყოფი გამოიღო. უკანასკნელ 10—12 წლის მანძილზე დაიწერა რიგი შრომებისა, რომელთა ძირითადი საკვლევი თემას წარმოადგენს ჩვენი კლასიკოს-

მწერლების მსოფლმხედველობისა და მხატვრული შემოქმედების საკითხები. დიდი ყურადღება მიექცა კერძოდ ილია ჭავჭავაძის შესწავლის საქმეს. დაიწერა მრავალი წერილი, ნარკვევი და ცალკეული გამოკვლევა, სადაც გაშუქებულია ი. ჭავჭავაძის როგორც მხატვრული შემეყიდრეობა და მსოფლმხედველობის საკითხები, ისე მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა სამშობლო ქვეყნის საკითხდღეოდ.

ამ ნაშრომთა შორის, როგორც თავისი მოცულობით, ისე პრობლემების ფართოდ დასმით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აშ. პ. რაბინანის წიგნი „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი“. ეს ნაშრომი წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის მხატვრული და პედაგოგიური შემეყიდრეობის ხანგრძლივი და ყოველმხრივი შესწავლის შედეგს. ავტორის მიერ დამუშავებულია დიდძალი ლიტერატურული და საარქივო-დოკუმენტური მასალა. საკვლევი პრობლემების გადასატრეოდ იგი ემყარება მარქსიზმის კლასიკოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის თეორიულ ნაშრომებს.

პ. რაბინანის წიგნი შედგება შესავალისა და ხუთი ვრცელი თავისაგან. პირველ თავში ავტორი განიხილავს ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის წყაროებს; მეორე თავი მიძღვნილია პოეტის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლების გარკვევისადმი; მეოთხე და მეხუთე თავებში ავტორი ვრცლად აშუქებს ილიას სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს.

ჩვენ შევივდებით რაც შეიძლება მოკლედ გადმოვკეთ ნაშრომის ავტორის მთავარი დებულებებში.

ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის მთავარ თეორიულ წყაროებად, რომლებმაც განსაზღვრეს ამ მსოფლმხედველობის მიმართულება და ხასიათი, ავტორი მიიჩნევს ერთის მხრით რუსეთის დიდ რევოლუციონერ - დემოკრატებს — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლინოვის დემოკრატულ იდეებს, ხოლო მეორე მხრით ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და

აზროვნების დიდ ტრადიციებსა და მონაპოვართ. ამასთანავე ერთად, ავტორის აზრით, ილიას მხოლოდმხედველობის ფორმირებაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ-ევროპის კრიტიკული აზროვნების მიღწევებს, ეკრძოდ მატერიალისტური ფილოსოფიისა და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიღწევებს.

რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საფუძვლებს, ავტორი, მიმოხილავს რა ილიას მხატვრულ, პუბლიცისტურ და თეორიულ ხასიათის ნაშრომებს, სადაც უხვადაა გაბნეული მწერლის ფილოსოფიური შეხედულებები, შემდეგ დასკვნამდე მიდის:

ი. ჭავჭავაძე მატერიალისტურად სწევებს ფილოსოფიის ძირითად საკითხს და თავის უმთავრეს ნაშრომებში იძლევა ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა მატერიალისტურ ახსნას. ბუნება, მისი აზრით, არსებობს შეგნებისაგან დამოუკიდებლად და ადამიანს შეუძლია შეცინოს იგი შეცინიერების საშუალებით. შეცინიერების მიერ მოპოვებული ცოდნა არის ნამდვილი, ქეშმარიტი ცოდნა და იგი გვეხმარება არა მარტო შევიცნოთ ცხოვრება, არამედ ზემოქმედებაც მოვახდინოთ მასზე, მისი გარდაქმნისა და გაუმჯობესების მიზნით.

ილიას შეგნებული ჰქონდა, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრება არის ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად. სულიერი ცხოვრება კი არის მატერიალური ცხოვრების ასახვა, მისი ანარეკლი. ილიას ესმოდა, რომ სულიერი ცხოვრება თავის მხრივ უკუმოქმედებას ახდენს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარებაზე, რომ ახალი საზოგადოებრივი იდეები, მის შემდეგ, რაც ისინი ცხოვრებისაგან წარმოიშობიან, თავის მხრივ გავლენას ახდენენ ცხოვრებაზე და აჩქარებენ მის წინსვლას.

ილიას ნაწერებში მოცემულია ისტორიის განვითარების პროცესის მატერიალისტური გავების ელემენტები. იგი აღიარებს, რომ ისტორიული პროცესის ასახვად აღვიღებელია ეკონომიური საფუძვლის ცოდნა. წინააღმდეგ ნაოღნიკების სუბიექტური თვალსაზრისისა, რომლის მიხედვით ისტორიის ჰქმნის არა ხალხი, არამედ მხოლოდ ცალკეული გამოჩენილი პიროვნებები — „გმირები“, ილიას ისტორიის შემოქმედებად მიაჩნია თვითონ ხალხი, მშრომელი მასები. როგორც ისტორიული პროცესის, ისე პიროვნების როლის გავებაში ილია მატერიალისტურ პოზიციას იზიარებს და ამ შემთხვევაში მთელი თავით მალა დგას ფრანგ მატერიალისტებსა და რუს ნაოღნიკებზე. მიუხედავად

მატერიალისტური თვალსაზრისისა ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა გავებაში, ილია ვერ ახერხებს ბოლომდე შეინარჩუნოს მატერიალისტური თვალსაზრისი და ეკრძოდ რელიგიისა და ეთიკის საკითხებში იდეალიზმის პოზიციებამდე ვსვება.

ავტორი ილიას თეორიულ ნაწარმოებთა განხილვის საფუძველზე ნათლბუყოს, რომ ჭვენი მწერალი იცნობდა აზროვნების დიალექტიკურ წესს და ძალიან ხშირად შესანამნავად იყენებდა მას. ილიას შეგნებული ჰქონდა დიალექტიკის ის აუცილებელი მოახიონილება, რომ მოვლენები განხილული უნდა იქნენ არა ერთმანეთისაგან იზოლურულად, არამედ ერთმანეთთან და ვარემო პირობებთან კავშირში და რომ ყველაფერი დამოკიდებულია პირობებსა, ადგილსა და დროზე ილიამ კარგად იცოდა, რომ მოვლენები განხილული უნდა იქნენ მოძრაობისა და ცვლილება-განვითარებაში, მათი წარმოშობისა და კვლივის თვალსაზრისით. ილიას აზრით, განვითარება არის არა წარსულის უბრალო განმეორება, არამედ წინსვლით და აღმავლი ხაზით მოძრაობა, რომ მოვლენებს ახასიათებთ შენაგანი წინააღმდეგობანი, რომ ხდება ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომავლესა და შარდს შორის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძე მიიწევს ვერ სწვდება მოძრაობისა და განვითარების მთელ დიალექტიკას: მისთვის გავგებარია რაოდენობრივი ცვლილებებიდან თვისობრივ ცვლილებებზე ნატკომისებური გადასვლის არსი, ისევე, როგორც გავგებარია დიალექტიკური დებულება იმის შესახებ, რომ განვითარების პროცესის შინაარსს შეადგენს არა მოვლენათა მარმონთელი გავლა, არამედ მათი შეჯახება. სწორედ ამ ორი უმთავრესი თეორიული შეცდომისაგან გამომდინარეობდა ილიას შეცდომები ცხოვრების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში (კლასთა ბრძოლის საკითხი და სხვ.).

როგორი იყო ი. ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი? ამ საკითხს სარეკონსო წიგნის ავტორი, როგორც ეთქვია, უძღვნის ორ უკანასკნელ თავს, თავისი შრომის თითქმის ორ მესამედს. ავტორის ძირითადი დებულებები ამ საგანზე შემდეგ აზრს შეიცავს:

ი. ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი ობიექტურად თავისი დროის ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის (კაპიტალიზმის) იდეოლოგიას გამოხატავენ, მაგრამ ებოქის თავისებურობის (ორი ფორმაციის მიჯნა) საშუალებას აძლევენ მას გულწრფელად გამოვიდეს არა რომელიმე ცალკე წოდების ან კლასის, არამედ მთელი ხალხის, მთელი ქართველი ერის სახელით. სამოციანი წლებისათვის ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი მოწინავეა და პროგრესული.

90-იან წლებისათვის კი ისინი მოძველებული არიან და აღარ შეუფერებიათ ახალ ვითარებას.

ავტორი პრობლემათა კომპლექსიდან გამოპყოს რამდენიმე ძირითად საკითხს და მათი გაშუქებით ცდილობს ნათელი მოჰქონოს სხვა დანარჩენ პრობლემებსაც, რომლებიც ილიას სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა სფეროს მიეკუთვნებიან. ეს ძირითადი საკითხებია: 1. ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბატონყმურ ურთიერთობასთან; 2. მისი დამოკიდებულება კლასთა ბრძოლის საკითხის გაგებასთან საერთოდ; 3. ილიას სოციალურ-პოლიტიკური იდეოლოგია; 4. მისი შეხედულებები რევოლუციის შესახებ და 5. ილიას დამოკიდებულება „მესამე დასთან“, მარქსიზმთან და 1905 წლის რევოლუციასთან.

ავტორი ანალიზს უყუთებს ი. ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას და იმ დასკვნაზე მიდის, რომ ილიას ბატონყმობის მიმართ თავიდანვე მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ეჭირა, რომ ის ბატონყმობის შეფერხებელი მტერი იყო და მისი შეკეთება-შეღამაზება კი არ სურდა, როგორც ამის ზანზარძივი დროის მანძილზე ამტკიცებდნენ ქართველი ისტორიის ვულგარიზატორები და ფალსიფიკატორები, არამედ მისი საკუთარი მოსაზრება და გაუქმება.

უხედავად ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას კლასთა ბრძოლის საკითხთან საერთოდ, ავტორი დაასკვნის საქართველოში ბატონყმობის გადაყარების შემდეგ ი. ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ წოდებათა შორის შეფერხებელი ბრძოლას ძირითადი მიზნები მოისპო და რომ ამიერიდან არსებობდა შესაძლებლობა ახალი, სამართლიანი საზოგადოების აშენებისა საქართველოს ყველა წოდების (კლასის) ურთიერთ-თანამშრომლობის გზით, მათი შეთანხმებისა და „შერთყების“ გზით. ი. ჭავჭავაძე უღივდის ენერგიით იბრძოლა ამ ახალი, მისი აზრით სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპზე აგებული საზოგადოების აშენებისათვის.

ავტორი გვიჩვენებს, რომ ილია კარგად იცნობდა კლასთა ბრძოლის თეორიას, ამ თეორიას დასკვნებს საყვარელით მართებულად მიიჩნევდა იუროპის სახელმწიფოების მიმართ, ილია მხარს უჭერდა ევროპის მუშათა მოძრაობას, იგი მიესალმებოდა პარიაზის კომუნ რებს და სხვ. მაგრამ ამასთანავე ურთად ი. ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ საქართველოში კლ სობრთვი დიფერენციაცია და ანტაგონიზმი შორს არ წასულა და რომ აქ შესაძლებელია კლასების შეჯ ხებათა აცილება და სამართლიანი საზოგადოების აშენება მშვიდობიანი გზით, რევოლუციური ძალდატარების გ რეშე.

როგორ ჰქონდა წარმოდგენილი მომავალი სა-

ზოგადოების პრინციპები ი. ჭავჭავაძის? ავტორი ილიას ნაწერების ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ „სამართლიანი“ წესობილება წევს მწერალს წარმოდგენილი არ ჰქონდა ისეთ საზოგადოებად, სადაც მოსაზიბი იქნებოდა ერთი საერთოება მიწისა და წარმოების საშუალებებზე. ამიტომ ილიას მოძღვრება ძმობის, თანასწორობისა, სამართლიანობის და სხვათა შესახებ ბერეუნიული და უტოპიური იყო.

ავტორი, უხედავ რა ილიას სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების ევოლუციის საკითხს, არ უთანხმება ზოგიერთი მკვლევარის აზრს, თითქოს 80 — 90-იან წლებში ილიას გზის ეცვალის და მარჯვნივ, რეპუბლიკურ გადართვას. პირიქით, ამზობს ავტორი, ილიას არაფერი გამოუცვლია თავის მოძღვრებაში და სწორედ ამიტომ ჩამორჩა იგი მოვლენებს. ავტორის აზრით, 90-იან წლებში მოვლენათა ლოგიკა არწმუნებს ილია ჭავჭავაძეს, რომ მისი საზოგადოებრივი იდეალები განხორციელბა შეუძლებელია და ეს მის სულიერ კრიზისს იწვევს. ამ კრიზისის მიუხედავად ილია ერთგული რჩება მესამოცე წლების განმანათლებლური პრინციპებისა.

დიდ ინტერესს შეიცავს უკანასკნელი თავი ნაშრომისა, სადაც ავტორი უხედავ ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხს „მესამე დასთან“, მარქსიზმთან და 1905 წლის რევოლუციასთან. რიგი პრობლემებისა აქ დამსულია: და გადაჭრილია ახლებურად და დამაჯერებლად.

ავტორი უხედავ „მესამე დასის“ უმრავლესობის და მისი ხელმძღვანელის ნ. ყორდანაის ბრძოლას ი. ჭავჭავაძისთან. იგი აღნიშნავს, რომ ეს ბრძოლა ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური კონცეფციის, მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ისტორიულად კონონომიერი ბრძოლა იყო, მაგრამ ავტორი ხაზს უსვამს იმ ვარაუდებს, რომ თავისი მშლდულობისა, მარქსიზმის უყოლიანობის, გაუგებლობისა და დამახინჯების გამო ყორდანაის ჯგუფი ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ შეხედულებებს აიგვივბდა მთელ მის შემოქმედებასთან, რომ მათ არ ესმოდათ, რომ ილიას მხატვრულმა ნაწარმოებებმა ხელი შეუწვევს ქართული გლეხობის გათავითუნობიერებას, მის გარეუღუციონერებას, რომ ამ ნაწარმოებებმა გზა გაუკაფეს 1905 წლის რევოლუციის.

ავტორი აღნიშნავს, რომ ნ. ყორდანაის ამ ევლგარულ-მეჭანისტურ პოზიციის იზარება და ამხ. ფ. მახარაძე, რომლის მოსაზრებებს ი. ჭავჭავაძის შემოქმედების დაფასებისა და ათვისების საქმეში არაფერი აქვთ „მესამე დასის“ რეოლუციური უმცირესობის ბოლშევიკურ ხაზთან. ავტორი საყანგებოდ ჩერდება „მესამე დასის“ უმცირესობის და მისი ხელმძღვანელის ამხანაგ ი. სტალინის პოზიციებზე ი. ჭავჭავაძისთან კამათის საკითხში. იგი აღნიშ-

ნავს, რომ ამხანაგი ო. სტალინი იმთავითვე ზედავდა ვ. სხვაეხანას ო. ჭავჭავაძის პოლიტიკურ კონცეფციასა და მის მხატვრულ შემოქმედებას შორის და არ ეთანხმებოდა „მესამე დასის“ უმრავლესობის ვულგარულ-შექანისტურ პოზიციას პოეტთან წარმოებულ კამათში.

დიდ ინტერესს შეიცავს ნაშრომის ის თავი, სადაც ავტორი დოკუმენტური წყაროების (ილიას მიერ წარმოებული კონსპექტები, სენინშენები წაითხლები წიგნების არქივზე და სხვ.) განხილვის საფუძველზე ცხადყოფს, თუ რა დიდის ინტერესით და მუყაითობით სწავლობდა ცხრაასიანი წლებში უკვე მოხუცი ილია მარქსისტულ ლიტერატურას. ეს წიგნები დღესაც დაცულია ილიასველ ბიბლიოთეკაში, საქართველოს მუზეუმში. მიუხედავად დიდძალი მარქსისტული ლიტერატურის დამუშავებისა, ილიამ მაინც ვერ შესძლო თავისი ყალბი სოციალ-პოლიტიკური კონცეფციისაგან თავის დაღწევა.

წიგნის ბოლო თავებში ავტორი გვიჩვენებს, რომ 1905 წლის რევოლუციამ საბოლოოდ გააქარწყლა ილიას იმედები საქართველოში წოდებათა შერჩევების შესახებ, ამავე დროს ავტორი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყულა ილია, მისდა სასახელიდ, არ ემხრობა რეაქციულ ძალებს და ცდილობს შეუძღვებოს გლეხობას ის ტყვიელება, რომელიც მას მიადგა რევოლუციის დამარცხების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ილიამ ვერ გააგჟ 1905 წლის რევოლუციის მნიშვნელობა, ვერ შეაფასა რევოლუციის ავანგარდის — მუშათა კლასის როლი და ფაქტიურად რევოლუციის დროს დაიკავა ნეიტრალური პოზიცია, ავტორის სწორი აზრით, მაინც ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ილია ჭავჭავაძის უდიდესი როლი 1905 წლის რევოლუციის მომზადების საქმეში. სოციალურ თემებზე დაწერილი თავისი უკუდავი მხატვრული ნაწარმოებებით, ისევე როგორც მეფის თვითმპყრობელობის და კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პუბლიცისტური თხზულებებით, ილიამ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ხელი შეუწყო საქართველოს მშრომელი მასების მომზადებას თვითმპყრობელობასთან ბრძოლისათვის, მან გზა გაუწვალა ცხრაას ხეთას რევოლუციურ მოძრაობას.

ნაშრომის ბოლო ნაწილში ავტორი, უკეთესს რა ჯერს წინა თავებში გამოთქმულ მოსაზრებებს, დასკვნის, რომ ო. ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნის ნაკლებანებანი და სუსტი მხარეები — მისი არათანმიმდევრობა, მისი გადახრები რევოლუციური დემოკრატის პოზიციებიდან ლიბერალიზმისაკენ, კლასთა ბრძოლის უარყოფა ჩვენში და სხვ., — შემთხვევითი მოვლენა როდღ

იყო, არამედ გამოხატულება იმ პირობებისა, წინააღმდეგობებით სავსე და ჩამოუვლილებელი ცხოვრების პირობებისა, რომელშიც საქართველო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო — მეფის რუსეთის ეს უუფლებო კოლონია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა და აზროვნებაში, — დასძინს ავტორი, — როგორც სარკეში, აისახა საქართველოს ცხოვრების მთელი ისტორიული ეპოქა — 60-იანი წლებიდან მოყოლებული 1905 წლის რევოლუციამდე.

ასეთია ამბ. პ. რატანის ნაშრომის მთავარი დებულებები და დასკვნები. უნდა ითქვას, რომ ავტორის ეს შრომა წარმოადგენს სერიოზულ და უაღრესად საყურადღებო ცდას ო. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ძირითადი მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევის საქმეში, რაც გვიჩვენებს, ხელს შეუწყობს დიდი პოეტის შემოქმედებისა და მოღვაწეობის უფრო გაღრმავებულ გაგებასა და შეფასებას. ამბ. პ. რატანის შრომის ღირსება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ იგი კრიტიკულად აჯამებს იმ საკმაოდ მრავალფეროვან მუშაობას, რაც აქამდე ჩატარებულია ო. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების შესწავლის საქმეში. ავტორი ბევრ შემთხვევაში კი არ იმერებს უკვე გამოთქმულ აზრებსა და შეხედულებებს, არამედ კრიტიკულად არჩევს მათ და აყენებს ახალ დებულებებს, დაფუძნებულთ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის, ნაწერებისა და სხვა დოკუმენტური მასალების შესწავლისა და ანალიზზე.

არ შეიძლება ავტორის არ დაეთანხმოთ იმ მთავარ დებულებებში, რომლებიც შეეხებიან ილიას მსოფლმხედველობის წყაროებს, მისი მსოფლმხედველობის საფუძვლებს და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების ძირითად პრინციპებს. ავტორის ამ დებულებათა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი და აქ საჭიროდ აღარ მივიჩნია მათი განმეორება. გვიღია მხოლოდ გაგაყეთით ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც შეეხება ავტორის მიერ გამოთქმულ რამდენიმე საღაო მოსაზრებას.

1. მე-85 გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ ო. ჭავჭავაძე, მიუხედავად იმისა, რომ თავის ნაწერებში დღევანდელი აზროვნების საუკეთესო ნიმუშებს იძლევა, მაინც ვერ ამაღლდა დღევანდელი მარქსისტული აზრის დონეზე. რა იყო ამის მიზეზი? კითხვობს ავტორი და თვითონვე უპასუხებს, რომ ამის მიზეზი იყო „მისი საშრობლობა, როგორც მეფის რუსეთის კოლონიის დაბრუნებულ და უუფლებო მდგომარეობა. საშრობლობის დამოუკიდებლობა და თავისუფლება ილიას ზრუნვისა და ყურადღების უპირველესი საგანი იყო... ვასაგებია, რომ ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი კვალი არ დაეშენა ილიას აზროვნებისათვის“. ბოლოს ავტორი დასკვნის „მარქსიზმი მასში ხელს უშლიდა მოაზროვნეს“.

ეს უკანესენლი დებულება, მეტი რომ არა ვთქვათ, ძალიან უზერხულად არის გამოთქმული და არ შეიძლება არ გამოიწვიოს მიყარობებული რეცენზენტის შკაცირ შენიშვნა აქ უკეთესი იყო ავტორის უფრო ზუსტი და მართებული ფორმულა მოეცა, სადაც ის აზრი იქნებოდა გატარებული, რომ განმანათლებლის მსოფლმხედველობის პოზიციებზე ურყევად დგომამ მოღვაწეობის მთელი მინძილი, ილიას საშუალება არ მისცა თავისი პატრიოტული შეგნება დაეფუძნებინა უფრო პროგრესიულ სოციალ-პოლიტიკურ პრინციპებზე (კლასთა ბრძოლის საქაროების აღიარება საქართველოში, რევოლუციური ნახტომის აუცილებლობის შეგნება და სხვ.). აღსანიშნავია, რომ თავისი ნაშრომის სხვა ადგილებში ავტორი სწორად ხსნის ი. ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკური კონცეფციის ამ სუსტ მხარეს. მაგალითად, მე-64 გვერდზე იგი წერს: „ნაციონალური საკითხი წარმოადგენდა საქართველოს მამინდელი პოლიტიკური ცხოვრების ღერძს და ცხადია, რომ მას არ შეიძლებოდა გადაწყვეტი გავლენა არ მოეხდინა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ხასიათზე“.

2. ავტორი მტკიცე გარკვეულობას არ იჩენს იმ დებულებებში, სადაც იგი ილიას მიიჩნევს გლეხობის იდეოლოგიად. ასე მაგალითად, მე-60 გვერდზე ავტორი წერს ილიას შესახებ: „გი სიყვლილამდე დარჩა მშრომელი ხალხის მეგობრად და დაჩაგრულთა ერთგულ დამცველად. მიუხედავად ამისა, მისი გამოცხადება მართო მშრომელი ხალხის (გლეხობის) იდეოლოგიად მხოლოდ განსახლერული აზრით შეეფერება სინამდვილეს“. სამი გვერდის შემდეგ კი ავტორი აცხადებს: „ობიექტურად ი. ჭავჭავაძე გლეხობის იდეოლოგიად უნდა ჩათვალოს“. ამასვე იმეორებს ავტორი მე-284 გვერდზე: „ი. ჭავჭავაძე ძირითადად გლეხობის იდეოლოგი იყო“. მე-309 გვერდზე კი ავტორი აღნიშნავს, რომ 1905 წლის რევოლუციის დროს, ახალ პირობებში „თვითონ ილიამ მთელ რიგ მიზეზთა გამო ვეღარ შესძლო მათი (გლეხობის) ხელმძღვანელობა, მათი ინტერესების სწორი გაგება და დაცვა, მათი იდეოლოგია. ამგვარად, აშხ. პ. რატინი ერთ შემთხვევაში „განსაზღვრული აზრით“ მიიჩნევს ილიას გლეხობის იდეოლოგიად, ხოლო მეორე შემთხვევაში მას „ობიექტურად“ და „ძირითადად“ გლეხობის იდეოლოგიად სთვლის. მე-191 გვერდზე ავტორი აცხადებს: ი. ჭავჭავაძე „სიყვლილამდე დარჩა ქართველი ხალხის დიდ განმანათლებლად“. ეს სრული სიმართლეა. მაგრამ ლენინის სიტყვით: „განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო

ხალხზე სიერთოდ, არამედ ერთეუ კი სიერთოდ“- აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე, რომელიც ქართული ერის სპეციფიკური პოლიტიკური ეთარტების გამო საჭიროდ მიიჩნეულა წოდებათა შარმონიულ თანამშრომლობას საქართველოში, რის გამოც თავის პუბლიცისტურ ნაწერებში, აშხ. პ. რატინისვე სიტყვით რომ ვთქვათ, „თავიდანანურთა ინტერესებსაც იცავდა“ (გვ. 58), „მომხრტე იყო კაპიტალიზმის განვითარებისა“ (გვ. 60) და იმავე დროს „სიყვლილამდე დარჩა მშრომელი ხალხის მეგობრად და დაჩაგრულთა ერთგულ დამცველად“ (გვ. 60),—ასეთი ილია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „ძირითადად“ ერთი რომელიმე წოდების იდეოლოგიად. ამასვე აღასტრებს აშხ. პ. რატინისვე სიტყვები მე-61 გვერდზე: „უნდა ეღიაროთ, რომ ილიას რწმენა — რომ ის იყო მთელი ქართველი ხალხის წარმოადგენელი, მთელი ერის ინტერესების გამომატრეული და დამცველი, — ეს რწმენა სრულადაც არ ყოფილა საფუძველს მოკლებული“.

ცხადია, ავტორის ამ უკანესენლ განცხადებასა და მის მტკიცებას შორის, რომ ილია იყო ძირითადად გლეხობის იდეოლოგი, საკმაო განსხვავება და კარგი იქნებოდა ავტორს მეტი სიყვალე შეეტანა თავის მტკიცებებში.

3. ავტორი თავისი წიგნის მე-130 გვერდზე წერს, რომ ილიამ შესანიშნავი აზრები გამოსთქვა ცოდნის სხვადასხვა სფეროში, რაც უუქველად მართალია, მაგრამ იქვე იგი დასძენს: „შევეძლო გავყოლოდი მისი აზრების მსვლელობას ცოდნის თვითველ ამ დარგში და ყველაგ ჩვენ დაინახავდით მის ერთიან, გარკვევით ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას, აზრების მთლიან და მწყოზრ სისტემას“. ეს დებულება მართებული იქნებოდა, თუ ჩვენ ავიღებდით ილიას შეხედულებათა სისტემას ერთ რომელიმე გარკვეულ პერიოდში, მაგრამ სიმართლეს დაშორდებოდა, თუ ილიას მსოფლმხედველობას განვიხილავდით მის სიერთო განვითარებაში, მისი ევოლუციის ასპექტში. ავი წერს კიდევ თვითონ ავტორი მე-100 გვერდზე: „მარტივად აღიარებთ ფილოსოფიის გავლენით, რუს მოაზროვნეთა ათეისტური იდეების გავლენით ილია საბოლოოდ სტრეებს ღმერთის რწმენას და აღიარებს ქრისტიანული რელიგიის მოძღვრების სიყვალეს“. ცოტა ჭვემოთ კი, მე-103 გვერდზე ავტორი გვეუბნება, რომ რელიგიის საკითხებში თავისი ძიებების დამთავრებისა და ეჭვების დაძლევის მიუხედავად ილია „არ გაჰყვა მებრძოლი ათეიზმის გზას და დაიწყო რელიგიასთან კომპრომისული გზების ძიება“. მე-105 გვერდზე ვკითხულობთ: „ილია ჭავჭავაძეს არ დაუყენებია რელიგიის მოსპობის, მისი სრული გაუქმების საკითხი“. მართალია, ამ ვარებულებას ავტორი

იშთ ხსნის, რომ „ილია რეალური პოლიტიკის კაცია იყო რელიგია, დიპლომატიის სპირიტუალიზმი, როგორც იარაღი ქართველი ხალხის გაერთიანებისათვის, როგორც საყრდენი თავისი აზრებისა და მოქმედებისათვის“ (გვ. 109), მაგრამ ეს გარემოება მინც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმის დამამტკიცებელ საბუთად, თითქოს ილიას ღველა საკითხში, ყოველივეს და მუდამ ჰქონდა აზრების მთლიანი და მწყობრის საისტემა.

ასევე ეწინააღმდეგება ავტორის ზემოხსენებულ დებულებას მისივე აზრები, გამოთქმული ილიას შეხედულებებზე წოდებითა ურთიერთობის შესახებ საქართველოში (გვ. 173, 184).

4. უოვლად შეუწყნარებლად მიგვაჩინა ავტორის მტკიცება, თითქოს ცარიზმის ბრწყინებულად განთავისუფლებული მომავალი საქართველოს მეთაურად ახალგაზრდა ილიას წარმოადგენილი ჰქაედდა „ძლიერი და კეთილი გეგმა“ (გვ. 227). ამ აზრის „დასასაბუთებლად“ ავტორი იმეორებს, სხვათა შორის, ილიას მიერ 1860 წელს დაწერილ ლექსს „იანიჩარი“, რომლის ხოლო ორი სტრიქონი ასე იკითხება:

შენს სიმარდეს, სიჩაქეს
ქართლი შენი არ დაჰყურებს,
შეფე შენი თავის ქებით
ქაბუჯს გულს არ ვიხალისებს!

ავტორი, როგორც ჩანს, შეხედულებაში არ იღებს, რომ ეს ლექსი ალევორიული ხასიათისაა, რომ იქ მოხსენებული იანიჩარიც, ოსმალეთიკა და მეფეც, ყველაფერა გადატანითი შინაშენლობითაა ნაფუთისხმევა პოეტის მიერ და შეეხება იმ ქართველ ახალგაზრდას (კერძოდ რუსეთის იმპერატორის კანკოში მომსახურე ქართველ მხედრებს), რომლებიც თავიანთ ვეჟაკობის სწორავენ არა სამშობლოს კეთილდღობას, არამედ მათს დამლუპველ „ოსმალეთს“.

პოეტს ლექსის თემატიკური მასალაც, პერსონაჟებიც ისტორიულ ასპექტში აქვს გადატანილი ცენტრული მოსახლეობით და რა გასაკვირველია, თუ ისტორიული წარსულის პოეტური სურათის დახატვის დროს ოსმალეთის სულთანისათვის ქართველი მეფე დაეპირისპირებინა? ან რა დასაჯერებელია, რომ სწორედ იმ ხანში, როდესაც ახალგაზრდა, რადიკალურად განწყობილი ილია, ავტორი „ქართველ სტუდენტების სიმღერისა“, „ჩემი თარიალალისი“, ცოტა გვიან კი „კომუნის დაცემის დღისა“, მომავალ თავისუფალ საქართველოს იდეალურ წყობილებად მონარქიულ რეჟიმს ვაიხილდა?

5. მე-234 გვერდზე ავტორი წერს: „1885 წლიდან მოკიდებული 20 წელწაღზე მეტი ხნის განმავლობაში მან მხოლოდ ერთი მოთხრობა („ოთარანთ ქერიცა“, 1887 წ.) და ორი თუ სამი

პატარა ლექსი დაწერა, ასევე მცირე მისი პროდუქცია ამ პერიოდის პუბლიცისტკაში. ამჟამად, რომ ილიამ შეგნებულად აღწერა თავისი კალამით დაქვეყნებულ ნაწარმებზე არ არის შემთხვევითი ცხადია, ეს გარემოება დაკავშირებულია მწერლის სულიერ კრიზისთან: მან საბოლოოდ დაკარგა რწმენა თავისი იდეალებისადმი და ვეღარ შესძლო შეთვისებოდა ახალ იდეალებს, ემოვნა სხვა, ახალი საყრდენი თავისი რწმენისათვის“.

6. საქმარისად არ არის დასაბუთებული და ამიტომ არადასაჯერებლად გვეჩვენება ანხ. პ. რატანის მტკად ირიგინალური პირობება იმის შესახებ, რომ თითქოს „ილია ცდილობდა ემოვნა შემხვედრი წერტალები მარქსიზმის დებულებებსა და თავის საკეთარ შეხედულებებს შორის“ (გვ. 280), რომ მას, „როგორც ჩანს, სურდა ამ ორი მსოფლმხედველობის (მარქსიზმისა და თავისი — ლ. ა.) „შეთანხმება“ (გვ. 281), რომ თითქოს მან „მიმართ, ზემოხსენებულ ცდას მარქსიზმთან „შეთანხმებისას“ (გვ. 282). თავისი პიპიტების დასასაბუთებლად ავტორი იყენებს რამდენიმე ამონაწერს ილიას კონსპექტებიდან, რომელიც პოეტს შეუდგენია მარქსისტული ლიტერატურის შესწავლა-დამუშავების დროს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს, რომ ილია გაცნობილი იყო მარქსიზმის შინაარსს, მის ძირითად დებულებებს. ეს თვალნათლივ მოსჩანს იმ ამონაწერებიდან, რომელიც ანხ. პ. რატანს მოჰყავს კონსპექტებიდან. მაგრამ ჰყენ მარცხ ვფიქრობთ, რომ ილიას „ჩაჯდომა“ მარქსისტულ ლიტერატურის შესასწავლად გამოწვეული იყო არა მისი სურვილით, რომ „შეთანხმებინა“ თავისი კონცეფცია მარქსიზმთან, არამედ წადილით — გასცნობოდა იმ მოძღვრების რაობას, რომელიც თავის დროშაზე ეწერათ მასთან ცხარედ მოკამათე „შესამე დასის“ წარმომადგენლებს. ეს ამბავი დამაბასათებელი იყო ილიას ბუნებისათვის. პოლემიკისა და ბრძოლის დროს მას ჩვეულებად ჰქონდა მოწინააღმდეგვის პოზიციების საფუძვლიანი შესწავლა, რათა საშუალება ჰქონოდა მტერს მისივე იარაღით გველეებოდა. ყოველ შემთხვევაში ანხ. პ. რატანის მიერ წამოჭრილ საკითხს სჭირდება უფრო გულმკერდი შესწავლა და ფრთხილი, დაკვირვებული გააზრება.

ილიას მცირე პროდუქტიულობა როგორც მხატვრული შემოქმედების, ისე პუბლიცისტკის დარგში, ყოველ შემთხვევაში 80-იანი წლების მეორე ნახევრისა და 90-იანი წლების პირველი ნახევრის გადასავალზე, ჩვენის აზრით, არ შეიძლება მიეწეროს მის „სულიერ კრიზისს“. პირიქით, ამ პერიოდს ეკუთვნის ილიას სულიერი ძალების უდიდესი დამაბვა და მისი ეფექტური

მოღაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამ საზოგადოებრივ მოღაწეობაში შეიწირა ამ ხანაში დიდი ქართველი მწერლის მთელი ენერჯია, მისი დრო და მოცალეობა, მთელი მისი სულიერი ძალა, როგორც ვიცით, ამ პერიოდში ილია დიდ დროს ანდომებს საბანკო საქმეებს, რომელსაც იგი უპირატესად მნიშვნელოვან როლს ანიჭებს, როგორც მატერიალურ-ფინანსურ ბაზას ჩვენი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისა და კულტურული წარმატების საქმისათვის. ის დიდი ბრძოლები, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში ცნობილია „ბანკოეზი-დამ“ სახელით, სწორედ ამ პერიოდში, 80—90 წლებში ჩატარა ილიამ თავის მოწინააღმდეგეებთან.

გარდა ბანკისა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ სწორედ 1885 წლის დამლევდიან, ე. ი. ამ დროიდან, რომელიც აშხ. პ. რატაიანს ილიას „სულიერი კრიზისის“ დასაწყისს წლად მიაჩნია, ილია იწყებს დიდა, ერობული ტიპის ყოველდღიური გაზეთ „ივერიის“ გამოცემას. მთელი რიგი წლების მანძილზე ილია უშუალოდ უძღვება ამ ერთადერთს ქართული გაზეთის რთულსა და მძიმე საქმეს. თავი რომ დაეანებოთ ილიას მამინდელი თანამშრომლების — გ. ყიფშიძის, მანუცტაშვილის, მგალობლიშვილის, ახნ ზარაფიასა და სხვათა მემკრებში გადმოცემულ ცნობებს ილიას დამბალი მუშაობის შესახებ გაზეთის რედაქციაში, თვითონ გაზეთის კომპლექტების უშუალო ვაცნობაც საკმარის წარმოდგენას მოგვცემს იმის შესახებ, თუ რა განუზომლად დიდი დრო და ენერჯია შეუწირავს ჩვენი სახელოვან მწერალს ამ ხანებში ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანათვისებლებელი მოძრაობის იდეურად ხელმძღვანელი ორგანიზაციას.

მაგრამ ბანკისა და გაზეთის გარდა ილია ამავე ხანებში წარმართავდა მთელ რივ სხვა ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებებსაც: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, დრამატრულ საზოგადოებას და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც ქართველი ხალხის პოლიტიკური-ეროვნული ბრძოლისა და კულტურული გათვითცნობიერების უმპლავრეს კერებს წარმოადგენდნენ.

ბოლოს და ბოლოს თვით მხატვრული შემოქმედებაც და პუბლიცისტური მოღაწეობაც რომ გაეთვალისწინოთ მწერლისა დასახელებულ პერიოდში, არც ამის შესახებ შეიძლება საქმე ისე აოლად წარმოვიდგინოთ, როგორც ეს ესმის აშხ. პ. რატაიანს. ვანა სიუჟეტურ კონცეპციებზე რა და შემდეგ მხატვრული რეალიზაცია ისეთი უკვლავი ქმნილებისა, როგორც არის ჩვენი პროზის შედეგები „ოთარანთ ქერი“¹, მაჩვენებელი არაა ილიას მხატვრული ენერჯიის და მ-

შესადამე სულიერი ძალების სიჭარბისა და სიმტკიცისა ამ პერიოდში? გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამ ხანებში დაწერილი ილიას ისეთი მნიშვნელოვან — *ქრამაქ* მუცხინერული წერილები ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებზე, როგორც არის: აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაისის (1887), აი ისტორია (1889), წერალების სერია მე-19 ს. ქართულ ლიტერატურაზე (1892), წერილები დიმიტრი უიფიანზე (1887), ვახტანგ ორბელიანზე (1894) და მრავალი სხვა მცირე ზომის წერილი ჩვენი კულტურის საჭიბობროტო საკითხებზე. და თუ ილიას ვოლითურ მხატვრულ პოტენციასთან შედარებით ეს მაინც ცოტად გვეჩვენება და ვამბობთ, რომ ამ ხანებში მას შედარებით ნაკლები შემოქმედებითი პროდუქტიულობა ახასიათებს, ეს გარემოება უმპავრესად და პირველ რიგში უნდა აიხსნას მისი დიდი გადატვირთულობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის საპრეზუე და არა „სულიერი კრიზისით“ და თავისი სოციალ-პოლიტიკურ კონცეფციებში დაეჭვებით, როგორც ამას ფიქრობს ჩვენი ავტორი.

7. დასასრულ ვგინდა ერთი შენიშვნაც გავუკეთოთ ჩვენს ავტორს: ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ და სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს, მათ გამოვლინებას და ევოლუციას იგი თავის ნაშრომში ვანიხილავს იზოლირებულად პოეტის თანადროულ ქართველ მოღაწეთა იდეურ განვითარებისაგან. საჭირო იყო ილიას ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური კონცეფციის განხილვა-გაშუქება ავტორის დაკავშირებინა ისეთი პუბლიცისტებისა და მოაზროვნეების იდეური სამყაროს ჩვენებასთან, როგორც იყვენ თ-ნდაც „დროება“ — „კრებულის“ ძირითადი ბირთვის წარმომადგენლები: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვ. ილიას მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები უფრო რელიეფურ სახეს მიიღებდნენ მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ფონზე.

ასეთი არის ის ზოგადი შენიშვნა, რომელიც აუცილებლად მივიჩნევთ გამოგვეთქვა აშხ. პ. რატაიანის წიგნთან დაკავშირებით.

უკვე აღენიშნეთ, რომ ამ წიგნის სახით საქმე გვაქვს სერიოზულ შრომასთან. ავტორის დიდი მუშაობა ჩუქრებია ილიას როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესასწავლად და ვადასრუბლად. მას დაყენებულ იქნეს ბევრი ახალი, უპირატესად საინტერესო და საგულისხმო საკითხი. წიგნი გამსჭვალულია ღრმა და გულწრფელი პატივისცემით და ეტიყადით, აღტაცებით დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის წინაშე. მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის მას სრულ-

ლი მეცნიერული მიუდგომლობათა და ბოლშევიკური პირდაპირობით აღნიშნოს ყველა ნაკლი და სუსტი მხარე ჩვენი ხალხის სასიქაღდლო წყურღლის აზროვნებასა და მოღვაწეობაში. ამავე დროს ავტორი არ უშინდება გაბედულად აღნიშნოს და წინა პლანზე წამოსწიოს, მსჯელობისა და განხილვის ობიექტად გახადოს ბევრი ისეთი საკითხი, რომელიც ერთ შეხედვით, თავისი სიახლის გამო, უცნაურად და მოულოდნელად მოგჩვენება საქმეში ჩაუხედავ მკითხველს. განსაკუთრებულად საინტერესოდ უნდა ჩათვალოს წიგნში ილია ჭავჭავაძის საფუძვლიანი და ყოველმხრივი დახასიათება, როგორც დიდი ქართველი განმანათლებელისა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელის, იდეური სულის ჩამდგმელის, რომლის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ შემოქმედებაში, როგორც პრიზმაში, აისახა ქართველი ხალხის ცხოვრების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები ნახევარი საუკუნის

მანძილზე, 1861 წლიდან მოვიდებულ 1905 წლამდე. ილიას, როგორც მოაზროვნისა და მხატვრის ძალაც და სისუსტეც, რთობაც მას გვიჩვენებს ავტორი, მისი „წმინდელი“ ხალხის ისტორიული ცხოვრების ეთარებთ არის განპირობებული. სიახლისა და საკითხების თამამე დასმის თვალსაზრისით ძალიან საგულისხმოდ მიგვახინია ავრთვი ნაშრომის უკანასკნელი თავები, სადაც ავტორი ეხება ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას „მესამე დასთან“, მარქსისტულ მოძღვრებასთან, 1905 წლის რევოლუციასთან.

წიგნი დაწერილია ეოცხალი, მიზიღველინით, იგი ცხოველი ინტერესით იკითხება თავიდან ბოლომდე. ეს შრომა, მიუხედავად ცალკეული სადაო და მიუღებელი დებულებისა, მისიწველიოვან და სეოიოზულ შენაძინად უნდა ჩაითვალოს ქართულ საპეოთა ლიტერატურათმცოდნეობაში.

ლევან ასათიანი

ნატო მანანძი — „მოგონებანი და უხევედრები“

„ბ ე ლ ო ე ნ ბ ა“ — 1950 წ.



თავის შინაარსის მიხედვით სარეცენზიო წიგნი შეიძლება ორ ძირითად ნაწილად გაიყოს. პირველი — ბიოგრაფიული ნაწილი, რომელიც შესდგება შემდეგი თავებისაგან: „ჩემს შესახებ“, „გამგზავრება უკრაინაში“ და „მოგზაურობა ვერაში“ და მეორე — „შეხვედრები“, რომელიც აერთიანებენ თავებს: „ვლადიმერ მააკოვსკი“, „კორე მარჯანიშვილი“ და „ვანი სარაჯიშვილი გერანზე“.

ბიოგრაფიულ ნაწილში ავტორი დაწერილით ვეაცნობს თავის წინაპრებსა და ოჯახს, მოგვითხრობს ბავშვობის შთაბეჭდილებებს, მოგონებებს, ახასიათებს თავის ახლობლებს.

როგორც ნატო ვანანძი გვიამბობს, დედამისი მტრად გამარჯვ ქალი ყოფილა; ადრე დაქვრივებას არ შეუშინებია და, დასახლებულა რა თავის სოფელში, ზელი მიუყვია მეურნეობისათვის.

„...ბოსტანში ზვენ თვითონ ემოშობდით... ჰე და ჩემი უფროსი და დედას ოჯახში ვებმარებოდით; ევენახშიც ვასროლებდით ქალის სამუშაოს — ვაზებს ვფერჩნიდით და ვაბვევდით. მის ველებობდა შემის, უმოთერესად ფინჩის მოტანა“...

სიძულელით იგონებს ავტორი საქართველოში უბადრევი მენშევიკების უბაირო: „ას-პობას — იმ ხანას, როდესაც ქართველი ხალხა ყველაზე ბილწმა გამცემლებმა ჩვენი ქვეყანა

გადააქციეს ინგლისელებისა და ამერიკელებს კოლონიად, ბოლო საქართველოს დედაქალაქი — მათი ჯარების ყაზარმად. მძიმე იყო მაშინ ქართველი ხალხის ცხოვრება; ნატოს ოჯახიც დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

„გაჭირვებამ მაძელა სამუშაო მეძებნა... ჰე მოეწეეეე საჭუშაოდ ასანთის ფაბრიკაში... დილოშით გიმნაზიაში დაედიოდი, საღამოს რ საათიდან კი ფაბრიკაში ემუშაობდი დამხარისხებულად... ცოტა ხნის შემდეგ მე გადავედი სამუშაოდ სხვა კრტო საწარმოში ბორბლები საცხის ფაბრიკაში...“

1923 წელს ნატო კინოსტუდიაში მიიწვიეს. აქედან იწყება მისი ახალი ცხოვრება ახალ ბელნიერ ეპოქაში. მან მალე მოიხვეჭა სახელი და ხალხის საყვარელ მსახიობად იქცა. ავტორი თავის წიგნში მოგვითხრობს საქართველოში კინოსტუდიაში მისი მსახიობის ჩასახებისა და განვითარების საინტერესო ისტორიას; იგი განუყოფლად არის დაკავშირებული ამ კინოსტუდიასთან და მისი ზრდისა და განვითარების უშუალო მონაწილეა.

ნატოს სახელი საქართველოს საზღვრებს სცილდება. 1929 წ. იგი მიწვეულია მოსკოვში და მონაწილეობს ლ. ტოლსტოის ნაწარმოების მიხედვით გაკეთებულ კინოსცენარის — „კოცხალი ლემის“ გადაღებაში. ამასთან დაკავშირე-

ბით მას უხდება ბერლინის გამგზავრება. ეს მოგზაურობა განსაკუთრებით საინტერესოა იმათ, რომ ახალგაზრდა მსახიობში უფრო მეტად ძლიერდება სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული გრძნობები, რომელიც წითელ ზაზად მისდევს მთელ მის შემოქმედებას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ ხელოვნების განვითარებაში ვარდატება მოახდინა და ახალი სწორი ამოცანები დაუსახა. ნატოც საჭიროებებში ბრუნდება; იგი მონაწილეობს „უკანასკნელი მსკარადისა“ და „უკანასკნელი კვაროსნების“ გადაღებაში.

აგტორი განსაკუთრებით იგონებს კინოს განვითარების პერიოდს. ამასთან დაკავშირებით მას დიდი მუშაობის ჩატარება უხდება და წარმატებასაც აღწევს. მისი წარმატების უშუალო ხელმძღვანელად ნატო თავის მეუღლეს, ცნობილ კინორეჟისორს ნიკოლოზ შენგელიას ასახელებს.

როგორც წინიდან ჩანს, ნატო ვაჩნაძის ცხოვრებაში უდავოდ დიდი როლი თამაშა ნ. შენგელიამ. აგტორი განსაკუთრებით ტბილად იგონებს მას და ახასიათებს როგორც სპეტაკ აღამიანს, კარგ მეგობარს, შეუდრეკელ მეშაქსა და მუშნებარე პატრიოტს.

აგტორს მეტად საინტერესოდ აქვს გადმოცემული ის მოვონებანი, რომელნიც ჩვენი ხალხის სამ დიდ აღამიანთან — ვლადიმერ შილაკოვსკისთან, კოტე მარჯანიშვილთან და ვანო სარაჯიშვილთან არის დაკავშირებული. აგტორი სამივეს იცნობდა პირადად.

მოვეითობრბს რა უკრაინაში მახვარობის შესახებ, ნატო ვაჩნაძე ლფრთოვანებულია ამ დიდი წარმატებებით, რომლებიც საბჭოთა უკრაინამ მოაპოვა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ხელოვნებაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში. აგტორი იგონებს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთან, აკადემიკოს ფილატოვთან შეხვედრას და დასძენს:

„ფეიქარ ქალს, კოლმურწეს, აგრონომს, მსახიობს — ყველას სიამაყის გრძნობა გაპყრობს ნამდვილ სასწაულთა მომხდენი ჩვენი მოწინავე საბჭოთა მეცნიერების გამო“.

იტალიაში ყოფნის დროს, სადაც იგი ვაგზაჟნილი იყო კინოფესტივალში მონაწილეობის მოსაღებად, მას აინტერესებს ქალთა საკითხი, ეკონომიკა, მუშათა მსოფლიო სოლიდარობა და სსრ კავშირისადმი სიყვარული, ამერიკელთა პარპაში იტალიაში, რევოლუციური მოძრაობა და სხვა მრავალი.

„იტალიაში ძლიან მარჯვეთ ეპრობენ სარწმუნოებით. ყველგან იყიდება „წმინდა მადონა“. თუ ეკლესია ძველებურია, შიგ შესვლა შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ფულს გააღიხილი. შესვლით კი შეხვ ლთ, მგერამ არ იფიჭ

როთ, რომ უფასოდ ნახავთ იჭ-იმ სურათებს და საეკლესიო ნივთებს, რომელნიც რამე ინტერესს წარმოადგენენ. ამაში კიდევ უფლებ უნდა მისცეთ ფული იმ კაცს, რომელიც იფიჭდათ, თუ არ გინდათ, მაინც აგტორილიალებათ და არ მოგვიღლებათ, ვიდრე ხარკს არ აიღებს“.

მოვეითობრბს რა აგტორი „წმინდა ვატიკანის“ მსახურთა და მესვეურთა შესახებ, იგი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ რეალიზია რომის პაპისათვის მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლისა და თავისი ბნელი ზრახვების გარტარების საშუალებაა.

ნატო ვაჩნაძის მოვონებებში არის მრავალი ისეთი მაგალითი, რომელიც ნათლად მოწმობს ვატიკანისა და მისი აგენტების განუერელ კეშმირს მსოფლიო იმპერიალიზმთან, რომ ვატიკანი ის ხილია, რომელიც აგტორებს იტალიისა და მსოფლიო რეაქციის ძალებს.

ის, რაც ნატო ვაჩნაძემ ნახა იტალიაში, მხოლოდ ადგილობრივი — იტალიური მოვლენა როდია. იგი მსოფლიო იმპერიალიზმის ერთერთი დამახასიათებელი თვისებაა და ის უფრო მეტის წარმატებით მქმნივარებს ამერიკისა, ინგლისისა და დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

არ შეიძლება არ აღნიშნოთ აგტორის მიერ ის სწორი დახასიათება, რომელიც მისცა მან ამერიკულ კინემატოგრაფიისა და ამერკული იმპერიალიზმის გაბატონებას იტალიაში. იტალიის 40 ათასი კინოთეატრიდან 28 ათასი ვატიკანს გუთუნის და ამერიკელების კონტროლქვეშაა, 8 ათასი ამერიკელების განუყოფელი საკუთრებაა, ხოლო თეთი იტალიელებს თავიბ ქვეყანაში მხოლოდ ოთხი ათასი კინოთეატრი აქვთ.

კრიზინალი—აი, რაზეა აგებულ ყველა ამერიკული ფილმი. სურათის თვმა: საეკონომიკო, შინოფრენითი შეპყრობილნი, მომწამლეველი და ათასნაირი ჯურისა და ზასიათის მკვლელებანი. ამერიკულ სურათებში ერთმანეთს კლავენ უთოთი თავში დარტყმით, მეათე სართულიდან ვადმოვლებით, აღამიანს ამოკლვიან ტყინს, აღრობენ წყალში...“ აი, ის იდეოლოგია, რითაც ამერიკის იმპერიალიზმი ჰკვებავეს მარშალიზებული ქვეყნებს...“

აგტორის მრავალი პოლიტიკურად მწვევე ფაქტი გადმოცემული აქვს ორიგინალურად, დამაჯერებლად და ქართული მკითხველისათვის საინტერესოდ

ორიოდე სიტყვა შემწნეული დეფაქტების შესახებ, წიგნი ასე იწყება:

„მე დაეხებაღ 1904 წელს, მგერამ ჩემი ბავშვობის ერთერთი მოვონება დაკავშირებულია 1905 წლის რევოლუციასთან. შეიძლება ეს სურათი წარმოიშვა უფრო მერმინდელი ნაბობობისაგან, მგერამ ახლაც მახსოვს მოხუცმა ვადიამ როგორ მიმიყვანა ფანჯარასთან და დამანახუ

უმარავე ხალხი, რომელმაც ჩვენს სახლთან ჩა-
რა. დროშებითა და პლაკატებით ჰყრი აქრე-
ლებული იყო, წინ მოპქონდათ წითურულე-
შებანი ცაცის სურათი.

— ეს არის ჩვენი მეფე-მამა, — მითხრა გე-
ლიამ, — ნუ გეშინია, — დაუმატა მან, — მამაშენი
დაბლაა, შესასვლელ კარებთან, ჩვენ გვი-
ცავს“.

ჩემის აზრით, დაუჯერებელი ამბავია, რომ
ერთი წლის ბავშვს, რაიმე დამახსოვრებოდა,
თანაც ასეთი დეტალები: „გადიამ მიმიყვანა ფან-
ჯარასთან“, „უამრავი ხალხი“, „დროშები და
პლაკატები“. ერთი წლის ბავშვს თურქე ისიც
გაურჩევია, რომ ის ცაცი წითურულეშებანი
ყოფილა.

მეორე „1923 წლის ზაფხულში ჩვენი კინო-
მარეწველობა შეუდგა აღმქანდრე უამრავი
რომანის „მამის მკვლელის“ მკვლელობის
გადაღებას... მე ვთამაშობდი ნუნუს... მე მამან
ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, სულ 16 წლის გო-
ვონა...“ მე-30 გვერდზე კი ავტორი ამბობს:
ცხრამეტე წლის ვიყავი, კინოში მუშაობა რომ
დაიწვიეო.

მიუხედავად თქმულისა, წიგნი მეტად სასარ-
გებლო და საინტერესოა, როგორც თავისი ში-
ნაარსით, ისე პოლიტიკური სიმახვილით.

მ. შაშთარაძე.

წიგნი საბჭოთა პატრიოტიზმზე *



გასულ წლებში, საქართველოს სსრ განათლე-
ვის სამინისტრომ და საქართველოს ალკე ცენტ-
რალურმა კომიტეტმა გამოაცხადეს კონკურსი
საუცუესო საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე.
ეიერიმ, სხვათა შორის, მოიწონა გიორგი
ჩიკვაიძის ნაშრომი „ოთხი შეხვედრა“, რომე-
ლიც ამ დღეებში გამოსცა საბლიტგამმა.

ქართული მხატვრული ლიტერატურა ძალზე
ღარიბია სანაოსნო, სასულეო ხასიათის ნაწარ-
მოებებით. თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1943
წელს საბლიტგამის მიერ გამოცემულ წიგნს —
„მეზღაურ აღმქანდრე ჭავჭავაძის ნამბობს“,
რომელიც თარგმნა რუსულიდან პლატონ ხენდ-
ტეშ. ამ თარგმანის ნაწარმოებიდან ქართულ ენაზე
პირველია გიორგი ჩიკვაიძის „ოთხი შეხვედრა“.

მთელი წიგნი, პირველი გვერდიდან ეკა-
ნასენელამდე, გაელენთილია საბჭოთა პატრიო-
ტიზმის შთაბეჭდილი, კეთილშობილური გრძნობებით.
წიგნში მოცემულია საბჭოთა ახალგაზრდობის
მისწრაფება — იყოს დიდი საბჭოთა ქვეყნის
ღირსეული მოქალაქე, ამაყად ევიროს თავი
მთელს მსოფლიოში, რადგან იგი არის ახალი
სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელი, ში-
სი ნუგეში, ლენინ-სტალინის პარტიის აღზრდი-
ლი შვილი, რომელსაც აქვს ახალი, კეთილშობი-
ლური ამოცანები, ახალი მისწრაფებანი, ახალი
ზრახვები. ამასთან, ყველა ეს მოცემულია კონტ-
რასტში საზღვარგარეთულ ცხოვრებასთან. აქურ
ნამორჩენილ ადამიანთა ზრახვებთან, შოჩალობა,
მისწრაფებასთან.

წიგნი იწყება გერმანიის საეპრო გემის „ფი-
ურსტ ბისმარკის“ მოგზაურობით საბჭოთა ნავ-
სადგურისაკენ — ფოთისაკენ. გემის კაპიტანი
ერხარდტი სხვა დროსაც ყოფილა ფოთში. იგი
სიამოვნებით იგონებს პირველი იმპერიალისტე-
რი ომის წელს, როდესაც მან „პრესლუს“ გემ-
ბანიდან ყუბარები დაუშინა ფოთის მშვიდო-
ბიან მცხოვრებლებს. ახლა კი იგი საეპრო გე-
მით მიემართება ნაენობი ფოთისაკენ და თავის
თავს ეკითხება — „ნეტავ რა ხალხია... რა არის
ახალი ამ ძველ ნავსადგურში“, როგორია საბ-
ჭოთა ადამიანები და სხვა. ამასთან, იგი, რო-
გორც „დიდი ნაენის“ მეზღაურე, „გადღე-
ბულია კარგად. იცოდეს ყოველი კვლავ
ჩვენი გლობუსისა, ყოველი ადგილი, სადაც კი
ფეხი დაუდგამს...“ და მერე რატომ სჭირდება
ყოველივე ეს? „... ვინ იცის, იქნებ ამ ნავსად-
გურისაკენ ერთერთი შორივი გამოგზავრებისა
ჩემს ფეხთ ქვეშ იქნება არა მშვიდობიანი სა-
ეპრო ბომბლის გემბანი, არამედ რომელიმე
ახალი „პრესლუს“ ჯავშნის ფილოები!“, რად-
გან „ეს ნაენლიანა, რუხი ნავსადგური ზღა-
რულად მდიდარი მზიური ქვეყნის კარია... და
ფეხი ამ მტკიცედ უნდა მოვიკიდოთ“ (გვ. 4—
5)—აი, რაზე ოცნებობს ბებერი ტურა-კაპიტანი
ერხარდტი.

ავტორ ფოთის ნავსადგურიც, სადაც „ფიურსტ
ბისმარკმა“ ლუზა ჩაუშვა, ხოლო მისი კაპიტანი
პირველად შეხვდა საბჭოთა ადამიანებს, რომ-
ლებსაც ავრე თავამოღებით უყვართ თავისი
ქვეყნა, თავისი მზიური სამშობლო. კაპიტანი
კი ამაოდ არის გახარებული პირველი შთაბეჭ-
დილებით, რომ ნავსადგურში გემები ცოტაა,
მაშასადამე, კომუნისტებს საქმე ეუღლად აქვთ!

* გიორგი ჩიკვაიძე, „ოთხი შეხ-
ვედრა“, საბლიტგამი, 1950 წ.



მაგრამ უმაღლესე ვაიკო ამის ნამდვილი მიზეზი საბჭოთა ლეკმანისაგან. გემები თუმცა ურიცხვი ზოდან აქ, მაგრამ ისევე ჩქარა ბრუნდებიან დატვირთვა-გადმოტვირთვის ტექნიკის ვაუმჯობესების გამო.

კაპიტანი გამოძიების თვალთ აყვირდება საბჭოთა ადამიანების ტყვეს, მათ მიზნა-მიზნას. აგერ, მისი ყურადღება მიიპყრო ბიჭუნა ელიზბარის სიმკაცრეს, რომელსაც კაპიტანმა აღუთქვა „მზარუნელობა“ ევროპის საუკეთესო მეკარედ გამოყვანაში. მაგრამ, როცა ვაიკო, რომ ელიზბარი ოცნებობს არა ფეხბურთზე, არამედ მეზღვაურობაზე, კაპიტანმა გამოთქვა სერიული შეხვედრობა უკვე მეზღვაურ ქართველს გერმანიის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროებზე, თუ ეს ელიზბარი იქით იმოგზაურებდა. ამით თავდება წიგნის პირველი ნაწილი, პირველი შეხვედრის ამბავი.

წიგნის მეორე ნაწილში ელიზბარ ქართველი-შეილი, მოთხრობის ეს მთავარი გმირი, რომელიც საბჭოთა ახალგაზრდის სახეს, მის აზრებსა და მისწრაფებებს ასახეობს, უკვე იქნება „მისსის“ კაპიტანის უფროსი თანამემგეა. მის ღრულვას — გამხდარაყო მეზღვაური — ფრთხილ შეასხა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, და ერთ დროს ნავსადგურში მოხეტიალე, სწავლას მოწყურებული, მაგრამ საშუალებას მოკლებული, ელიზბარი, ოდეს-საზღვაო ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, არამარტო ცნობილი მეზღვაური, არამედ წიგნის „სპერით კომპასების“ ავტორიც გახდა.

ელიზბარი იმდენად დაეუფლა საზღვაო საქმეს, იმდენად გამოამყვანა თავისი პირადი ღირსება და მზადყოფნა მთელი ენერჯით ემსახურა საბჭოთა სანაოსნო საქმის განვითარებას, რომ იგი, სრულიად ახალგაზრდა, ინიშნება იქეთი დიდი სავაჭრო გემის კაპიტანად, როგორც არის „ზარკოვი“. ამ დანიშნებაში ქართველი-შეილი დაინახა პარტიის ნდობა მისადმი; პარტია კი არასოდეს არ ედებამ იგი მანაც ამ გრძნობით აესონა გემის მეთაურობა, მისი ხელმძღვანელობა. ამასთან, ქართველი-შეილი წინებულად გრძნობდა, თუ რაოდენ პასუხისმგებან აკისრებდა მას ეს დანიშნა სამშობლოს წინაშე, პარტიის წინაშე, მისი ამოზრდილი ხალხის წინაშე! ამისი შეგნება ხომ ნამდვილი საწინდარია იმისი, რომ შიდალიონ შრომაში ხალ-ახალ გამარჯვებებს!

წიგნის იმევე მეორე ნაწილში ავტორი დამაჯერებლად აგვიყვარს ავრთვეთ საბჭოთა მეზღვაურის შინაარსთან, წინამტაც ცხოვრებას ზღვაზე; განსაკუთრებით კარგად არის დახარისხობრებული საბჭოთა ადამიანის ცხოვრების პირობები, ცხოვრების პირობებთან უცხოეთში, სადაც „... მუდამ უნდა განაჯლებდე ღუქმა პუ-

რისათვის, სამუშაოსათვის... ყველა ცდილობს, ერთმანეთს წაეღოს ის ორივე გრძნობა, რასაც მიძვე მეშაობისათვის ხელდახმად იტყვიან“ (გვ. 19).

ავტორის ასევე დამაჯერებლად ქვე მოთხრობილი უკვე „ზარკოვი“ კაპიტან ქართველი-შეილისა და გერმანელ კაპიტან ერხარდტის მეორე შეხვედრა ინგლისის ერთ-ერთ უღამაზეს ნავსადგურში — მერსესში. გერმანელ კაპიტანს არა სჯერა რომ ელიზბარი უკვე კაპიტანის-შისთვის, გერმანელისათვის, ეს უჩვეულო და წარმოუდგენელი იყო — განა შეიძლება ასეთ ახალგაზრდას ენდოს გემის ხელმძღვანელობა? მაგრამ ფაქტად ფაქტად დარჩა... ერხარდტმა მთლიან ქართველი-შეილის მიზატივება და შევენიერ გემზე „ზარკოვიზე“ ეწვია მას.

კაპიტანის ხალხში, ერევის მშვენიერი კონიაკის მითხრების დროს, გერმანელი უჩივის მათი გემების ტყუილზრდალად ნავსადგურებში დგომას, კაპიტანთა არმიის უმუშევრობას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ამის შესახებ, მას საკუთარი შეხედულება აქვს. იმ, თუნდაც გემი „ზარკოვი“. გერმანელის შეხედულებათ ის აგებულა ძველი, გამოცდილი ინჟინრების მიერ. ხოლო ინგლისამდე იგი მიიყვანა არა ელიზბარმა და მისმა კომანდამ, არამედ რომელიმე სხვა გამოცდილმა შტურმანმა.

მიუხედავად ელიზბარის ღრმა, დამაჯერებელი ახსნა-განმარტებისა რომ შომაველი ჩვენს, ახალგაზრდა ქვეყნის ეკუთვნის, გერმანელი კაპიტანი მინაც თავის აზრზე რჩება და მოზოდიშებით ასკვნის: „თანამედროვე ტექნიკა ყოველ სახელმწიფოს აძლევს სშუალებას აიგოს ყოველგვარი ფაბრიკები, ქარხნები, გემები... მაგრამ იმისათვის, რომ ამ სიმდიდრეს დაეუფლო, ვაუმღვე და უპატრონო, საჭიროა დიდი კულტურა და ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ამის გაძლოა. მანქანების აგება აღვილია, მაგრამ კულტურულ ადამიანთა კადრების შექმნა მწელია!.. მით უფრო, როცა ასეთი ადამიანები ზლომად არიან საჭირო“ (გვ. 32). ამ დასკვნით გასცილდა ის საბჭოთა გემის კაპიტანს მასთან მეორე შეხვედრისას.

მაგრამ გერმანელი კაპიტანი მისი ღერძლიანი „დასკვნების“ აზარაობაში ამის შემდეგ ორჯერ დარწმუნდა. ერთხელ — როცა ჩვენმა გემმა, კაპიტან ქართველი-შეილის ხელმძღვანელობით, „კულტურული გერმანიის“ დანჯღრეული გემის ეკიპაი ერხარდტის მეთაურობით დაღუპვის გადაარჩინა სტიქიონთან ბრძოლაში, ხოლო, მეორეჯერ, უკანასკნელი შეხვედრისას, როცა საბ-

ჭოთა გემმა გერმანულ მეგობრთა გემი ჩასძირა, ხოლო მისი ეკიპაჟი ლეინარდის ბებერ კაპიტან ერხარდტთან ერთად ტყვედ წამოასხა.

წიგნის შესაშვ ნაწილში მოთხრობილია იმ საბჭოთა აღმავანების ჰუმანიზმზე, რომლებიც თავს დადებენ, ყოველ ღონეს იხმარენ ხიფ თში ჩაგადნოდ განწირულთა გადასარჩენად. ამავე ნაწილში მოცემულია აგრეთვე საბჭოთა აღმავანების შემდგომი ზრდა, მათი წინსვლა, კერძოდ, ელიზბარს, რომელიც აგრე რიგად დაეუფლა თავის საყვარელ საქმეს, კვლავ წინაურებენ და იმხანვედ ახლდაგებულთ, უმშვენიერესი და უძლიერესი გემის „კომსომოლცი“ კაპიტნად. ამ გემის ეკიპაჟი, საში „მოზუსის“—ქართულიშვილის, ბოცმა სუბრუფოვისა და მთავარ მცველის გორდინეოსს—გარდა, შედგებოდა კომკავშირელებისაგან, რომელთაც მიღებული ჰქონდათ სტალინური წრთობა.

გემი „კომსომოლცი“ წინასწარ მომზადების შემდეგ გაუდგა შორეულ გზას—ელადიუსტოკისაკენ. ეკიპაჟი მთელი ენერგიით იბრძვის რეისის ბრწყინვალად ჩატარებისათვის. მაგრამ, ამავე დროს, იგი როდღ იფიწვებს საერთო, პოლიტიკურ გ ნათლებას. ეკიპაჟის წევრები გაერთიანდნენ ინგლისური ენის შესწავლელ წრეში, რომელსაც თვით კაპიტანი ხელმძღვანელობს, ისმენენ ლექციებს გეოგრაფიიდან, ეუფლებან მარქსიზმ-ლენინიზმს. და აგრე გემი იღებს ცნობას „ფიურსტ ბინშარი“ გასაჟირშია და შევლას ითხოვს.

„კომსომოლცი“ ეკიპაჟმა მიიღო გადაწყვეტილება იხსნას სტატიონისაგან „ფიურსტ ბინშარი“. მიუხედავად დიდი სიძნელისა, საბჭოთა აღმავანებმა სტატიასთან თავგანწირული ბრძოლით ვადარჩინეს გერმანიის გემის მთელა შემადგენლობა, რომელსაც ბინა საბჭოთა გემზე მიუჩინეს.

მაგრამ კაპიტან ერხარდტს ახლა სხვა საზრუნავი გ უნდა. მიიღებენ თუ არა ისინი გემის დამოუკის გამო ს დაზღვეთ თანხას? ამასთან. არ იცის, დაავადდობებენ თუ არა აბჭოთა აღმავანებს იმ სამსახურისათვის, რომელიც გაუწევს მათ კატასტროფაში მოქცეული გემის ეკიპაჟს?

ბებური კაპიტანი განცვიფრებმას გამოთქვ მს ელიზბარის განცხადების ვამოე ჩვენნი ხალხი არ არის ჩვეული მიილს ასეთი სახის გუ საიმარჯელოთ.

ამრიგად დამთავრდა ელიზბარის შესაშვ შეხვედრა მის ნაცნობ გერმანულ კაპიტანთან.

საუბარს. 1941 წლის მაისში ტრაქტორებით დატვირთული გემი „კომსომოლცი“ ეწინააღმდეგება მიაღდა. შეიძლება შეითხველეს, ვითევერფის—როგორ, განა ცოტაა ამერიკული ფიურსტ, რომლებსაც შეუძლიათ და მზადონ ტრაქტორება? მაგრამ აქ გასაცვირი არაფერია. ამერიკელი მაგნატები მეტ სარგებლობას, მეტ დოლარებს იღებენ დამიანთა საეღები მანქანების დამზადებაში, ვიდრე ტრაქტორების კეთებაში.

„კომსომოლცი“ განცვიფრებს და დაიწვევს მისი ახლად დატვირთვა, ამ დროს ელიზბარმა შეამჩნია უხვეულო გემი, რომელსაც ბრჭყელია ასობით „სიგურდ სტაკილი“ ეწერა. მამსადაამე, გემი შეეცოისაა, მაგრამ რა უნდა ამ გემზე გერმანულ კაპიტან ერხარდტს, რომელც ელიზბარმა დურბინდით კარგად დაინახა. ყოველივე ამან დააქვეა „კომსომოლცი“ ხელმძღვანელი.

რამდენიმე დღე კიდევ და ნათელი შეიქნა, თუ რას წარმოადგენდა „სიგურდი“. „კომსომოლცი“ რადისტმა ამერიკული გემიდან ცნობა მიიღო, რომ თედორ იფინის, დიდადრიან ფეშისტი მზეცილი თავის დაესხნენ საბჭოთა ქვეყანას... ამ ცნობამ მრისხანება გამოიწვია საბჭოთა აღმავანებში, რომლებიც იქ, შორეულ ქვეყანაში გემზე აღმოჩნდნენ. მათ კარგად წარმოიდგინეს ომის სიმძაფრე, მისი შინაარსი, და დრმოდ დარწმუნდნენ, რომ გამარჯვება ჩვენ დავერჩება. მიიღეს გადაწყვეტილება, — რაღაც არ უნდა დაეღეს გემი თავის ტვირთით სამშობლოში, დონიშნულ ადგილას მიიყვანონ და დამირნენ კიდევ სამშობლოსკენ.

ამ დროს „კომსომოლცი“ შემადგენლობამ ინგლისის სახმედრო-საზღვაო კრეისერ „ენკაუნტერისაგან“ გაავო, რომ გერმანიის სწრაფ-მავალი „ფორარენერტლი“ „სიგურდის“ სახელით შენიღბულია. მისი კუნძულებთან იმყოფება. კიდევ რ მდენიმე ხანიც და ქართულიშვილია „სიგურდი“ შეამჩნია და თავისი ეკიპაჟის მთელი შემადგენლობა ხიფათის თავიდან ასაცილებლად მოაშწაღ. მაგრამ განა სჩვევით საბჭოთა აღმავანებს არ მიიღონ ის ომი, რომელსაც მან თავზე მოახვევენ? ამიტომ კაპიტანმა გადაწყვიტა ჩასძიროს „სიგურდი“. აქ შეითხველი დამაბული მისდევს საბჭოთა აღმავანების აზრისი და გაბედული მოქმედების ამსახველ სტატიონებს. გემი „სიგურდი“ „კომსომოლცი“ პირდაპირი დაჯახებით ზღვის ფსკერისკენ წავიდა, ხოლო მისი ეკიპაჟი ბებური კაპიტნის თანხლებით ტყვედ წამოასხეს საბჭოთა აღმავანებში, რის შესახებაც კრეისერ „ენკაუნტერს“ რადიოთი აცნობეს. ასეთი თყო ორი კაპიტნის მეითებ შეხვედრა.

უტორო იმეღვენებს როგორც სანაოსნო საუშეს, ისე გეოგრაფიის საკმაო ცოდნას. წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ახალგაზრდა შეთხ-

მტარებლით მომავალი მგზავრებს ვაგონის ერთერთ კუბეში ყურადღებით უსმენენ შეხვედრის მონაწილის კორნეი იაკოვლეიჩის

ველთ, დაინტერესებს მათ და ხელსაც შეუწყობს სახლგაო საქმისა და გეოგრაფიის შესწავლაში.

სწორად მოქცეულა ავტორი, როცა წიგნის ბოლოში დაურთავს შენიშვნები გაუგებარ: სიტყვების ასასწავლად.

მიუხედავად ამისა, მაინც გვიჩნდა შევედარეთ ავტორს ზოგიერთ გამოთქმაში. მე-17 გვერდზე წერია „ეთხოვებოდა გემს, რომელზედაც (თუ რომლითაც?) წლინახევრის განმავლობაში ხე-

რავდა მსოფლიოს ყველა ზღვებს (თუ ზღვას? ვ. გ. 1 და ოკეანეებს“. გვ. 48 — 49. „მე არ ვახე-
ბი ზეიგინის დასჯის აღმინისტრაციულ ღონის-
ძიებებს“, შეიძლებაო ეს უკვე გამოყოფილ
47-ე გვერდზე ნახშირია „კომკავშირის უჯრე-
დ“, უნდა იყოს კომკავშირის ორგანიზაცია.
67-ე გვერდზე „რონოდა“ ვაგონის ნაცვლად.

3. გოგონაძე

ბონობრაშია დიდ ხელოვანში



ვასო აბაშიძე ძველი ქართული თეატრის ერთი ბურჯი, ამ თეატრის სულსინამდგემლი და ერთ-ერთი მშენებებთაგანი იყო. სწორედ მით იხსენება, რომ სახელგამის მიერ გამოცემული სერგო გერსამიას მონოგრაფიას „ვასო აბაშიძე“ დიდის კმაყოფილებით შეხვდა მკითხველი, რომელიც დაინტერესებულია შეიტყოს ცხოვრება ამ დამიანისა, ნახევარი საუკუნის მანძილზე რომ მტკიცედ იდგა ქართული თეატრის სადარაჯოზე და უშიშრად იცავდა მის ღირსებას. ავტორი მართებულად მოქცეულა, როცა წიგნის შესავალ თავშივე გვაცნობს ვასო აბაშიძის გენეალოგიას და დაწერილებით ეხება მის მშობლებს. სამწუხაროდ, თვით ვასო აბაშიძის ურმობაზე ცოტა თქმულია. ვასაგებია, რომ ავტორი ამ მხრივ გადაუღახავა სიძნელეების წინაშე იდგა. ვასო აბაშიძეს, რამდენადაც ვიცით, თავის თავზე არ უყვარდა ლაპარაკი, დღიურები მის არ დაუწერია, არც მემუარები დაუტოვებია. მისა ურმობის მომსწრენი ცოცხალი აღარ არიან და, ცხადია, ავტორს გაუჭირდებოდა საჭირო ცნობების შეკრება და ამიტომაც მონოგრაფიის ეს თავი მეტად შეკვეცილია.

წიგნის შემდეგი თავი ეხება ვასო აბაშიძის პირველ ნაბიჯებს სცენაზე. დღევანდლამდე ჩვენი თეატრის მკვლევარი ვასო აბაშიძის სცენაზე პირველად გამოხვდის თარიღად 1875 წელს თვლიდნენ. ამ დებულებას ავტორი მართებულად აბათილებს და დაასვენის, რომ ვასო აბაშიძე პირველად გამოვიდა სცენაზე 1872 წლის შემოდგომაზე. ავტორი, ეხება რა ვასო აბაშიძის აქტიურულ მონაწილეობას, სამართლიანად იშველიებს იმ მკვლევართ, რომელთაც ბევრი ყარგი სტრატეგიაში უძღვენს ამ უნიჭიერები

მსახიობის პორტრეტის შექმნას. მაგრამ რომელ პორტრეტისტს ან მემუარისტს შეუძლია, რაოდენ ნიჭიერიც არ უნდა იყოს იგი, სული შთაბეროს და ცოცხლივ წარმოგვიდგინოს მსახიობის მიერ შექმნილი სახეები? უშუალოდ თუ მსახიობს არ მოუსმენ და არ განიცდი მის შემოქმედებას, ისე აღწერილობით ძნელია ოდნავ მაინც წარმოიდგინოს ის მსახიობი, რომელსაც პორტრეტებისა და მონოგრაფიების ტომები ეძღვნება. მაგრამ, ავტორს მაინცდამაინც ვერ ვუსაყვედურებთ, თუ იგი წიგნს ტყობათვს დიდი ამონაწერებით და ამა თუ იმ პიესის ყველადათვის ცნობილი მონოლოგებისა და დიალოგების მოყვანით, რაც, ცხადია, მონოგრაფიის საკითხავად ძნელსა ხდის.

ავტორი დაწერილებით არჩევს ვასო აბაშიძის მიერ შესრულებულ როლებს: ზიმიზოვის („მეპოპო“), საქოს („მსხვერპლი“), ბესოს („ალატია“), კარაქტას („ბუნწი“) და სხვა. ვასოს მიერ შექმნილი სცენიური სახეები მარტო მშობლიური დრამატურგიით არ ამოიწურებოდა. მართალია, საარქივო მასალები არაა საკმარისი დავანახობ მკითხველს, როგორ ასრულებდა ვასო გრიბოედოვის ფამუსოვს („ვია ჰეუსიანა“), გოგონის გორდინიისა და ხელსტაკოვს („რევიზორი“), ოსტროვსკის ბელოგლებს („შეშინაფლანი ადგილი“), რამდენადაც ამ პიესებში ვასო უფრო ხშირად თამაშობდა ზეცხარამეტე საუკუნის მიწურულში და რეცენზენტები მხოლოდ ხობტის შესხმით კმაყოფილდებოდნენ და როლების ანალიზს თითქმის არ იძლეოდნენ, მაგრამ ვასო ხომ ხანდაზმულობისას ხშირად თამაშობდა რუს და გერმანულ კლასიკოს-

თა ისეთ პიესებში, სადაც აღნაგობით ეს პატარა ადამიანი სცენურ სახეთა გამოქრწევით გოლიათად გვევლინება. საკმარისია გავიხსენოთ ოსტროვსკის შმაგა ვასო აბაშიძის შესრულებით, რომ ცხადივე წარმოვიდგინოთ დიდი ხალას ნიჭის მსაზიობა, რომლის უოველოვე ხატევა, გამოხედვა, სიარული, ენებები ისეთი კომიზმით იყო აღსაყვ, რომ დაუსრულებელ სიცილს იწვევდა მკურებელში, ამასთანავე გაოცებდათ, რა უბრალო ხერხებით აღწევდა ამას აქტიორი. ვერაფერით თეატრალიბას ვერ შეაძნელებით მის თამაშში. სიმართლით და ბუნებრიობით, ზომიერებით აღწევდა ამას მსახიობი. ამაში იყო ვასო აბაშიძის სიძლიერე, ამით გვიხლებდათ იგი და უტოლდებოდა რუსეთის თეატრის ისეთ ბუმბერაზ მსახიობთ, როგორც იყენენ ვასოს თანამედროვენი დავიდოვი და ვარლამოვი. გვეონია, ურბოვ არ იქნებოდა ვასოს პორტრეტის სრულყოფისათვის ავტორი შეხებოდა მსახიობის მიერ რუსულ და გეროზულ კლასიკურ პიესებში შესრულებულ როლებს, რაც უფრო ნათლად წარმოგვიდგენდა ამ უბაღლო ნიჭის ადამიანის სახეს.

სპეციალური თავი ეძღვნება ვასოს როგორც რეჟისორს. ავტორი აღნიშნავს, რომ „როგორი იყო იგი როგორც რეჟისორი ამის შესახებ დოკუმენტური მასალები არ მოგვეპოვება და ამიტომ არა გვაქვს საშუალება მისი რეჟისორული სახე აღვადგინოთ არამტოფ დეტალებში, არამედ მთავარ დამახასიათებელ ხაზებშიცო“, და ავტორიც იძულებულია საერთო მოსაზრებებით დაკმაყოფილდეს და მართლაც კონკრეტულად ვასოს მოღვაწეობა, როგორც რეჟისორის, თითქმის არა ზანს მონოგრაფიაში. რაც შეეხება ვასო აბაშიძის შეხედულებებს თეატრზე, ავტორის შემოქმედებასა და როლების მომზადებაზე, მონოგრაფიაში ვრცლად არის მოყვანილი აბაშიძის თეორიული მოსაზრებანი და პრაქტიკული მითითებანი, რასაც დღესაც არ დაუარაგებს მნიშვნელობა და ბევრ კარგ მას-

ლის აძლევს აქტიორებს. ყურადსაღებია აბაშიძის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე, მისი ადგილი ქართულ თეატრის ისტორიაში და ვ. აბაშიძე პირად ცხოვრებაში, ვასო აბაშიძე ისეთი თვალსაჩინო ფიგურა იყო, ისეთი ორიგინალური, მისი ცხოვრება ისეთი მდიდარი იყო ლენით თუ გაჭირვებით, რომ მკითხველი ვერ დაკმაყოფილდება იმ ორიოდ ეპიზოდის გადმოცემით, რაც თავისთავად საინტერესოა და ლაზათს აძლევს წიგნს, მაგრამ რაც არ არის საკმარისი. აბაშიძე ზომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული თეატრის ბერჯი იყო, ამ თეატრის ერთგული დარაჯი, მისი გულმართალი და უშიშარი რაინდი და, ვგონებ, კარგი იქნებოდა, თუ ავტორი ამ მხრივ უფრო მეტ მასალას მიაწვდიდა მკითხველს.

წიგნში ფაქტები სწორად არის გაშუქებული და დასკვნებიც მართებულია. ასევე არ ითქმის მონოგრაფიის სტილზე და, თუ გნებავთ, ზოგჯერ მართლწერაზედაც. მაგალითად, „ახლა გავყვით შევეხეთ საერთო ხაზებში როგორ მიჰყავდა მას ზომიზიობის ოტარებდა ვ. აბაშიძე სცენას, სადაც ზომიზიობა ბეპოს ამხელს. იმ ადგილის წაყვანა საერთოდ შეიძლება ორი მთავარი ზაზით“ (გვ. 30 — 31); „მეორედ გავხედა შეიძლებოდა მხოლოდ გასულ სეზონში დადგმულ პიესის“ (გვ. 42). „... მაგრამ როცა ბეპო ზომიზიობის „ნაჩუქარ ფულს“ ტრჩებზე მიართყავს“ (გვ. 29). უსულო საგნის „წაყვანა“ არ შეიძლება, არც როლის „ტარება“ და არც პიესის „გაშეება“, ფულს „ტრჩებზე კი არ არტყავენ“, არამედ სახეში მიხლიან, მით უმეტეს პიესის ავტორს რემარკებში სახე აქვს მოხსენებული და არა ტრჩები. ასეთი სტილის ტური შეცდომები ამ საყურადღებო მონოგრაფიის ღირებულებას ამცირებს, რაც ავტორმა შემდგომ მუშაობაში უნდა გაითვალისწინოს.

ბ. ზურთიკაშვილი

ხემიდ ხალვაში — „დილა მშვიდობისა“.

აქარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა



ხემიდ ხალვაში აქარაში მომუშავე ახალგაზრდა მწერლების ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელია. იგი საწერლო ასპარეზზე ომის შემდეგ გამოვიდა და პირველი ლექსითვე მიმპრო მკითხველთა ყურადღება.

ლექსთა კრებული „დილა მშვიდობისა“, რომელიც ახლახან გამოსცა აქარის სახელმწიფო გამომცემლობამ, ახალგაზრდა პოეტის მეორე წიგნია. წიგნი ლექსების ოთხი ციკლისაგან შედგება. ამ ლექსების უმეტესი ნაწილი დაწერილია მხატვრული განზოგადებით, მათ ახასიათებთ თემატიკური სიახლე.

პოეტი ცდილობს თავისებურად, თავისი ხმოვანი უმღეროს ჩვენი ქვეყნის დიად მონაპოვარს, დაგვანახოს ჩვენს ხალხში ის ახალი თვისებანი, რომელნიც მხოლოდ საბჭოთა ადამიანს აქვს და ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი და ტიპიურია. პოეტი გვიჩვენებს ახალ სოფელს, ახალ ქალქს, მუშისა და კოლმეურნის თავისუფალ და დიად შემოქმედებითს შრომას, უმღერის სამშობლოს სახელოვან წარსულს, მის აწმყოსა და მომავალს, ერთნაირი სიყვარულითა და გატაცებით უმღერის საქართველოს, რუსეთის და უზბეკეთის მიწას, ქართველ მეჩხიე ქალსა და უზბეკელ მებამბე ქალიშვილს. რუსთაველსა და ნავთის, სამამულე ომის ლეგენდარულ გმირს — კომკავშირულ ალექსანდრე პატროსოვსა და საბჭოთა კავშირის გმირს — ალექსანდრე ჯინჭარაძეს, როგორც ზედავთ, ყველა ეს თემა დამახასიათებელია საბჭოთა პოეზიისათვის, მაგრამ მათს მხატვრულ გადაწყვეტაში ხემიდ ხალვაში თავისი საკუთარი ხმით, თავისი სახით გვევლინება.

პოეტის ერთ-ერთი კარგი ლექსია „მ მ ბ ა ვ ი ე რ თ ი შ ო ფ რ ი ს ა“. ისმალეთის მოსაზღვრე სოფელ სარფისაკენ მიმავალ პოეტს გზაზე საბარგო მანქანა დაჟეჟა. მანქანა სარფში მიდის. შოფერი მანქანაში ჩაისვამს პოეტს. შოფერი ლაზია, იგი თურმე ხოფელი ყოფილა. მამამისი ქვისმთელი და მეჩუქერთმე იყო. წელზე ფეხს იდგამდა, დღედაღამ ოფლსა ღვრიდა აუტანელ შრომაში, მაგრამ თავის ს.რ. ჩის მაინც ვერ შოულობდა. შილთან ერთად სარფში მოსულა. მაგრამ აქაც ვერ უპოვია ს. მართლედ და გაჭირვებასა და შიმშილს შეუწირავს. „ეს ძველად იყო, მაშინ სარფს შუა არ ჰქონდა ზღუდე“. მეერ სოფელი შუაზე გასჭრეს 10. „მნათობი“ № 11.

და ნახეური სარფი ისმალეთმა მიითვისა. ორად გაიყო ლაზების პატარა სოფელი. მღონარე ტინაში დაფლთ საზღვრად ვაღმა-გამოღმა სარფულეს. „მერე გადატრეს... მე ობოლს ბედმა აქ მარგო მოცდა... წამოვიზარდე, ოქტომბრის დიადი შუქი მომწვდა“, — ჰყვება შოფერი.

გაიზარდა ბავშვი. იგი ჩვენი ნათელი ცხოვრების ერთ-ერთი მშენებელი შეიქნა და ახლა გულსიტყვილით გასცქერის ვაღმა მხარეს დარჩენილ სარფს, იქ მცხოვრებ ლაზებს. „ახლა გავხედავ ხანდახან რუხად გადაშლილ სივრცეს, და ვგრძნობ ტანჯული სოფელი იმედის თვალთ მიცქერს“. მაგრამ დაღვება დრო და პოეტის ჩვეულებით ვაღმა სარფშიაც დამკვიდრდება ბედნიერი ცხოვრება.

„და მე ოცნებით ვიზილე მომავლის დილა ცხადი, როცა ლაზეთი შიორთვის კრემლის მზითა და ვარდით,

როცა ჰმუნვა და ცრემლები არ დასწყავს იმთა ღაწვებს და ბათუმიდან შოფერი ტრაპიზონისკენ გასწყევს“.

ამ ლექსის პოეტური გაფიქრება ფრიად თავისებურია. ლექსს აქვს თავისი სხარტი სიუჟეტი. მასში ყოველი სტროფი კონკრეტული და ზუსტია. ახალგაზრდა პოეტი სამოცდაათსტრიქონიან ლექსში ახერხებს დაჯიხბაოს მოხუცი ლაზის უკუღმართი ბიოგრაფია, მისი ობლად დარჩენილი შვილის ოქტომბრის ნათელ გზაზე გამოსვლა. ლექსში ნახვენიბია ლაზეთის არა მარტო წარსული, აქ ვხედავთ მის დღევანდელ და ზვალინდელ დღესაც.

ისმალეთის მიერ მიტაცებულ ლაზეთის მიწას, იქ დარჩენილ საქართველოს ძეგლებს, იქ მონობაში მყოფ ლაზებს ეხება ლექსი „მებადღურის ოცნება“, „შესხური ციხე“, „ქოხი ზღვისპირზე“ და „უროხის ზეშაიდი“.

შორს, ზღვაში, მებადური თევზს იჭერს, სახლში მშვიერი ცოლშვილი ელოდება, მაგრამ ვერაფერს მიუტანს მათ, რადგან ნავლია და ზღუდე სხვისია და პატარანი არაფერს მისცემს. მებადური საბჭოთა ცის ღაფარდს გაყურებს, ვით საოცნებო მომავალს.

„შორს, ზღვაში, ნავის აფრინდან ერთი თოლია აფრინდა,



ფრთების მოქნევით შებადურს
კვლავ დაბრუნებას დაჰპირდა.

შერა გაანდო ფრინველს და
ლაზი მწუხარედ დაფიქრა,
თოლია ჩვენი სარფისკენ
ოცნებასავით გაფრინდა*.

წიგნში შეტანილია სამი ლექსი ლენინზე. მაგრამ ახალგაზრდა პოეტს ჯერ ვერ უოფნის მდიდარი პოეტური ფერები, ზუსტი და ნათელი მეტაფორები, დახვეწილი ფორმა, გამჭვირვალე და მკვეთრი ენა ლენინის სახის დასახატავად.

პოეტს მაინც აქვს კარგი სტრიქონები:

„ბევრი დაეცა ომში და სხვაგან,
ვინ ხმლით დასჭრეს და ვის ტყვია მოხვდა,
ყველა სიყვდილი ერთმანეთს არ ჰკავს...
იტყვიან — იყო და მერე მოკვდა.
ყველაზე მძიმე სიყვდილი ქვეყნად
ოცდაოთხი წლის იანვარს მოხდა“.

ახალგაზრდა პოეტი გატაცებით უმღერის დალ ოქტომბერს. მწერალი შვიდი ნოემბრის დღეს განიძღვის, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერის დაწყებას. „ეს დღე ქარში და ყინვაში იშვა, როს ქვეყანაზე ბურჟისი იწვა“, საბჭოთა ხალხი თავდადებული შრომით შეუდგა სოციალისტური საზოგადოების შენებას.

„რომ ქვეყანაზე გვჭონდა კარგი
სიცოცხლე, სუნთქვა და სიყვარული“.

პოეტი მთელ რიგ ლექსებს უძღვნის საბჭოთა სამშობლოს. მის ადამიანებს, მოქმედებს, კოლმეურენს, სოციალისტურ შრომის გმირებს, საბჭოთა ახალგაზრდობას, რომელიც გულიც შემოქმედების ცეცხლით ანთია და, როგორც პოეტი ამბობს, მატროსოვისა და კომსოვლის თათბისანი არიან. ზემოდ ხალვაში ამაყობს, რომ ის ამ თათბას ეყუთვნის. „შე მიხარია, რომ კომსოვლის და მატროსოვის თათბისა ვარ“.

პოეტი უმღერის შრომის გმირებს. სამამულო ომის დღეებში მამაკაცებთან ერთად ქალებმაც სასწაულებრივი გმირობა გამოიჩინეს როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. ქალებმა ომში გააცილეს შვილები, ქმრები და ძმები. ქალები ამარაგებდნენ სახელმწიფოსა და ფრონტს სურსათ-სანოვავით. კოლმეურნეობაში ქალი ვადმწავებტი ძალა შეიქნა. ქალი ახლაც მხარში უდგას მამაკაცს და დაუღალავად იბრძვის ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის.

„ყუანა გაგვიხდა სამკალი,
ოქროს შმივები დაცვივდა,
ქალი, შემოკარ ნამგალი,
წაბლის ბეღელი მაღალი
გაიავისთ პურის მარცვლითა“.

საბჭოთა ქალი საზოგადოებრივი ცხოვრების თანაგარდში დგას. დღეს არავის გვიკვირს, რომ ჩვენი დიდი ქვეყნის ქარხნებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მილიონობით სტახანოველი ქალი გვეყავს, რომ ჩვენ გვეყავს მეცნიერი ქალები, საბჭოთა კავშირის გმირები. არავის უკვირს, რომ საქართველოში სოციალისტური შრომის გმირი ქალები მამაკაცებზე უფრო მეტია.

„შემოკარ, მოსუერ, შეკონე,
წელმსხვილი ძნები შეკონე,
შენი სიმღერა ისმოდას,
როგორც ხმა ლურწმის ღეროდან,
ვით ნაოშარი ვაქაჯი
ფრონტიდან მოიმღეროდა“

უღუნება ვაეი ქალს ლექსში „პურის ყანაში“. ეს ლექსი ერთ-ერთი კარგი ლექსია კრებულში, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყველაფერი აღწერა, და არ არის ნაჩვენები ადამიანები, შრომა. პოეტი ამბობს: „ყუანა გაგვიხდა სამკალი, ფერი იცვალა ყანაში, ნიაჭა ზარდა კანკალით, ნიაჭის ტუბილმა ნანაში“. კარგია ეს სტრიქონები, მაგრამ პოეტს, ამასთან ერთად, უნდა ეხევენინა, თუ როგორ ზრდაან ჩვენი სოფლის მეურნეობის ნოვატორები პურის ყანას, როგორ იღებენ მაღალ და უხე მოსავალს. როგორ მოყავთ ორანი ფუთი ზორბანი კოლმეურნეებს იქ, სადაც წინათ გლეხი სამოც ფუთსაც ვერ იწვევდა. დღეს ნიაჭის ტუბილი ნანა კი არ ზრდის ყანას, არამედ მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკა. კარგი ყანა ამინდსა და ბუნებაზე აღარ არის დამოკიდებული. კარგი ყანას ადამიანები ზრდიან.

ასეთი აღწერითი ხასიათის ლექსები ზნორია ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ამ ნაკლს ნახავთ არმარტო ახალგაზრდა მწერალთა ლექსებში, მას შეხედებით ბევრი ჩვენი მოწინავე პოეტის ლექსებშიაც.

ეკითხულობთ ლექსს სხალ სოფელზე: სოფელში წყლის წისქვილის ადივას ვლექტრონის წისქვილი მუშაობს. სოფლის პეიზაჟში, ხარისა და კვირის ნაცვლად, ტრაქტორს, კომბაინს და სალემ მანქანას ვხედავთ, საკოლმეურნეო გზაზე აღარ ისმის ურმის კრიალი, საბარჯო მანქანები მიმოქრიან უოველგან. სიმინდის ღერი ვერ იკავებს მძიმე ტაროებს, საყვ თავთაეი მიწისაყენ დაბრია, ოქროსფრად ზნანავს ყანა, ზღვა მოსავლის აღებას ვერ აუღის ხალხი.

სიუბიექტით და სიმბოლურად სავსეა კოლმეურნეთა ოჯახი. ყველაფერი ეს აღწერილია ლექსებში, მაგრამ არაა ნაჩვენები ადამიანები, რომლებიც ჰქმნიან ამ სიმბოლურს, არ არის ნაჩვენები ტრაქტორისტი, რომელმაც შესცვალა გუთნისდედა, არ არის ნაჩვენები მექანიკოსი, რომელმაც შესცვალა მეწისქვილე. არ არის ნაჩვენები შრომის პროცესი.

პოეტს ლექსების მთელი ციკლი აქვს მიძღვნილი ხალხთა მეგობრობისადმი: „ნაფი და რუსთაველი“, „სამარყანდი“, „ღვინის დეჰანი ჯალა-აბადში“ და სხვ. სამარყანდი, ეს პრისხანე ქალაქი, რომელიც შიშისზარს სცემდა წარსულში როგორც მეზობელ, ისე შორეულ ქვეყანას, ახლა თბილად ეგებება ქართველ პოეტს.

„ჩვენ ძველი და უსაბამო შური ვეჭონდა რამდენი, მაგრამ ახლა სამუდამო ძმა სამარყანდელი.“

ძმა, რადგან შეგვკრა ძმებად მზემ-სხივებს რომ გვასტურებს, აქ სტალინის ქანდაკება დგას, მსოფლიოს გაპყურებს“.

კარგი ლექსებია „დიდი დღე“, „ბალადა ჩონჯურზე“, „სიმღერა ვიჩარ აიხარაქეზე“, „დუღის სიტყვა“ და „ის აშხაბადის ახლოს დავტოვე“.

კარგ ლექსებთან ერთად კრებულში სუსტი ლექსებიც გვხვდება. წიგნში დაბეჭდილია ლექ-

სი „კომუნისტი“. სათაურის მიხედვით აქ, თითქმის, დახატული უნდა იყოს კომუნისტის სახე, მაგრამ ათავებთ ლექსის კითხვას და გაოცებული რჩებით. ლექსში „ქალიშვილი“ თათბირზე წასასვლელად ემზადება: „გარეთ ქარბუქი ღმუის აშარი, გაივსო გზა და ეზო თოვლითა“, დედა ურჩევს გოგონას არ წავიდეს თათბირზე ასეთ აედარში. მამა დაფიქრებით მიმართავს შვილს: „ტყუილად რისხდები, აედარს კი არა, მთას გააპოზენ კომუნისტები“. განა კომუნისტის სახის დასახატავად საქარისა აედარში თათბირზე წასვლა?.. რა არის ამში განსაკუთრებული? არაფერი. ნუთუ კომუნისტის დამახასიათებელი თვისება სხვა ვერაფერი ნახა ავტორმა?!

პოეტი იმეორებს სახეებს, მეტაფორებს. ხშირად ენა არ არის დახვეწილი. ამ შხრივ პოეტს დიდი მუშაობა დასჭირდება. გვხვდება ერთსა და იმავე სიტყვების განმეორება: „მზე შუქს რაოდენ სიუხვით ხარჯავს“, „სიუხვით ხარჯავს მადლიან ბაღში“, და კიდევ: „როგორც იმედი დაუხარჯავი“.

პოეტი ლექსს „ახალგაზრდა მგოსანს“ ასე ამთავრებს:

„და ჩემად ღამეც ფიქრივით დნება, ჭაბუკი ლექსით შეხვდა განთიადს, რა კარგი იყო ეს გათენება, ლექსი ბელადის შუქით ანთია“.

ბელადის შუქით ანთია ჩვენი ცხოვრების ყოველი კუთხე, საბჭოთა ახალგაზრდობის, საბჭოთა ადამიანების ყოველი საქმე, ყოველი აზრი და მისწრაფება.

ზ. ნ. ხეთელი

ფრიდრიხ შილერი — „ტრაგედიები“

თარგმანილი გერმანიულიდან ეახტანგ ბეწუქელის მიერ.



ქართული კულტურის მოამბენი ყოველთვის დიდ ურადლებას ჰქცევდნენ მსოფლიო ლიტერატურის წარმომადგენლების ნაწარმოებთა გაუმოთარგმნას ჩვენს ენაზე. ამ შხრივ ქართველებს ზრწყინვალე ტრადიცია აქვთ.

მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გაიშალა ნამდვილი მუშაობა და ტართველ მეთხველს შეეცა საშუალება საკუთარ ენაზე გასცნობოდა მსოფლიო კულტურის დიდ შემოქმედებს, იმათ, ვინც იბრძოდა სიბნელისა და ადამიანის დამო-

ნების წინააღმდეგ, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

ასეთ დიდ აღამაანთა რიცხვს ეუფუნის ფრიდრიხ შილერი, რომლის „ტრაგედიები“ ახლან გამოსცა სახელგამმა. წიგნში შედის ორი ტრაგედია — „ორლანელი ქალწული“ და „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“.

მძიმე, შეზნულ საუკუნეში ცხოვრობდა შილერი. გერმანიის ისტორიაში ეს პერიოდი სამარცხინო იყო. ფ. ენგელსმა მაშინდელ გერმანიას „ნების ვრონი“ უწოდა. მარქსიზმის ფუძემდებელი „გერმანულ იდეოლოგიაში“ აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ რეფორმაციის დროიდან დაწყებული გერმანიის განვითარება დიდად ჩამორჩა ევროპის სხვა სახელმწიფოებს. გერმანია დაწაფილბულ იქნა მრავალ წერილ სამთავროდ, რომელთაც არავითარი პოლიტიკური და ეკონომიური ერთი ნობა არ გააჩნდათ. გლობთა ომებმა განადგურა ფეოდალური დიდკაცობა და ქვეყნის ძირითად ეკონომიური ბაზად იქცენ წერილი მიწათმფლობელები. მეურნეობის ასეთი ფორმა არ იძლეოდა რამდენადმე მინე რევოლუციური კლასის ჩამოყალიბების საშუალებას. ეპირობა და მრეწველობა მიყვანილი იყო განადგურებად. ამ დროს, როდესაც ევროპის სხვა, შედარებით მოწინავე ქვეყნებში, სამრეწველო ბურჟუაზია იყვავდა გზას, გერმანიის სამთავროებში გ ბატონებული იყო სიბნელე, უმეცრება და აღიარასწილი დესპოტიზმი. ამავე დროს საფრანგეთში მზადდებოდა ბურჟუაზიული რევოლუცია. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეები არც გერმანიას სტოვებენ განზე. გერმანიის მოწინავე ადამიანებიც — ჰმის იმალბებენ ასეთი ჩამორჩენილობის წინა დმდეგ, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, ლიტერატურას დაეყისრა ამოკანა, რომ იგი ყოფილიყო სოციალური პროტესტის გამოხატველი. ეს იყო გერმანული ლიტერატურის აყვავების ხანა. ჩნდება ევრეთწოდებული „ჟიორნალისა და შეტევის“ მიმართულება ლიტერატურაში. სწორედ ამ მიმართულების იდეებს გამოხატავს შილერი მის ადრეულ ნაწარმოებებში. თ. ვის პირველ დრამა „უაიალებში“ ახალგაზრდა შილერი კ რლ მოიორს ათქმეივნებს ისეთ მონოლოგებს, რომელიც გაისმოდა როგორც მოწოდება გერმანელი ტირანების წინააღმდეგ. კ რლ მოიორი გამოდის, როგორც მხურვალე მებრძოლი პიროვნების თავისუფლებისათვის, მაგრამ, მიუხედავად შინების კეთილშობილებისა, მისი მოქმედება მაინც განწირული იყო, რადგან მას რეალური საყრდენი არა ჰქონდა. შილერმა „უაიალებში“ გამოხატა პიროვნული ჯანყი, რომელსაც არ გააჩნია რამე სოციალური რეზონანსი. ასეთსავე გზას

ავტომელებს იგი თავის მეორე ნაწარმოებში „ფიესკოს შეთქმულება“.

ტრაგედია „ფიესკოს შეთქმულება“ შილერმა გ მოაქვეყნა 1783 წელს, როცა იგი 23 წლის ახალგაზრდა იყო. ძირითად იდეა ამ ნაწარმოებშია, ისევე როგორც „უაიალებში“, წარმოადგენს თ ეთუფალი სახელმწიფოს შექმნის დემოკრატიის საფუძველზე. ამ მიზნით გამოჰყავს მას ფიესკო როგორც არისტოკრატიული შეთქმულების მეთაური. მაგრამ ფიესკო დემოკრატიის მომხრე როდეს; ის თუმცა იბრძვის ერთ ტირანის წინა დმდეგ, მაგრამ ცდილობს შესცვილოს იგი საყუთარი ტირანიით. მასში ინდივიდუალური, ეგოისტური მიზნები სკარბობს. ნამდვილი რესპუბლიკელი ტრაგედილაში შილოდ ვერიანა, მაგრამ არც იგი იჩენს თანიმიდევრობას. ის ჰელავს ფიესკოს და ძველი წიობილების მხარეზე გადადის. ასეთი დასასრული შილერისათვის ლოგიკური იყო, რამდენადაც მას არ გამოჰყავს რამევე სოციალური ძალა, რომელიც ზურგს გაუმაგრებდა ვერიანას მის შემდგომ ბრძოლ ში. საერთოდ მასები აქ არავითარ რაღს არ ასრულებენ, შილერი მათ ვერ ამჩნევს და არც შეეძლო შეემჩნია, რადგან, როგორც ენგელსის მითითებიდან ჩანს, მაშინდელ გერმანილაში არ იყო ცოტად თუ ბევრ დ მებრძოლა კლასი, ხოლო პიროვნულ ჯანყს არ შეეძლო სოციალური გარდატეხის მოხდენა.

სულ სხვა ხასიათისა და სხვა დროს დაწერილა მეორე ტრაგედია „ორლანელი ქალწული“. იგი გამოვიდა 1801 წელს. შილერის შემოქმედების ეს ხანა უკვე სრულიად განსხვავდება მისი ადრეული პერიოდისაგან. სწორედ ამ პერიოდის შესახებ აღნიშნავენ მარქსი და ენგელსი, რომ შილერმა ვერ მონახა გ მოსავალი სოციალური საკითხების გადაჭრაში და თავი შეაფარა ისტორიას, ე. ი. დიოწყო ისტორიული თემების დამუშავება. მის ამდროინდელ ნაწარმოებებს უკვე აღარ ახასიათებს ის მებრძოლი სული, რაც ადრე წიყვანი იყო შილერის ტრაგედიებისათვის. შილერი იჩენს ისტორიის იდეალისტურ გაგებას. მის მიერ გ მოყვანილი თანადარკის მოქმედებას შილერი წინასწარ განსაზღვრულად და განპირობებულად ვეიხატავს, მაგრ მ ამავე დროს არ ანთავისუფლებს მას მოწიერი, რეალური გრძნობებისაგან. იგი ილუზება, როცა მის გულში სიყვარულის გრძნობა ილექებეს; მისი დაღუპვა გამოწვეულია როგორც მოწიერი და ზეციური სამყაროს დაპირისპირების შედეგი.

მიუხედავ ამისა, ეს ნაწარმოები მეტად საყურადღებოა, რადგან მასში მოცემულია სურათი ფრანგი ხალხის ბრძოლისა დამოუკიდებლობისათვის ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

„მა რა არის მ.სხე კარგი, წმინდა,
უბიწო,
იბრძოდე შენი სამშობლოსთვის, შენი
ხალხისთვის?“ —

ამობს ენა. სახელგანთქმული რუსი მსახიობი-
ქალი მ. ერპოლოვა 1884 წლიდან 1902 წლ მდე
განუწყვეტლივ ასრულებდა ენა დ'არკის როლს,
რასაც ცარსის პირობებში დიდი პროგრესუ-
ლი მნიშვნელობა ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის
დროს ფრანგი ხალხის ნაციონალური ვიბრი ე-
ნა ფრანგი პარტიზანების საბრძოლო სიმბო-
ლოდ გ დაეცა გერმანული ფაშისტების წინა-
აღმდეგ ბრძოლაში.

მთარგმნელს, ვახტანგ ბუწუველს, დიდი შრო-
მა გაუწევია აღნიშნული ტრაგედიების გად-
სათარგმნად. მის სას ხელოდ უნდა ითქვას, რომ
ქნელი ამოცანა მან წარმატებით დასძლია, რამ-
დენადაც შილერის სარგებლობს ს კმაოდ რთული
პოეტური მეტრეელებით და მისი თარგმნა არც-
თუ იოლი საქმეა. მთარგმნელი კარგად გადმო-
ცემს შილერის პოეტურ ენას და თითქმის სი-
ტყუა-სიტყვით მისდევს დედანს. თ რგმანში ად-
გილი აქვს მხოლოდ ზოგიერთ შეუსაბამობას,
რაზედაც გვიჩნდა შეეჩეროთ მკითხველის ყუ-
რადღება. თარგმნში ვკითხვლობთ:

„და იგი დიდხანს მდებდა ყველა
შემოსახვევში.
ქებდაც მუზარადს — ბრწყინვალე და
მშვენიერია...“ (გვ. 13).

აქ მთარგმნელს გამოჩნა მთელი წინადადება:
„Mir den Helm aufnötigend, den ich nicht
wollte“, რაც თარგმნში აზრის გაბუნდოვანე-
ბას იწვევს.

როცა კარლოსს მოახსენებენ, რომ ჯარისკა-
ციები შინ მიდიან ზელფასის მიუღებლობის გა-
მო, ის წამოიძახებს: „Sie sollen mich jetzt
nicht, nicht jetzt verlassen“. ეს ასეა თარგ-
მნილი: „...და ნუთუ უნდა მიმატოვონ ამ ვასა-
ჭირში?“ (გვ. 29). დედანში ესაა განწირულ-
წამოძახება, როცა ს შველი აღარსით არის, ხო-
ლო თარგმანში ეს განწყობილება სრულიად
იკარგება. ასევეა მეორე დგილასაც: როცა
კარლოსს მოახსენეს, რომ წარგზავნილი კაცი.
ამბისმოძრანი დაბრუნდა, აღტაცებით წამოი-
ძხა: „Willkommner Botel“ თარგმანში: „კარ-
ლოსი. — ის სასურველი სტუმარია!“ „Der Bo-

te“ სტუმარს არ ნიშნავს. ტარულად „შეიკა-
კის“ გარდა უფრო უცეთის შესატყვისი გვქცა
მისთვის — „მაცნე“. (მაცნე მოვიდა „მატო-
ლა“. — ვაქა).

ტრაგედიაში ჩართული ლექსები საერთოდ
კარგადაა თარგმნილი, მაგრამ ერთი ადგილი კი
მიანც ვერ არის დამამკაყოფილებელი. ეს ად-
გილია:

„Wer? Ich? Ich eines Mannes Bild
In meinem reinen Buscn tragen?
Dies Herz, von Himmelsglanz erfüllt,
Darf einer ird'schen Liebe schlagen?“

თარგმანშია:

„ნუთუ სურათი მამაკაცისა
ამ წმინდა მეგრდით უნდა ვატრო?
გული რომ ციურ შუქით ავისილა
შიწიურ ტრფობით გამოვადარო?“ (გვ. 110).

ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონი აუცილებ-
ლად გასწორებას მოითხოვს: გაურკვეველია ტარ-
თულად რას უნდა ნიშნავდეს „გამოვადარო“.
როცა დედანში ასეთი რამ არ არის.

არის სტილისტიკური ხასიათის უწყვეტიობა-
ნიც, მაგალითად, ასეთი ხასიათისა:

„მათ უტიფარი ფიცი დადეს, რომ ჩვენ
ქალწულებს,
ყველას უკლებლივ, სინიღისა უნდა
აბადონ...“ (გვ. 16).

ჩვეულებრივ ამობენ: „ნამუსი აბადეს“. არის
კიდევ სხვა მცირე ხასიათის შეცდომებიც, რომ-
ლებზედ ც ყურადღებას აღარ შევიჩერებთ.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა,
რომელთა გასწორებაც ადვილი საქმეა, თარგმ-
ნი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. წიგნი გა-
რეგნულად კარგადაა გამოცემული, მაგრამ რე-
დაქტორს უნდა ეზრუნა, რომ წიგნს დართული
ჰქონიდა წინასიტყვაობა. აღნიშნული ნაწარმოე-
ბები ქ რთულ ენაზე პირველად იბეჭდება და
მკითხველისათვის უნდა მიგვეწოდებინა ცნობა,
დუ რა ადგილი უკავია მათ შილერის შემოქმე-
დებში. წიგნს არა აქვს დართული ფრეწვე
სარჩევი, რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

გიორგი გოგოჭაური.

ირ. აბაშიძე — „შევისწავლოთ უძველესი ფრინველი და ცხოველი“



საბლიტგამი, 1950 წ.



ირ. აბაშიძის ახალი საბავშვო წიგნის პირველი სტრუქტურები:

„მოიარე საქართველო, ჩვენი მთა და ჩვენი ბარი, ზაფხულობით, — როცა ყველგან იცეტება სკოლის კარი.“

რა საესეა ჩვენი მზარე, რას არ ნახავს კაცის თვალი; ყოველ მხრიდან დაბრუნდები სილამაზის ეშხით მთერალი“...

ახალგაზრდა მკითხველს უღვივებს არამარტო პატრიოტულ გრძობებს, არამედ თავისი ქვეყნის უოველი კეთხის ღრმად შესწავლის ინტერესსაც. ავტორის იმავე ლექსში „მოიარე საქართველო“ გკითხულობთ შემდეგ სტრუქტურებს:

„ბუნებაში ყველგან რალაც საიდუმლო გვემალება, მითი ცოდნა, დაუფლება უოველ ჩვენგანს ევლება“.

ამ სტრუქტურებს მარტო პედაგოგიური რჩევადარიგების ხასიათი როდი აქვს. იგი შემეცნებითი მნიშვნელობისაა. ბუნების ყველაზე დიდი გარდამქმნელი საბჭოთა ადამიანია. მაგრამ, ადამიანების საკეთილდღეოდ ბუნების დამორჩილება, მისი მოვლენების გახსნა დიდ ცოდნას მოითხოვს. პოეტი სწორედ ამ ცოდნის შეძენის აუცილებლობაზე მიუთითებს ბავშვებს. ლექსის ბოლო ტაეტი:

„შეისწავლე, დახსოვე ვით საუვარელ ლექსის პქარი... მოიარე საქართველო, ჩვენი მთა და ჩვენი ბარი“.

ერთხელ კიდევ ამახვილებს მკითხველს ყურადღებას, ცხადყოფს წიგნის დედაზრს. თუ რა მიზნით ელაპარაკება ავტორი ბავშვებს: „მოიარე საქართველო, ჩვენი მთა და ჩვენი ბარი“, ეს წიგნის პირველ განყოფილებაშივე ნათელი ხდება. პირველი განყოფილება მთლიანად დათმობილი აქვს ფრინველებს. ფრინველების ცხოვრება ბავშვებს

ძლიერ ინტერესებს. მათზე დაწერილ წიგნებს ისინი ინტერესით კითხულობენ. საბავშვო ლიტერატურა ამ მხრივ მდიდარია; ბევრი საყურადღებო წიგნი მოიპოვება ფუნის ცხოვრებაზე. მაგრამ ფუნზე დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებში მეცნიერული სიზუსტე ხშირად არ არის დაცული, ცხოველების გარეგანი და შინაგანი თვისებები ზოგადად არის აღწერილი. იქ გარეგნულ ეფექტს უფრო ყურადღება ექცევა, ვიდრე მოვლენის სწორ, მეცნიერულ ასახვას. ირ. აბაშიძის წიგნი კი იმ წიგნთა რიცხვს გუთუნის, რომელშიაც ფანტაზიის აღგის, უმთავრესად, მეცნიერება იკავებს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ავტორი მხოლოდ მეცნიერული ცნობებით აღვიძებდეს მკითხველის ინტერესს ცხოველთა სამყაროსადმი. პირიქით, ავტორი ეყრდნობა რა მეცნიერულ დასკვნებს, მხატვრული საბეჭებით აღვიძებს ინტერესს ფრინველთა და ცხოველთა ქვეყნისადმი. მისი ლექსები გაუღნთილია საქართველოს იმ ბოთებისა და ველების სურნელოვნებით, სადაც ამ ფრინველთა გუნდები ბინადრობენ.

ამაში ირ. აბაშიძის ლექსების ძალა და ღირსება.

„ფრინველებით სავსე არი საქართველოს მთა და ბარი, მაგრამ ბევრი არ შეგხვდებათ სილამაზით ხობის დარი“.

აქვე ავტორი განაგრძობს: „იკობა რაის ნაოთით, მეცნარეთა შწიფე თესლით; მარე მწერთა მომსაობელი არ იქნება უეტესი.“

ბუღეს აგებს ნიდაგზე, თითქო მხოლოდ ბალახს ქეჭდეს, სამი კვირა ბუღეშია, სანამ შეილებს გამოჩედეც“.

როგორც ხედავთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო მხატვრულ საბეჭთან, არამედ მეცნიერულ დაკავრებებთან და ფაქტებთან. ლექსის შინაარსი ვითარდება ბუნებისმეტყველების შესამამისად და მასში შეტანილია ყველა ის მხატვრული ელემენტები, რომელც ლექსს სრულოფილ და ემოციურ სახეს აძლევს. ამ პრინციპზეა აგებული წიგნი მოთავსებული სხვა ლექსებიც. მაგრამ პოეტი ფრინველებს

მარტო გარვეწული თვისებების აღწერათ როდი
კმაყოფილდება იგი ყველა მათგანს უღებდა
სახოგადობრივი სარგებლიანობის მიხედვით. აქ
ჩვენ ვეცნობით, თუ რა როლს ასრულებს თვე-
თველი მათგანი სახალხო მეურნეობაში, კერ-
ძოდ სოფლის მეურნეობაში. განმარტება, რო-
მელსაც ავტორი ამ საკითხზე იძლევა, სავსე-
ბით აკმაყოფილებს ნორჩ მკითხველს. იგი არ
მოკლავს მავნებლების მტერს კოდალას, ხოლო
პოტს, რომელიც ანადგურებს ფრინველებსა და
ბუბუჭოვრებს, მოსპობს.

წიგნის მეორე განყოფილება ცხოველთა სამ-
ყაროს ეხება. ამ განყოფილებაში მოთავსებუ-
ლია ოცდაექვსი ლექსი. მასში ჩამოთვლილია
თითქმის ყველა ის გარეული ცხოველი, რომელ-
საც ჩვენ საქართველოში ვხვდებით. ავტორი
აქაც აღწერით მეთოდს მიმართავს, მაგრა:მ
აღწერის სავანი მხატვრულ სახეობას, ხატოვ-
ნებას მოკლებული არ არის. თხრობა ვაშლი-
ლია ბუნების ლამაზ ფონზე. ავტორი რომ შეც-
ნიერული ცნობებით სარგებლობს, ეს კარგად
ჩანს ლექსში: „ნიამორა“. ამ ცხოველზე ყალბი
შეხედულება იყო გავრცელებული. ნიამორს
კუბში აქვს ქვა, რომელსაც წინათ სამკურნალოდ
იყენებდნენ. ავტორი წერს:

„კუბში ქვა აქვს, სოფლად ამ ქვით
ექიმობენ სნეულ ბავშვებს,
ვერაფერი წამალია,
არ უსმინოთ ექიმბავშვებს“.

ძველად არასწორი წარმოდგენა ჰქონდათ
მგელზედაც.

„ხალხს ჰგონია: მოურხელი
თითქმის ჰქონდეს მგელს კისერი,
ანდა უნოსეა არა ჰქონდეს: —
ტყუილია ყველაფერი“.

ამის მომდევნო სტრიქონებში ავტორი იგვი-
წერს ყველა იმ თვისებებს, რაც მგელს ახასია-
თებს, როგორც უპირესად მავნე ცხოველს.
მავნე ცხოველთა ოჯახს ეკუთვნის არამარტო
მგელი, არამედ ტურაკი, რომელიც სოფლად
ფრინველს, მოსტრეულსა და ყურძენს ანადგუ-
რებს. იგი დანდობის ღირსი არ არის. ასევე
განადგურების ღირსი არიან: თავი, გარეული
კატა და მისი ოჯახის სხვა წარმომადგენლები.
აქვე უნდა ითქვას, რომ წინათ ცუდი შეხედუ-
ლება ჰქონდათ მელაზე. აი, რას ამბობს პოე-
ტი ამის შესახებ:

„რისთვის ეძახთ მავნებელს?!
რად შეიძლება მელა?!
რატომ არ ინდობთ საცოდავს,
ის განა მავნებელია?“

მელა ანადგურებს მინდვრის მავნებლებს —
თაგებს, ვირთაგებს, ზაზუნებს. იგი:

„შწერსაც სპობს, თითქმის იცოდეს
რა მავნებელიც შწერია,
მაშ, რად ღვენიან მელასა,
ის განა სოფლის მტერია?“

მართალია, მელა ქათმებს ემტრება, მაგრამ,
იგი იმდენად მვენე არ არის სოფლისათვის,
რამდენადაც სასარგებლო. სასარგებლო ცხო-
ველთა რიცხვს ეკუთვნის: ზვენი ბუნების სილა-
მაზე შეელი, ჯიხვი, არჩვი, რომლის „ტყავისა-
გან ქურქებს ჰყერენ, ფეხსაცმელის საპირე-
საც“.

მესამე განყოფილება ეკუთვნის შწერებს,
რომელთა შორისაც პირველ რიგში უნდა აღ-
ნიშნოს ფურტარი. ლექსი „ფურტარი“ საფუ-
ძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ავტორს კარგად
ეხერხება პატარა ფორმის ნაწარმოებში (ლექსი
„ფურტარი“ თექვსმეტი სტრიქონისაგან შეს-
დგება) მოათავსოს ის არსებითი მნიშვნელო-
ბის საკითხები, რომელიც ბავშვს უღვიძებს საგ-
ნის მთლიანად შესწავლის ინტერესს.

„შეთანხმება ასე მხოლოდ
თუ იციან ძმობილებმა,
ნახეთ, ფურტარებს, პატარებო,
როგორი აქვთ წყობილება“.

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ბავშვს
ფურტარის ცხოვრების შესწავლისა და მისი
მოვლა-მოწევის სურვილი ებადება. ფურტარის
საქმიანობით მოხიბლული ბავშვი არაზანანს დი-
დი სიძულვილით შეჰყურებს. მართალია, კრა-
ზანა ფურტარს ჰგავს, მაგრამ, თუ ფურტარი
ციცხლად ყვავილებს ეტრფის, სამაგიეროდ კრა-
ზანა დამბალ ხეხილს, ხორცსა და სურსათს
ეტრნება. იგი მსუნავი, უსაქმური და უსარგებლო
შწერია. ავტორი თავისი წიგნით პატარა მკითხ-
ველში სიყვარულისა და სიძულვილის გრძნა-
ბას აღვიძებს და ანეითარებს. სიყვარულის —
ადამიანთა სიცოცხლისათვის სასარგებლო ფა-
ნასაღბი, სიძულელს — მავნე და უსარგებლო
ცხოველების, ფრინველებისა და შწერებისადმი.
პედაგოგიურად სავსებით გამართლებულია ფ-
ტორის მიერ გამოყენებული ხერხი. ბავშვმა
თავიდანვე კარგად უნდა იცოდეს ადამიანის
სიცოცხლის ფასი და მისი მტრების წინააღმ-
დეგ ბრძოლის საშუალებანი. როდესაც ბავშვი
წაკითხავს ლექსს „ბუზი“, იგი აქტურ მო-
წაწილებას მიიღებს მისი განადგურების საქ-
მეში, ხოლო როდესაც გაეცნობა ამავე წიგნში
მოთავსებულ ლექსს „აბრეშუმის ქვა“, იგი ყო-

ველმზრივ შეეცდება მის მოვლა-გამრავლებას. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე განყოფილებაში მოთავსებული ლექსები დიდად უწყობს ხელს ბავშვის გონებრივ განვითარებას, მის ყოველმხრივ განათლების საქმეს. ბავშვს აქვს საგნებისა და მოვლენების შეგრძნობის დიდი უნარი; საჭიროა მხოლოდ ბავშვებისათვის გათვალისწინებულ მასალას ისეთი ფორმა გამოენახოს, რომელიც არ დაამძიმებს მათს გონებას. ირ. აბაშიძის ლექსებში სადალ და მარტივად არის აღწერილი საქართველოს ფაუნა.

ბევრ ბავშვულ ცხოველს, ფრინველსა და მწერს ერთნაირი თვისებები აქვთ; მათ შორის განსხვავების აღმოჩენა დაკვირვებულ თვალსაც კი გაუჭირდება. ამიტომ, როდესაც მათი თვისებების მხატვრულ გაზრებასთან ვვაქვს საქმე, მოსალოდნელია ერთფეროვანება: მაგრამ პოეტმა გადალახა ეს სიძნელე, მცირე გამოჩაყლის გარდა. მავალითად, ლექსები — „ქიანჭველი“ და „ფუტკარი“ ლექსიკთა და სტრუქტურების

წყობით ძალიან გვიან ერთმანეთს. ბავშვს ამ ორი ლექსის შესვენება წიგნს მრავალფეროვანებას არ უყარავს, მის მდიდარ მხატვრულ ლირსებას არ ამცირებს.

მ. გორგი ამბობდა: ჩვენ გვიჩნდა ისეთი საბავშვო წიგნი, რომელიც ბავშვს ცოდნის შექონაში, სასკოლო მეცნიერების ჩაწვდომის საქმეში დაეხმარებოდა. ამ მოთხოვნილებას საეცებათ აკმაყოფილებს ირ. აბაშიძის საარცენზო წიგნი. მაგრამ, ამ წიგნს დიდი ინტერესით წაიკითხავს და მისვან ვარკვეულ ცოდნას მიიღებს არამარტო ნორჩი მკითხველი, არამედ უფრო მოზრდილიც.

წიგნი დასურათებულია მხატვარ გ. ნათიძის მიერ. ფაუნის წარმომადგენლები ამ წიგნში ობტატურადაა გამოსახული, რაც მკითხველს ხიზლავს და იზიდავს.

3ლ. არბიშიძე

ნიკო კეცხოველი — „ველური ხილი“. საბლიტგამი, 1956 წ.



საქართველო ისტორიულად ცნობილია, რაგორც მებღებობის ქვეყანა. ჩვენში მოდის მრავალი ჯიშის ვაშლი, მსხალი, ყურძენი, ატამი, ციტრუსოვანი მცენარეები და სხვ. მაგრამ ველური ხილიც ისეთი დიდი რაოდენობითაა ჩვენში, რომ ის განსაკუთრებული და სერიოზული ყურადღების ღირსია. მის გამოყენებასა და გამოშვებას გარკვეული და საპატოი დივალი უკავია სახალხო მურჩნობაში.

საქართველოში არის მთელი რიგი კუთხეები—ლაბების ხეობა, თრიალეთის მთის კალთები, არავეის, აღაზნის, რიონისა და სხვ. მდინარეთა ხეობები, სადაც არსებობს ველური მსხლისა და ვაშლის ტყის მასივები, რომელთა ნაყოფიც ყოველწლიურად მწიფდება ტყეებშივე ათეულიათის ტონობით.

ნიკო კეცხოველის წიგნაკში — „ველური ხილი“—განხილულია შემდეგი შემოსავლიანი და სასარგებლო ტყის ხილუელი: ბროწეული, მავლო, პანტა, ტყემალი, ცირცელი, კვირჩხი, კუნელი, ასკილი, ზღმარტილი, მავვალი, ეოლო, მარწყვი, შინდი, კოჭახური და მოცივი.

შირაქისა და ელდარის ბოლოს, სადაც იორა და აღაზანი ერთმანეთს უერთდება, ბროწეულის მთელი ტყეებია. ამ ტყეებში ზოგ გარეულ ბროწეულს ისეთი ნაყოფი ასხია, რომ ბაღისას არ ჩ მოუვარდება. საიდან გაჩნდა ასეთი ბროწეული იქ, სადაც არცერთი სოფელი

არ არის? ეს, ალბათ, ძველი ნაშთია. აქ ზომ გჯერ კიდევ წარსულში, მე თე-მეთორმეტე საუკუნეში, მთელი სოფლები და ქალაქები ჰყვავოდა. მტრის ურდოებმა მოსპეს და გაანადგურეს ყოველივე ზოგიერთი მცენარე ვადარჩა და გაველურდა. მათ შორის ბროწეულიც ვადარჩა და დღევანდლამდე შემოვარჩა.

ეს ულამაზესი და ხანგრძლივად ყვავილოვანი მცენარე, რომელიც ან პატარა ხეც, ან, უფრო სზირდ, ბუჩქად იზრდება, მარტო შირაქსა და ელდარში კი არ ხარობს ველურად, არამედ სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რაიონებშიც ბუერია. ბროწეული მშისმოყვარული მცენარეა და ის იქ იზრდება და ხარობს, სადაც მზე უხვად აფრქვევს თავის სხივებს.

ბროწეულის ნაყოფი მდიდარია ისეთი დიდმნიშვნელოვანი ნივთიერებით, რომელსაც ეიტამინი ეწოდება. ბროწეულის ნაყოფის წენსაგან დამზადებულ პროდუქტს საქ რთველოს სახალხო მედიცინაში დიდი ხნიდან ჰქონდა გამოყენება. ვის არ უნახავს ბროწეულის ნაყოფის ჭერქისაგან დამზადებული მელანი, სამკურნალო პრეპარატი, ტრტისა და იმავე ჭერქისაგან მიღებული ტანინი, რომელსაც ტყეის გამოსაქნელად ხმარობენ, ცნობილი მაშარაბი, ვიტამინებით მდიდარი სასიამოვნო გემოს ტყილი წვენი. „ხილთა ქებაში“ თვითმურაზი ბროწეულს ათქმევიანებს: „ბროწეულმა თქვა: „უზნობით

მართლითა სამართალითა, ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვლითა, მე ჩემსა ხესა მოვკანძავე, ტურფად შევამკობ ხილითა, დარბაზს სუფრასა ავავსებ იაგუნდითა, ღლითა“.

შემდეგ ავტორი იხილავს მთაწარის ანუ ტყის ვაშლს. ჩვენი ზღობი ათასნაირი ჯიშის ვაშლით არის დამწვევებული. ყველა ეს „აბილაური“, „ვესურა“, „სორაშაული“, ანდა უტურფის „არენეტები“ წარმოიშვა ველური ვაშლისაგან. ჩვენს ველურ ვაშლებზე შეხედებით „სინაისი“, „კუხურასი“, „შობასი“, „თურაშაულისი“ „კალვილისი“, „არენეტისი“ და სხვა ჯიშების მავგარ, მავგარმა ბალისაზე უფრო პატარა და უფრო ვაშლებს. ეს ის ჯიშებია, რომელიც ჩვენი ბაღის ვაშლის წინაპრებად უნდა ჩათვალოს.

ნ. კეცხოველის გამოკვლევით, საქართველო ტყეებში დიდი რაოდენობით არსებული ველური მსხლის (ანუ პანტის) ძვირად ღირებული შერქნისაგან აკეთებენ ჩონგურებს, მაჭობს, კოვებს, ჯამებს, ღვინოს და ავადმჯობებს. მცენარის ქერქი — ზანგელა ფერისა და ფოთლები კი ყვითელი ფერის საღებავებს აღწევს. პანტის დიდი გამოყენება აქვს, როგორც საუკეთესო საძირე მასალას, სხვადასხვა კულტურული ჯიშის დასამყენლად. პანტის ნაყოფი მრავალ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს. რადგან პანტის ნაყოფი მტკნარია, მას უმად მხოლოდ მშინ სჭამენ, როცა იგი კარგად ჩაშვადებდა. ამ დროს მას სიმწკრარე კარგად და ზოგჯერ კი სურლიადაც ეყარება. ნაყოფში შაქარი თუ პროცენტამდეა, ამიტომ მისგან ხდიან მსხლის ცნობილ არაყს, აკეთებენ ჩირს, ახმობენ, ფქვილს და ფქვილს ურევენ, ასეთი ფქვილისაგან ტკბილ კვარებს აცხობენ. პანტის გან ამზადებენ ჯემს, პასტილას, ჯელეს, კომპოტს და სხვ.

ცნობილია, რომ გარეული ტყეში კარგი საძირე მასალა სამრეწველო ჯიშის ქლიავისათვის. ტყეში ჩვენი დიდი რაოდენობითაა გარეული მსხლი, ის ადვილად მოსაკრავი ხლია და ფრთხილ სასარგებლო თავისი ქიმიური შემადგენლობით (შაქარი, ვაშლისმევა). ამიტომ მისგან დამზადებულ ტკალას, რომელიც დიდ ხანს ინარჩუნებს ვიტამინებს, ფართო გამოყენება აქვს კვების საქმეში, ისე როგორც კვარასს, ნივრით, წიწკითა და ქინძით შეკმაზულ ტყეშას. ტყეშისაგან ხდიან არაყს, აკეთებენ ჯელეს, კომპოტს, მურაბას.

კოჭახური მდიდარია „ც“ ვიტამინით. კოჭახურის ნაყოფსა და ფესვს ხმარობენ სურბანდის წინაღობდევ მკურნალობისათვის. მისგან ავრთვე საღებავსაც ამზადებენ.

ნ. კეცხოველს შესანიშნავად აქვს აღწერა ცირცელი, ცირცელი ჩვენი მალაღობის და

მამწვევებელი მცენარეა, მალაღობის მთაწარის ცირცელზე ზვეით თითქმის არც ერთი ხე არ არის. ჩრდილოეთის ფერდობებზე, სადაც არცნარა თავდება, იზრდება დეკას ბუჩქი და ხშირად ამ დეკასშიც ცირცელი თავისი კუნძულებიანი ნაყოფით წითელ დროშისაგან ანთა მწვანე ფოთლებში.

დეკათი და ცირცელით თავდება მთაში ხე-მცენარეები და ბუჩქები. ამ ზოლს ზვეით ხე ველარ ხ რიბს, მხოლოდ ბალახი იზრდება და ბალახთა მდებარეობის შემდეგ კი იწყება თოვლი და ყინული.

ცირცელს ჩვეულებრივად ბევრი ნაყოფი ახლია, თბილისის დაკარამდე მწკრარეა, მაგრამ დ თბილისის შემდეგ — საკმაოდ გემრიელია. მისი ნაყოფისაგან ამზადებენ ძმარს, ხილის ღვინოს, არაყს, მარმელადს, ტკალას, ბევრგან ახმობენ, ფქვილს და ფქვილს ურევენ. ასეთი ნარევისაგან საკმაოდ ტკბილია და გემრიელი კვარებს აცხობენ. ნაყოფში შაქარი 8—10 პროცენტია. იზრდება წამლადიც. ცირცელის ნორჩი ცირცელი შავ საღებავს იძლევა.

შემდეგ ავტორი იხილავს ველურ ხილს — კერინჩხს, რომელიც მტკნარ სასარგებლო მცენარეს წარმოადგენს. ამიტომაც, რომ „ხილია ქებაში“ კერინჩხი მსხალს ეუბნება:

„კერინჩხი იტყვის: „შენ რას ამბობ, შენი ვარ და მარგებელი, ჩემს ხეზედ ბუბული ზის, შენ მოგებნის ყოლი მელი, ავადმყოფსა ზოუხლებდი, და კაცი მჭამს მერმე მთელი, სიმდაბლითა ნუ მიწუნებ, მე არა ვარ აგრებელი“.

კერინჩხის ნაყოფი შეიცავს შაქარს, ვაშლისსიმკვარეს, მთრიალავ ნივთიერებას. მისგან აკეთებენ კერეს, ძმარს, ხდიან სპირტს; ნაყოფის წვენისაგან და ტრტის ტერქისაგან აკეთებენ წითელ საღებავს.

ავტორი აცხადებს, კუნელი ცოცხალ ღობედ გამოსადევია, მაგრამ მისი ღობე ხილის ბაღის ირგვლივ არ შეიძლება გაშენდესო, რადგან მასზე ბუბობს ჭია, რომელიც ხილის ბაღების დიდი მტრიაო, ისე კი კუნელი სასარგებლო და გვლვის ამტანი მცენარეა. გვიან შემოღობაზე, ვარსაკურთხებით მას შეიძლება, რაც ყინვა ცოტა დასჭირავს, კუნელის ნაყოფი საკმაოდ გემრიელია მისგან აკეთებენ სხვადასხვ გვარ წვენს, თოხარასა და სხვა პროდუქტს. ნაყოფს ახმობენ, ფქვილს და ურევენ ფქვილს, ასეთი ნარევისგან აცხობენ გემრიელ ტკბილ კვარებს.

ცნობილია, რომ ასკილი ანუ გარეული ვარდა წარმოადგენს თანამედროვე ყვ ვლითა დიდობის — ვარდის წინაპარს. ასკილი ფრთხილ გავრცელებული და სასარგებლო მცენარეა, მას გ მოყვება აქვს ტექნიკაში, სოფლის მეურნეობაში, ბაღებში, ხოლო მისი ნაყოფი იზრდება მდინეში სხვადასხვა პრეპარატების გასაცემლად.

თეიმურაზი „ხილთა ქებაში“ ასე აღაპარაკებს ასკილს:

„ასკილი გტყვის კუნელსა: აგაი შენ, ცუდად ჰქარაო, მე ვარ კარგი და ლამაზი, ენად მოყმედი, ჰქარაო. ჩემი ყვაილი შენა გჯობს, მხესა არ დაეფარაო. შემოდგომაზე მწიფე ვარ, ქალღმინი მოვლენ ჯარაო“.

საქართველოს მრავალი რაიონის ქალებში და მთის ქვემო კალთების ტყეებში კარვად ხარობს დიდი რაოდენობით გაბარდული ზღმარტლის ბუჩქები. ეს ბუჩქები გვიან გაზაფხულზე მორთევაბა ფართო, დიდი და ლამაზი ყვავილებით, რომლებსაც ფურტარები ეხვევიან და მისი კარგი ნექტარით თაფლს ამზადებენ. ზღმარტლის ფრთად მავარი და მძიმე მერქანი აქვს; ამიტომია, რომ სახარატო საქმიანობაში ფართოდაა გამოყენებული. მისგან აკეთებენ კოვჩებს, ციხეებს და სხვ. ზღმარტლი უფრო ცნობილია თავისი ნოყიერი ზანგელა ფერის ნაყოფით, რომელსაც უხვად ისხამს, და გვიან შემოდგომაზე მწიფდება. ზღმარტლი ხშირად ყინების დროსაც ბლომად იპოვება ტყეში და ბევრსაც ჰკრეფენ. რბილ, მწიფე ნაყოფში შაქარი და სხვა სასარგებლო ნივთიერება უხვად მოაპოვება. ზღმარტლის ნაყოფს დებენ წწილად, აკეთებენ მურაბასა და სხვა პროდუქტებს, რომელთაც გამოყენება აქვთ კვების მრეწველობაში. დასავლეთ საქართველოში აკეთებენ სასამთროდ ერთგვარ ზადავს; ურძინის ტუბილში ჩაურინან დიდი რაოდენობის გასუფთავებულ ზღმარტლს, წაბლს, დათილ გოგრასა და კომშს, ადუღებენ სანამ საკმაოდ შესქელებილდეს, შემდეგ ასხამენ კასრებსა და ქილებში, იხსავენ გრილ ადვილს და საკმელად ხმარობენ მთელი ზამთრის განმავლობაში; ის სასიამოვნო და ნოყიერი საკვებია ბავშვებისათვის.

არანაკლებ გემრიელი საქმელი და შესანიშნავი სასარგებლო ხილია მავალი, მისი მურაბა, მამარაბი, წვენი; მისი არაყი ხომ ყველასათვის ცნობილია. ხალხს უყვარს მავალი და მან ამოცანითაც ასწერა იგი: „თუთრად დაჯქსელე, წითლად მოქცხოვე, შვად ამოვიდე“. მართლაც, ადრე გაზაფხულზე მისი თეთრი ყვავილი თვალს აზარებს, ზაფხულში კი, როცა მისი ნაყოფი შეთვალდება, იგი წითლად გამოაყურება, ხილი მწიფე — ჩაშავდება. ნაყოფი იმდენად შეიცი, რომ იგი სიმწვანე გამოიმტკვრელია. ვის არ გაგოგონიათ „მავალივით თვალები ჰქონდაო“, ე. ი. ძალიან შეიცი და ლამაზი თვლები ჰქონდაო.

თეიმურაზი „ხილთა ქებაში“ ასე ამბობს: „ზუღან მასხია ეკალი, ვარ მისთვის დაწუნებულე, პირველ გაბლავარ ყირმიზა, მერმე პირ გაშავებულე“.

ბორჯომის ხეობიდან თბილისში ყოველწლიურად შემოჰქონდათ დაახლოებით 64 ათას კილო-

გრამამდე ყოლო, რომლისაგანაც აკეთებდნენ სხვადასხვანაირ მურაბას, ლიმონადს, სურსენლოვან ტუბილ სასმელ წყლებს. ველური ქოლო ჰატარა ბუჩქია, რომლის ღეროც თრანამ წელზე მტებს არ ცოცხლობს. ორწლიან ღეროს გამოიჭეს თეთრი ყვავილი, რომელიც მაველის ყვავილებს წაავება. ის ზაფხულის მეორე ნახევარში იფარება წითელი, ლამაზი და გემრიელი ნაყოფით, რომელიც შეიძლება ბუჩქს შემოდგომის პირამდე შეარჩეს.

შინდის ნაყოფიდან აკეთებენ კერკს, ჩურჩას, მამარაბს, მურაბას, ტელას, კისელს, კარგ შუან ხ ტუბილსა და მავეე წვეს. ამავე დროს ნაყოფს იყენებენ სამკურნალო საქმეშიც. შინდის გამძლე მერქანი კარგია სახარატო საქმისათვის, მისი ტოტები იყიდება მატყლის საწეწ დ და ნობის საბერტყავად. შინდი დიდი რაოდენობით იზრდება საქართველოს ტყეებში, სადაც ყოველწლიურად მრავალი ათასი კილოგრამი შინდი მწიფდება.

შინდის ხე ანუ ბუჩქი ჰყვავის ადრე გაზაფხულზე. ჯერ ხეზე ფოთოლიც კი არ დაძრულა. რომ შინდი ყვითელი ყვავილებით იმოსება ამიტომია ჩვენი ხალხში ნათქვამი „ყველაზე ადრე, რომ აყვავდება, შემდეგ ლალისფრად რომ ეიქტარება“.

თეიმურაზის „ხილთა ქებაში“ შინდის შესახებ სწერია:

„შინდი იტყვის: „შემოდგომს ჩემით არის გაბარება, ყველას უწინ აყვავდება, კაცი ჩემკენ იარება, ყირმიზობით ლალს, ვჯობებარ, არსად შინდა მე ტარება, სანუკვარად ისეთი ვარ, ყველამა თქვას ნეტარება“.

მრავალ კარგ მზარებთან ერთად, „ველურ ხილში“, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ფეტორის მასალა უფრო გამაღივად მოვიდა. მარწყვის განხილვის დროს სასურველად მივკანინა დამატებით გამოტყებულყოფ ავრთვე, რომ მარწყვის ნაყოფი შეიცავს „ბ“ და „ც“ ეიტამინებს; მარწყვის ნაყოფს იყენებენ გულის მკურნალობისათვის. მავალითად, ცნობილია „მარწყვის დღეები“ მოსკოვისა და ლენინგრადის ცენტრალურ კლინიკებში; მარწყვი ხელს უწყობს ზრდს და საჭმლის მოწიფებას, იგი ააქტიურებს ადამიანის ორგანიზმში ფერმენტების მოქმედებას (ასი გრამი მარწყვის წვენი შეიცავს 41 კალორია ენერჯიას). ამავე დროს, ტყის მარწყვი „ფრაგარია ვესკა“, „ფრაგარია ვირჯინიანა“ და „ფრაგარია ჩილოენსის“ დღეს გავრცელებული საბალნოს-სამრეწველო მარწყვის ჯიშების შრობელია.

შემდეგ ავტორი მოცეს იხილავს, როგორც სამკურნალო საშუალებას და მის ფოთოლს — როგორც ჩაის სუროგატის მომცემ მასალას. გარდა ამისა, საჭირო იყო ავ-

ტორს აღენიშნა, რომ მოცვის ყვაილებსაგან ფურტარი ამზადებს ძლიერ სურნელოვან, მოწითალო ფერის სასიამოვნო გემოს თაფლს. მოცვის ნაყოფი შეიცავს აგრეთვე „C“ ვიტამინს, თესლი 31% — ცხიმოვან ზეთს, ფოთლო — ისეთ ქიმიურ შემადგენლობას, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს ადამიანში ნივთიერებათა ცვლა. მოცვის ნაყოფისაგან სხვა მასალასთან შერევით ამზადებენ წითელი ფერის საღებავს,

რომელსაც გამოყენება აქვს მატყლის ქსოვილების შესაღებავად და სხვ.

მიუხედავ დ ზემოხსენებული მცირედი შენამუშევრებისა, რომლებიც ავტორმა წასტყუელია შრომის მეორე გამოცემის დროს გაითვალისწინოს, ნიკო კეცხოველის „ველური ხილი“ ძვირფასი სატექსტილო ჩვენი ბავშვებისათვის.

ბალატიონი მინდაძი

მონობრაფია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიაზე



ს. ჯანაშია ქართველ მეცნიერთა იმ პლეადის წარმომადგენელია, რომელმაც გააყუა გზა შექმედებითი მეცნიერებისაკენ, იმ შეტანიერებისაკენ, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ შზადაა გადასცეს ხალხს ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა“ (ი. პ. სტალინი).

შოთა მესხიას მონობრაფია „სიმონ ჯანაშია“ (საბლიტგამი, 1950 წ.) შედგება სულ ოთხი განყოფილებისაგან. პირველი თავი გვაცნობს ს. ჯანაშიას ბიოგრაფიას; ბიოგრაფიის პირველ ნაწილში მოთხრობილია მისი ოჯახის, ბავშვობისა და მოწაფობის წლების შესახებ. პირველი გვერდების წაკითხვა ნათელ სურათს იძლევა ს. ჯანაშიას მშობლებზე, მათს მსოფლმხედველობასა და იმ ლეაწლზე, რაც მიუძღვის მ.თ შიმაველი მეცნიერის გამოზრდაში.

ოჯახში მიღებული პირველდაწყებითი აღზრდის შემდეგ ს. ჯანაშია მიაბარეს სენაკის დაწყებითს ქართულ სკოლაში. საფუძვლიანად მომზადებულმა და ნიჭიერმა ბავშვმა მასწავლებლის მასწავლებელთა ვურადღება.

10 წლის იყო ს. ჯანაშია, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად სუხუმში გადავიდა. 11 წლის სიმონი შეიყვანეს რუსულ სკოლაში, სუხუმის რეალურ სასწავლებელში, სადაც „მშობლიური ენის სწავლებას კვირაში მხოლოდ ერთ საათი ჰქონდა; დომობილი, შვაბობით, ისეც მეტყველებდა, მაგრამ ბეჯით სიმონს არასოდეს არ ავიწყებოდა მამის სიტყვები: „ეინდ თავის დედაენას არ ისწავლის, ის უსწავლელია“.

ს. ჯანაშია ენას მართლაც დიდი ინტერესით სწავლობდა, ყველა საგანს ბრწინივალად ეუფლებოდა და „ქალაიდან კლ.სში გადასვლა-სის

ყოველთვის ჯიღობებს ღებულობდა“ (გვ. 11). შ. მესხიას მიერ დაწერილი სტრიქონებიდან და მის მიერვე მოყვანილი შესაფერი ციტატებიდან (ს. ჯანაშიას მოგონებები და სხვ.) მკითხველისათვის გასაგებია, თუ რა მდგომარეობაში უზღებოდა ცოდნის მიღება ახალგაზრდ. სიმონს და როგორი იყო მისი მუშაობის სტილი.

რამდენადაც მომავალი მეცნიერის მდგომარეობა კარგი იყო ოჯახში, იმდენად აუტანელი იყო მისთვის იმ სკოლაში სწავლა, რომელიც შემოსალტული იყო ცარიზმისდროინდელი რუსეთის აუტანელი ზღუდებით. „მე მახსოვს ჩემი დუხვირი წარსული, არასოდეს არ დამეიწყებდა სწავლის მძიმე პირობების სიმწვევე“ — აღნიშნავდა ს. ჯანაშია შემდგომში.

სიმონი ეწვეება პოლიტიკურ, მხატვრულ, ისტორიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურას, ბეჯით დ სწავლობს ენათმეცნიერების საკითხებს, სთარგმნის რუსულიდან მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს, წერს საკუთარ ლექსებს და სხვ.

„დიდი მნიშვნელობა მისი მსოფლმხედველობის შემუშავებაში მაინც პოლიტიკურ ლიტერატურას სქონდა, „თავისუფალი იზრუნისათვის“ ს. ჯანაშია ხშირად დასჯილა. გ. მსაკუთრებით არ მოსწონდა ის „საღვთო სჯულის“ მასწავლებელ მღვდელს, თუმცა მის საგანსაც ახალგაზრდა სიმონი ხუთებზე სწავლობდა“ (გვ. 14).

ს. ჯანაშიამ 1917 წ. დაამთავრა სუხუმის რეალური სასწავლებელი. ამ სასწავლებლის დამთავრების ს. ს. ჯანაშია რამდენიმე ენის მყოფნი იყო, მიიღო კარგი ზოგადი განათლება, დაუუფლა მეცნიერების საფუძვლებს და ემზადებოდა შემდგომი მუშაობისათვის, რათა მალე

ბული ცოდნა ხალხის კეთილდღეობისათვის გაზოგუნებინა.

შემდეგ მონოგრაფიის ავტორი ეხება უნივერსიტეტში გატარებული ნაყოფიერი მუშაობის წლებს. ავტორი ჯერ მოკლედ მიმოიხილავს აბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების ისტორიას, განსაკუთრებით ჩერდება დიდი მეცნიერის აკად. ივ. ჯავახიშვილის იმ დამსახურებაზე, რომელიც მის მიუძღვის თავის სამშობლოს წინაშე და რომლის შესახებაც 1924 წელს უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პროფ. პეტრე მელაქიშვილი სამართლიანად აღნიშნავდ: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულის ჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მის ვერცხვად შევთავაზებ და შევზიარებ“.

18 წლის შემდეგ 1918 წ. სექტემბერში, ბევრი ყოფიანის მიმდევ, პროფესორების ივ. ჯავახიშვილისა და ე. ყიფშიძის რჩევით, სწავლის იწყებს ორ დარგზე — ისტორიულსა და ენათმეცნიერულზე, რადგან ორივეს შესწავლა, მისთვის ერთნაირად საინტერესო იყო.

უნივერსიტეტში ყოფნა ს. ჯანაშიასათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა: იგი აღიზარდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით. 1922 წ. და მთავრა სიბრძნის-მეტყველებების ფაქტობრივად, ბრწყინვალედ ჩააბარა სავსებით, წარადგინა სადიპლომო შრომები და შოკოლივე ამის შედეგად ახალგაზრდა სიმონმა პროფესორ-მსწავლელთა დიდი უფრადლება დაამსახურა. „მისი თანდათანობით ზრდას განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილი და აკაკი შანიძე აკურდებოდნენ და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ“ (გვ. 19).

ავტორი ს. ჯანაშიას უნივერსიტეტში ყოფნას შესახებ დამაჯერებელი და ნათელი თხრობით გვაცნობს მრავალ ს ინტერესო ეპიზოდს მისი ბიოგრაფიიდან. ნაშრომის ეს განყოფილება განსაკუთრებით იმ მხრეზეა შესანიშნავი, რომ თხრობს მის მშრომა აღწერის ხასიათი ეს არა აქვს, არამედ მის მრავალგვაროვანებას შატბებს სათანადო დოკუმენტაცია. მავალითად, ს. ჯანაშიას შიგლიანების ანგარიშიდან ნათელი სურათი წარმოგვსახება იმ დაუღალავ შემოქმედებითს შესაძლებლობაზე, რაც შედარებით მოკლე ხნის მანძილზე სამეცნიერო ექსპედიციისაში მუშაობის დროს გამოამყვანა სრულიად ახალგაზრდა სიმონ ჯანაშიამ.

სამართლიანად მოიქცა შ. მესხია იმ მხრეზე, რომ მოიყვანა ციტატები ივ. ჯავახიშვილისა, გ. ახვლედიანისა და სხვათა რეკომენდაციებიდან, რომლებიც მიმართული იყო სამეცნიერო სპეკოსადში, ს. ჯანაშიას სამრეცხვსროდ მომზედებისთვის.

ს. ჯანაშიას ერთ-ერთი სადიპლომო-შრომის შესახებ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „მისმა ნაშრომმა (კვან თლებული ქართული) მრავალმხრივად წესები მე-18 ს-მდე) უფრო განმარტავს ჩემი აზრი, რომ მის სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის ნიჭი აქვს“. ეს მეტად საგულისხმიერო სიტყვებია და შ. მესხია სეთი ციტატების შეტანით ერთგვარად დამატებითს შუქს ჰყვანს. ჯანაშიას მრავალმხრივ საყურადღებო ცხოვრების ეპიზოდებს. შ. მესხიამ ნათლად და დამაჯერებლად დაასურათა ს. ჯანაშიას მოღვაწეობის ერთი შესანიშნავი მომენტავანიც. ს. ჯანაშიას მეცნიერული შემოქმედების არც არ განისაზღვრებოდა კანონიერობით მუშაობით, იგი უშუალოდ ეცნობოდა ჩვენი ისტორიისა და კულტურის საყურადღებო მოვლენებს, სწავლობდა ეთნოგრაფიას, ფოლკლორს; კრიტიკულად მიმოიხილავდა ამა თუ იმ საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებებს და საკუთარი დაკვირვების შედეგად აყლიბებდა ხაზღვილ მეცნიერულ-მარქსისტულ დებულებებს. ს. ჯანაშიას მეცნიერული მსოფლმხედველობის შემოქმედებაზე, მის როგორც მკვლევარის ფორმირებაზე განსაკუთრებით დიდი დეწლი მიუძღვის აკად. ივ. ჯავ ხშივლის. ამ გარემოებას მონოგრაფიის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს.

წიგნის მეორე თავში განხილულია საქართველოს ისტორიული მეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები და განსაკუთრებით ეს პისი შემდგომი განვითარება ს. ჯანაშიას მისე დღეობა მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე. შ. მესხიამ თავის ნაშრომში ყველაზე მეტი უფრადლებით განიხილა საკითხი — ს. ჯანაშია და ქართული ისტორიული მეცნიერება.

მეორე განყოფილება შედგება 4 ნაწილისაგან, მაგრამ ეს ოთხი ნაწილი დაყოფილია კიდევ ქვესათარებად. ამავე დროს მეორე განყოფილების დასაწყისი წარმოადგენს შესავალს, რომელშიაც ძირითადად მოცემულია ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ეტაპები. მეორე განყოფილების შესვლი იძლევა მისი საშუალებას, რომ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა და ბევრი ახალისტორიისიკი გაცნოს ძირითადად ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ვრცელ გზას და იქონიოს მასზე ერთგვარი წარმოდგენა.

ისტორიოგრაფიის განვითარების გარკვეული მონაკვეთის აღნიშვნასთან ერთად, ავტორი ასახელებს იმ ისტორიკოსებსაც, რომლებმაც განსაზღვრული დროის მანძილზე წინ წაიწიეს ქართული ისტორიული მეცნიერება და მოამზადეს მყარი საფუძველი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორმა განსაკუთრებით აღნიშნა აკად. ივ. ჯავახიშვილის დეწლი „ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომი ძლიერი აღმავ-

ლობა დაკავშირებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელთან" (გვ. 33).

ავტორის ხაზგასმით აქვს აღნიშნული ისიც, რომ „ქართულ ისტორიულ აზროვნებაში, საქართველოს ისტორიის ფაქტური მასალების ღრმად შესწავლის გვერდით, XIX ს. დასასრულიდან და XX ს. დამდეგიდან გზას იკაფივდა და მტკიცედ ინერგებოდა კვლევის მარქსისტული მეთოდი და ამით საბოლოოდ წუდებოდა მეცნიერების ძირითადი საკითხი — მეთოდის საკითხი — საქართველოს ისტორიისათვისაც" (გვ. 35).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ თავმად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართული ისტორიოგრაფიის მრავალმხრივი და მდიდარი მემკვიდრეობა, ისტორიული კვლევის ახალი, მარქსისტული მეთოდი იყო ის ნიადაგი, რომელიც საფუძვლად დაედო ს. ჯანაშიას მეცნიერულ მოღვაწეობას" (გვ. 36). წიგნის ამ განყოფილების ოთხივე ნაწილში ვეცნობით ს. ჯანაშიას მეცნიერულ ტემპათა წარმოშობის საკითხი, 2. ისტორიულ გეოგრაფიის საკითხები, 3. ქართველ ტომთა საზოგადოებრივი წყობილების შესწავლა: ა) გვიროვნული წყობილება ქართველ ტომებში, პონათოლოგიური სახელმწიფოს საკითხი; ბ) „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე"; გ) „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში"; დ) „არაბობა საქართველოში" და 4. კულტურის ისტორიის საკითხები.

წიგნის მესამე განყოფილებიდან ვეცნობით ქართული არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორიას და ს. ჯანაშიას როლს ამ დარგის წინაწევის საქმეში.

ვევლასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინაყვასობრივი და ისტორიული ხანის ძეგლების მეცნიერულად შესწავლას ამა თუ იმ ერის კულტურისა და სოციალური ვითარების გარკვევისათვის. ამ მხრივ გამოჩნადის არც საქართველო წარმოადგენს. როგორც ცნობილია, საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა არც თუ ისე დიდხანია, რაც დაიწყო 1870-იან წლებში გათხრები იწყება მცხეთა-სამთავროში, მაგრამ, სამწუხაროდ, გათხრებს აწარმოებდნენ ისტორიის ისეთი ფალსიფიკატორები, როგორიც იყვნენ, მაგალითად, გერმანელი „არქეოლოგი" ფრიდრიხ ბაიერი და სხვანი. ისინი არქეოლოგიური ნივთების დანიშნულებაში ვერ ერკვეოდნენ და ხშირ შემთხვევაში ყოველად გაუმართლებელ და მიუღებელ დასკვნებს აეთვებდნენ.

ამ სავალალო მდგომარეობას გულსტკივილით აღნიშნავდა დიდი მეცნიერი, აკად. ივ. ჯავახიშვილი: „...კავკასიის არქეოლოგი თავის ხსენებულ სავალალოდ ჯერ არაფერს იტყვიან და ყველა ის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც კავკასიის ნივთიერი კულტურის გასათვალისწინებლად უკვე არსებობს, სასხვათაშორისო კვლევითების შედეგს წარმოადგენს და უფრო ზოგადი პრობლემათა დანტერესებულ, მაგრამ თავისი კვლევაობების მუდმივი ასპრუხით დამორბეულ გამოჩენილ მეცნიერთა მონაწილეობით არის შექმნილი

ამ ვარსებების წყალობით კავკასიის არქეოლოგიური შესწავლას სასტიმატური გვემინი მუშაობის მაგიერ შემთხვევითი ხასიათი აქვს".

სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა მეცნიერმა პირველმა მოკიდა ამ საქმეს ხელი და მის მიერ გაკეთებულ გზას გაყვა ქართველ არქეოლოგთა მთელი პლეადა. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ წამოწყებული და განვითარებული ამ დიდებული საქმის განმარტობი ს. ჯანაშია იყო.

„ს. ჯანაშია იყო საბჭოთა მეცნიერი, რომელმაც ისტორიული და ენათმეცნიერული ცოდნა გააერთიანა თ რთო არქეოლოგიურ ცოდნასთან. ს. ჯანაშია იყო დიდი არქეოლოგი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული არქეოლოგიის შემდგომი განვითარება" (გვ. 92).

თავისი ნაშრომის უკანასკნელი, მეოთხე განყოფილების ფურცლებზე ავტორი გვაცნობს ს. ჯანაშიას, როგორც საზოგადო მოღვაწეს. ს. ჯანაშიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვები და საბჭოთა ხალხის რჩეულ ადამიანთა მიერ გამოგზავნილი ათასობით დეპეშები ნათელ შუქსა ფენს სახელოვანი მეცნიერის დამსახურებას მშრომელი ხალხის წინაშე. „მისი ნათელი ხსოვნა კი ყოველმა ქართველმა სამარადისოდ ჩიბარბა გულში", — ასეთი სიტყვებით ამთავრებს შ. მესხია თავის მონოგრაფიას.

ნაშრომი თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება და ნათლად გვაცნობს იმ ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომელმაც უკუდავი სახელი და პატივისცემა დაიმსახურა საბჭოთა ხალხში.

ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას ეს მონოგრაფია კარგ დახმარებას გაუწევს ს. ჯანაშიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში.

ვალერიან ითონიშვილი.



ახალი წიგნები



სახელგამი

ვაჟა-ფშაველა — ლექსები (მეორე ტომი). რედაქტორი ალ. აბაშელი. გვ. 471, ფ. 22 ჰ.
შალვა დადიანი — თხზულებანი (პირველი ტომი). რედ. გ. ჯიბლაძე. გვ. 380, ფ. 16 მან.
ლეო ქიარელი — ტომი მესამე (გვალი ბიგვა, მთის კაცი). რედ. ს. ჩიქოვანი. გვ. 508, ფ. 20 მ.

გიორგი ჯიბლაძე — კრიტიკული ეტიუდები. რედ. ლ. ასათიანი. გვ. 546, ფ. 22 მან.

დავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით (პირველი წიგნი). რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 548, ფასი 20 მან.

ბ. ბაბაევსკი — ოქროს ვარსკვლავის კავალერი (თარგ. გრ. იარალოვისა). რედ. დ. ბენაშვილი. გვ. 554, ფასი 25 მან.

დ. ბობოხიძე — ახალი პოემა და ლექსები. რედ. ს. ჩიქოვანი. გვ. 184, ფასი 12 მან.

საბავშვო მწერალი

ნეკო ინსარაი — დრამა წითელ მდინარეზე. რედ. ან. კელენჯერაძე. გვ. 133, ფასი 6 მან.

ალექსანდრე აბაშელი — ოქროს საფეხურებო (ლექსები). რედ. ი. მოსაშვილი. გვ. 136, ფასი 7 მან.

ვარლამ ფურული — ჩვენი გაზაფხული (ლექსები). რედ. ერ. ქარელიშვილი. გვ. 130, ფასი 6 მან.

ხერგო კლდიაშვილი — ახალი მოთხრობები. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 158, ფასი 9 მან.

გიორგი შატერაშვილი — პიესები. რედ. ალ. გომიშვილი. გვ. 218, ფასი 10 მან.

მიხეილ მრეველიშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილი (პიეს.). რედ. რ. გვეტაძე. გვ. 160, ფასი 5 მან.

აკაკი ბელიაშვილი — თავდასაცავი ბესიკ გომიშვილისა (მეორე გამოცემა). რედ. რ. გვეტაძე. გვ. 717, ფასი 32 მან.

საბავშვო მწერალი

ალექსანდრე პუშკინი — „კავკასიის ტყვე“, „ბაღჩისარის შადრევანი“ (თარგ. კ. ტუინაძისა). რედ. ნ. შველიძე. გვ. 58, ფასი 5 მან.

გ. ქუჩიშვილი — მოგესალმებით, ბავშვებო (ლექსები). რედ. გ. ბარამიძე. გვ. 250, ფასი 12 მან.

ი. გოგებაშვილი — მოთხრობები. რედ. გ. თაყაიშვილი. გვ. 188, ფასი 10 მან.

ნ. კეცხოველი — ველური ხილი. რედ. ა. შაყაშვილი. გვ. 18, ფასი 6 მან.

კლავდია დედუჩიანი — მოთხრობები. რედ. ბ. ტლენტი. გვ. 35, ფასი 3 მან.

შალვა ფორჩხიძე — საწინდარი (ლექსები). რედ. ა. მირცხულავა. გვ. 68, ფასი 4 მან.

ვ. შუბლაძე — გაზაფხულის სიმღერა (ლექსები). რედ. გ. კაცხიძე. გვ. 47, ფასი 3 მან.

ა. ბახილია — კოსმოური ბრძოლა (მოთხრობა). რედ. ლ. ასათიანი. გვ. 139, ფასი 8 მან.

ბორის ეტიკოვი — მოთხრობები ტექნიკაზე. რედ. მ. ტყემალაძე. გვ. 89, ფასი 5 მან.

შინაარსი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — მაისის დღია, მოთხრობა	83
სანდრო ეშლი-ჭურჭიძე — საოქტომბრო, ლექსი	9
ნაირი ზარინანი — სიტყვა მეგობრობაზე, ლექსი, თარგმანი ირაკლი აბაშიძისა	10
ალექსანდრე ქუთათელი — პირისპირ, რომანი, წიგნი მეოთხე	11
ხარიტონ მარაღოშვილი — ახალი ლექსები	25
ნიკოლოზ ტინოშვილი — ციკლიდან „საქართველოს გაზაფხული“, ლექსები, თარგმანი ნიკოლოზ ნადირაძისა	27
იაკინთე ლისაშვილი — ერთგულება, რომანი, გაგრძელება	31
მურმან ლეზანიძე — რაქველები ოქტომბერი, ლექსი	45
ორდუ დემეზუაძე — დიდ გზაზე, მოთხრობა, გაგრძელება	46
ირაკლი არაბული — მშვიდობას ვიცავთ, ლექსი	59
ანრი ბარბიუსი — ცივილიზაციის შეტევა, მოთხრობა, თარგმანი დ. ცაგარლისა	60
მასნილ ქაზარინძე — ახალი ნაღვარი, მოთხრობა, გაგრძელება, თარგმანი რაფაელ გვეტაძისა	65
—	
ოთარ ჩხიძე — მშვიდობის საქმე უძლეველია, წერილი	77
კატრინა ბახტურიძე — სახელოვანი თარიღი, წერილი	83
დავით გვირიტიშვილი — ერთი ფურცელი ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობიდან, წერილი	90
დ. აბზარდია — ქვეშაობების ბუნების გაგების საკითხისათვის, წერილი	98
აბაძე თოფჩიანი — ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი, წერილი	115
—	
ლევან ასათიანი — პ. რატიანი „ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი“, ბიბლიოგრაფია	131
მ. ქავთარაძე — ნატო ვანაძე „მოგონებანი და შეხვედრები“, ბიბლიოგრაფია	136
მ. გომილაძე — წიგნი საბჭოთა პატრიოტიზმზე, ბიბლიოგრაფია	140
ბ. ბურთიკაშვილი — მონოგრაფია დიდ ხელოვანზე, ბიბლიოგრაფია	143
ბრ. ხეთელი — ხეშიდ ხალვაში „დილა მშვიდობისა“, ბიბლიოგრაფია	145
გიორგი გომილაძე — ფრანკო-სილერი „ტრაგედიები“, ბიბლიოგრაფია	147
მლ. არტიმიძე — ირაკლი აბაშიძე „შევისწავლოთ ყოველი ფრინველი და ცხოველი“, ბიბლიოგრაფია	150
ვალანტინე მინდაძე — ნიკო კეცხოველი „ველური ხილი“, ბიბლიოგრაფია	152
ვალერიან ითონიშვილი — მონოგრაფია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიაზე, ბიბლიოგრაფია	155
—	
ახალი წიგნები	158



პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), ლეზან ასათიანი,
შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსა-
შვილი, შალვა კაღიანი, ლეო ჭიაჩელი, სიმონ ჩიკოვანი,
ოთარ ჩხეიძე, სერგი ზილანია.

ბელმოწერილია დასაბუღად 4/1-51 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 ფ.
შპ 00501. შეკვ. № 1001. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქ. პოლიგრაფგამომცემ-
ლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: შარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

Комбинат Печати Грузполнграфиздата при Совете Министров
Грузинской ССР, Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.